

8(05)

ა-80

მოსამბე

თვიური ქურონალი

წელიწადი პირველი

№ II

თებერვალი, 1894

ტფილისი

საქართველოს მთავრობის დასახელებით

1894

მ ო ა მ გ ე


თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

P-6301

№ II

თებერვალი, 1894



ტფილისი

Издательство И. В. Гегелидзе, Тифлиси, 1894 г.

1894

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 12 Января 1894 года.

დ ა - ქ მ ა

მოთხრობა

I

— მერე, სოლო, მერე? უთხრა ერთმა ახალგაზდამ სოლოს, როცა ის ისევ ბუხარს მოუჯდა.

— რა სულ-ძაღლი რამა ყოფილა ი ტერტერა! განაგრძო ისევ იმან.

— ტერტერას უქნია ოინები, მაგრამ არც ქოსას დაუკლია. წამოიძახა ახლა მეორემ.

— დაიცადეთ, ჰო!... უკმაყოფილოდ უთხრა იმ ორს მესამემ და შემდეგ სოლოს მიუბრუნდა:

— მერე, ბიჭებო-და... დაიწყო სოლომ. მაგრამ ამ დროს ბოსლის კარები გაქრიალდა და ყურამდინ გაიღო. უეცრივ ცივმა და სუსხიანმა ქარმა შემოჰქროლა, რის გამოც საქონელმა უკმაყოფილოდ ფშვინვა დაიწყო. ყველამ კარებისკენ მიიხედეს და დაინახეს ქრტუა, რომელსაც ბზით სავსე გოდორი მოჰქონდა.

— უჰ, რა ღვთის-რისხვა ღამეა! შემოსვლისათანავე წამოიძახა ქრტუამ და კარები საჩქაროდ მიარახუნა.

— აქნობამდინ სადა ხარ, კაცო! უთხრა ერთმა ბუხრის გვერდით მჯდომთაგანმა: ჩვენმა საქონელმა კიდეცა მოქამა და შენ კი ეხლა მოგაქვს ბზე.

— ოჯახი რომ დაექცეს ჩვენ ყვლეფთაშვილს, იქა ვარ აი! წაშრიდახა ქიტუამ და შემდეგ ისევ განაგრძო: შე ავო და შავო, ვისაც არ ესმის, იმისთანა დუხჭირობა-ლა იქნება, რასაც ის მიშვრება! კაცო, აი რაღაც ხარჯის ფულისთვის გამოვართვი ერთი ათი შაური და მას აქედ აღარ მისვენებს. მალი-მალ იმას შეტყვის: „წამო, ი ათ შაურში მიშველეო“. რით ვერ გადავიხადე ი ოხერი! კაცმა რომ იანგარიშოს, ერთი ათი დღე მაინც არ შექნება იმ ფულში ნამუშავარი! ლამის არის, კაცო, ყმად გამიხადოს!...

— აბა, მოდი და სხვა გაამტყუნე, როცა ჩვენი მეზობელი, ჩვენი სისხლი და ხორცი მაგრე გვიშვრება!... თავის ქნევით წამოიდახა სოლომ.

— ეე, შეილოსა, როცა კაცი რმერთს გადუდგება, მაშინ სისხლი და ხორცი ფეხებზედ ჰკიდა! სთქვა ქიტუამ ნაღვლიანად და ბოსლის თავისკენ გასწია, სადაც იმისი უღელი ხარი და ერთი ძროხა თავის კვებულა საფურე ხბოთი ებნენ.

— სანდრო, ხომ არ ამოგიბავავს? დაეკითხა ქიტუა, როცა თავის საქონელს მიატანა.

— არა, უპასუხა სანდრომ.

— ქიტუამ „არა“ რომ გაიგო, მოიხსნა გოდორი და ამობაგვა დაიწყო. როცა ის ბაგას ასუფთავებდა, იმისი საქონელი შეჭზზმუოდ და ხელებში ეტანებოდა. ისიც ალერსიანად ეუბნებოდა: „მოიცათ, ეხლავ დაგიყრით“!

— შენც მოგშვიდა, ჩემო დეენიკო? ალერსიანად ჩაეკითხა ქიტუა თავის ხბოს, როცა იმან შეჭზზმუელა და იმის ხელებს ლოკვა დაუწყო.

— ეხლავ, ეხლავ, ჩემო კარგო! უთხრა ქიტუამ და ბზითსავსე გოდორი ბაგაში ჩაყარა, რის შემდეგ იმისმა საქონელმა მაღიანად და ფშუთილით ბზეს ჰამა დაუწყო.

ქიტუას მისელამ და იმისმა ჩივილმა ახალგაზდებს ზღაპრის თქმა შეაწყვეტინა და დაანადგლიანა, მაგრამ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა.

როცა ქიტუა თავის საქონლისკენ ბზის დასაყრელად წა-

ვიდა, სოლომ ისევ განაგრძობ ტერტერაზედ ზღაპარი და თავისი მარილიანი ლაპარაკით ჩქარა ყველანი გაამხიარულა. ტერტერასა და ქოსას ოინებით ისინი გულიანად ხარხარებდნენ. ზღაპარს ისე გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს და ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ ქიტუას ბუხართან მოსვლა ვერც კი შეამჩნიეს. ქიტუა ცეცხლის ახლო გადღორზედ ჩამოჯდა და წვიმისაგან ჩაქანქახებული შარვლის ტოტები და ჩოხის კალთები გასაშრობლად მიუშვირა, რომელთაც საჩქაროდ სქელი ორთქლი ავარდა და იმის ჩამომხმარ სახეს ნისლივით გარს მოეხვია. სწორედ რომ ვთქვათ, არც ქიტუას ესმოდა იმათი ხარხარი და სოლოს მარილიანი ლაპარაკი. ის გაშტერებული იჯდა და ცეცხლისთვის მიეპყრა თავისი მსხვილი და სიგამბდრისაგან მორღვეული აზროვნების გამომეტე ყველი თვალები.

რას ფიქრობდა ამ დროს ის, ამაზედ ძნელია კაცმა ნამდვილი რამე სთქვას. მარტო ის შეიძლება ითქვას, რაც იმას სახეზედ ეტყობოდა. იმისი სახე-კი მხოლოდ მწუხარებას გვიხატავდა; ეტყობოდა, რომ ეს კაცი ძლიერ იტანჯებოდა, რაც ბრძოლა იყო მასში...

მართლაც, იმისი სახე უეცრივ იცვლიდა ხოლმე ფერს, შავად ელანძებოდა და ამ დროს ძარღვები ისე ეტენებოდნენ, რომ გასკდომას ჰლამოდნენ, წარბები უზომოდ მაღლა ეწეოდა, კბილები კი ერთმანეთს ეკვროდნენ და ღრქიალი გაჰქონდათ. ქიტუა ამ დროს საშიშარ სურათს წარმოადგენდა. თითქოს თვითონაც ეშინოდა თავის თავისა, რომ ის ამ დროს მთელის ტანით ირყეოდა და თითებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იმტერედა. მაგრამ ამისთანა მდგომარეობა დიდხანს არ გასტანდა ხოლმე. ქიტუას სახე ისევ ჩქარა შეეცვლებოდა ხოლმე. უეცრივ შორდებოდა შავი აღმური, სახის ძარღვები იცლებოდა და შუბლზედ წვრილს და ცივს ოფლს დააყრიდა. ამის შემდეგ ქიტუას შესაბრალისი, დამცირებული, მონური სახე უხდებოდა. მგრძობიარე გულის მექონე კაცს რომ ამ დროს შეეხედნა ქიტუასათვის, უეჭველად სიბრალტლისაგან ცრემლს ცრემლზე დააფრქვევდა.

ასე იცვლებოდა ქიტუას სახე და ერთ უკიდურეს მდგომარეობიდან მეორეში ვარდებოდა. ამ ნაირ მდგომარეობაში იყო ქიტუა იმ დროს, როდესაც ახალგაზდანი მხიარულობდნენ და იმის მდგომარეობას ვერ ამჩნევდნენ. არცერთს მათგანს, არც ერთხელ, ამოდენა ხნის განმავლობაში, არ შეუხედნია ქიტუასათვის.

გაათავა სოლომ ზღაპრის თქმა და ამ გათავებას უეცარი ხმამალა გადახარხარება მოჰყვა.

— აი ცხონდეს ქოსას დედმამის სული!... თითქმის ყველამ ერთხმად წამოიძახეს ხარხარის დროს.

ამ დროს ბოსლის თავიდან მოისმა რქების დატაკება და ბრაზუნის, რის გამოც საქონელი შეტოკდა და ფეხებით ზღავზე მძიმედ აბრაზუნებდა.

— ხიი, ეი! გაგავერნებ, თუ მანდ მოვედი! გასძახა სანდრომ ხარხარის დროს.

ამის შემდეგ საქონელი გაყუჩდა და ქამას მიჰყო პირი. ზოგი კიდევაც დაეყარა და იცოხნებოდა: მხოლოდ, რომლებსაც ჯერ ბზე არ მოეჭამათ, ისინი-ღა იდგნენ ბაგაში თავებწყაოფილნი.

— კაცო, შენ რაღას გატვრინებულხარ და ხმას აღარ იღებ?! წაძახა ქიტუას სოლომ, როცა თვალი მოჰკრა.

— შენ გეუბნები, კაცო! განუმეორა სოლომ და ხელი წაჰკრა ქიტუას, რადგანაც იმან პირველ კითხვაზე ხმა არ გასცა და ისევ ისე გატვრენილი იყო.

— ჰა!... რა გინდა? მოიხედა ქიტუამ და თვალების ცეცება დაიწყო.

— რა უნდა მინდოდეს, რატო ვგრე გაშტერებულხარ?

— მე?!...

— ქიტო, მოდი და ახლა ზღაპარი შენ გვითხარი! უთხრა სანდრომ, რომელმაც ახლა-ღა მიაქცია ყურადღება.

— ეჰ, შეილოსა, რაღა დროს ჩემი ზღაპრის თქმაა, კაცი დაებერდი, - ნაღვლიანად უპასუხა ქიტუამ: მეც თქვენსავით უნდა გული უდარდელი მქონდეს, რომ ზღაპრები ვთქვა. განაგრძო ისევ იმან.

ახალგაზღვებმა ამაზედ აღარა უპასუხეს-რა; თითქოს იმათ იცოდნენ, რომ ქიტუას მართლა გული უღარდელი არა ჰქონდა....

— სოლო, წამოიძახა ქიტუამ პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ: შენი ქირიმე თვალყური გეჭიროს ჩემ საქონელზედ, მე შინ მინდა წავიდე, გული რაღასაც მეთანადრება.

— რადა, კაცო, რა დაგემართა? დაეკითხა სოლო.

— აბა რა ვიცი, მე მგონია, ის ოჯახ-დასაქციევი ი ბალღებს ამაღამ არ აცოცხლებს.

— ვინ არ აცოცხლებს? ჰკითხა ისევ სოლომ.

— ვინა-და, ჩემი დედა-კაცი!

— ჰო, მართლა, ეეეევი, შენი ქირიმე, ღმერთო, რა უდიერი რამა ყოფილა! წამოიძახა სოლომ.

— იმ დღეს ჩემი თვალით რომ არ მენახა, — განაგრძო სოლომ, — არ დავიჯერებდი. კაცო, იმ დღეს შენთან თავთ-უღლის სათხოვნელად მოვედი. დერეფანში რომ შემოვედი, ბალღების ტირილი მომესმა. მივიხედ-მოვიხედე და, არ დაიჯერებ, რა დავინახე: ი საცოდავები გოდორ ქვეშ იყვნენ გამომწყვდეულნი და წინ ბოზალუყით სავსე გეჯა ედგათ. მე მაშინვე...

— ვაიმე, შეიღებო!... წამოიძახა ქიტუამ.

— განა სხვას არა ჰყავს გერები, რო ვგრე არ ექცევიან! სთქვა ერთმა ახალგაზღამ.

— ე დედი-ნაცვლის ხელში შენს ბალღებს არა უხარიანთ-რა, ჩემო ქიტო! უთხრა სანდრომ.

— სახლში რადა გყვანან, კაცო? აიღე და მოჯამაგირეთ დაუყენე ვისმე. უთხრა ერთმა ახალგაზღამ.

— რას ამბობ, ბიჭო, მოჯამაგირედ როგორ დავაყენო ი თითი სიგრძე ბალღი? მოჯამაგირობის თავი რომ ჰქონდეს, განა მე არ მიჭირს, მარტოხელი კაცი ვარ! უმცროსობას მე ვერ გამიწევს?! მერე-და მთელი კალოა და ეგენი! ეგენი რო არა მყოლოდნენ, მე წლევულ კალოს ვერ გავლენწდი...

— მაშ ეგრე ამოაწყვეტინე... ის არა სჯობია, ქალაქს წაასხა და მისცე ვისმე! ჰამ ისწავლიან კიდევ რასმე და ჰამ ფულებსაც აიღებენ. უთხრა სოლომ.

— ჰო, დაეთანხმა ქიტუა, გიგლუს კიდევ მივცემ ვისმე, მაგრამ ი გოგოს რაღა ვუყო?

ყმაწვილებმა ამაზე აღარა უთხრეს-რა, რადგანაც იმათ არ იცოდნენ მართლა-და გოგო ვისთვის უნდა მიეცა. არაგვის-პირზედ გლეხი-კაცი ძნელად გაიყვანს თავის ქალს გარედ; თითქმის წარმოდგენითაც ვერ წარმოიდგენს, თუ ქალი შეიძლება ქალაქს ჩაიყვანოს და მერე ის ქალი გლეხის ოჯახისათვის კიდევ გამოდგეს. გლეხი თავის ქალს თავის ოჯახისთვის ზრდის. ჯერ იქვე, თავადიშვილის ოჯახშიაც, რომ იყოს, იმასაც გლეხის ახალგაზდა ყმაწვილი არ ითხოვს. „ნამოახლარი გაწუწუკებული იქნებოა!“ ასე იტყვის ამისთანა ქალზედ და აბა ახლა ქალაქში წასულ ქალზედ რაღას იტყვის! მგონი მაშინ „მათუშკაც“ დაუძახოს და მათუშკა ხომ, იმისი ფიქრით; ბუდეა ყოველივე ცუდისა და უზნეობისა. აი, ამისთვის გააჩუმა ქიტუს სიტყვებმა — „ი გოგო ვიღას მივცე“-ო—ახალგაზდა მრჩეველები.

— ეგრე, ეგრე, ჩემო სოლო, უთხრა ისევ ქიტუამ ცოტახნის შემდეგ: თვალყური გეპიროს ჩემ საქონელზედ, და თუ მშვიდობით არიან, მეც ისევ გადმოვალ, თუ არ დავათვალიერე, არ იქნება, დღეს შუა-ღლის შემდეგ შინ არა ვყოფილვარ.

— აქ არა ვართ, კაცო, გინდა სულაც არ გადმოხვიდე, ამდენანი როგორ ვერ მოეუვლით შენ ოთხ სულ საქონელს?! თითქმის ერთხმად მიადახეს ქიტუს იმ დროს, როცა იმან უკვე კარები გააჭრიალა.

ქიტუა გაემგზავრა დაღონებული და დამძარებული თავის სახლისაკენ. ის კი არ მიდიოდა, თითქმის მირბოდა, და ამ ბნელს ღამეში ხან რომელ წუმბეში შეაშლაპუნებდა და ხან რომელში. პირდაპირი სუსხიანი ქარი და წვრილი, ფეტვის მარცვლის მსგავსი, ცივი შემოდგომის დამლევის წვიმა კი პირში უშხაპუნებდა და თვალებს უფრო უბამდა ქიტუს.

იმისი სახლი ბოსელზედ კარგა მოშორებით იყო და ამისათვის ქიტუამ ცოტა დრო არ მოანდომა შინამდის მისვლას. ის, მთლად დასველებული და ჩაქანქახებული, მიადგა თავის სა-

ხლის კარებს, მაგრამ კარები შიგნიდან ურდულ-წაგდებული დახვდა, და სახლშიაც სინათლე არ მოჩანდა.

საჩქაროდ საურდულეში ხელი შეჰყო და კარები გააღო. სახლში შესვლისთანავე აჩქარებულისა და აკანკალებულის ხმით წამოიძახა: „კატო, გიგლა!“ და პასუხი რომ არსაიდან მოესმა, ცალის ხელით კერაში ნაცარს ქექვა დაუწყო, სადაც ოდნავ-ლა ბეუტაედა ნაღვერდალი, მეორეთი კი დედაბოძის ძირს უკაკუნებდა და რალსაც ეძებდა. იმან ჩქარა იპოვა, რასაც ეძებდა, და ცოტა ხნის შემდეგ კერის ქვას გოგირდის ასანთს უფხაკუნებდა, რომელმაც უეცრივ გაანათა და მერე კი ისევ შიიბეუტა, დაიწყო ფრიფინი და მყრალი სუნი აუშვა. ქიტუამ საჩქაროდ მოუკიდა კრაქს და აქეთ-იქით მიიხედა, მაგრამ იმან ვერაინ დაინახა: ვერც თავისა ცოლი—სოფო და ვერც ბავშვები.

— ხალხნო... აღმიანო!.. სად წახვედი?! ჰა!.. ნაწყვეტ-ნაწყვეტად წამოიძახა კანკალით ქიტუამ და რამოდენსამე ხანს ერთ ალაგას იღვა და ცრემლმორეულ თვალებს აქა-იქ აბრიალებდა. „ზუუუ!“ უეცრივ კარებიდან და ერდოდან შემოიზუზუნა ძლიერმა ზენაქარმა და სახლის ყველა კუთხეები საჩქაროდ შემოირბინა; კრაქი რომ მყუდრო ადგილს არა კიდებულაყო, უეჭველად გააქრობდა...

— ვაიმე, შვილებო!.. შეჭლიალა ქიტუამ და თავის უნებურად თვალებზედ ხელ-მიფარებულმა იქვე ადგილობრივ ჩაიკეცა.

ამ დროს კარებში შემოვიდა ოცისა თუ ოც და ორის წლის ქიტუას ცოლი—სოფო, რომელიც წითლადა და თეთრად ღვიოდა; იმისი მშვენიერი სახე კაცს ნებას არ აძლევდა ეფიქრნა, რომ „უდიერი“ იქნებოდა. ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს ანგელოზებრივი არსება ისე ცუდად მოექცეოდა თავის გერებს, როგორც ბოსელში სოლომ აღწერა. ამისათვისაც არა სჯეროდათ ხოლმე სოფელ ბ—ლებს, როდესაც სოფიოზე იტყოდა ვინმე—გერებს ცუდად ექცევაო. „რას ამბობ, ადამიანო, ხომ არ გაგიყებულხარ: ქიტუას ცოლითანა ანგელოზი

დედა-კაცი ჩვენ სოფელში ერთიც არ მოიპოვება. და აბა რა დასაჯერია ეგ ამბავი!“ ასე იტყოდნენ ხოლმე სოფ. ბ—ლი მამა-კაცები; დედა-კაცები კი პირზედ ხელს მიიტანდნენ ხოლმე და წამოიძახებდნენ: „სუ, სუ!.. მეორედ აღარა თქვა! ქალო, აბა რას მეუბნები, შენ გენაცვალოს ჩემი თავი...“ და სხ. ასე თუ ისე, სოფიომ თავისი შშენიერის სახით და გარედ კარგად თავის დაქვრით ყველას გული და გონება მიიზიდა თავის სოფელში, და იმაზედ რაიმე ცუდს ხმას ჭორს უძახოდნენ.

— აი თქვე ძაღლის... შემოსვლისთანავე წამოიძახა სოფიომ, მაგრამ ჩახვეულ ქიტუას თვალი შეასწრო და შემკრთაღმა სიტყვა შესწყვიტა.

— შენა ხარ, სოფიო? წამოხტა ქიტუა და იმისკენ გაეშურა.

— ჰო, მე ვარ, რა იყო, ხომ არა დაგემართა-რა? უბასუხა სოფიომ, შეკრთომიდან უკვე გამორკვეულმა, და თანაც საყვედურიანად უთხრა:

— ამ სიტყვეში ე კარი ღია რას დაგიგდია?

— სოფიო, შენი ქირიმე, ბაღლებიც აქ არიან?.. მოიყვანე?.. თითქმის მოეხვია ქიტუა და ისე ეხვეწებოდა.

— რა იყო, ხომ არა დაგემართა-რა? უბასუხა სოფიომ.

— მითხარი, თუ ღმერთი გწამს, სად არიან?

— ჯანაბას იმათი თავი და ტანი! აბა რა ვიცი, სად არიან! აი, მეც იმათ ძებნაში სულ ერთიანად დავსველდი! მკვახედ უთხრა სოფიომ და შორს მოეცალა.

— სტყუე! შეპყვირა ქიტუამ და მუშტები მაღლა აიღო, რომ სოფიოსთვის დაეკრა, მაგრამ სოფიო იჭით გასხლტა და მუშტები აიციდინა. ის მივიდა კუთხეში და იქვე მიყუდებული კეტის ორის ხელით ამართა.

— აბა ერთი ხელი მახლე, ღვთის წყალობა მაქვს, მე შენ სერიი გაჩვენო! შესძახა სოფიომ და თვალებს დაკვესება დაუწყა.

ერთის მხრით გაათვრებული ქიტუა და მეორეს მხრით კეტ-ამართული სოფიო რამოდენსამე ხანს ერთმანეთს შესცქე-

როდნენ, თითქოს ზომავდნენ, რომელი უფრო ძლიერია და გამარჯვება რომელს დარჩებაო...

— შენ, შენ გაპრეკდი სახლიდან და ახლა იძახი—ვე-
ძებლიო!.. მეტის სიასპიტის აგან წამოიხრინწიალა ქიტუამ და
ერთს წამს თავის ცოლს კეტი წაპვლიჯა ხელიდან.

რაკი სოფიო უკეტოდ დარჩა, თავის ფრჩხილებს მიჰპარ-
თა და კაწვრა დაუწყო ქიტუას იმ დროს, როდესაც იმან სო-
ფიო იქვე ჩაჭუჭკა და დათვივით ჯმუჯვნა დაუწყო.

— კიდევ გაპრეკ გარეთ, ჰა, ჰა?! დასჯიოდა ზემოდან
და თან მუჯღუგუნსა სცემდა.

— ამიშვი, ამიშვი, თორემ ინანებ! ხმა-წასული ეუბნებო-
და სოფიო.

— ჰეე!.. გულიანად ამოიძახა ქიტუამ და სოფიოს თავი
დაანება: ძლივ არ ამოვიყარე ამოდენა ხნის ჯავრი!..

როცა ქიტუა ლაპარაკობდა, სოფიო ისევ იმ ადგილს
იჯდა და მოხვეულ ზედას ჰგებდა. ქიტუას მხრივ ამნაირი
ქცევა პირველი იყო და ამის გამო სოფიო გონს ვერ მოსუ-
ლიყო, თუ იმის ქმარს რა დაჰმართნოდა.

— არა, შეოჯახ-დაქცეულო და შე იუღის კერძო, ამის-
თანა ამინდში ძაღლს არ გააგდებენ გარედა და შენ ი ბალ-
ლები როგორ გარეკე! ეხლა, ვინ იცის, სიცივით სად დაიყინ-
ვენ და სად არა?!

— მე არ გამირეკია, გეყურება თუ არა?! მკვახედ წამო-
იძახა სოფიომ.

— მაშ ვინ გარეკამდა, ჯო შენ არა?! ი გოდორ ქვეშ
ვილამ დაამწყვდია იმ დღესა და წინ ბოზალუყი ვილამ დაუდ-
გა?! არც ეგ გიქნია?

— ძალიან კარგი მიქნია, თუ გამირეკია და ბოზალუყი
მიქმევია! უფრო უარესს ვუზამ, თუ ი შენ ბალებს სახლი-
დან არ დაჰლუბავ! გაანჩხლებულმა შეუტია და დაჭრილი ვეფ-
ხევით ფეხზე წამოვარდა.

— უარესს უზამ-და, მეც უარესს გიზამ. ეგ ეხლა თაფ-
ლი იყო, მერე შაქარსა და შარბათს ერთად მოგართმევ! თავის
ქნევით და სიტყვების ტყეპნით უპასუხა ქიტუამ.

— უარესს მიზამ-და, შენა გგონია, მე კი ვერას გიზამ?!
 — ეხლაც გინდოდა, კეტიც აიღე, მაგრამ ვერ მოგართვი
 ბადრიჯანი, პუპლუცად დაგსვი.

— „ვერ მოგართვი ბადრიჯანი!“ გააჯავრა სოფიომ: ნეტავი თქმის შნო მაინცა გქონდეს, რომ ხეირიანადა სთქო. შენ აი შენი ძაღლის ლეკვები მოჰნახო, ის გირჩევენია, რომ ამალამ სიცივით არსად გაგვეფიხნენ.

— აიმე!... შენ ჯავრს ჩემს სიცოცხლეში ვერ ამოვიყრი! ამ სიტყვებთან ერთად ქიტუამ გულში დაირტყა მჯიღვი და კარებისკენ გასწია.

— მე კი ერთ დღეს ამოვიყრი შენს ჯავრს! უკანიდან. შიდახა ცოლმა.

— რაო, რაო?!— ქიტუა ისევ მიტრიალდა და დაცინვით ჩაეკითხა.

— რაო-და, რაც გაიგონე, ისა!

— მერე, როგორ ამოვიყრი?

— როგორც ამოვიყრი, ეგ მე ვიცი.

— მაშ დავინახამთ...

— დავინახამთ, მაშ არა?!

ამ სიტყვებით განშორდნენ ცოლი და ქმარი ერთმანეთს. ქმარი ბავშვების საქებნელად წავიდა, ცოლი კი შინ დარჩა. სოფიო ღრმად ჩაფიქრებული დიდხანს იდგა ერთ ადგილას. ბოლოს, გაიქნია თავი და წამოიძახა: „თუ ბოლო არ მოვუღე, არ იქნება! ან ის ბაღლები უნდა იყვენენ ამ სახლში და ან მე. ეხლა ისენი რომ აქ არ იდგნენ, ქიტუა შინ არ მოვიდოდა, და მეც თავისუფლად იმასთან“... ბოლო აღარ დაათვა, რად განაც გარედან ქმრის ხმაურობა შემოესმა, რომელიც აკანკალებულის ხმით გაჰკიოდა: „კატოლო... გიგლოლო!“

II

ქიტუას სახლიდან დასაკლევით, არაგვის პირზედ, გამართობული ერთი წნული, გვერდზე გადაწოლილი საბძელი

ეყუნცა, რომელსაც წინ, ცოტა მოშორებით, მშვენიერი ხშირი და დაბურული ტყე ჰქონდა შეფენილი მთაზე! ის, ოდესღაც გმირულად გამომტკერალი, ახლა თავჩაღუნული და შავად ჩაყვითლებული ჩასტკერის დედამიწას და აფრქვევს ცრემლს; ის, ამ რამდენიმე თვის წინად, შუილ-ქუხილით და ქვეა-გმინვით შეებმებოდა ხოლმე უფრო ძლიერს ქარს, უფრო შხაპუნა წვიმას; ახლა კი შემოდგომის გამუდმებულმა ცივმა და წვრილმა წვიმამ ბოლო მოუღო და სულ მიწასთან გაასწორა. ახლა ყოველი ქარის დაბერვაზედ უმსგავსს შრიალს მოჰყვება და თავის, უკვე ჩაყვითლებულს, სამკაულს ტალახში ურევს. უმსგავსს შრიალთან ერთად ტყიდან გამოისმობდა მომაკვდავი ადამიანის გულის გასაგმირავი კენესა, ამას ხანდახან ზედ ერთოდა რომელიმე დამპალის ხის გადაჩეხვა; მოსტყდებოდა თუ არა, წამოვიდოდა შრიალით და უეცრად ზაპანს მოიღებდა; თანაც იქვე გვერდით მდგომ ახალ-მოზარდ ხეებს ლაწა-ლუწს აუყენებდა ხოლმე. ამნაირი შრიალი, მომაკვდავის კენესა და ხეების ლაწა-ლუწი გულად კაცსაც შეაშინებდა ამ წვიმიან, შემოდგომის ბნელ ღამეში, და აბა რაღა სიკეთეს დააყრიდა გიგლას და კატოს, რომლებიც იმ წნულ საბძელს ქვენაქრივ ამოჰფარობიყვნენ და სიცივისა და შიშისაგან კანკალებდნენ.

— გოგო, აი ტყეში ვინა კენესის? აგერ ხეებსაც ლაწუნო აუყენა!— ჰკითხა გიგლამ თავის დას კატოს, როდესაც, ქარის ძლიერ დაბერვის შემდეგ, ტყიდან მართლა კენესა გამოისმა და ხის გადაქცევის შემდეგ წვრილმა ხეებმა ლაწა-ლუწი დაიწყეს

— უთუოდ მდევია, არა, გოგო? ჰკითხა კიდევ გიგლამ თავის დას, რადგანაც იმან პირველ კითხვაზედ ჰასუხი არ მისცა.

— მდევი კი არა, შენმა მზემ, კატა არ გინდა?!. შეუტია კატომ, რომ მდევზედ წარმოდგენა თავის ძმის გულიდან სრულებით ამოეფხრა, თუმცა კი თვითონ კატოსაც მდევი ეგონა.

— გინდა გარეული კატა იყოს, ის კი ვერ შეგვკამს?!.

— რას მიქარამ, ბიჭო, ხომ არა დაგეცა-რა?! შეუტია კიდევ კატომ.

ამის შემდეგ იგინი გაჩუმდნენ, საბძლის გვერდს აეკვრნენ და დიდ ხნობამდის ერთმანეთისთვის ხმა აღარ გაუციათ.

ორთავესი გონება დევებსა და ქაჯებს ჰქონდათ შეპყრობილი და იმათის კლანჭებიდან ვერ დაეხსნათ თავი. კატო თუმცა პირველად ამხნევებდა გიგლას, მაგრამ ამ სიჩუმის დროს ისე აიტანა შიშმა, რომ კინალამ არ შესტირა. როგორც იყო, თავი მიინც შეიმაგრა და გიგლასკენ მიცურდა და მიეკრო.

ქარი უფრო და უფრო მატულობდა და ხან ზემომხრიდან დაჰქროლოვდა ყმაწვილებს და ხან ქვემოთიდან, რის გამოც იმათმა კანშა სიცივის ეკალი აუშვა.

— გოგო, ძალაზე მცივა! უთხრა გიგლამ.

— აჰა, მამეკარი და გათბები! სთქვა კატომ და თვითონაც მიიწია ძმისაკენ. გიგლასაც უნდოდა მიეწივნა, მაგრამ ამ დროს კატომ შეაყენა:

— მოიცა, გიგლო! აბა ადექი!

— აჰა! სთქვა გიგლამ ბაბანიო და წამოდგა. კატოც ამას აპყვა.

— აი, მოიცა! სთქვა კატომ და თავის ფეხები გიგლას ფეხებში გადახლართა.

— აბა ახლა ნება-ნება დაეშვი ძირს.

ორივენი ნელ-ნელა დაეშვენ ძირს და იმნაირად დასხდნენ, რომ მარტო ყმაწვილები თუ მოახერხებენ ასე ჯდომას, თორემ დიდრონებისთვის ყოველად შეუძლებელია. ისენი იმნაირად ისხდნენ, თითქოს ორივენი ერთმანეთს მუხლებზედ ესხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ორივეს ქვედა ტანზედ კარგად დასთბათ და კმაყოფილნი იყვნენ ამ მოგონებით, მაგრამ ზედა ტანზედ ისევ სციოდათ, ნამეტნავად ხელებზედ.

— კატო, ხელები ძალაზე დამძრა! წამოიძახა გიგლამ რამოდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ და თან ორთავე ხელების თითები პირში ჩაიყო და აჩქარებით დაორთქვლა დაუწყა.

— აი, უბეში ჩამიყავ და გავითბება. უთხრა კატომ და მკერდი გადუღელა; მაგრამ, როდესაც გიგლას გაყინული და

გათოშილი ხელები შეეხა იმის მკერდს, ის მთელას ტანით გველივით დაიკლაკნა და უთხრა:

— არა, ბიჭო, შენს უბეში ჩაიწყე!

გიგლამ აასრულა ეს სიტყვა. კატომ კი ცხრა ადგილას გახვრეტილი ქრელი თავიჩიოთ მოიხსნა თავიდან და გაშალა.

— ახლა ორივემ ჩავითბუნოთ! ამ სიტყვებთან ერთად კატომ გიგლას თავზედ გადააფარა თავიჩიოთი და თვითონაც ქვეშ ამოეფარა ისე, რომ ორივეს პირისახე დაპირდაპირებული ჰქონდათ. კატომ ცოტა ხნის შემდეგ დააჭყიტა თვალები და გაგძელებით „ბუუუ“ დაიძახა. გიგლაც თავის უნებურად ასევე მოიქცა და ორთავემ ერთად „ბუუუს“ ძახილით თავები მიუახლოვეს ერთმანეთს. უეცრად ორივეს შუბლები ერთმანეთს დაეჯახნენ და ორივემ ხარხარი ასტეხეს.

ამათ რამდენჯერმე გაიმეორეს ესა და ყოველ შუბლების დაჯახებას გულიანი, ბავშვური კუჭკუჭი მოსდევდა.

— მოიცა, გოგო, ა ის ტურების ჩხავილი არ არის?!

— აბა სადა?! გაკვირვებით იკითხა კატომ და ყურები აცქვიტა.

მართლაც ამ დროს მოიხსნა ტურების ჩხავილის მაგივრად მგლების ყმუილი.

— აგერ, გოგო, ტურები კი არა ჩხავიან, მგლები ყმუიან. გიგლა კარგად იცნობდა ტურების ჩხავილსაც და მგლების ყმუილსაც, რადგანაც იმას არა ერთხელ გაუგონია იმათი ჩხავილ-ყმუილი. კატომ უეცრივ მოიძრო თავზედ მოსახვევი და წამოიძახა:

— ძაღლები ყმუიან!

— ძაღლებს აი ბუჩქნარებში რა უნდათ! სთქვა გიგლამ და ხელი არაგვისაკენ გაიშვირა, რომლის ნაპირზედაც ბუჩქნარებიანი ჭალა იყო.

კატომ ინსტიკტიურად მიიხედა იქით, საითაც გიგლამ ხელი გაიშვირა და უეცრივ ისე შეკრთა, რომ ხმა ძლივს ამოიღო. შიშისაგან თმა სულ მაღლა-მაღლა წაუფიდა.

— ა ის რაებია, რო ანათებენ? კანკალით წარმოსთქვა

კატომ და მერე განაგრძო: აგერ თითქოს დადიანო და სანთ-
ლები დააქვთო!

— აბა? იკითხა გიგლამ და ჩააკვირდა.

— ვაიმე! დაიყვირა იმან: მგოგება არიან!

— მგლები?! წამოიძახა კატომ და ენა ჩაუფარდა.

მართლაც, ქალის პირას დამშეული მგლები აქა-იქ დაე-
ცეცებოდნენ და თვალებს სანთლებივით ანათებდნენ; ცოტა
მოშორებიდან კი გაცხარებული ყმუილი მოისმოდა.

— წავიდეთ, გოგო, თორემ საცაა აქაც მოვლენ და შე-
გვკამენ!

გიგლა და კატო ერთად მარდად წამოხტნენ და გაქცევა
დააპირეს.

გიგლა მართალი იყო. ზაფხული რომ ყოფილიყო, იქნე-
ბა ყმაწვილების ჭყვილზედ მგლები გაქცეულიყვნენ, რადგა-
ნაც მგელს ადამიანისა ეშინიან. მაგრამ ამ ზამთრის პირს ისე-
ნი ბავშვების ჭყვილს ყურადღებას არ მიაქცევდნენ და ერთ
წამს გაჰგლეჯდნენ, რადგანაც შიშზე უარესი გრძნობა—შიმ-
შილია, რომელიც აწუხებს და აგულადებს მგელს ამ დროს.
ზაფხულობით საჭმელი ბევრი აქვს მგელს და ამის გამო ადა-
მიანს არ ეტანება და კიდევაც ეშინიან. ზამთრობით კი, რო-
დესაც საჭმელი მინდვრად აღარ არის, თუმცა ეშინიან ადამიან-
ისა, მაინც ძალა-უნებურად ეტანება, და იშვიათი მა-
გალით არ არის, რომ მგელს ზამთარში კაცი შეეკამოს.

ის იყო, გიგლას კიდევ უნდა მოეკურცხლა შინისკენ,
რომ ამ დროს კატომ ხელი წაავლო და შეაყენა:

— მოიცა, ბიჭო, სად გავიქცეთ?

— შინ! მოკლედ უპასუხა გიგლამ.

— მე არ წამოვალ! შენ წადი, თუ გინდა, მე კი აქ და-
ერჩები, დაე მგლებმა შემკამონ.

— წამო-მეთქი, გოგო! თითქმის ტირილით უთხრა და კა-
ტოს მკლავი გასწია.

— არ წამოვალ-მეთქი!

— რატომა?

— არა-და იმიტომა!

— მაშ მეც შენთან ვიქნები! გულ-ჩაწყვეტით უთხრა გიგლამ და ცრემლები გადმოჰყარა.

— გიგლა, შენ გენაცვალე!.. ნუ დარჩები... შენ წადი... ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროლა კატო სიტყვებს და თან თავის პატარა ძმას ჰკოცნიდა.

— თუ შენც წამოხვალ, მეც წავალ!

— არა, შენ წადი, მე აქ დაერჩები!

— ერთად წავიდეთ!

ასე რამდენიმე ხანი ურთმანეთს ეხვეწებოდნენ და-ძმანი. ბოლოს, კატო დასთანხმდა, რომ გიგლაც იმასთან დარჩენილიყო, მხოლოდ უშიშარი ადგილი კი უნდა მოეძებნათ.

— მაშ სად წავიდეთ?

— აი ე საბძელში შევიდეთ და შიგნიდან კარებს დიდი ქვა მოვადოთ. უთხრა კატომ.

თქმა და საქმის შედგომა ერთი იყო. ისინი მივიდნენ კარებთან, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდათ.

— ეხლა რაღა ექნათ! გოგო, წავიდეთ შინ, თორემ აი აქაც იქნებიან მგლები!— სთქვა გიგლამ და ხელი იქვე ჯაგიან გვერდისკენ მიიშვირა, რომელიც საბძლის აღმოსავლეთის მხრიდან იწყებოდა და ძირს არაგვის ქალას უერთდებოდა. თვითონ საბძელი ზედ ამ გვერდის თავზე იყო მოწნული.

— აი საბძლის სანათურიდან გადაეძვრეთ და მერე მგლები ვეღარას გვიხამენ.

გიგლას და კატოს ისე დაჰყინვოდათ ხელები, რომ წნულს ძლივს ავლებდნენ პატარა თითებს.

ძლივს, როგორც იყო აებლოტნენ სანათურამდე და აგრედვე შიგნით ძლივს ჩაიბლოტნენ.

როცა საბძელში შეძვრნენ და დაინახეს თავიანთ თავი დახურულ, კარებ-დაკეტილ კერ ქვეშ, მაშინ კი თავისუფლად ამოისუნთქეს. იმათ მაშინვე ბზე გამოღრუტნეს, გააკეთეს კარგა განიერი ორმო და გოჭებივით გადახვეულნი შიგ ჩაწვნენ.

P-6301

ზედაც კარგა სკლად წაიყარეს ბზე; მარტო თავები ჰქონდათ ზევით ამოყოფილი.

რაკი ცოტათი დასთბათ, ისინი მომხიარულდნენ და რამოდენსამე ხანს კიდევ ილულუნეს და იკუქკუქეს. ბოლოს, დაღალულებს და მოქანცულებს ძილი შეეპარათ და ისე გადახვეულებმა ტკბილი ხვრინვა ამოუშვეს.

— ვაიმე, ვაიმე, დედავ, უუუ!.. კარგა ხნის ტკბილი ძილის შემდეგ გიგლამ სიზმარში მორთო ღრიალი და ხელებს ბზეზედ აწყვეტავდა.

ამ ხელების წყვეტებაში და ვაი-ვაგლახში მძინარე კატოს რამდენჯერმე წაუთაქა თავში, რომელიც ამ უეცარ თავში დაშენაზედ დაფეთიანებული წამოჯდა და გამოურკვეველად იტკირებოდა და იმზირებოდა; რადგანაც ამ ღროს გიგლა დაწყნარდა, ამისთვის იმას ვერ გამოერკვია, თუ რამ დაუშინა თავში და ან ვისი ხმა მოესმა. კატო ასე რამოდენსამე ხანს იჯდა და თან-და-თან შიში იტანდა. გიგლას რომ ცოტა ხანს კიდევ მოეცაღნა და ბოდვა არ დაეწყო, უეცრივ ისიც შეჰყვირებდა და გიჟივით გიგლას დააფრინდებოდა, მაგრამ ამ ღროს გიგლამ ბოდვა დაიწყო და იმანაც დამშვიდებით წარმოსთქვა: „გიგლა ყოფილაო“!

— გიგლა, გიგლა, რა მოგივიდა? წყნარად დაუწყო რვიძება.

— გიგლა, ბიჭო! უფრო მაღალი ხმით დაუძახა კატომ და ნძრევა დაუწყო.

— ჰა, რა გინდა?

— რა გატირებს, გენაცვა?

— კატო სადღაც წაიყვანეს, უ...უ...უ!.. მოიბუზა გიგლა და ტირილს მოუმატა. თვალებიდან ღაპა-ღუპით გადმოსდიოდა ცრემლი და იმის გაბზიანებულ ბუნჩულა ლოყებს ჰსერავდა.

— რამ გაგაგიჟა, ბიჭო, მე აქ არა ვარ? ვინ უნდა წამიყვანოს! კატო თან ლოყებს სწმენდდა და თან ჰკოცნიდა და ეუბნებოდა.

— კატო, კატოოო!.. ტიროდა ისევ.

— აი კატო, აქ არა ვარ, აბა შემომხედე?!

გივლამ იცნო თავისი და და მერე სიხარულით გადაეხვია და კოცნა დაუწყა.

— აქავე ხარ, გოგო? მე მეგონა, კიდევ მოგკლეს-მეთქი! თვალ-სრემლიანი შეპლრექადა გივლა.

— აი რა სულელი რამა ხარ! უთხრა კატომ და თავში ოდნავ ჩაუფაჩუნა:— მერე ვის უნდა წავეყვანე?

— აბა რა ვიცი, გოგო! ვითომ მე და შენ ერთ ალაგს ვიყავით. გარს იმოდენა ხალხი გვეხვია, იმოდენა, იმოდენა, რომ ასზე მეტი იქნებოდა. ჰაი და-და-და... ღმერთო!.. რა ნიარები იყვნენ?! სულ კბილებ-დაღრეჭილები და თვლებ-დაქყეტილები იყვნენ. მერე, გოგო, ხელებშია ცეცხლები ენთოთ. თითქოს ცხვირის ნესტოებიდანაც ცეცხლები სცვივოდათ...

— უი და-და-და! წამოიძახა კატომ და შიშისაგან ტანში გააჭრჭოლა: ეგენი ეშმაკები ყოფილან და არა კაცები.

— აბა რა ვიცი — ეშმაკები იყვნენ, თუ ქაჯები!

— მერე, ბიჭო, რასა შერებოდნენ? დაეკათხა ცნობის მოყვარეობით გატაცებული კატო, თუმცა კი არ უნდოდა, რომ გივლას გაეგრძელებინა, რადგანაც ისა ჰგრძნობდა, რომ რაღაც საშიშარი ამბავი უნდა ყოფილიყო.

— რასა შერებოდნენ - და... და... ყირამალა დგებოდნენ. ცეცხლებს ისროდნენ... თან კი, გოგო, ჩვენ გვეტანებოდნენ...

— უი!.. წამოიკივლა თავისდა უნებურად კატომ ოდნავ და ხელები გაასავსავა. *(გაიხედა - მიიხედა უფრო-ც დაძმობილად)*

— მერე შენ წავავლეს ხელი. შენ ძალაზე დაიწვილე. მეც ხელი წავავლე და არ გიშვებდი. ისინი კი გეწეოდნენ, უნდოდათ წაეყვანეთ. მე რო არ გიშვებდი, გოგო, ერთმა ისეთი სილა გამარტყა, რო მაშინვე ხელი გაგიშვი და ტირილი დაიწყო. მერე კიდევ გამომეღვიძა.

— უი და-და-და!.. რაზე მართლა წამიყვანდნენ! კანკალით წამოიძახა კატომ.

— მე იქ არ ვიყავი?! დაბლვერით სთქვა გივლამ: ვის დაგანებებდი?!

— უი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავში! გულიანად გადიკას-კასა კატომ და ორივე ხელებით ქოქოლა მიაყარა.

— მაშ რაღა გაღრიალეზდა, თუ კი არაღის დამანებებდი, რად წააყუინე ჩემი თავი? დაცინვით ჰკითხა კატომ.

გიგლა დაიბნა ამ კითხვით და ერთბაშად ველარა მოახერხა-რა სავასუხოდ. ცოტა არ იყოს, კიდევაც შერცხვა. მაგრამ ჩქარა მოახერხა პასუხი და ისევე მედიდური სახის გამომეტყველება მიიღო:

— ეს ხომ სიზმარში იყო. აბა ცხადლივ ყოფილიყო, როგორ სეირს ვაჩვენებდი მე იმათ!..

— შენმა მზემ!..

— ჩემმა მზემა-და...

— მოიცა, გიგლა, ის რა უსტვენს? გააწყვეტინა კატომ უეცრივ სიცილი გიგლას, რომელსაც ამ დროს არაგვიდან სტვენა შემოესმა.

— ეხლა რო დაუსტვინა?

— ჰო!

— შალამურა *) იქნება.

— სალამურა კი არა, მალამურა არ გინდა?! აი, აი კი-დევი, გაიგე?

— ჰო, გავიგე.

— ვინ უსტვენს?

— შალამურაა-მეთქი! გაჯავრებით უთხრა გიგლამ.

— გინახავს, გიგლო, სალამურა?

— მინახავს, მაშ!

— სადა?

— არაგვიში. როცა ბიჭები ვბანაობთ ხოლმე, მაშინ ბევრს ვიჭერთ.

— მეც მიბანავნია, მაგრამ სალამურა კი არ მინახავს.

— შენ რო არ მოძებნო, ვისი ბრალია.

ამის შემდეგ ორივენი გაჩუმდნენ...

*) სალამურა—თევზია.

— მაშ არ გეშინიან? უეცრივა ჰკითხა კატომ.

— არა! თავ-მომწონედ უბასუხა გიგლამ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ისინი ასე გაჩუმებულები დიდ-ხანს იყვნენ და ბზეს ჩასცქეროდნენ თავ-თავიანთს ფიქრებში გართულები. გიგლას იმ დროს ისევ ისეთი სახის გამომეტყველება ჰქონდა, როგორც მაშინ, როდესაც კატოს კითხვებს აძლევდა. კატო კი სახეს იკმუხვნიდა. ეტყოზოდა, რაღაც უნდა მოეგონა როგორმე. ბოლოს, გაელიმა, მაშინვე დააცქერდა საბძლის კარებს, თვალეზ-დაქყეტილმა უეცრივ შესწივოა და გიგლას მოეხვია:

— ვაიმე, გიგლო, მიშველე!... აგერ ვინ მოებლოტება!...

მართლა ამ დროს ქარმა დაჰბერა და კარებზედ რაღამაც გაიქაბუნა.

— ვაიმეეუ!... შეჰღრიალა გიგლამ და უკან გადავარდა.

— გულადო, გულადო, რა გაღრიალებს? აკი არ გეშინოდა?! კასკასით უთხრა კატომ.

— მე მოგატყუე და შენ კი მართლა გეგონა! განაგრძო ისევ კატომ სიცილით.

— დაიკარგე! დარცხვენიო წამოიძახა გიგლამ და ისევ კატოსკენ გადმოგორდა.

— ოჰ, გულადს გაუმარჯოს! სიცილით უთხრა კატომ: ეგ არის შენი კვენხა?! როგორ დაქრილი დათვივით შეჰღრიალე!...

— დაიკარგე-მეთქი! გაბუტვიო უთხრა გიგლამ: მინდა დავიძინო...

— მაშ დავიძინოთ!

ისინი ისევ ერთმანეთს გადაეხვივნენ და მიწვნენ. თუმცა ორთავემ ძილის სურვილი გამოაცხადეს, მაგრამ არცერთს არ ეძინებოდა. გიგლა თავის დამარცხებაზე ფიქრობდა და ლანძღავდა თავის თავს, რომ ასე მალე სიმტყუენე გამოაჩნდა. კატო კი მალ-მალ იღიმებოდა, რადგანაც იმას სულ თვალ წინ ედგა, თუ დაოთხებული გიგლა როგორ მობრუნდა ღრიალით საბძლის ბოლოსკენ. ასე იყვნენ და-ძმა თავიანთ ფიქრებში გართულნი, როცა სოფლის მხრიდან ყრუდ

შემოესმათ თავიანთი სახელები: „გიგლო, კატო!“ ორივენი ერთად ხმის ამოუღებლივ წამოსხდნენ და სულ სმენად გარდაიქცნენ, მაგრამ ძახილი აღარ ესმოდათ.

— ვინ დაიძახა? თითქმის ერთად იკითხეს ორთავემ.

— უთუოდ ეშმაკი იქნებოდა! დამტკიცებით წარმოსთქვა კატომ. იმ დღეს ბერუანთ სალომესთვისაც დაეძახნა სახელი. დედაკაცები ლაპარაკობდნენ: თურმე ხუთჯერ-ექვსჯერ დაუძახნია.

— მერე რა ექნა?

— პირჯვარი რომ არ გადაეწერნაო, გაიტყუებდა სადმეო... როცა პირჯვარი გადაეწერნა, მერე აღარა გაეგონა-რა!

— ღმერთო, შენ მიშველე! გულიანად წარმოსთქვა გიგლამ და, თითქოს ფანდურზედ აფხაკუნებსო, ისე გადიწერა სამჯერ-ოთხერ პირჯვარი.

კატომ კი კობტად გამოისახა პირჯვარი და, რაც წმინდანები იცოდა, ყველა ახსენა.

ამ დროს უფრო გარკვევით შემოესმათ ძახილი: „კატო, გიგლოოო“!

— მამა იძახის!... წამოიძახა გიგლამ და პირი დააღო, რომ დაეყვირნა და ხმა მიეცა; იმან კიდევაც მისცა ხმა, მაგრამ ამ დროს კატომ პირზედ ხელი მიათარა და ხმა გააწყვეტინა.

— რა გაყვირებს, შე პირ-გასაშავებელო, მამა კი არა, პაპა არ გინდა!

— მამაა, ღმერთმანი!

— სუ-მეთქი! შე სულელო, არ იცი, რომ ეშმაკები მამის ან დედის სახეს და ხმას მიიღებენ ხოლმე! მაშინ უფრო გაიტყუებენ.

— მართლა?! შიშით და განცვიფრებით წამოიძახა გიგლამ.

— მართლა, მაშ!

— მაშ რაღა გვეშველება? სასო-წარკვეთილებით დაიძახა გიგლამ და ერთი ისეთი ამოიკენესა, რომ კაცს ეგონებოდა, გული თან ამოაყოლაო.

— რა გვეშველება-და, პირჯვარი ვიწეროთ! სთქვა თუ არა, მიიმედ დაიწყო კატომ პირჯვრის წერა და წმინდა გიორგის და სხვა წმინდანების ხსენება. გიგლამ კი თავისი ფანდურით გაახურა; ერთხელ კი მიიღო შუბლზედ ხელი და მერე სულ გულზედ იფხაკუნა და „ღმერთო, ღმერთო!“ იძახა.

— „ახლა სადღა ჯანაბას და ღოზანას წავიდე და თავში ქვა ვიცე!“ თითქმის მტირალ და იმედ-გადაწყვეტილ კაცისგან წარმოთქმული ეს სიტყვები შემოესმათ ამ დროს ყმაწვილებს. ამასთან ერთად ვიღაც მოაწყდა საბძლის გვერდს და უეცრივ მისწყდა ხმა. მოისმოდა მარტო ისევ ის ტყის შრიალი, ხის ლაწა-ლოწი და ადამიანური კენესა; აქა-იქ ადგილებიდან ტურებისა და მგლების ჩხავილ-ყმუილი ისმოდა; ქარის ზუზუნითან-და-თან უფრო მატულობდა, თითქოს თავის ძალა და ღონე სულ ამ საბძლისკენ მოუქცევიაო, რომ როგორმე ძირს დასცეს და ბავშვებს ეს უკანასკნელი თავ-შესაფარიც მოუსპოსო.

ყმაწვილებს საბძლის გვერდის გაჯახუნებაზედ და კაცის ხმაზე ენა მუცელში ჩაუვარდათ და ძლიეს-ლა სუნთქავდნენ:

არც ის იყო უკეთეს მდგომარეობაში, ვინც საბძელს მოაწყდა. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ქიტუა იყო, რომელიც თავის ქალ-ვაჟს დაეძებდა. ის რაკი თავის სახლს გამოსცილდა ერთი-ორჯელ დაიძახა თავის ქალ-ვაჟის სახელები იმ იმედით, რომ, თუ აქ იქნებიან, პასუხს მომცემნო. მაგრამ პასუხი არაფერს მისცა. ამის შემდეგ ის მოედო მთელ სოფელს და ერთი კომლი არ გამოუშვია, რომ არ ეკითხნა: „ჩემი ბაღლები თქვენსა ხო არ არიანო, ან ხო არ გინახავთო?“

რასაკვირველია, ყველგან უარი უთხრეს, ბევრგან— „ხომ არ გაგივებულხარ, კაცო, ამ შუალამისას შენ ბაღლებს აქ რა უნდათო!“

როცა სულ უკანასკნელ ოჯახსა ჰკითხა და იქაც უარი უთხრეს, ქიტუა კინალამ გადიქცა. ელდა-ნაკრავით დიდხანს იდგა ერთს ადგილას და თავბრუ ეხსმოდა. ცდილობდა მოეგონა რამ, რამე ღონე ელონა, პაგრამ იმის თავში აზრი აზრს

არ ებმოდა; ის ჰგრძნობდა თავის სიცარიელეს, რომელიც თან და თან უფრო უმძიმდებოდა და ტყვიასავეთ უხდებოდა...

მართლაც, რა უნდა ექნა? სად უნდა წასულიყო ამ ბნელ ღამეში? რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოტრიალდა და ალაღბელზედ გაემგზავრა. სად? ეგ თვითონაც არ იცოდა. მიდიოდა კი და სად დადგებოდა—ამას ვერ გეტყვოდათ. ერთი-ორჯელ კიდევ დაუძახა თავის შვილებს, და ეს დაძახება ხომ კატომ ეშმაკის ძახილად მიიღო, მერე კი, ვიდრემდის საბძელს არ მიაწყდა, ხმა არ ამოუღია. საბძელთან კი ისე უცნაურის ხმით დაიძახა: „ახლა სადღა ჯანაბასა და.....“, რომ ყმაწვილებმა სულ ვერ იცნეს თავის მამის ხმა და ამის გამო ძალიანაც შეშინდნენ.

— „ვაააიიი!...“ წამოიღრიალა შესაზარის ხმით ქიტუამ და ორივე ხელებით დაეჯაჯგურა საბძლის გვერდს და რამდენსამე წნელს ქახა-ჭუხი მოადენინა.

ყმაწვილები ამ ქახუნზედ და ღრიალზედ გაშრნენ, გაყვითლდნენ და დამუნჯდნენ. უნდათ შეჰყვირონ, მაგრამ ხმა აღარ მოსდევთ; უნდათ ადგნენ და უკანა ზენაქრივ კუნჭულში მიიმაღნენ, ბზეში ჩაიფლნენ, მაგრამ მუხლი აღარ ემორჩილებათ. თითქმის ყრველი სხეულის ნაწილი დაუდამბლავდათ.

— „უუუ!“ გააგძელა იქვე ახლოს ქალაში ერთმა მგელმა; ამას სხვა-და-სხვა ადგილებიდან ბანი მისცეს, და შეუდგათ ერთი ალიაქოთი.

მგლის ყმუილმა ხომ ქიტუას ბოლო მოუღო. იმას ეგონა, ეს ერთი მგელი სხვა მგლებსაც იწვევს, რომ იმის შვილები ეახშმად მიერთვანო....

— შვილებო!... შვილებო!... კატო, გიგლო!... ერთი კიდევ გნახოთ მაინცა და მერე... დაიყვირა ქიტუამ და ქალისკენ, საიდგანაც მგლების ყმუილი გაიგონა, დაქანებას აპირებდა. მაგრამ ამ დროს ყმაწვილების ძახილი მოესმა: „მამი, მამი“!...

— ჰა!... სადა... ვინ... გონება-დაბნეული იძახდა ქიტუა, როდესაც ყმაწვილების ხმა მოესმა.

— მამი, მამი!... აქა ვართ!... საბძლიდან გამოჰყვირეს ყმაწვილებმა და მაშინვე საყვავესკენ გაექანნენ და აებლოტნენ.

ქიტუაც იქით გაიქცა და, რაწამს გიგლამ თავი გარედ გამოჰყო, მაშინვე ხელები მიაშველა და გივივით გულში ჩაიკრა. კატოსაც აგრევე უყო.

ქიტუმ, რაკი კოცნითა და აღერსით ეინი მოიკლა, აქეთ-იქით მოიყენა თავის შვილები და დამშვიდებული ბოსლისაკენ გაემგზავრა, სადაც მათ გარდა ოთხი ძვირფასი არსება კიდევ ეგულებოდა.

III

როდესაც გარედან ქმრის ხმა შემოესმა, სოფიომ მიხურა კარები და ცოტა ხნის შემდეგ ლოგინიც გაშალა, თბილ საბანში გაეხვია და ჩაწვა. უნდოდა დაეძინა, მაგრამ ფიქრებმა ისე გაიტაცეს, რომ ძილი თვალზედ აღარ ეკარებოდა და ისე კარგა ხნობამდინ გორაობდა ლოგინში.

მართალია, სოფიომ გადაწყვეტით წამოიძახა: „ან ეს ბალები და ან კიდევ მე ამ სახლშიო“, მაგრამ რაც დრო გადიოდა და ქიტუა ბავშვების შესახებ არავითარ ამბით არ ბრუნდებოდა სახლში, იგი თან-და-თან სცვლიდა თავის გარდაწყვეტილებას. ბოლოს, იქნობამდის მივიდა, რომ თითქმის წინააღმდეგ აზრს დაადგა. „ღმერთო; — მალი-მალ წამოიძახებდა ხოლმე სოფიო — ამაღამ კი ნურაფერი მოუვა ი ბალებსა და შემდეგ კი პირს გავიხმობ და ხმას აღარ გავცემ!“ „შენი ამანათები იყვნენ ამაღამ ისენი და შენ დაიფარე!“ — დაუმატებდა ხოლმე ცოტა ხნის შემდეგ.

წამი წამს მისდევდა, საათი — საათს, მაგრამ ქიტუა შინ არა ბრუნდებოდა და სოფიოს იმის ლოდინში სული მისდიოდა. დერეფანში ყოველ რისამე გაფაჩუნებაზედ ის თავისდა უნებურად წამოჯდებოდა ხოლმე ლოგინში და სულ სმენად გარდიქცოდა, იმ იმედით, რომ აი საცაა კარები გაჭრიალდება და ქიტუა ბავშვებით შემოვაო. მაგრამ ეს იმედი არ უმართლდე-

ბოდა და სასო-წარკვეთილი და მოწყვეტილი მიეშვებოდა ხოლმე ბალიშზედ. „ე რა ღმერთი გამიწყრა და იმას გაუფგონე?! რაზე ჩაედექი ი ბალებისა და კაცის ცოდოში?!“ წამოიძახა სოფიომ, როდესაც ქიტუას დაბრუნების იმედი გაიწყვიტა. „ოო, შე, შე სულელო ჩემო თავო“, — განაგრძო სოფიომ და თან რამდენჯერმე წაიკრა თავში: „რად უფგონებდი იმას და ბალებს ისე ცუდად რად ექცეოდი?.. არ იცოდი, რომ ცხვირ სადმე წაგაყოფინებდა?!. ეხლა იმათ რო მოუვიდეთ რამე, ხომ სოფელში თავი ვეღარ უნდა გამოგყო, ხომ ქვეყანამ უნდა ჩამქოლოს და თითო საჩვენებელი გამხდოს!.. არა, თუ იმათ მოუვიდათ რამე ამაღამ, მეც აედგები და წყალში გადავეარდები!.. მე ხალხს ვეღარ ვეჩვენები!.. ჩემი ცოდვით დაიწვი და დაიდაგე, რომ ამ დღემდის მიმიყვანე!..“ წამოიძახა უკანასკნელად სოფიომ, თვალები ცრემლით აევსო და ბალიშში ჩაყო თავი.

ასე იწვა სოფიო, და იმის გონებას მთელი წარსული მისი ცხოვრება რიგ-რიგად დაეხატა. ბევრი კარგი და ავი მოაგონდა სოფიოს, და, ამ მოგონებაში გართულს, ძილი შეეპარა.

მან მძიმედ დაიწყო სუნთქვა და ხანდისხან ღიმიც გაუბნენდა ხოლმე ტუჩებზედ. მაგრამ ამნაირ მდგომარეობას დიდ ხანს არ გაუტანია. იმან ჩქარა დაიწყო ბოდვა და მწუხარებით ბორბვა.

ბოლოს, უეცრივ შეჰკვივლა: „მიშველეთ, მოჰკლაო“! და გიჟივით ლოგინიდან პერანგა წამოვარდა. იმისი გული ამ დროს საშინლად აჩქარებით სცემდა და გაჰქონდა ძაგა-ძუგი, თითქოს იბრძვის, რომ ბუდიდან გადმოვარდესო. სოფიო გონს ვერ მოსულიყო — ცხადლივ იყო, თუ სიზმარში. ძალას ატანდა თავის თავს, მაგრამ აზრები არ უღაგდებოდა და არ ემორჩილებოდა. ასე გაშტერებული იდგა კარგა ხანს და ერთ ადგილიდან არ იძროდა. ბოლოს, სიცივისა და შიშისგან კანკალმა აიტანა, და ამ გარემოებამ გონს მოიყვანა. „ღმერთო, ე რა საშინელება რამ ენახე?!“ წამოიძახა იმან და პირჯვარი გადიწეოდა. იმას უნდოდა კიდევ ეთქვა რამ, მაგრამ ამ დროს კარები

გაპრიალდა და ქარმა შუილით შემოითამაშა სახლში. კარები, როგორც ჩქარა გაიღო, ისევ ისე ჩქარა მიიხურა...

— ქიტო, შენა? წამოიძახა სოფიომ და საჩქაროდ დაუმატა: ბავშვები?

— ქიტუს სადა ჰხედავ? უბასუხა ვილამაც და გაწუწული ნაბადი დედა-ბოდის ძირში მიაყუდა.

— ნათლი, შენა ხარ? წამოიძახა სოფიომ და იმისკენ გაეშურა, მაგრამ უეცრივ შედგა და ნათლიას გამოწვდენილი ხელები მოიშორა.

— შენი ქირიმე, ნათლი, წადი, წადი ჩქარა და ნულარსად მოხვალ ჩემთან, ნუ, ნუ, ნუ!

— ნუ გეშინიან, ქიტუა ეხლა აქ არ მოვა!

— რა იცი... რატომ... ხომ არა მოუვიდა-რა?!. ზედი-ზედ მიაყარა სიტყვები სოფიომ.

— აი, შე კუდიანო, გაგეხარდება კია, რო მოუვიდეს რამე! სიცილით უთხრა ნათლიამ და უეცრივ გულზედ მიიკრა.

— გამიშვი, გამიშვი! ნულარ მომეკარები! შეჰყვირა სოფიომ და თან ხელი ჰკრა ნათლიას.

— წადი, წადი, არ მომეკარო! განაგრძო ისევ იმან აკანკალეხულის ხმით და ლოგინში გაეხვია.

— რა მოგივიდა, ხომ არ გაგიჟდი? დაეკითხა გაოცებული ნათლია.

— შენ გენაცვალე, წადი!.. ეხლავე წადი, თორემ ცუდი საქმე დაგვემართება!..

— რა ცუდი საქმე უნდა დაგვემართოს? გეშინიან, რომ ქიტუამ არ მოგვასწროს?! ლაპარაკის დროს ნათლია მივიდა და გვერდით მოუჯდა სოფიოს, რომელმაც იმის მიახლოვებზედ ხელები წინ გამოიწვდინა და მთლად აკანკალეხულის ხმით ხვეწნა დაუწყო:

— ნათლი, ნუ სდგები ჩემ ცოდოში და ამაზე მეტად თავს ნულარ მომჭრი! გვეყოფა, გვეყოფა ამოდენა ღვთის გმობა! ღმერთი არ შეგვარჩენს ნათელ-მირნობის დარღვევას. აი, ეხლაც ისეთი საშინელი სიზმარი ვნახე, რომ... არა, ნათლი, წა-

დი, წადი, შენი ჭირიმე! საცაა, ეხლა ქიტუა მოვა და... ოჰ, ღმერთო, კეთილად ამიხდინე სიზმარი!..

— ქალო...

— წადი, თორემ ორივეს დაგეზოცამს!.. სიზმარში ხან-ჯლით დაგედევდა!..

— ეჰ, რა სულელი რამა ყოფილხარ!.. ღიმილით უთხრა ნათლიამ და გულზედ მიიზიდა მთრთოლვარე სოფიო.

— აჰა, აჰა და ჩქარა წადი, ნულარ იგვიანებ, თორემ საცაა მოვა!.. ოჰ, ღმერთო, რა უბედური რამა ვარ!.. სოფიო მოწყვეტილი და მოქანცული მიესვენა ნათლიას გულს და ქვითინი მორთო.

— ქალო, რა გატირებს, ნუ გეშინიან...

— შენი გულისთვის ღმერთიც დავივიწყე და კაციც. აი ეხლაც შენი გულისთვის ბაღლები გავრეკე და, ვინ იცის, ცამ უყუო პირი, თუ დედა-მიწამ! თუ ქიტუამ ვერ იპოვა, ხომ, ის არის, მომკლამს. ნეტავი მომკლას-და...

— ნუ გეშინიან...

— ნეტავი მომკლას, ის მირჩენიან. ი ბაღლებს რა მოუვიდეთ რამ, ხომ გარედ ველარ გამოვალ, ხომ წყალში უნდა გადავვარდე, თუ ქიტუამ არ მომკლა.

— ქალო, დამაცალე, გითხრა...

— არა, არა, წადი, წადი!.. ღმერთო, ამისთანა ღამეში როგორ გავრეკე შე უბედურმა! აი ეხლა ხორცი სულ მადნება, როცა ისინი მაგონდებიან.

— ქალო, ბავშვებს არა უშავთ-რა, რად.....

— როგორ თუ არა უშავთ-რა!.. აბა შენ დარჩი ამალამ ცის ქვეშ და მაშინ ნახამ, თუ არა უშავთ-რა?!

— თუ არ მათქმევენებ, აბა რა ვქნა?.. ბავშვები ბოსელში არიან.

— როგორ?!. შენ რა იცი? სადა ნახე? ზედი-ზედ წამოიძახა სოფიომ სიტყვები და ნათლიას გულიდან მოშორდა.

— იქიდან ვიცი, რო ქიტუას მიუღიოდა ეხლა იქით.

— მართლა?! არ მატყუებ? სიხარულით დაეკითხა ის და თან ხელებს ხან მხრებზედ ავლებდა ნათლიას და ხან გულზედ.

— არ მატყუებ? მართალს მეუბნები?

— შენმა მზემ, მართალს გეუბნები.

— მაშ უპოვია?

— უპოვია.

— მერე, სადა ნახე?

— ჩემთან თვითონ მოვიდა და მითხრა. წელან თურმე მთელი სოფელი დაიარა და ყველგან კითხულობდა: „ჩემი ბა-
ლღები ხომ მანდ არ არიანო“?

— მერე?

— მერე, ჩემთანაც მოვიდა და მიამბო: „შენი ნათლულე
ბი იმ ბ—ს ოხერს გამოურეკიაო და აქ ხომ არ მოსულანო“. მე უარი ვუთხარი და თანაც დაეუმატე: „თუ იპოვო, შემატყო-
ნე-მეთქი“. და აი ეხლახან ბაღლებით მოვიდა ჩემთან და მერე
ბოსელში წაასხა— „ჩემთან ბოსელში დავაძინებო“, ის რო ბო-
სლისკენ წავიდა, მე შენკენ გამოვემგზავრე...

— უჰ!.. ერთი ისეთი ამოიქშინა სოფიომ, თითქოს გული-
დან მძიმე ლოდი მოაშორესო.

— უჰ, ღმერთმა გიშველოს, რომ შემატყობინე, თორემ
გავეგიჟდებოდი!

— აი ყოველთვის რო ესე თავისუფლები ვიყენებო ხოლმე,
მაშინ იქნება კარგი.

— მგონი, ჩემო ნათლი, ჩვენ თავისუფლები აღარც რო-
დის ვიქნებით. მე ბაღლებს ღღეის შემდეგ ხმას აღარ გავცემ.

— მაშ ეგ არის, გადასწყვიტე?

— დიახ, და ჩვენც ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. ღღეის
შემდეგ ისე მიგულვებდე, როგორც წინად—როგორც ნათლი-
ღდას.

— ისა სჯობდა, გეთქვა—ამ წუთსავე უნდა გავშორდე
თო. ამ სიტყვების შემდეგ ნათლია წამოდგა და ნაბაღს წამო-
აელო ხელი.

— სად მიხვალ?! განცვიფრებით ჰკითხა სოყიომ.

— შინ, მოკლედ უბასუხა ნათლიამ.

— ამაღამ რისა გეშინიან. ხომ შენვე სთქვი—ქიტუა ბოსელში წავიდაო. ის ეხლა აქ აღარ მოვა.

— ეგ მეც კარგად ვიცი, რომ ის ამაღამ აქ აღარ მოვა და, გინდა ეს ასე არ იყოს, მე თავიღლენი არავისი მშინებია და არც ეხლა შევეუშინდები ვისმე.

— მაშ რად მიხვალ შინ?

— იმად მივალ, რომ შენ მითხოვ.

— გითხოვ, მაგრამ ამაღამ კი დარჩი, ნუ წახვალ. ხვალ, ზეგ და მერე კი ნულარ.

— თუ მერე არა, არც ამაღამ დავრჩები, მშვიდობით! ნათლიამ მოიგდო ნაბადი და კარებისკენ გასწია.

— ნათლი, ამაღამ დარჩი, ნურსად მიხვალ! არ გეყურება, ჰა?! წამოვარდა ლოგინიდან და უკანიდან დაიჭირა.

— კარგი, გამიშვი!

— არა, ამაღამ იყავ, ჩემო ნათლი, ჩემო ნიკო! ნურსად ნუ მიხვალ. სოფიო ჩამოეკიდა კისერზე და კოცნა დაუწყა.

იმანაც მოჰხვია მკლავები და ლოგინთან მიიტანა.

— განა ეგ არის შენი სიყვარული, რომ მაგრე თავს მანებებ, გინდა სამუდამოდ თავი დამანებო? ღმერთო, რა უბედური რამა ვარ! სოფიოს ამოუჯდა გული და ფშრუქუნნი დაიწყო.

— შენის გულისთვის ქვეყანა მოვიძულე და შენ კი გარბიხარ?

— შენ თითონ მითხოვ და მაშ რა ვქნა, თუ არ წავიდე, აი ეხლა კი დავრჩები, რადგანაც არ მითხოვ.

— მაშ აღარ წახვალ?

— აღარ წავალ, მხოლოდ იმ პირობით კი, სხვა დროსაც...

— ოჰ, ნათლი, რა ეშმაკი რამა ხარ! უთხრა სოფიომ საყვედურით და თავისი ჩაკვრივებული მკლავები გველივით შემოავლო ნათლიას კისერს და თავისკენ მიიზიდა, რის პასუხადაც ნათლია დაეწაფა იმის გაღვივებულს მკერდს და, თითქოს ზედ დააკვდაო, დიდხნობამდინ თავი მალლა აღარ აუღია...

IV

ურიგო არ იქნება, მკითხველებს ცოტათი მაინც ვაცნობო-
ბო ჩიტუას ნათლიას ვინაობა. ნათლია ნიკო გახლდათ სოფ-
ლის მწერალი, შთამომავლობით მღვდლის შვილი და აზნაუ-
რი. იმისმა მამამ, როგორც მღვდელმა და არა აზნაურმა, ნიკო
სასულიერო სემინარიაში მიაბარა (მაშინ სემინარია და სასუ-
ლიერო სასწავლებელი ერთად იყო), მაგრამ, იმის სამწუხაროდ,
ნიკო ექვსის წლის შემდეგ გამოუძახეს. ამ ექვსის წლის გან-
მავლობაში წერა-კითხვაც ვერ ისწავლა ხეირიანად და, ცხო-
ვრებისათვის მოუშხადებელი, მამას თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლი-
სა შინ დაუბრუნდა. მამამ თუმცა, მისალმების მაგიერ, შვილი
მისვლისათანავე კეტით გარედ იფრინა და მიაძახა: „თვალით
არ დამენახო, შენ შვილობაზე ხელს ვიღებო“, მაგრამ მალე
გული მოიბრუნა და შინ შემოიყვანა. „შვილო,— მიჰმართა მა-
მამ, როცა ნიკო თავის დედამ ალერსიანად გადაჰკოცნა და
გვერდით მოისვა— მაგითი ბევრი არა დაშავდა-რა, რომ დაგი-
თხოვეს. შეიძლება ძალითა ღვთისაა და ჩვენითა მეცადინეო-
ბითა საქმეს ვუშველოთ როგორმე. მე სასწავლებელში ჩემ
დღეში არა ვყოფილვარ, მაგრამ აბა შემომხედე, ანაფორა არ
შაკვია თუ? შენც, შვილო, შინ მოემზადე და, რამდენიმე წლის
შემდეგ, ჯერ პრიჩეთნიკად გაგამწესებინებ და მერე კიდევ
მღვდლადაც გაკურთხებენ...“

მამის ტკბილი სიტყვებით წახალისებულმა ნიკომ მღვდლო-
ბაზედ უარი გამოაცხადა იმის გამო, რომ სწავლა არ შემოიძლი-
ანო.

— „რაო?! შეჰყვირა მამა გედევანმა და მაშინვე დავითნი მი-
აჩეჩა ხელში:— „ეს გაიზებარე, თორემ სულ ტყავს გაგაძრობ!“
დასტყვილა მღვდელმა და შემდეგ განაგრძო: „შენისთანა ლა-
წირაკებმა მღვდლობა უნდა დაიწუნონ? მღვდლისთანა ვინ არის?!
იგი მოადგილეა თვით იესო ქრისტესი, ძისა ღვთისისა, უფლი-
სა ჩვენისა, რომლისა სახელი იდიდების ქვეყანასა ზედა. მღვდე-

ლი ამა სოფელსა პირველი პირია, ჰირშიაცა და ლხინშიაცა პირველი ადგილი უჭირავს. აბა ერთი მითხარ, ვინ გაჩენილა ისეთი, ვინ მონათლულა, ავად გამხდარა, დაქორწინებულა და ან მომკვდარა, რომ მღვდელი არ მიეწვიოთ, რომ სუფრის თავს ის არა მჯდარიყოს?“ კარგა ხანი ილაპარაკა მამა გედევანმა მღვდლის შესახებ და თან შვილს უტევდა, მაგრამ ნიკოს ერთი სიტყვაც არ გაუგონია. იმას დავითნი უკუღმა გადაეშალა და ისე თავდაყირა ასოებს დასცქეროდა. „ფოფოლია“ კი მამა გედევანის სიტყვების დასამტკიცებლად წუწუნით და წრიპინით იძახდა: „ჰო, შვილო, ყური დაუგდე მამა-შენს, მართალს იძახის“, და თან ნიკოს ზურგზედ აღერსით ხელს უსვამდა.

ასე, ხან ჯავრობით და ხანაც ლოლიაობით, ოთხის წლის განმავლობაში მამა გედევანმა თავის შვილს დავითნი ზეპირად შეასწავლა, მაგრამ იმის „გაპრიეტნიკობას“ კი ვეღარ მოესწრო. წყეულმა სიკვდილმა იესოს მოადგილეობაზედ ხელი ააღებინა და „წიაღსა შინა აბრაამისასა“ გაისტუმრა. მამა გედევანის გარდაცვალების შემდეგ არც სხვა ვინმე მოსწრებია ნიკოს „გაპრიეტნიკობას“. ზნეობრივ და გონებრივ, ოჯახში და სასწავლებელში ასე დამახინჯებული ნიკო საზოგადოებაში გამოვიდა.

ნიკოს იმოდენა მამული არა ჰქონდა, რომ იმის შემოსავლით „უშრომლოდ“ ეცხოვრა, რადგანაც გარჯასა და მუშაობას ვერ ეწყობოდა. ამისთვის სხვა საშუალებას მიჰყო ხელი— თავის სოფლელების ძარცვა-გლეჯას, მაგჩამ იმ ნაირად კი სძარცვავდა და ჰგლეჯდა, რომ გაძარცვულები მალლობლებიც რჩებოდნენ იმისი. მართალია, ნიკო „იესოს მოადგილედ“ ვერ გახდა, მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა, რომ სოფელში პირველი ადგილი დაეჭირა და ჰირშიაც და ლხინშიაც, დაბადებაშიაც და სიკვდილშიაც, ქორწილში თუ ქელებში სუფრის თავს გამოჰკიმუღიყო..

ნიკომ თავისი მოქმედება ნათლიაობით დაიწყო. ვისაც კი სოფელში ცოტათი მაინც სიპოხე ეტყობოდა, ნიკო ყველას ნათლიად უხდებოდა. ამ გარემოებით იმან ისარგებლა და ერთს ბედნიერ ღღეს სოფლის მწერლად გახდა. რაკი მწერლობა

ხელთ იგდო, მაშინ ხომ ყველას კარი ღია იყო და ყველანი ხელთ ეჭირა. თვით მამასახლისიც, როგორც ნასწავლ კაცს, მღვდლის შვილს და აზნაურს, პატივსაც სცემდა და რჩევასაც ჰკითხავდა ხოლმე. უიშისოდ ბუზსაც ვერ ააფრენდა.

აი სწორედ იმ დროს, როდესაც სუნით დაეძებდა, თუ დომელ შეძლებულ გლეხის ოჯახში დაიჩხავლებდა ახლად დაბადებული ბავშვი, მოუნათლა ქიტუა გიგაურს, როგორც შეძლებული ოჯახის პატრონს, კატო. ამის შემდეგ ნიკო ხშირად დადიოდა ქიტუასთან და ბევრჯერ, როგორც ნათლიას, მოხრაკული ვარია-ერბო-კვერცხით და წითელი ღვინით ჩაუკოკლოზინავეს ყელი. როცა გიგლაც ამან მოუნათლა, მაშინ ხომ შინაური გახდა და თითქოს ყოველ დღე ქიტუას ოჯახში იყო. «ერთი კოცა მირონი დააბრუნა ჩვენს ოჯახშიო», — ხშირად ბტყოდა ხოლმე ქიტუას პირველი ცოლი მეზობლებში, და მეზობლებიც ამასვე გაიძახდნენ, როდესაც ნიკომ ქიტუას მეორე ცოლთანაც მოუხშირა სიარული.

პირველს ხანებში ნიკო ქიტუასთან დადიოდა იმ განზრახვით, რომ ესეა, ექამა და მოეგო იმისი გული; მეორე ხანში კი სულ სხვა საქმე იყო, ეხლა იმას აღარ უჭირდა არავისი თავი, ეხლა თვითონ იმის თავი უჭარდათ ყველას და სცდილობდნენ იმის გულის მოგებას. ყველა გლეხი ბედნიერად ჩასთვლიდა თავის თავს, თუ კი ნიკო იმის ოჯახს ეკადრებდა და ეწვევოდა როდისმე. განა ხუმრობა საქმეა, რომ ნიკო, უკვე მდიდარი, მღვდლის შვილი, აზნაური და მერე კიდევ მწერალი სწევოდა რომელსამე გლეხს და თავი გაეყადრნა იმისთვის!

ნიკო, ვიდრემდინ სულს მოიდგამდა, ხშირად დაიარებოდა ქიტუასას; მერე, რაკი ფეხი მოიკიდა, სულ აღარ გაუვლია იმასთან. ამასთანავე ქიტუაც ამ დროს ძალიან ძირს დაეშვა: მოუკვდა მამა, მერე ამას მიჰყვა დედა, ახლა სხვა-და-სხვა ქირი დაატყდა თავს, რაც გლეხს ოჯახს ანადგურებს, და აბა ამისთანა გლეხთან რაღად დაიჭერდა კავშირს, რადგანაც იმისი აზრი ის იყო — თავი იქ შეეყო, სადაც მიეცხოზობოდა რამ და არა იქ, სადაც მიცხოზობის მაგიერად უნდა გასცლოდა რამე.

როცა ქიტუა დაქვრივდა და ორი პატარა ობოლი დარჩა, მაშინ ხომ აღარც კი ელაპარაკებოდა, რა არის, არა მთხოვოს-რაო.

მაგრამ აგერ სოფელში გაისმა ხმა—ქიტუამ ძალიან ლამაზი ცოლი შეირთოვო, რომ იმისთანა ქალი ჯერ არავის მოუყვანიაო. ნიკოს ხშირად ესმოდა თავისი ნათლი-დედის ფეხის ქება, იმისი მომხიბლავი სიტუტრფე და სიკეკლუცე. ამ ხმებს ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ბოლოს დროს გაიფიქრა: „აბა ერთი ვნახოვო, იქნება მართლა ძალიან ლამაზიაო“.



შიოობა დღეს სოფ. ბ—ში დილიდანვე ერბოს ნამცხვარის სუნი დატრიალდა. ვისაც ჰქონდა და არა ჰქონდა შიო მღვიმელისთვის ერბოს ზედაშები, ყველამ დაახურა კეცები და ქადების ცხობას შეუდგა.

ის იყო სოფიო მორჩა ქადების ცხობას, რომ ბანის ერდოდან მოესმა მეზობლის ქალის ხმა:

— პატარძლო, რატო მაგრე ჰგვიანობ და გარედ არ გამოხვალ?

— გარედ რა გავაკეთო, შენ გენაცვალე? უპასუხა სოფიომ.

— როგორ თუ რა გააკეთო, ადამიანო?! გადი გარედ, გაიხედ-გამოიხედე, ბედნიერი დღეა. უახრა ქიტუამ და ცხელი ქადის ლუკმა პირში გააქანა.

— რას ამბობ, ქალო, ჩქარა ჩაიცი და დიპლიპიტო-ნა-ღარაც წამოიღე, ლხინი გავმართოთ. აგერ ზემო-უბანში კიდევ გამართეს. იმათ როგორ უნდა გვაჯობონ! იმავე დროს წამოსძახა მეზობლის ქალმა.

სოფიომ საჩქაროდ ტანთ ჩაიცივა, დაიხურა თავი და დიპლიპიტო-დაირით ბანზე ავიდა.

თბილი, თებერვლის დღე ხელს უწყობდა ყველიერში მოლხინე ბ—ლებს. რამდენსამე კალოზედ ახალგაზდა ყმაწვი-

ლებს გაემართნათ ჩალოჩი. მოჩალოჩენი ოროლ ნაწილად იყენენ დაყოფილნი. ერთი ნახევარი რომ წრეს შიგნით იდგა, ამ დროს მეორე ნახევარი გარს დასტრიალებდა და დაგრეხილ აპეურებს ცხარედ უქნევდა; მაგრამ შიგ-მდგომნი მარდად იცდენდნენ და სცილილობდნენ მათს გაჭრას. ახალგაზდები რომ ასე ერთმანეთის ბრძოლაში იყვნენ და ჟრიაშულობდნენ, მოხუცებულები იქვე შორი-ახლოს ისხდნენ და სტკებობდნენ ახალგაზდების სიამოვნებით. მათი სიმარადე იმათაც გულს უთამაშებდა და აგონებდა თავიანთ ახალგაზდობას.

ახალგაზდა ვაჟები თუ ჩალოჩით იყვნენ გართულნი, ქალებიც არ იდგნენ გულ-ხელ-დაკრებილნი. იმათაც რამდენსა-მე ადგილს გაემართათ „ლხინი“ და დიპლოპიტო-დაირას გაცხარებულნი უკრავდნენ...

ქიტუას ბანზედაც ჩქარა შეგროვდნენ ქალები და აქაც გაახურეს დიპლოპიტო-დაირა.

ვაჟების ყოჩინი, ქალების გულიანი სიცილი და კასკასი, დიპლოპიტო-დაირის ხმა სულ ერთმანეთში ირეოდა და ერთგვარი სასიამოვნო ხმა გრვეინავდა ჰაერში. თითქოს ბ—ლებს დავიწყნიათ ყველა თავიანთი ვარამი და მთლად სულით და ხორციტ მისცემიან სიხარულსო!

დიად, ამათ ეხლა დავიწყებული ჰქონდათ თავიანთი ვარამი; არცერთს არ ჰქონდა ჩვეულებრივ შექმუხენილი შუბლი და არცერთს სახე არ ჩამოსტიროდა; ყველას გაჰხსნოდა სახის ნაოჭები და ყველას ერთნაირად უცინოდა და უეღავდა სიხარულით სახე. იშვიათად ხვდება ხოლმე გლეხს ამისთანა დღეები და როცა ხვდება, მაშინ ის სულით და ხორციტ ეძლევა თავის გრძნობას. მარტო გლეხს, თავის შრომით და დიდის გაჭირვებით ლუკმა-პურის მომპოვებელს, შეუძლია ასე თავ-დავიწყებით მიეცეს თავის გრძნობას და გამოსცადოს ის ნეტარება სიხარულისა, რომელიც უქმად-მყოფთა და მუდამ სიამოვნების მაძებართათვის საიდუმლოებას შეადგენს. იქნება ისე ღრმა არ იყოს ამისი გრძნობა, როგორც ზნეობრივ და გონებრივ განვითარებული მშრომელი კაცისა, მაგრამ აქ ხომ

ამაზედ არ არის ლაპარაკი. იქნება განვითარებულ მშრომელის გრძნობა უფრო ძლიერია, ვიდრე გლეხისა. ეს, იქნება კი არა, ასეც არის, მაგრამ აქ საქმე იმაშია, თუ გრძნობა რამოდენად იპყრობს კაცის არსებას. გლეხს რაც სულის სიღრმე აქვს, იმ სიღრმემდინ ჩადის გრძნობა და მთლად იპყრობს იმის არსებას. ამას შეხამებული არა აქვს-რა: არც სიხარული და არც მწუხარება. ორივე ერთნაირად მოქმედობს ამის არსებაზედ...

როდესაც ქიტუას ბანზედ შუა „ლხინში“ შევიდნენ, უცრევ გაისმა ხმა: „ბერიკები მოდიან, ბერიკებიო“!

ქალებმა მაშინვე შესწყვიტეს დიპლომატო-დაირის დაკვრა და თვალები მიაპყრეს ერთს თათრულად ჩაცმულ ახოვანი ტანის ახალგაზდას, რომელმაც მარდად შემოდგა ფეხი ბანის გვირგვინზედ და შეჰყვირა: „იიი! ალლაჰ-საღლარი!“ შემდეგ დაეყრდნო გრძელს კომბალს და ერთბაშად შეხტა. რამდენსამე წამს, კომბალზედ დაყრდნობილი, ჰაერში გამოტოილ ფეხებს ათამაშებდა და გაჰკიოდა. ბოლოს, კომბლიდან გადეშო და მოათამაშე ბერიკების დასს წინ მიეგება.

ქალები მაშინვე ბანის გვირგვინს აეკუნწლნენ მოათამაშეთა პირდაპირ, რომლებმაც იქვე კალოზედ დაიწყეს თავიანთი წარმოდგენა. ღორისა, კეკელასი, ბერიკებისა, მღვდლის და თათრისა—აი ყველა როლები, რომლებიც უნდა აესრულებინათ. ღორი იჯდა გაუტუსავ ღორის ტყავში და მარდად დასდევდა თამაშობით საზანდრის ხმაზედ თავის სატრფოს, მოარშიყე ბერიკებს; ის მალი-მალ დაიჩოქებდა, დააკაუნებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეშვებს და მიწას ამოსთხრიდა, მერე ისევ მარდად წამოხტებოდა და ბერიკებს ან თათარს გამოედევნებოდა. ვაი იმათი ბრალი, თუ რომელსამე მოეწეოდა! დაუქნევდა ეშვებს და ბერიკების გადმობრუნებულ ტყავს სულ ბურტყლებს აყრევინებდა. ბერიკები ამ დროს ხმლით იგერებდნენ და შეცვლილი წვრილის ხმებით გაჰკიოდნენ: „იო, იო“-ს! კეკელა კი, ქალის ტანისამოსით მორთული, ღორს წინ უხტოდა და ჰრელ ხელსახოცს ალერსიანად მალი-მალ მხარზედ გადუქნევდა ხოლმე. ამას მარტო თვალო-

მაქცობით შერებოდა. ის მხოლოდ თავის პატრონს ღორს, რომელიც საშინლად სძულდა, თვალს უხვევდა ამითი. იმას სხვისთვის უცემდა გული და სხვას ეტრფოდა. როცა კი ღორის თვალს აიცილენდა, ის მაშინვე თავის სატრფოს გადახვევდა და იმის აღერსით სტკბებოდა, მაგრამ ეს წუთები დიდხანს არ გრძელდებოდნენ. ღორი თვალს შეასწრობდა და ჩქარა ჩაუშხამებლათ ხოლმე სიტკბობას. ბოლოს, ბერიკამ გარდასწყვიტა ღორის მოკვლა. როცა ამ გარდაწყვეტილების შემდეგ ღორი გამოეკიდა, ის აღარ გაექცა, გულადად და მარდად მოიგერა ღორი. რაკი ღორმა გაიგო, რომ აღარ მიუტრბიან და იმის ეშვების მოქნევას აღარ ერიდებიან, თავი შეიმაგრა და თვალები მიაპყრა თავის მოპირდაპირეს.

სულ ერთს წამს გასტანა ამ ნაირმა ერთმანეთის ზომვამ. ბოლოს, ღორი შეირხა მთელის ტანით და დამუხლისთავებულმა რამდენჯერმე ისე ღონივრად ამოჰკრა ეშვები დედამიწას, რომ გორახებმა მყურებლებს თავზედ გადაუარა. როგორც მარდად დამუხლისთავა, ისევე მარდად წამოხტა და ახლა თავის მოპირდაპირეს მოუქნივა, მაგრამ მოპირდაპირე გაუსხლტა განზედ და უეცრივ ხმალი მხარში დაჰკრა. დასჰკრა ბერიკამ ღორი, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო არ გამოდგა. ღორი ჭრილობამ სულ გააცეცხლა. ის გაცოფებული მივარდა ბერიკას, რომელმაც მარდად იძრო ხანჯალი, რადგანაც პირველ დაკვრაზედ ხმალი შუაზედ გადუტყდა, და სწორედ იმ დროს მისცა ღორს გვერდში, როცა იმან თავში დაჰკრა ეშვები. ორივენი ცოტახანს შეტორტმანდნენ და ორივენი ერთადვე უსულოდ მიწაზე გადიშლარტნენ....

— ეი, ეი! შეჰყვირა თათარმა და მალლა შეათამაშა ღვინით სავესე ჭრელი ნახევარ-თუნგიანი.

— დედი, ჩვენი ნახევარ-თუნგიანია! უთხრა სოფიოს ერთმა შვიდი-რვა წლის გოგომ.

— უი, დამიდგეს თვალები, ხომ სახლს სულ ძირს აღმა უხამდა! წამოიძახა სოფიომ და მებარგულისკენ გაეშურა, რომელსაც თათარმა ნახევარ-თუნგიანი გადასცა.

მებარგულემ ღვინო ტიკში ჩაცალა და ცარიელი ჭურჭელი სოფიოს მისცა.

— აგაშენოთ ღმერთმა! დაუმატა მებარგულემ.

— ა-ის ვინ არის? მოესმა სოფიოს იქვე ახლო მდგომი ნაბდიანი წამოსადგვის კაცის ხმა.

— ქიტუას ცოლია! მოესმა პასუხად.

სოფიო ამ ხმაზედ საშინლად გაწითლდა და ძლივს წაუღულღულა პატარა გოგოს, რომელიც უკან დასდევნებოდა:

— შენ გენაცვალე, კატო, წაიღე ეს შინ და კარები მოხურე.

კატო მარდად გასრიალდა შინისკენ.

თვითონ კი ისევ ქალებთან მივიდა და იმათ შუა ჩაიმალა. ცოტა ხნის შემდეგ, წამოწითლებულმა, ისევ საჩქაროდ დაუშვა თვალები ძირს, რადგანაც იმისი თვალები ნაბდიან კაცის თვალებს შეხვდა.

— რას დამცქერებია ი ვილაც ოხერია?! ოღნავ ჩაიბუტბუტა სოფიომ.

— მართლა, რა მადიანი რამა ყოფილა!.. თავის მხრივ ბუტბუტებდა ნაბდიანი კაცი და სოფიოს თვალს აღარ აშორებდა.

ამ დროს კეკელა მისჯდომოდა თავის სატრფოს და თმა-გაწეწილი მშვენიერ მწყობრ სამგლოვიარო ხმით მოსთქვამდა ლექსებს, რომელსაც საზანდარი ბანს აძლევდა. იმისი ხმა გარშემო მაყურებელთ გულში სწვდებოდა და ტანში ჟრუანტელსა ჰგვრიდა. ისინი სულ-განაბულები იდგნენ და ისმენდნენ სამწუხარო მოთქმა-სიმღერას.

სოფიოც ჩქარა გაიტაცა ამ ხმამ და სხვასთან ერთად მიეცა საზოგადო სულის მდგომარეობას. იმას აღარც კი მოჰგონებია, თუ ნაბდიანი კაცი აღარც ეხლა აშორებს მას თვალს და ისევ ისე გაშტერებით უცქერის, რომელზედაც ამ სამწუხარო ხმამ არ იმოქმედა...

— თათარო, ჩქარა მღვდელი!.. ესენი უნდა მიწას მივაბაროთ! წასძახა იქვე თავ-ჩამოქინდრულ თათარს ერთმა ბერიკამმა

— ეხლავე! უპასუხა თათარმა და წრე გაარღვია.

თათარმა ჩქარა შემოიყვანა წრეში ძველ ტომარაში გახვეული გრძელ-წვერა კაცი, რომელიც მღვდლის მაგივრობას ასრულებდა. ოლარის მაგივრად კისერზედ ჩამოკიდებული ჰქონდა ძველი ფარდავის ნაგლეჯი, თავზედ ეხურა განიერი კალთიანი მოხეური ნაბდის ქუდი. ცალ ხელში ეჭირა საცეცხლურის მაგივრად ბაწრებზედ ჩამოკიდებული ძველი თუნუქის ნაქერი, მეორეში კი გაქონილ-დაჯღაბნილი ქალაღის ნაგლეჯი.

— მღვდლო! მიჰმართა ბერიკამ: ესენი უნდა დაასაფლოო და შენს წესს აგისრულებთ.

— არა, შეილო, ეგენი უზიარებლები დახოცილან, ვერ დავასაფლავებ*). უპასუხა მღვდელმა.

— მღვდლო, ერთ თუმანს მოგცემ!

— ერთ თუმანს, შეილო, ერთი კაცის დასაფლავებაში ვიღებ, ისიც თუ ნაზიარები მომკვდარა, და მანდ ხომ ორი მკვდარია.

— ორი თუმანი იყოს!

— არც ორად, უზიარებლად არიან დახოცილები.

— არა, მღვდლო, შენს მადლს, ორად დაასაფლავე!

— არ შემიძლიან. სთქვა მღვდელმა და წასვლა დააპირა.

— სად მიხვალ, მღვდლო! წასძახა თათარმა და ოლარში ზელი წაავლო: — სამი წაიღე, ეხლა ხომ გაძლება შენი თვალი!

— ჰო, თუ სამი იქნება, ეგ სხვა არის. სამ თუმნად უზიარებლებიც დასაფლავდებიან!

ამათ ლაპარაკზედ ხალხი გულიანად იცინოდა, და აქაიქა გაისმოდა ძახილი: „აი, მღვდლო, შე სული მტერო, შენა“!...

მღვდელმა ანდერძის აგება დაუწყო, მაგრამ აღარ დასცალტა. ამ დროს მოისმა ერთის მხრიდან სხვა ბერიკების ხმა. ყველამ იქით მიიხედა და თითქმის ერთად წამოიძახეს: „ქ—ლი ბერიკებია, ქ—ლი“!

*) მღვდლის როლის ამსრულებელი ყოველთვის სკდილობს, რომ თავის სოფლის მღვდლის ხმა მიიღოს და იმის კილოს მიჰბამოს.

გარშემო მაყურებელი ხალხი გაიპოო შუაზედ იქით მხარეს, საიდანაც მოთამაშებდნენ ჭ—ლო ბერიკები, და გზა მისცა.

წრე გადიდდა. მაყურებელთა რიცხვი ერთი-ორად იქცა. დიდი ხანია ბ—ლები მოელოდნენ ამათ შეხვედრას და, აი, ძლივის ეღირსნენ. თითქმის მთელი სოფლის ქალი და კაცი აქ მოგროვდა და მოთამაშეთ გულმოდგინედ თვალს ადევნებდნენ.

წარსულ წელს ბ—ლმა ბერიკებმა დაამარცხეს ჭ—ლები; ამ წელს ჭ—ლმა განგებ განთქმული მოქიდავე დასვეს ღორად იმის გამო, რომ სამაგიერო გარდაეხადნათ და ბ—ლები დაემარცხებინათ.

რაკი გაიგო ძირს მწოლიარე ღორმა, რომ ჭ—ლები მოდიანო, ანება თავი მკედრობას და კოხტად გაითამაშა.

ცოტა ხანიც, და ორივე ბერიკების დასი შეერთდა.

ღორებმა ერთმანეთს შორიახლო გაუქროლეს. ამით დაწარჩენ მოთამაშეთ ანიშნეს, რომ შებრძოლება გესურსო. დაწარჩენები მაშინვე მაყურებლებს შეუერთდნენ; ხოლო ორივე დასის თათრები გრძელი კომბლებით წრეს შუა დარბოდნენ და ხალხს განზედ აყენებდნენ.

ღორებმა კიდევ გაუქროლეს და ოდნავ გაჰყენწლეს ერთმანეთი. ამის შემდეგ ერთმა ერთს მხარეს დაიწყო კოხტად თამაშობა და მეორემ—მეორესა. თამაშობით მიუახლოვდნენ ერთმანეთს და ეშვეზით გაკვრას აპირობდნენ; თავები კიდევაც ამართეს მაღლა, მაგრამ ბ—ლების ღორი უეცრივ განზედ გასხლტა და თვალის დახამებაზედ ჭ—ელს უკანიდან მოექცა.

— მაგრა დადექ!.. დასჭყივლა უკანიდან და ერთ აღლზე მეტად მაღლა შეხტა. იმას უნდოდა ჭ—ლისთვის შიგ შუბლში ჩაეკრა დინგი, მაგრამ ჭ—ელმა უეშმაკა. ის რომ, მაღლა შემხტარი, დაკვრას აპირობდა, ჭ—ელმა საჩქაროდ ჩაიჩოქა და ოდნავ წინ წაიხარა, რის გამო ბ—ელმა დინგის მაგივრად კუჭი დაჰკრა კეფაში და მოსხლეტით წინ თავდაყირა გადაეარდა.

— აი, ყოჩაღ!.. გაისმა ხალხში ხმა.

— ეგრე ეშმაკობით!... შეჭყვირა ბ—ელმა ღორმა, რომელიც უკვე ფეხზედ წამოდგა და თავის მოპირდაპირეს წინ ჩაუდგა...

— გადააგდე ტყავი! შესძახა ისევე იმან და ღორის ტყავი მაშინვე შორს სტყორცნა.

ქ—მაც მარღად გადააგლო ტყავი და გაითამაშა.

ძნელი იყო კაცს გამოეცნო, თუ რომელი მხარე გაიმარჯვებდა ამ ბრძოლაში. ორივე ერთი-მეორესა სჯობდა. იმათი ერთის განის მხარ-ბეჭი, მკერივი მკლავები და მომსხო წვივები ამტკიცებდნენ, რომ ღონე ორივეს ღომისა უნდა ჰქონოდათ და ერთმანეთს მაგრად უნდა დაჭხდომოდნენ. მხოლოდ სულის მდგომარეობით განსხვავდებოდნენ. ბ—ელი ძალიან აღელვებული იყო. იმისი მკერდი აჩქარებით მალლა-მალლა ადიოდა და თვალები ცქცხლს აფრქვევდნენ ქ—ელს კი სრულებით არ ეტყობოდა აღელვება.

— გაიხადეთ, გაიხადეთ! ყვიროდა ხალხი და თან წინ იწვედა.

— განი, განი! დატრიალებდნენ კომბლებით თათრები წრეში და ხალხს წინ არ უშვებდნენ.

— დედა შეერთოს ცოლად, ვინც გაგვაშველოს! შესძახა ბ—ელმა და მოპირდაპირეს ჩოხაში გაჰკრა ხელი, მაგრამ ქ—ი გაუხსლტა და ხელმეორედ დაუწყეს მიტანება. ორივენი ცდილობდნენ, რომ თვითონ ხელი კარგ ადგილას წაევილო და მოპირდაპირესთვის კი არ მიეცა ამის ნება.

— აბა, თედო! აბა, პავლე!.. აქა-იქიდან ჩამხნევებდნენ მაცურებლები მოჭიდავეებს.

— ამიყვანე, დედი! უთხრა ამ დროს ბუთხუზა კმაწვილმა სოფიოს.

— ვერა ჰხედავ, გიგლო? უთხრა სოფიომ გიგლას და ასაყვანად დაეწოდა.

— უჰ, რა მძიმე რამა ხარ?.. ამოიხენეშა სოფიომ, როცა გიგლა ხელში აიყვანა.

— მაიტა, მე დავიჭერ ყმაწვილს, თუ გემძიმება. ჩასძახა ვილამაც გვერდიდან.

სოფიომ მიიხედა იქით და სულ მთლად გაშრა: იმის გვერდით იდგა ნაბდიანი კაცი და შეჭლიმოლა.

— რას გაფითრდი, მომე ე ყმაწვილი?! უთხრა ნაბდიანმა კაცმა და ხელები გიგლას წაავლო. ამ უკანასკნელმა ეს ვერ იგრძნო, რადგანაც გატაცებით მოჭიდავეთ თვალს ადევნებდა.

სოფიომ გიგლას ხელი ანება და, გაჩუმებული, საჩქაროდ დაბრუნდა და შინ წასვლას აპირობდა, რომ ამ დროს ქიტუამ შეაყენა და ჰკითხა:

— სად გარბიხარ?

— ა-ის ვინ არის?!... პასუხის მაგივრად დაეკითხა სოფიო ქიტუას და ნაბდიანზედ ანიშნა.

— ვინ უნდა იყოს? ნათლია! გიგლა და კატო მაგან მო-ნათლა.

— ნათლია!.. შევებით წამოიძახა სოფიომ.

— აგერ, აქეთ არ მოდის და გიგლაც ხელში უჭირავს.

— მაიცა, მაიცა!.. აგელ, ლოგოლ მაიკიდა! წაავლო გიგლამ ნაბადში ხელი ნათლიას, როცა ნათლია ქიტუასკენ მიდიოდა, და აყენებდა, თან მოჭიდავეებს თვალს არ აშორებდა.

მართლა, ამ დროს კ—ელმა მოჭიდავემ დაუჩოქა ბ—ს და სარივით გაშოტილი ფეხები მალლა წამოაღებინა...

— უუუ! იგრიალა ხალხმა და ერთბაშად მისცვივდა მოჭიდავეებს.

ხალხი რომ ამ ყოფაში იყო, ნათლიამ დასო გიგლა ძირს და ქიტუას მიჰპართა:

— ეი, ნათლიმამ, ეგრე არ უნდა, თორემ შენ იცი!

— ნათლიას ვახლავარ! ქუდ-მოხდით უთხრა ქიტუამ.

— ქორწილი უჩემოდ გადინადე და ეხლა თუნდ მახლდი და თუნდა ნუ! არა გრცხვენიან, კაცო, რომ ქორწილში არ დამპატიე!..

— რა ვიცოდი, თუ მიკადრებდი და მობძანდებოდი, თორემ ვინ ღმერთ-გამწყრალი არ დაგპატიებდა!

— მაგას რატომ ამოხ, ნათლიამ? კადრულობა რომ არ მდომიყო, შეიღებხარ არ მოგიწიათლამდი. ვითომ და წყენით უთხრა ნათლიამ.

— მაშინ სხვა იყო, ნათლი, როცა შეიღები მომინათლე. აი, თუ კი მიკადრებ, წამოშობიდი სახლში და განა ეხლა ვერ გადაგიხდი ქორწილის სამაგიეროს! ღვინო და პური, ღვთის წყალობით, სახლში მაქვს და მეტს არც შენ მამთხოვ.

— ეგაც რომ არ მაიტანო, განა დაგემღურები?! გული იყოს, თორემ სხვას რას ვაქნევთ.

— აი, შენი ღვთის ქირიმე, შენი!.. ღმობიერებით წამოიძახა ქიტუამ და ნათლიას ხელი წაავლო: მაშ შეწვევით, ჰა, ნათლი!..

— რატომაც არა, კაცო!

— ოი, შენი ქირიმე, შენი! რას მოვიფიქრებდი, თუ მიკადრებდი! აბა წამოშობიდი!.. სიხარულით უთხრა იმან და შინისკენ გასწია ნათლიას.

— მაგრამ მაიცადე პატარა!.. ცოტა ყოყმანობის შემდეგ უთხრა ნათლიამ და თვალების აქეთ-იქით ცეცება დაიწყო...

— მარდახო! დაუძახა იმან ურჩის ბიჭს, რომელსაც ხალხში თვალი შეასწრო.

— ეგ რაღად გინდა, ნათლი?

— მაშ როგორ იქნება, ნათლი-ღედისთვის პირი-სანახავი მინდა გამოვართო! ჯერ ხომ ის არ მინახავს.

— შენ რომ ჩვენსა წამოშობიდი, ის კი არ ეყოფა პირი-სანახავად! აბა, რადა...

— ლას მიბძანებ, ბატონო? ქიტუას სიტყვა გააწყვეტინა ურჩის ბიჭმა, რომელმაც საჩქაროდ იმათთან მიიხრბინა.

— ბაღდადები ხომ გაქვს?

— ლა ფელისა და ფასისა გნებავს, ბატონო?

— ამოიტანე რამდენიმე და, რა ფერისა და ფასისა იქნება, გავიგებთ.

— ეხლავე, ბატონო. შინ მოვალთოთ?

— შინ კი არა, აი ამასთან მოიტანე!

- ამ საათშივე მოგალომევეთ, შენი ქილიმე.
- არ გინდა, ნათლი, ტყუილად ნუ სწუხებები!
- კარგები კი წამოიღე! მიაძახა გაქცეულ ურიის ბიქს და შერე ქიტუას მიუბრუნდა:
- ეხლა კი წავიდეთ.
- აბა, რად გინდოდა, შენი ქირიმე, ნათლი, რო შეუკვეთე. იმას თუ პირი-სანახავი არ მიეცი, მე ვიცი, წინა ხა რებში მოსცდება.
- არა, ნათლიმამ, ჩვეულებაა, უამისობა არ იქნება!...

VI

ასე გაიცნო ნიკომ სოფიო. დიდმარხვაში ერთი-ორჯელ ეწვია ნიკო, მაგრამ სოფიო მაინც მორცხვობდა, თამამად ვერ ექირა იმასთან თავი. ნიკო ცდილობდა, როცა ქიტუასთან მივიდოდა ხოლმე, ბევრი ემასხარავენა, გასაცინი რამ ეთქვა, რომ ამითი დაეახლოვებინა სოფიო, მაგრამ სოფიო მაინც მორიდებით და თავ-ჩალუნვით იცინოდა.

აღდგომის მეორე დღეს სოფ. ბ—ში დღეობა იცის. იქ თითქმის ყველანი მიდიან ხოლმე და ლხინობენ. სხვათა შორის ნიკოც იქ იყო თავის ცოლშვილით და კარგი სადილიც გაშართა ახლად გაფოთლილ მუხის ქვეშ. ამ დღეს მიაწვევინა თავის ცოლს მამასახლისი თავის ჯალაბით და ქიტუაც სოფიოთი. სადილის დროს ნიკომ ქალებს დაატანა ძალი და რამდენიმე ჭიქა ღვინო დააცლევინა. სოფიო უარზედ იყო, გემოდაც არ უნდოდა ენახა, მაგრამ, როდესაც შეზარხოშებული ქიტუა აუხირდა, იმანაც ორი ჭიქა გამოსცალა, რამაც თვალები აუღრია და ენაც კი ამოადგმევინა.

— ენდე, როგორ მომხიარულდი, პატარა ადრე დაგელია, ის არა სჯობდა!... უთხრა ნიკომ, როცა სოფიომ ორი ჭიქის შემდეგ დაუწყო ლაპარაკი ნიკოს ცოლს და მოელხინა.

— არ ვიცოდი, ნათლი, თორემ ადრე დავლევდი. სიცილით უპასუხა სოფიომ.

— ე დედაკაცმა, რაკი ღვინის გემო გაიღო, ლოთობა კი არ დაიწყო და არ დამლუბოს! იოხუნჯა ქიტუამ, რაზედაც ყველამ სიცილი დაიწყო.

რამდენიც დრო გადიოდა, უფრო სიმხიარულე ემატებოდა მოსადილეებს. სოფიო უფრო მხიარულობდა და თამამად იქცეოდა. ეს გარემოება იმას უფრო მიმზიდველობას ჰმატებდა და ნიკოს ჟინს უცხოველებდა. ის მალი-მალ შეჰხედავდა სოფიოს გაბადრულ სახეს და ტანში გააჟრჟოლებდა. „აფსუსი არ არის,—ყოველ შეხედვის შემდეგ გაიფიქრებდა ხოლმე ის—რომ შენ ქიტუა გვხვეოდეს და მე კი აი ამ ჯადოს!..“ ამ სიტყვების შემდეგ თავის ცოლს გადაჰხედავდა ხოლმე. მართლაც, იმისი ცოლი რაღაც ულაზათო რამ იყო, თუმცა კი სახეზე ცოტათი სანდომიანობა ეხატებოდა და არც ისეთი ულაზათო რამ იყო, რომ კაცს ჯადო დაეძახნა იმისთვის.

ნიკო, რაც დიდხანს აკვირდებოდა სოფიოს და თავის ცოლს, მით უფრო უცხოველდებოდა ჟინი ჰირველისადმი და მეორისადმი კი—სიძულვილი...

„თუ ნებით არა, ძალით მაინც დაგიყოლიებ!“—გაიფიქრა ნიკომ, როცა სახლისკენ დაბრუნდნენ, მაგრამ მაშინვე გადასხვაფერა: „არა, ძალით ცუდი იქნება... ასე ვთქვათ, ერთხელ მომიხდეს ძალით და მერე... ხომ გამომეღავენდება და სამუდამოდ დავკარგავ სოფიოს. ისევ სჯობია, იმ გზას მივდიო და ნებით დავიყოლიო. თუმცა ჩქარა არ იქნება, მაგრამ, როცა იქნება, სამუდამოდ“...

როგორც გადასწყვიტა ნიკომ, კიდევაც ისე იქცეოდა.

ნიკო წამ-და-უწუმ ქიტუასას მიდიოდა, იმ დროსაც კი, როცა ქიტუა სახლში არ იყო. ეს თითქმის ყოველ დღე ხდებოდა, რადგანაც ქიტუა მარტო-ხელი იყო და აბა იმას სახლში რა დააყენებდა. ჯერ მრავალ-კაციან გლეხის ოჯახშიაც არ დარჩება ამ დროს კაცი სახლში, და ქიტუას ხომ ხშირად უხდებოდა მინდვრად, თუ ვენახში ყოფნა, რადგანაც ოჯახი იმის კისერზედ იყო დამყარებული. გიგლა და კატო კიდევ დიდიდნვე გარედ გაცვიოდნენ ხოლმე და ვინ იპოვიდა იმათს

კვალს! ისინი თავის სწორებთან დარბოდნენ ტყესა და მინდორში და ცელქობაში ატარებდნენ დროს: ხან ფრინველის ბუდეებს დაეძებდნენ, ხან პეპელებს იჭერდნენ და ხან კიდევ რით არ ატარებდნენ დროს... ყმაწვილები ყოველთვის იპოვიან ვასართობს, ისინი ერთ ადგილს თავის დღეში გულ-ხელ-დაკრებილები არ დასხდებიან და არ მოიწყენენ...

როცა ნიკო მივიდოდა სოფიოსთან, ის შინაურ საქმეს ანებებდა თავს და სიხარულით მიეგებებოდა ნათლიას. ის ეხლა აღარ ერიდებოდა ნიკოს და თამამად ებაასებოდა ხოლმე. სოფიო, როგორც მოსიყვარულე ქალი, ფიანდაზად ეშლებოდა ნათლიას ფეხ ქვეშ დასცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა. სიტყვას არ ეტყოდა ისე, რომ „შენ გენაცვალე, ნათლი“ არ დაეტანებინა.

ნიკოს დღითი-დღე იმედი ეძლეოდა, მაგრამ მაინც ვერ ახერხებდა „საქმის“ დაწყებას. ის სულ სახვალიოდ სდებდა „საქმის“ დაწყებას, და ისე გავიდა აპრილი, რომ სიტყვაც არ გადაუკრავს. მარტო, თუ კი ამას რამე მნიშვნელობას მიეცემთ, ამ ხნის განმავლობაში ნიკო რამდენჯერმე სოფიოს ხელებს თავის ხელებში ჟინ-მორეული სრესდა.

„ეხლა კი დრო არის,“ — სთქვა ნიკომ მისის პიველ რიცხვებში და გარდასწყვიტა, რომ, რაწამს მივა, „საქმეს“ შეუდგება.

— რად მოგიწყენია, შენ გენაცვალე, ნათლი, ხომ არავინ გაგაჯავრა? მზრუნველობით ჰკითხა სოფიომ, როცა ნიკო ამ გარდაწყვეტილების შემდეგ მივიდა იმასთან და სახე მოქუშვილი ტახტზედ ჩამოჯდა.

— ფუფუფუფუ... პასუხის მაგივრად დაიწყო იმან უღვაშებისა და ტუჩების ბერვა და უფრო ძალიან მოიჭმუხვნა სახე.

— მაინც, შენ გენაცვალე, რაზე ხარ გაჯავრებული? უფრო მზრუნველობით მიიწია ნიკოსკენ და ხელი დაუჭირა.

სოფიოს ახლო მიწევამ და ხელის მიკარებამ ნიკოს ეღვაშავით ტანში გაუარა და თავბრუ დაახვია.

— ვინ, ვინ უნდა გამაჯაეროს, ვინაჲ?... წამოიძახა ნიკომ და ორივე ხელები მაგრად დაუჭირა სოფიოს.

— ვინ არის ჩემი გამაჯაერებელი, ვის შეუძლიან მე გამოიბედოს რამე და ჩემი ნება არ დასრულოს? ყვიროდა ნიკო და თან სოფიოს თავისკენ იზიდავდა.

სოფიო ვერ მიხვედრილიყო, თუ ნიკოს რა დაჰმართნოდა და ასე რამ ააღელვებდა. ამას იმის გონება ვერ ხსნიდა, მაგრამ ჰკრძნობდა კი რაღასაც და იმისდა უნებურად შიშის კანკალმა აიტანა...

— შენა ხარ ჩემი მტანჯველი, შენა მკლავ! მარტო შენ მიცხადებ უარს და არ გინდა მიმიხვდე ტანჯვას!

— ნათლი, ნათლი!.. მარტო ეს-ლა მოახერხა სოფიომ სათქმელად და ისიც აკანკალებულის ხმით.

— არ გებრალეები, განა?! არ გინდა შემიყვარო?! ნათლი-დედ, მიყვარხარ, მიყვარხარ... წამოიძახა ნიკომ მაღალის ხმით უკანასკნელი სიტყვები, და, უეცრივ გულში მიკვრით, გატაცებით დაჰკოცნა სოფიოს მარწყვის ფერი ტუჩები.

არც სტყუოდა ნიკო, რომ უთხრა: „მიყვარხარო“. ის მარტო ახლა მიხვდა, რომ სოფიო გაგიყვებით უყვარდა და მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავდა სოფიოს სიამოვნებისათვის. ისა სკდილობდა სოფიოსათვის თავი შეეყვარებინა და ის კი არა თვითონ უფრო შეუყვარდა. სოფიოს ცოტა ადრე რომ შეეტივნა, ის მაშინვე ყურ-მოჭრილ ყმასავით უკან დაიხვედა და ველარას გაჰბედავდა, მაგრამ სოფიომ ეს ვერ მოახერხა. მთელი თავისი სიცოცხლე რომ ეფიქრნა, სოფიო ვერ მოიფიქრებდა, თუ ნიკო, როგორც ნათლია, ამ ზომამდინ მივიდოდა და ნათელ-მირნობას დაჰგმობდა.

— ნათლი, რას შერები? შეჰყვირა სოფიომ და ხელიდან გაუსხლტა:— ნათელ-მირნობას როგორა ჰგმობ, ნათლი? წადი აქედან! უთხრა სოფიომ, როცა ის დედა-ბოძს მოეფარა.

— ნათლი-დედ, მაშ მადგებ, არ გებრალეები? შესაბრალოდის ხმით წამოიძახა ნიკომ და დედა-ბოძს წამოუფარა.

— ძალით გინდა გამაუბატიურო, არა გრცხვენინან? შესძა-
ბა სოფიომ და შორს გაუხტა:

— არა, ნათლი-დედ, არა! თუ შენი ნება არ იქნება, ხმა-
საც არ გაგცემ. აი, ეხლავ წავალ. ნიკო გამობრუნდა და დალ-
რეჯილის სახით უკანასკნელად შეხედა სოფიოს, რომელიც
ფქვილის გოდორს აჰკროდა და მეტის-მეტის აღელვებისაგან
ძლივს-ლა სუნთქავდა.

სოფიოს მდგომარეობა და კატის კლანჭებში ჩავარდნილის
თავის მდგომარეობა ერთი იყო. ნიკოს შეებრალა და უსი-
ტყვოდ დასწყევლა თავისი თავი, რომ ის ასე შეაშინა.

— დედი! წამოიძახა კატომ, რომელიც უეცრივ შემოვარ-
და სახლში: აი რა ლამაზი ბარტყები ამოესხით გოგოებმა...

— აი, აი, რა კარგები არიან!.. იმან მიირბინა სოფიოს-
თან და თან ბელურის ოდნავ დაბუმბულს ბარტყებს კოცნა
დაუწყო.

ბარტყებმა ჭყიბინი მორთეს.

— სუთ, სუთ, ნუ გეშინიანთ, არ მოგკლამთ! ყმაწვილუ-
რის აღერსით ჩასძახა კატომ და ბარტყები ტუჩებზე უფრო
მიიკრა.

— ხო ცოდონი არიან, ეგეთი ლლაპები რომ ამოგისხამს!
წადი, იქვე ჩასხი, თორემ დაიხოცებიან. უთხრა სოფიომ კა-
ტოს, როცა ნიკო შინ წავიდა.

— გიგლა სადღაა? დაეკითხა ის, როცა კატო ბარტყების
ბუდეში ჩასასხმელად გაქკრიალდა.

— ბაღლებში თამაშობს. უპასუხა კატომ და გარედ გა-
ირბინა.

VII

გავიდა ამის შემდეგ ერთი კვირა. ამ დროის განმავლობა-
ში ნიკო აღარ მისულა სოფიოსთან. ბევრჯელ დააპირა იმან
მისვლა, მაგრამ თითონაც ვერ გამოეცნო—რისთვის ვერა ჰბე-
დავდა. წინად ძალით გაუბატიურებასაც უპირობდა, და ეხლა-

კი მისვლაც, უბრალოდ შორიდან შეხედვაც ვერ გაეხედნა. „ვამი თუ ეწყინოსო“, — იტყოდა ხოლმე ის მაშინვე, როდესაც წასვლას დააპირებდა.

სახლში აღარა ესიამოვნებოდა-რა. მთელი დღე ისე გადიოდა, რომ ერთ წამს ერთ ადგილას დამშვიდებულს და დამდგარს ვერა ნახავდა კაცი. ის ხან ტახტზედ გაგორდებოდა და ოხერას დაიწყებდა, ხან გარედ გავიდოდა და მთელი სახლის გარშემო კუთხეებს დაივლიდა და გიჟივით ხან რომელს საგანს დააკვირდებოდა და ხან რომელს, თუმცა კი თითქმის ვერც კი ჰხედავდა იმ საგნებს.

— ვიცი, ვიცი, რაც გაწუხებს! უთხრა ტირილით იმისმა ცოლმა ეფემიამ ნიკოს, როდესაც ის ტახტზედ იყო გაგორებული და რაღასაც ბოდავდა.

— იმ უნამუსომ მაგრე როგორ გაგაგვიყა და ცოლ-შვილზედ გული როგორ აგაყრევინა!.. ისევ ტირილით განაგრძობდა ეფემიამ და გვერდით მოუჯდა.

ნიკოს სულ არ გაუგონია იმისი სიტყვები. ის ისევ თავისთვის გორავდა და ბოდავდა.

— მე მაშინვე მივხვდი, როცა ი უნამუსო დაჰპატიჟე დღეობაში! მაშინვე გავიგე რა განზრახვაც გქონდა, მაგრამ...

— ვინ უნამუსო? რასა ბოდავ? გააწყვეტინა სიტყვა ნიკომ, როცა იმას ზოგსმა ეს სიტყვები, თუმცა კი ვერ გაეგო, თუ რას ეუბნებოდა ცოლი.

— ვინ უნამუსო უნდა იყოს! აი შენი ნათლი-დედის ფეხი! ტირილით უთხრა ეფემიამ.

— როგორ თუ ნათლი-დედის ფეხი?! რა დაგიშავა იმან, ჰა! წამოვარდა ნიკო და ღრიალით დაეკითხა.

— ისა, რა გაგაორგულა და შენი ცოლ-შვილი დაგვანგლა.

— რეებს ბოლამ და მიედ-მოედები?

— არც კი გრცხვენიან, ი გლახის გომბიოს როგორ უწვები გვერდით!

— ხმა გაიწყვიტე, თორემ ეხლავე თავს გაგაგდებინებ! შენ იმისი ღირსი კი ხარ, რომ მაგრე ურიგოდ იხსენიებ, ჰა?

— ვაიმე უბედურს! მე იმედი მქონდა — ტყუილი გამოდგება-მეთქი და ის კი არა მართალი ყოფილა! ეფემიამ მიითვარა ხელები სახეზედ და ქვეთინი მორთო...

— შენ, ეი, მისიმარ შენთვის ვგდე და ხმა გაიწყვიტე, თორემ ხომ მიცნობ? კბილების ღრქიალით უთხრა ცოლს და რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა.

ეფემია მიუღწია. იმას კიდევაც უკვირდა, რომ ესეც გაუბედა და ნიკოს ყველაფერი უთხრა, რაც ეს ერთი თვე მეტი იმას არჩობდა და სულს უგუბებდა.

— ადე, გაეთრიე აქედან! შეუყვირა ნიკომ თავის ცოლს.

— რაც გინდა, ჰქენი! წაიბუზღუნა ეფემიამ და ფეხ-აკრებით მეორე ოთახში გავიდა.

ეფემია და სხვანიც სახლში ნიკოს მოწვები იყვნენ. სახლში ყველანი, როცა კი ნიკო შინ იყო, შიშით კანკალებდნენ და სარკეებად ხდებოდნენ: თუ ნიკო გაიცინებდა, ისინიც გაიცინებდნენ და თუ ის მოიღრუბლებოდა, სხვებიც მაშინვე წარბს შეიკრავდნენ. ერთი სიტყვით, ნიკოს წინააღმდეგი ოჯახში ვერავინ გახდებოდა. ის იყო სასტიკი მფლობელი ამ პატარა სამეფოსი და ვაი იმისი ბრალი, ვინც გაუბედავდა რასმე.

აი, ასეთი სასტიკი და სხვის დამმონავებელი, ეხლა ერთი „გლეხის გამბიოს“ და „გლეხის ცოლის“ მონა გამხდარა თითქმის და იმასთან მისვლა ველარ მოუხერხებია.

„რაც მოხდება, მოხდეს! ერთი კიდევ მივალ და მერე“... წამოიძახა იმან ერთის კვირის შემდეგ და კიდევაც გაემგზავრა სოფიოსკენ.

არც სოფიო იყო მოსვენებაში ამ ერთის კვირის განმავლობაში, იმას იმ დღეს აქედ ჩხირიც არ გადაუბრუნებია, წამდა-უწუმ გაიხსენებდა ნიკოს საქციელს და სულ აენთებოდა ხოლმე და ხმამაღლივ წამოიძახებდა: „რა მიყო იმ თათარმა, იმანა!.. ნათელ-მირნობისა რატომ არ შეეშინდა იმ ურჯულოს?!“

რაზე მოინდომა ჩემი გაუბატოურება?“ „ღმერთო შენ დამიწყა-
რე!“ დაუმატებდა ხოლმე ბოლოს. „ნეტავი ერთი ჩქარა და-
ბრუნდეს ქიტუა, რო ყველაფერი ვუთხრა და ის სახლში აღარ
გაატაროს“. რამდენჯერმე გაიმეორა ეს თავისი გადაწყვეტი-
ლება და მოუთმენლად ელოდდა დაბინდებას, როდესაც ქი-
ტუა გუთნიდან დაბრუნდებოდა, მაგრამ, თითქოს იმის გამო-
საჯავრებლად, დღე ერთი-ორად იქცა და დაბინდება აღარ
ელირსა. არა ერთხელ გამოირბინა იმან გარედ და მზეს შეხე-
და: „აბა თუ ამ მზეს ჩაბძანება ელირსოსო!“ იტყოდა ხოლ-
მე, როცა მზეს შეხედავდა.

ძლივს შებინდდა, ქიტუაც ჩეკით შემოვიდა სახლში, მა-
გრამ სოფიომ ხმა ვერ ამოიღო ნიკოზედ. ის რაღაც ძალამ გა-
აჩუმა და „სახვალიოდ“ გადაადებინა.

გათენდა მეორე დღე, მეორეს მესამე მოჰყვა, მაგრამ ის
ნიკოზედ არას ეუბნებოდა.

გადიოდა დრო და სოფიოც თან-და-თან უფრო გამოურ-
კვეველ მდგომარეობაში ვარდებოდა... ყოველ ნიკოს წარმო-
დგენაზედ იმას გული უეცრივ გადუქანდებოდა, ტანი მოეშლე-
ბოდა და მოუძღურდებოდა. სცდილობდა სულ არ მოეგონები-
ნა იმისი სახე, მაგრამ, იმისდა უნებურად, ცხადად დაეხატე-
ბოდა ხოლმე ნიკოს სახე და მოესმოდა იმისი სიტყვები: „არ
გებრალეები, განა?! არ გინდა შემიყვარო?.. მიყვარხარ!.. მი-
ყვარხარ!..“ „ღმერთო, რა მემართება, მე ბედშავსა!“ — წამოი-
ძახებდა ხოლმე ნიკოს სიტყვების მოგონებაზედ და ქვითინს
შართავდა.

დღითი-დღე ის რაღაც გამოურკვეველმა სურვილმა აიტა-
ნა. უნდოდა, სწყუროდა რაღაც და არ იცოდა კი — რა. ამ სუ-
რვილით გატაცებული დაეძებდა, სჩხრეკდა სახლის კუთხეებს,
აქოთებდა ყუთებს, თავის მზითვის სკივრს და ვერ ეპოვნა,
ვერ გაეგო, რაც უნდოდა, როცა კი ბავშვები შინ იყვნენ,
ის ხან კატოს დაიჭერდა და გატაცებით ჰკოცნიდა და ხან გი-
გლას. ერთხელ გიგლა კინალამ დაარჩო, ისე მიიკრა გულ-
ზედ და დაუბოლოებლად ლოშნიდა. ჰკოცნიდა ბავშვებს, გუ-

ლში იკრავდა, მაგრამ ის ამითი წყურვილს ვერ იკლავდა, პირიქით, უფრო უცხოვლდებოდა წყურვილი და ეს გონებიდან ჰრევდა.

სოფიოსთვის ეს გრძნობა სულ უცნობი იყო. ის აგეროც და ორი წლის დედაკაცი გახდა და ჯერ ამისთანა გრძნობა არ გამოუცდია. ამისთვის იყო, რომ მას ვერ გამოეცნო ეს წყურვილი და ასე გადარეულიყო. „ვაიმე მე ბედშავსა, ვაიმე! ეს რა მემართება!“ გულ-ჩაწყვეტით წამოიძახებდა ხოლმე მალი-მალ.

თითქმის ექვსი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ნიკომ გაუპატიურება დაუპირა. ამ დღეს ქიტუა ჩვეულებრივ საღამოთი ჩეკით შემოვიდა სახლში და რამდენიმე ფიცრისგან შეკრულ ტახტზედ ქალამნების გახდა დაიწყო. სოფიო იმის პირდაპირ იდგა და გატაცებით უცქეროდა იმის მეტისმეტ ჯაფისაგან ჩამომხმარ სახეს. ქიტუას ცქერაში იმას უფეროდ დაეხატა ნიკოს სიკოცხლით გაღაღადებული სახეც. „არ გებრალეები განა?!...“ მოესმა ეს სიტყვებიც.

— ქიტო, შენ გენაცვალე, შენი ქირიმე!... მივარდა სოფიო უფეროდ ქიტუას და კისერზედ მოეხვია.

— ქიტო, მიყვარხარ, მიყვარხარ!... ეხვეოდა ის და გატაცებით ჰკოცნიდა.

ქიტუასაც რომ სამაგიეროდ ხვევნა და კოცნა დაეწყო, იმასაც რომ აღერსით გულში ჩაეკრა, იქნება სოფიოს ყველაფერი ეამბნა, შეხვეწნოდა, რომ ეშველა რამ, მაგრამ ქიტუა ვერ მიხვდა ამასა და, როცა კისრიდან ძალით მოიშორა სოფიო, უთხრა:

— კარგია, მამი-შენის ცხონებას, რა დროს ეგვები! ერთი დროით დამიგე რამ, რომ დავეგდო. დილაზე აღრე მინდა ავდგე, თორემ გუთანზე დამიგვიანდება.

სოფიო რამდენსამე ხანს ერთს ადგილას გატვრინული და გამშრალი იდგა. „აბა ნიკოს მოხვეწნოდი, როგორ გულში ჩაეკრავდა!“ ჩასძახა უცნაურმა ხმამ, როცა ის გაშტერებული ქიტუას უმზერდა. ამ ხმამ სოფიო გაათრთოლა და გონზედ

მოიყვანა. ის მაშინვე გაბრუნდა, რომ ქიტუასთვის ქვეშაგები გაეშალა.

იმ ღამეს სოფიოს სულ არ დასძინებია. რაკი ყველამ დაიძინეს, სოფიო ისევ ადგა და გარედ გავიდა. ყელში სული უგუბდებოდა, სუნთქვა ეხუთებოდა. ის კარგა ხანს იჯდა დერეფანში, მაგრამ ამანაც არა უშველა-რა, თუმცა კი მაისის ღამის გამაცოცხლებელი ნიაფი დაჰსისინებდა და იმის გახურებულს, გაბადრულს სახეს გარს ეხვეოდა და ეაღერებოდა.

სოფიოს გული ყელში ებჯინებოდა, უნდოდა ტირილი, უნდოდა ისე, რომ თავის დღენი ასე არა მოსდომნია-რა, მაგრამ ცრემლი არ მოსდიოდა.

შუალამე გადავიდა. მამლებმა დიდი ხანია იყივლეს პირველად. საცაა მეორედაც იყივლებდნენ, მაგრამ სოფიო კი ისევ წვალობდა დი ცრემლი არ მოსდიოდა. როგორც მთიდან ჩამონაქანებმა წყალმა, ბოლოს, გადმოჰხეთქა ცრემლმა და ლოყები უხვად მოურწყა. აფრქვევდა ცრემლს და თან, გულ-ამომჯდარი, ბავშვივით სლოკინებდა.

მალამოსავით მოეცხო გულზედ ცრემლები. ამათ გამოიტანეს სხეულიდან მთელი ამ ღამის ვაი-ვაგლახი და განწმინდეს სოფიოს გული.

იმან ცოტა ხნის შემდეგ თავი კუნძზედ შიდა და მიეცა გამოურკვეველ ფიქრებს. ის მთლად დამშვიდებული სტკებოდა და სიამოვნებდა. სახე უღიმოდა, გული ნეტარებით ევსებოდა, თუმცა კი არ იცოდა, რისგან და რისთვის.

აქნობამდინ თუ ღამის ნიაფმა მოქმედება არ იქონია. სოფიოზედ, ესლა, როცა ის სტკებოდა თავის ოცნებით, გარიჟრაჟის ცივმა ნიაფმა მოუქირა და ააძაგაძაგა, მაგრამ ის მაინც ვერ ეთხოვებოდა თავის ტკბილ ოცნებებს და სახლში არ შედიოდა, სადაც ეძინა იმის ქმარს, რომელმაც უწყალოდ მოიშორა და იმისი აღერსი და გულის ძგერა არ მიიღო.

გათენებას აღარა აკლდა-რა, რომ სოფიო, ძილ-მორეული, ბარბაცით სახლში შევიდა და დამთერალი კაცივით ლოგინზედ გაღიჩხა.

სულ რამდენსამე წამს არ გაუეღია, რომ იმას ჩაეძინა და მძიმედ სუნთქვა დაიწყო...

VIII

მზე კარგა მალლა იყო აწეული, როცა სოფიომ გამოიღვიძა და დამთქნარებით გაიზმორა. იმან შეასწრო თვალი ერდოდან კერაზედ ჩამოშვებულს მოციმიციმე მზის სხივებს და საჩქაროდ წამოიძახა:

- უი დამიდგეს თვალები, შუადღეს მოუტანებია!
- მუუუუ!.. შემოესმა ბაკიდან ამ დროს ძროხის ბლავილი..
- მევეე!.. ამას მოჰყვა ჩჩვილი ხბოს ხმაც, რომელიც დერეთანში იყო მიბმული.
- ძროხაც შინ დამრჩენია, მე თავ-მკვდარსა! სთქვა ესა და მარდად წამოდგა ლოგინიდან.

საჩქაროდ გაღიკვა კაბა და დერეთანში გავიდა.

— დედი, ლამის აღის, ბლავილით გასქდნენ! დაბლვერილის სახით და საყვედურის კილოთი მიაძახა გიგლამ, რაწამს სოფიოს თვალი შეასწრო.

გიგლა და კატო გაღვიძების უმალვე ხბოს მოუსხდნენ და ყოველ იმის შებღაღღებზედ მოეხვეოდნენ და აღერსიანად შესძახოდნენ: „დედა გინდა, ფუჩინო? მოგშივდა? უი, და-და-და!..“ ესენი ველარ მოშორებიყვნენ მომტირალ ხბოს და იმის დაბღაღლა გულში სწვდებოდათ. კატოს კიდევ უნდოდა აეშვა ხბო, მოეწოებინა და მერე ისევ დაება, მაგრამ ველარ გაბედა. „დედამ რო გაგვიგოს!“ — შეაყენა ამ სიტყვებით გიგლა, როცა ფრან ხბოს ყელიდან თოკს ხსნა დაუწყაო.

— მერე რატო არ გამაღვიძებ? უპასუხა სოფიომ გიგლას საყვედურზედ,

— იმოდენა გაღვიძებ, ლო, აღ ვიცი, ლამოდენაა... სთქვა ისევ დაბლვერით გიგლამ.

— მარტო „უ, უუ“-ს იძახდი, როცა გაღვიძებდიო! სიტყვით უთხრა კატომ.

— აუშვი ჩქარა, თორემ ცოდნა! წამოიძახა სოფიომ და მივიდა ხბოსთან.

— მოგზივდა, ფუჩინო? ალერსით ჩასძახა სოფიომ ხბოს, როცა კატო თოქსა ჰხსნიდა.

— საწველელი გამოგიტანო? ჰკითხა კატომ, როცა აუშვა ხბო, რომელიც თავ-პირის მტვრევით დერეფნიდან გაეარდა და ბაქის კარებს გამაღებელი დაეჯახა.

— ხბოსაც ვერ გააძღობს, ისე მშვიერი იქნება, და რაღა მოეწველო!..

— აგერ ნახირი აქ ახლოა, მე და გიგლა გაუგდებთ ძროხას! უთხრა კატომ, როცა ხბო გაიტყინა და ძროხას მოშორდა.

— კარგი, გაუგდეთ, შვილო, და კი არამ შეგაშინოთ!

— რამ უნდა შეგვაშინოს! უბასუხა კატომ და ძროხა წინ გაიგდო.

— წავიდეთ, გიგლა! მერე მიუბრუნდა გიგლას და დაუძახა.

კატომ და გიგლამ წაიყვანეს ძროხა. სოფიო კი ისევ შინ შებრუნდა და, ლოგინების ალაგების შემდეგ, სახლის დასაგველად ცოცხს წამოაველო ხელი. ის იყო გვა უნდა დაეწყო, რომ ამ დროს გარედან ხველა შემოესმა. „ისაა!“ წამოიძახა სოფიომ და ცოცხი ხელიდან გაეარდა.

გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა, ფერი შეეცვალა და სუნთქვა შეუდგა. ის თვალს აღარ აშორებდა კარებს და უსიტყვოდ გაიძახოდა: „აი, საცაა შამოვა!“ მაგრამ კარებში არავინ შემოვიდა. ამის მაგივრად კიდევ შემოესმა ხველა. „რალას აჩქელებს და აღარ შამოვა!“ წამოიძახა სოფიომ:

ცოტა ხანს კიდევ იდგა ისე და მერე რაცრაცით კარებისკენ წავიდა.

— დილა მშვიდობისა, ნათლი-დედ! მოწიწებით შემოსძახა დერეფნიდან ნიკომ.

სოფიომ სამაგიერო ვერა უთხრა-რა. იმან მარტო შეხედა და ამ შეხედვით ყველაფერი აგრძნობინა ნიკოს. იმან ამოიკითხა სოფიოს თვალებში, რასაც სულ არ მოელოდდა. ამისთვის ის აჩქარებით შემოვიარდა სახლში და სოფიოს მივიარდა.

— მაშ არ მიწყრები?.. არ მიწყრები?.. ჰა?.. ჩემო... ჩემო... მოჰხვია იმან მკლავები და ლაფანივით მოშვებული და ძიბქმის გონება-მიხდილი სოფიო აღგზნებით ჩაიკრა გულში...

ასე დაიწყო იმათში კავშირი და მას შემდეგ, თითქმის ორის წლის განმავლობაში, როცა კი ქიტუა შინ არ იყო, რაც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ყოველთვის ერთად იყვნენ. მარტო იმათს ალერსს ხანდისხან ხელს უშლიდნენ ყმაწვილები, რომლებიც უეცრივ თავს წააწყდებოდნენ ხოლმე. ზამთარში ხომ, როცა იმათ მარტო ღამ-ღამობით შეეძლოთ შეხვედრიყვნენ ერთმანეთს, რადგანაც ქიტუა დღე შინ იყო და მხოლოდ ღამობით მიდიოდა ბოსელში დასაწოლად, ყმაწვილები ძალიან აწუხებდნენ. ერთხელ კატომ, ცოტას გაწყდა, კინაღამ არ გასცა.

ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო სოფიო და ნიკოც თვალიდან ამოეღოთ კატო და გიგლა და სახლიდან როგორმე გაეძევებინათ, რომ უფრო თავისუფლად ეალერსნათ ერთმანეთისთვის.

ამ განზრახვით სოფიო შეუჩნდა ქიტუას და ურჩევდა, რომ ყმაწვილები წაეყვანი სადმე და ან მოჯამაგირედ, ან კიდევ შეგირდად დაეყენებინა ვისთვისმე, მაგრამ იმან ამაზე ცივი უარი გაუცხადა.

რაკი ამითი ვერას გახდა, სოფიომ ნიკოს რჩევით სხვა საშუალებას მიჰმართა, და ეს საშუალება ყმაწვილების დევნა იყო. ბოლოს ხომ სოფიო იქამდინ მივიდა, რომ, როგორც ქიტუამა სთქვა, — „ღვთის რისხვა ღამეში“ ყმაწვილები გარედ გამოუძახა.

IX

ტყუილად დაიკვებებს ქმარი—ჩემ ცოლს ჩემ ნებაზედ ვავატარებო. თუ ცოლმა დაიყინა რამ, ისევ სჯობია, მაშინვე შეუსრულოს და წინააღმდეგობა არ გაუწიოს; თორემ ვერას

გახდება. იმდენს იზამს, იმისთანა საშუალებებს მიჰმართავს, რომ კაცს გააკვირვებს და ასე თავისას მაინც გაიყვანს. მიღებულია ის აზრი, თუმცა კი სულ უსაფუძვლოდ, ვითომ ქმარი თავია და ცოლი კი კული, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვასა ვხედავთ: ცოლს ქმრის ცხვირი უჭირავს და საითაც უნდა, იქით აქნეინებს პირს.

ქიტუასაც ასე მოუვიდა. პირველში ის ძალიან უარზე დიყო, მაგრამ ბოლოს კი იძულებული გახდა თავის ცოლის სურვილი დაეკმაყოფილებინა, და აი „ჯოჯოხეთ ღამის“ შემდეგ სულ ერთი კვირა არ გასულა, რომ ქიტუა თავის ქალ-ვაჟით ტფილისში სასახლის იქით იდგა და კვირა დღეს სასაიროდ გამოფენილ ხალხს შესცქეროდა დაღრეკილის სახით, იმ განზრახვით, რომ ან ერთი შეიბრალებდა და ან მეორე და გიგლას და კატოს შეგირდად ან მოსამსახურედ აიყვანდა.

გამუდმებული წვიმიანი ამინდის შემდეგ ნოემბრის უკანასკნელმა მზიანმა კვირა დღემ გამოიწვია ტფილისის საზოგადოება უმთავრეს ქუჩაზედ სასაიროდ.

ვის არა ნახავდა კაცი აქ ამ დღეს? ნასწავლთაც და უსწავლელთაც, მოსწავლეთაც და არა-მოსწავლეთაც, ეთი სიტყვით,—ყველას აქ მოეყარა თავი.

თითქოს ამ კალეიდოსკოპს დავიწყებოდა საზოგადოებრივი და წოდებრივი განსხვავება და განეზრახა ერთ რიგში მოთავსებულიყო. ქიანჭველასავით იძროდა და ირხეოდა ეს ტფილისის აქრელებული საზოგადოება და უკვლოდ, უსაგნოდ წყნარის ნაბიჯით წინ და უკან მიდი-მოდიოდა; დავიწყებოდა თავისი შური, ჯიბრი, ძარცვა-გლეჯა, ბეზღობა, სიმუხთლე და ერთს რაღაც გამოჟრკვეველ სიხარულს მისცემოდა და თვალის ჩაბუტვით შესცქეროდა ძალა-გამოცლილ მზეს, რომელიც მოწყენით დასცქეროდა ზევიდან ჯურღმულს და თითქოს ჩამოსძახოდა: „თქვენ ამ ძალა-გამოცლილ სიხვების ღირსნიც არა ხართ... გული მეწვის, გული მეთუთქება ხოლმე, როდესაც თვალს გადავაგლებ ხოლმე თქვენის მოქმედების რუქას, რომელიც ცის სივრცეში ცრემლით და სისხლით არის

აღბეჭდილი და ყოველ თვალის გახილვაზედ წინ გადამეშლება ხოლმე. მინდა სამუდამოდ მოგაშოროთ თვალი, მაგრამ... მაგრამ რა ექნა, რომ ვერ შემიძლიან ამის ასრულება!.. ჩემები, ჩემით ხართ ნაშობნი ბუნების ველზედ და ამისთვის გული არ მითმენს, ვერ გამიძლია უთქვენოდ!.. ეჰ, რა ექნა... რა ექნა?!" თითქოს მწარედ წამოიძახა მზემ და მოეფარა ნაგლეჯ ღრუბელს, რომ ცოტახნობით მაინც მრეშორებინა თვალი სიმუხთლის რუქასათვის და დამშვიდებულიყო.

ჯურღმულში მოძრავმა ხალხმა უკმაყოფილოდ შეიკმუხნნასხე და ყველამ, თავისდა უნებურად, ღრუბლებში შესულს მზეს თვალები მიაპყრა და საყვედურით ეუბნებოდა: „რალას გვემალები“?..

ქიტუამაც შეხედა მზეს და ხნამალღ წამოიძახა: „ეჰ, ღმერთო!“ მერე გადახედა თავის ქალ-ვაჟს, რომლებიც იმას გვერდში ამოჰკროდნენ. ქიტუამ შეხედა იმათს დაღვრემილ სახეს დი გული ჩაეთუთქა. „რა ექნა, რა?!“ მწარედ გაიფიქრა ქიტუამ და თვალეში გადმოსახეთქად მოგუბებული ცრემლები ძლივას დააბრუნა უკან...

„ვის მივმართო?! რა წყალშიცავეარდე?“ წამ-და-უწყუმ გაიფიქრებდა ხოლმე ქიტუა და მოსეირნე ხალხს შეხედავდა, რომ ეგება ჩოხიანი ან ლეჩაქიანი დაენახა ვინმე; მაგრამ ძალიან იშვიათად დაინახავდა ხოლმე. ის, ყოველ იმათ დანახვაზედ, წაიწევდა წინ, რომ ეთქვა რამ, მაგრამ, ვიდრემდინ ქიტუა ხმის ამოღებას მოახერხებდა, ისენი უკვე მიიმალებოდნენ...

— და-ძმობას, მოსამსახურე ხომ არ გინდა? აკანკალეებულის ხმით მიჰმართა ქიტუამ ვრდ მუხანხან მანდილოსანს, რომელმაც კატოს დაუწყო ცქერა.

— რა ლამაზი რამ არის, რა ლამაზი! იძახდა თავისთავად მანდილოსანი და კატოს კუმეტ თვალეbs გაშტერებით უცქეროდა.

ქიტუამ კიდევ გაუმეორა კითხვა.

— მოსამსახურედ გინდა დააყენო? უპასუხა კითხვითვე მანდილოსანმა და ახლოც მივიდა.

— ჰო, შენი ქირიმე, ქალბატონო! უპასუხა ქიტუამ და გახარებულმა წინ წაიწია.

— ამ ერთი ბეწომ რა უნდა გააკეთოს? უთხრა მანდილოსანმა.

— რაღა ერთი ბეწოა, შენი ქირიმე, ათი წლისა შქარა გახდება.

— რა ლამაზი გოგონა რამ არის! მივიდა მანდილოსანი ვატოსთან და აკოცა.

— შენი სახელი, ქაჯან? ჰკითხა კატოს, რომელმაც კრცნაზედ თავი ძირს ჩაღუნა და ზემოდ სულ აღარ აუხედნია.

— კატო ჰქვიან, შენი ქირიმე! უპასუხა ქიტუამ კატოს მაგივრად.

— მაშ ათისა ჩქარა გახდებაა? გაგარძელებით ჰკითხა მანდილოსანმა და მერე თითებზედ თავისთვის თვლა დაიწყო.

— ათანამ თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი და თოთხმეტი. ეს ოთხი წელიწადი. ოჰოოო!... ჩაფიქრდა ის და მერე წამოიძახა:

— მე ავიყვან. ისე კარგად მოუყვლი, რომ შენი ქალი ვეღარც კი იცნო. მე ყველაფერსაც ვასწავლი. ბევრი ამისთანა გამიზრდია...

— აი, შენ ღმერთს კი ვენაცვალე, ქალბატონო, შენსას! სიხარულით წამოიძახა ქიტუამ და მერე საჩქაროდ დაუმატა:

— იქნება ესეც აიყვანო და სიკეთე დასთესო! და-ძმა ერთად უფრო ხალისიანად გაგიკეთებენ საქმეს.

— არა, ჩემო ძმობილო, ეგ სხვას მიეცი ვისმე.

— კარგი კი იქნებოდა ერთადა-და... ეგ შენი ნებაა...

— აბა, ქაჯან, წავიდეთ. ჩაავლო კატოს ხელი და გასწია.

— გვარი რაღაა ამისი?

— გიგაურებს გვეძახიან, ქალბატონო! მოწყენით წამოიძახა ქიტუამ. იმან წარმოიდგინა, რომ ეხლა, საცაა, გაშორდება თავის კატოს და ამან გული მოუკლა:

— წაჰყევი, შეიღო, წაჰყევი! უთხრა კატოს, რომელიც იმის ჩოხას დაეკიდა და არ მისდევდა მანდილოსანს.

— არ წაყვები, მამილო! ტირილით უთხრა კატომ.

— სად მიგყავს, ეი! ტირილითვე უთხრა გიგლამ და კატოს ხელი დაუჭირა.

— ნუ გეშინიან, შვილო, ნუ! ეგ მადლიანი ადამიანია! ანუგეშებდა ქიტუა კატოს, მაგრამ თვითონაც ტირილი მოსდიოდა და ცრემლებს ძლიეს იმაგრებდა.

— რა გატირებს, ქაჯან, ღმერთმანი, ისე შევინახო, რომ მერე მამის ნახვა აღარც კი მოგინდეს! უთხრა მანდილოსანმა, როცა ქიტუამ ჩოხის კალთა გააშვებინა და გიგლაც მოაშორა.

— გიგლო?!... სასოწარკვეთილებით გადმოსძახა ეტლიდან კატომ თავის პატარა ძმას, რაკი მამამ ვერა უშველა-რა...

— ნუ მიგყავს, ეი!... წამოიყვირა გიგლამ და მამას ხელიდან გაუსხლტა. ის მივარდა ეტლს და ხელები წინ გაიშვირა, რომ კატოსთვის მოეკიდნა, მაგრამ ამ ღროს დაიძრა ეტლი და გიგლა კინაღამ ქვეშ არ მოიყოლა...

ხალხს მოსწყინდა მოსაწყენი სიამოვნება და ნელ-ნელა შინისკენ დაიწყო წასვლა. სულ ერთი საათი არ გასულა კატოს წაყვანის შემდეგ, რომ უმთავრესს ქუჩაზედ მოსივრნეთა რიცხვმა ერთი ოცად იკლო. ბოლოს, ქუჩებში თითო-ოროლა უგზო-უკვლოდ მოხეტიალეთა ჯურის ხალხი-და დაღანდებულა აქა-იქა, რომლებსაც ცუდი და კარგი დარი, დილა და საღამო არ გააჩნიათ.

— ჩვენ რაღას ვუდგევართ, შვილო, წავიდეთ! უთხრა ქიტუამ გიგლას და ვარანცოვის ხიდისკენ გაემგზავრა.

გიგლაც დაედგენა იმასა და ჩქარა ორივენი ერთად ხიდებს გასდნენ.

ქიტუა მოდიოდა და თავის ბედს სწყევლიდა, სწყევლიდა თავის გაჩენის დღეს და ემდუროდა ყველას. იმას სოფოზზედ მოსდიოდა ჯავრი, რომ იმის წყალობით შვილები ასე არე-არე უნდა ერბენინებინა და თითონაც გზიდან გადავარდნილიყო. „აი, დედაკაცის გაჩენის დღე კი დაიქცეს, აისრე!“ — მაღი-მაღი

წამოიძახებდა ხოლმე და მერე ისევ დაუმატებდა: „შე დალოცვილო ღმერთო, დედაკაცი რა გასაჩენი იყო, რომ გააჩინე“!...

— მაი, პური შშიან! ნამტირალევის ხმით უთხრა გიგლამ, როცა ავჭალის ქუჩაზედ ერთი მესაჭმლის დუქნიდან საჭმლის სუნი ეცა იმას და შიმშილი აგრძნობინა.

ქიტუასაც მოშივდა. იმის პირში მთელი დღე ნაწილი არ ჩასულიყო.

— წამო, შეილო, და აი აქ ვჭამოთ. უთხრა ქიტუამ და შევიდა ვიწროსა და ქუჩყიანს საჭმლის დუქანში.

— გამარჯვება, ძმობილო! შესვლისათანავე უთხრა ქიტუამ და წელზედ შემოკრული თეთრი ყაბალახი შემოიხსნა.

— გაგმარჯოს ღმერთმა! უპასუხა მთლად შავად გაქონილ და გათხუზნილ ტანისამოსიანმა შუახნის კაცმა.

— ერთი შაურის ლობიო-შაჭამანდი მოგვიტანე, თუ ღმერთი გწამს! უთხრა ქიტუამ და სტოლთან დაჯდა.

— ვა, რატომ ესე ბატონური დრო ამოვირჩევია სადილისთვის? გაემასხარავე გათხუზნილი მედუქნე, როცა იმან დიდჯამით ლობიო-შეჭამანდი წინ დაუდგა.

— რა ვქნა, ჩემო ძმაო, რომ ასეთი დრო ამოვირჩიე! დაიწყა ქიტუამ და თან ყაბალახიდან ამოდებულ პურს ლუკმა-ლუკმად ანაწილებდა და ჯამში ჰყრიდა. გიგლა კი ამ დროს გამალებული იღებდა ჯამიდან ლობიოში დამბალ პურს და შეექცეოდა.

— უთუოდ გვიან გაგიყიდნია შეშა, რომ აგრე დაგგვიანებია! გამოელაპარაკა კიდევ ცუდად მჯდომი მედუქნე, რადგანაც მუშტარი ამ დროს ქიტუას მეტი არავინა ჰყვანდა.

— შეშა კი არა, ოხრობა გამიყიდნია! აი ე ბალღები მყვანდა გაღმა და მინდოდა შეგირდად მიმეცა ვისთვისმე.

— სადა გყვანდა?

— სადა და აი გაღმა. ბლომად ხალხი დადიოდა და იქ მეყენა.

— ვა, გეყენა, განა ცხვარი იყო, რომ მუშტარი თვითონ მოგსვლოდა? არ იცი, რომ ეგრე ვერავის მისცემდი?

— რა ეშმაკი და ქაჯი ვიცი? ი გოგო კი მივაბარე და ეს კი ისევ დამრჩა და სახლში მინდა წავიყვანო. უთხრა ქიტუამ და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ გული თან ამოაყოლა.

— გოგოცა გყვანდა?

— ჰო.

— მერე ვის მიეცი?

— რა ვიცი, ვის მივეცი... ერთი მადლიანი ადამიანი გაამოიჩინდა და იმან აიყვანა.

— ვა, რა ოხერი რამა ყოფილხარ! არ იცნობ და გოგო კი მიეცი?!

ეს სიტყვები ქიტუას არ ექაშნიკა და როგორღაც გულში ჩასწვდა. იმან ახლა-ღა მოიფიქრა, რომ ამ მანდილოსანის არც სახლი იცის და არც სახელი, ნახვაც რომ უნდოდეს, სადა ჰნახავს? მაგრამ ჩქარა დამშვიდდა, რადგანაც წარმოიდგინა იმ მანდილოსანის გულკეთილობა და უსიტყვოდ უთხრა თავის თავს: „ის თვითონ მომნახავს, როცა კატა დიდი გახდება, და ჩამაბარებს. იმან ხომ გვარიც იცის ჩემი და სახელიც“. ასე ინუგეშა იმან თავი და ჩათაშრულ ლობიოს ჭამა დაუწყო.

— მაშე ბიჭი შინ გინდა წაიყვანო? ჰკითხა მელუქნემ რამოდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ.

— მა რა ვქნა, შენი კირიმე, რო შინ არ წავიყვანო. წაიყვან და იქ დავუყენებ ვისმე მოჯამაგირედ. უპასუხა ქიტუამ.

— ქალაქში ჩამოგიყვანია და ისევ სოფელში მიგყავს?! გაკვირვებით უთხრა მელუქნემ: რას ამბობ, კაცო! გინდა შენსავით ხეპრე გამოიყვანო?

— თუ კი არავინ აიყვანა, მა სად წავიყვანო?

— ჰო, ვგაც კია, აი!..

მამა-შვილი მორჩა ჭამას. ქიტუა წამოდგა და პირჯვარი გადიწერა: „ღმერთო, შენ მოწყალებას ნუ მომაკლებ!“ პირჯვრის წერასთან ერთად ქულის მოხდით წამოიძახა და გაფხუპნილ კაცს შაურიანი მისცა.

— ახლა კი წაივლეთ, შვილო! უთხრა გიგლას, რომელიც უკვე წასასვლელად მზად იყო, და კარებისკენ გაემგზავრა.

მზე ნახევრად მოჰფარებოდა მთაწმიდას და თავისი ბოლონა სხივები სულ ერთად შეეკრიბნა და მთაწმიდის წვერის ერთ წერტილისთვის მიეშუქებინა, რის გამოც ლაპლაპი და შვიდ-ფრად ბრჭყვიალი გაჰქონდა...

— ძმობილო! შეაყენა მელუქნემ ქიტუა კარებში და შემდეგ განაგრძო:

— იცი რა გითხრა!.. მე მაინც ბიჭი მიჭირს და მოდი ეშენი შვილი ჩემთან გაუშვი!.. სუფ-სარქისის ხატს გეფიცები, ისე მოვუვლი, რომ ჩემ თავზე კარგად. შინ რო წაიყვანო, შე დალოცვილო, ხო მეურმედ უნდა გამოვიდეს. აქ კი ყველაფერს ისწავლის, გახდება კაცი და მერე თითონ „ხაზეინი“ იქნება.

ქიტუა ჩაფიქრდა. „ეს სომეხი კაცია და რა ვიცი, იქნება. მართლა ფული მოაგებინოს!“ გაიფიქრა იმან.

— ჰა, რაღას ჩაფიქრებულხარ? დაეკითხა ის, რაკი პასუხი ვერ მიიღო.

— რამდენიმე წლის შემდეგ ჯამაგირსაც გავუჩენ. დაუმატა იმან.

— თუ კი მაგისთანა სიკეთეს მიზამ, რაღა მინდა...

— მაშ ხელი-ხელს რაღა? წამოიძახა „სომეხმა კაცმა“ და ხელი გაუწოდა, რომელიც ქიტუამ ჩამოართვა.

ქიტუამ გადასწყვიტა, რომ გიგლა ამასთან გაეშვა და შინ წასვლა დააპირა.

— ვა, მამიჯან, უთხრა „სომეხმა კაცმა“, საცაა დაღამდება და შენ კი სოფელში წასვლას აპირობ? მართალია, ე ხანჯალი კი დიდი გაქვს, მაგრამ, რა ვიცი, კაცს რა შამთხვევა არ მოელოს.. ისა სჯობია, დილაზე ადრე წახვიდე.

— რაღა შეგაწუხო, შენი ჭირიმე, ამაღამ წავალ და ხვალ საღამოს შინ ვიქნები. უპასუხა ქიტუამ და უტყავო ხანჯლის ქარქაშს ხელი გაუსვა.

— გეუბნები, კაცო, ამაღამ აქ დარჩი-მეთქი! ვინ იცის, რა ნადირი არ შეგხვდეს... შენი ხანჯლით რას გარეკამ?... არა, მამიჯან, დილის შარი ირჩიე საღამოს ხეირსა. შეწუხებით კიდევ შე რა უნდა შემაწუხო, აი ეს სახლი ვერ დაგიტევს?!

თუ გინდა, ისე გაიჭიმე, რომ თავი ერთ კედელთან გქონდეს და ფეხები კიდევ შეორესთან.

ქიტუაც აღარ აუხირდა.

შუა ღამე მოტანებულიყო. ნახევრად გაბადრული მთვარე კეკლუცად მიცქრიალებდა ცის სივრცეში და მკრთალად ანათებდა სოფ. ბ — ის არე-მარეს, რომელიც, ამ დღეს პირველად მოსულ თოვლით, მთლად თეთრად შემოსილიყო და ღამის დედოფლის მკრთალ ნათელზედ ღრმა ძილს მიცემული მკრთალადვე მოციმციმებდა. იმის ღრმა ძილს არა არღვევდა-რა. არაგვიც კი, ის არაგვი, რომელიც სხვა დროს მოჰყევს, მოხუის და მოჰკვენეს-მოტირის და ამ ხმით მოუთხრობს ქართველთა ტანჯვას, რასაც ტკბილი ბანის თქმით მთა, ტყე და ველი ემოწმებიან, გაჩუმებულიყო, თითქოს იმასაც მოსწყენოდა ტყუილ-უბრალო კვენესა-გოდება, ყფთა და შფოთვა და სხვისი თვალის მიგებით მისძინებოდა... მარტო სოფ. ბ — ში აქა-იქა უბნებიდან მოისმოდა ძაღლების გაგრძელებული ყმუილი, რომელიც თოვლით შემოსულ ტყესა და მთებში იფანტებოდა და შიმშილისაგან იქ მოწანწალე ნადირს აფრთხობდა. ეს ყმუილიც თან-და-თან უფრო იშვიათად მოისმოდა და, ბოლოს, სულ მისწყდა და სამარცხებრივი სიჩუმე ჩამოვარდა...

— ჰაი, და-და და-და-და, უუუუ, დაა-დაა-დაა!.. უეცრივ გაისმა ვილასიც ხმა ამ სამარცხებურ სიჩუმეში და თან თოფის გრილიც მოჰყვა, რომელმაც მთელის სოფლის ძაღლები ააჩოჩქოლა..

— არიქააა!.. დასძახა კიდევ იმავე ხმამ ძაღლებს, რომლებიც ყფით და თავპირის გლეჯით მისდევდნენ ტყისკენ მიმრბინავ მგელს.

— აი, ის ვერანა, ისა!.. წამოიძახა ქიტუამ, რომელიც ამ დროს სოფელს დაუახლოვდა და რომლის ახლოსაც გაირბინეს მგელმა და ძაღლებმა.

— არიქა!.. ამანაც დასკვივლა და ცოტა ხანს შედგა.

— უთუოდ ფარეხში შეეპარებოდა ი ვერანი, აი! წამო-
რძახა ქიტუამ, როცა ძაღლები და მგელი ტყეში შეცვივდნენ,
და გამოსწია შინისაკენ.

ხმა ისევ ჩქარა მისწყდა. ქიტუა, წელში ორად მოკაკუ-
ლო, მიადგა თავის სახლის კარებსა და ის იყო უნდა საურ-
დულში ხელი შეეყო და კარი გაეღო, რომ ამ დროს სახლი-
დან სიცილი გამოესმა. ის შესდგა და ყურები ცქვიტა და თან
საურდულედან ჭკრეტა დაუწყა.

— ნათლია ყოფილა! დამშეიდებით წამოიძახა ქიტუამ და
კარებს უნდა მისწოლოდა, რადგანაც შენიშნა, რომ ურდული
არა ჰქონდა წაყრილი.

— მზაა!.. მკაფიოდ მოესმა ამ დროს კოცნის ხმა.

— თვალემა ხომ არ მომატყუეს? გაიფიქრა ქიტუამ და
ისევ საურდულედან შეიჭვრიტა.

— შენ კი გენაცვალე, ნათლი! მოესმა იმას სოფიოს ხმა
და კიდევაც დაინახა, როგორ გადაეხვია ის ნათლიას, და ნა-
თლიამ კიდევ როგორ მიიკრა გულში.

— ეგ თათრები, ეგენი!... არევიტ წამოიძახა ქიტუამ და
საურდულეს თვალს ველარ აშორებდა.

ის შესცქეროდა და ყველაფერს ჰხედავდა. ამასთანავე ისი-
ნი კარგა ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რადგანაც აღარავისი
ერიდებოდათ, და ქიტუას ყველაფერი მკაფიოდ ესმოდა.

— თათრები, თათრები!... ნათელ-მირნობასაც აღარ
ინდობენ!... სულ უგონოდ გაიძახოდა ქიტუა და ტანში მთლად
ირყეოდა.

— ასე რად დაიგვიანე, ნათლი? ეხლა ვიღასი გეშინოდა?
ჰკითხა სოფიომ, როცა ხვევნით დასტკბა.

— ვისი უნდა შშინებიყოს!... უპასუხა ნათლიამ.

— მაშ რად დაიგვიანე? აი მე დიდი ხანია ლოგინი გავ-
შალე და შენ ლოდინში სული ამომდიოდა!

— აჰაა!... ძლივას ამოიქმინა ამ სიტყვებით გაცოფებულ-
მა ქიტუამ.

— ვახშამს. არ მიირთმევ?

— რა შევახშმება, ჩემო ნათლი-დედ! შენზე კარგს ვახშმად რას მომიტან, ჰა?!... სიყვარულით წამოიძახა ნიკომ და გულში კიდევ ჩაიკრა.

— იცი, ჩემო ნათლი-დედ, ეს მესამე ღამეა, რაც ძალაზე თავისუფლოდ ვგრძნობ ჩემ თავს ამ სახლში, — სთქვა ნიკომ და ტანისამოსის ხდა დაიწყო.

— რაკი ი ბალები თავიდან მოვიშორეთ, ეხლა სულ თავისუფლები ვიქნებით. ალერსითვე უთხრა სოფიომ.

— ვაიმე, ვაიმე!... უხმოდ წამოიძახა ქიტუამ და კრემლები გადმოსცივდა.

— ის კედელს მიეყრდნო, თორემ გადიქცუოდა, ისე იმოქმედა იმაზედ სოფიოს სიტყვებმა:

ქიტუამ ვეღარ გაუძლო ამ სურათსა და თვალი მოაშორა.

— შენც გაიხადე! მოესმა ქიტუას ნიკოს ხმა.

— დაიცა, დამსვი, სანთელ მოვასვენებ!

— იწყობთ, იწყობთ, ჰა!... შეჰყვირა ქიტუამ და გაცოფებული სახლში შევარდა...

ამ უეცარმა შემთხვევამ ნიკო სულ გადარიგ. იმან გაუშო ხელიდან სოფიო, რომელიც ერთი შეკვივლის შემდეგ უგონოდ დაეცა კერასთან, თვითონ ნიკო კი პერანგის ამარა კარებისკენ გაქანდა, მაგრამ ის ცოტა ტორტმანის შემდეგ გულდაღმა გადავარდა, და მკერდიდან სისხლმა ამოსჩქეფა.

— ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. ეგაა!.. ჩემი შვილები!.. კატო... გიგლა... კატო... გიგლა!.. ხითხითებდა გამხეცებული ქიტუა და თან გაშხლართულ ნიკოს გვაძს ჩანჯლით ჰკეპავდა...

შ. ზაზგვისპირელი

ს ი მ ლ ი რ ა

ვუძღვნი ქ-ლ სტ-ბს

რად მწამებ ორგულობას,
ჩემო სულის ჩამდგმელო?
რად მყუდრი მტერობას,
ჩემო დამტირებელო?

შენ არ მოგწონს ზარის სმა,
გლოჯა გულის მსერავი,
ვალალების, დრტინვის სმა—
უიმედოდ მხატვრავი.

ტებილ ბუღბუღის სტეპნისთვის
უური შეგვიჩვევია,
მსურველე არ შეიყისთვის
სელი მოგვისკვია.

შენს საქებრად შენს შვილებს
თავი უგულებიათ,
იმათის ჩანგის სიმებს
ზეტაც უტყუებიათ.

თვით გუნდი ანგელოზთა
მათ გალობას შენატრის,
და მღერა სირინოზთა
მით გულისა მოენატრის.

შენ ანკარა წყაროთა
 წუხნუნი და წსრიალი
 გვაჩვენებს ნეტარებითა,
 მუსიკის სმად ქტეული...

უმაღლეს მთების წვერთა
 მგოსანნი მისწვდებიან
 და მათ საიდუმლოთა
 ქვეყნად იუწებინ.

ბუნქიც არ დაგრჩენია: —
 ყველას ძირში მგოსანსა
 წრემლით მოუღესენია,
 უცხოს, თუ შენიანსა...

მეც მინდა, რომ ვუძღვრო
 შენს სიტურფეს ციურსა,
 მინდა ჩანგი გიუღვრო
 ჩემსა სიტურფოს ღვთიურსა.

მაგრამ ეჭვით გამსჭვალულს
 გონება მეურნება;
 ეშხით აღფრთოვანებულს
 ის სხვას მესურნებება:

გვეყო სტექს-ჭიკტიცი,
 სიჭაბუკის დიდება;
 მუდამ დაფდაფ-დუღუგი
 უურსაც მოეწიებება!

ღამაში სარ, ტურფა სარ,
 ბედნიერი დღეც გქონდა, —
 დღეს კი ღანდად გამსდარხარ,
 დაგიკარგავს, რაც გქონდა!...

ვიცი, რომ შენ მწკაცს წელულებს
 ქებით გერას გუშეკელი...
 ვეძებ უებას წამლებს—
 შენს განკურნას მით კელი...

დოსტაქრის ბასრის დანით
 თვით ტებილს ძუძუს გავიბობ,
 თუ კი შეპყრობილს სენით
 სსვაფრივ გერას გატიწობ!..

შვილს რად მწამებ მტერობას,
 ჩემო სულის ჩამდგმელო?
 რად მწამებ ორგულობას,
 ჩემო დამტირებელო?

ილ. ჩაქოანო

ქუთაისი.

ი ა ნ ე მ მ მ შ ს ი კ მ

ამბავი გენრიკ სენკევიჩისა

ჭკეუნად სუსტი და უძლური ბავშვი დაიბადა. მულოგინეს სანასაკად მოსული ქალები უიმედოდ აჭნეკდნენ თავს დედისა და ბავშვის დანახვასკედ. მჭედლის ცოლი შიმანოვისა, როგორც ყველაზე უფრო გამოცდილი დედაქატი, ავადმოაფს ანუგეკებდა.

— მოიტა, — უთხრა იმან, — მე აგანთებ ნაკურთხ სანთელს, შენ, ხემო ნათლი-დედა, აღარა გეშეკლება-რა, საიქიოსთვის უნდა მოირო და მღვდელიც დაიბარო, რომ შეგინდოს შეცოდებანი შენნი.

— ეს ბიჭი კი, — სთქვა მეორემ, — ესლავე უნდა მოინათლოს. მღვდლის მოსვლამდინაც კერ მიაღწეოს. კარგი იქნება, თუ მოუნათლავი მანინც არ მოკეკება.

ამის თქმის უძალ მან ანთო ნაკურთხი სანთელი, აიყვანა ბავშვი ხელში და ასხურა წყლით, რის გამოც ბავშვმა თვალების ხუჭვად დაიწყო. შემდეგ ქალმა განაგრძო:

— განთლავ შენ, სასელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, და გიწოდებ სასელად იანკოს, აწ, გაჭრისტიანებულო. სულო, წარკედ იჭ, საიდანაც მოსველ, ამინ!

მაგრამ გაჭრისტიანებულ სულს სრულებითაც არა ჭქონდა სურვილი დაეტოკებინა თავისი უძლური სსეული და წსუელიყო იჭ, საიდანაც მოვიდა, — ბირიქით, ყმაწვილმა დაიწყო ფეხების ქნევა და ტირილი ისეთი შესაბრალისი და სუსტი ხმით, რომ დამსწრე ქალები შემდეგ იტყოდნენ ხოლმე: მოსაგონებლადაც სსსაცილოა: კტის კნუტი იყო — არც იყო, მაგრამ კნაოდა კი!

მღვდლის მოსაყვანად გაგზავნეს. იგი მკვიდა, თავის მოკა-
ლუბას შეასრულა და წავიდა. ავადყოფი უკედ შეიქნა. ერთი კვი-
რის შემდეგ ღებავატი მუშაობდა კიდევ. ემაწვილი კი ისევ კნა-
და და კნადა, მაგრამ, როგორც იყო, ათ წლამდინ მიანც მიაღწია.

იგი იყო გამოსდარი, მზე-მოკიდებული, მუცელ-გაბერილი და ღო-
ყებ-წაზარდნილი ბავშვი; სკლის მიხატვარი, თითქმის თეთრი
თმები დატყუტილ თვალებზედ ჭქონდა სამოფარებული და ისე უყუ-
რებდა ჭეკეანას; როგორც განუსაზღვრელს რამ სივრცეს. ზამთრო-
ბით. ემაწვილი ღუძელს მიუჯდებოდა და ხუმად ტირიდა სიცივის
გამო, ზოგჯერ შიმშილის გამოდაც, როდესაც მის დედას არც მო-
სახარში ჭქონდა და არც შესაწავავი; ზაფხულობით ჰერანგის ამარა
დადიოდა, წელსე რაღაც ნაჭერი ჭქონდა შემოკერილი, თავზე ხა-
ლის ქუდი ესურა და ხიტვივით აჯვი მიღება აშეკერილი ჭქონდა და
ისე იტყირებოდა.

დედას, რომელიც დღიურად გამოდიოდა მუშაობისა და მერ-
ცხალივით სხვის ჭერ ქვეშ ცხოვრობდა, იქნება კიდევ უფროდა
თავისი შვილი, მაგრამ სმირად კი სტემა სოლმე და ყოველთვის
ემიგდებულს ეძისდა. რვა წლისა რომ შეიქნა, იანკო მწვემის თა-
ნაშემწე გახდა; როდესაც მის საჭმელი არა იყო-რა, ტყეში მიდი-
ოდა სოლმე სოკოების მოსაკრეფად. როგორ არ შესტამეს ის იქ
მკლებმა, მსოფოდ ერთმა ღმერთმა ხრის.

იგი იყო მხდალი ემაწვილი და, როგორც ეგელა გელის ბავ-
შეებმა ხრის, როდესაც უცნა დაძიანი ელაზარაკებოდა, პირში თი-
თებს ჩაისრინდა სოლმე. არაგის არ ეგონა, რომ იგი გაზრდებოდა
და დედას დაესმარებოდა რაშიმე, რადგანაც მუშაობის ნიჭი სრუ-
ლიად არა ჭქონდა.

ეგნ იცის, როგორც და ეს კი იყო, რომ მას მუხსიკის დიდი
სიყვარული ჭქონდა. სუეეგლვან იმის სმა ესმოდა. როდესაც ცოტა
წამოიზარდა, მუხსიკის მეტი არა ახსოვდა-რა, ტყეში წავიდოდა
საჭონლის მოსამებულად ან თუ რამე ხილის მოსაკრეფად, ყო-
ველთვის ხელ-ცარიელი დაბრუნებოდა სოლმე და დედას ხელეზის
კნით ეტყოდა:

— დედა, იქ ტყეში რაღაცა უკრავდა... ოჰ, ოჰ!

— მე შენ განკენებ, როგორ უნდა დაკვრა! ეტყოდა. დედა და დაუწეებდა ციცხვით ცემის.

ბავშვი ვეიროდა, ჭშირდებოდა—მეტს არ გინამო, მაგრამ სულ კი იმასე ფიქრობდა, რომ იქ ტყეში რაღაცა უკრავსო... მაგრამ რა უკრავდა? ხახ, ამან რა იცოდა? ფიჭვი, წიფელი, არყი, ნაკერისნაღი—უკვლანთი უკრავდნენ, ერთი სიტყვით, მთელი ტყე უკრავდა და ეს იყო!..

მთებიდან მოცემული სმაც აგრედვე უკრავდა... მინდორშიაც მდელი უკრავდა, ბაღისაში ქოხის ახლო სიტუბი ისე ჭიკჭიკობდნენ, რომ ალუბლის სეებს არსეკდნენ. საღამოობით ყმაწვილი ყურს უგდებდა ყოველსავე სმას, რომელიც სოფლიდან მოდიოდა, და ეგონა მთელი სოფელი უკრავსო. როდესაც გაჭტხანინდნენ სამუშაოდ, პატრიის განსაღელვად, მაშინაც კი იმის ფიქრით ქარი ფოცნსე უკრავდა.

ერთსელ, როდესაც იგი თმა-გაწეწილი იდგა და ყურს უგდებდა, თუ ქარი ხის ფოცნსე როგორ უკრავდა, იგი დაინახა მეთაღყურე მუშამ, მოისინა ქამარი და იმით კარვავდა სცემა იმას. სოფლები იანგო მემუსიკეს ეისდნენ. განაყსულსე იგი გარბოდა სასლიდან და წყლის ნაშირსედ სტვირებს აკეთებდა. ღამე კი, როდესაც ბაყაუბი ყიყინს იწყებდნენ, კოდალა სეს აკაგუნებდა და ღობესედ შემოქადარი მამლები ყივილს მოართავდნენ,—იანგოს სრულად არ ეძინებოდა, სულ სმენად გადაიქცეოდა და ღმერთის იცის ყოველსავე ამაში რა ჭარმონის ჭხოკებდა. დედას ეკლესიაშიც კერ მიჰყავდა იგი, ამისთვის რომ, როგორც კი ორგანი დაუკრავდა და მგალობლები ტვბილად იწყებდნენ გალობას, მას თაკლები მოენაშებოდა სოლმე და თითქოს რაღაც სსხვა ჭყეყანას უმსერდნენ...

სოფლის დარავს, რომელიც ძილის დასაიფთხოვლად სან ვარსკვლავებს სოფლიდა და სან ძაღლებს ჩუმიად ეხასებოდა, არა ერთსელ უნახავს, რომ იანგო თეთრი ჰერანგის ამარა ბნელში დუქნისეკენ მიიზარებოდა სოლმე. მსოფლად დუქანში კი არ შედიოდა, დუქნის ეკელს მიეუქლებოდა სოლმე და ყურს უგდებდა ხალხის სიმღერას და თამაშობას.

ხან ფეხის სმა ისმოდა, ხან ქალებისა: «მეო, რა!» სკრიაპკა დაბალ სმაზედ დუღუნებდა: «ესკათ, გესამოთ და კიმსიარულოთ», კონტრასსი მეორეს ეუბნებოდა: «როგორც ღმერთმა დაგვიწესა, როგორც ღმერთმა დაგვიწესა!» ივანჯურები განათებული იყო; დუქნის ყოველი კუთხე თითქოს მოძრავობდა, მღეროდა და თამაშობდა, იანკო კი სულ ყურს უგდებდა.

რას არ მისცემდა იგი იმ სკრიაპკაში, რომელიც ასე ტუბილად უჭრაკდა: «ესკათ, გესამოთ და კიმსიარულოთ!» ასეთი მღერავლა ფიცრები... კინ აკეთებს იმით? სიადან შოულაობენ მათ? ნეტავი კითხულ მანც ეღირსოს ამისთანა რამის სულში დაჭერა!... მაგრამ ამას კინ აღირსებდა! ამას მსოფლივ შეეძლო ყურა დაეკლო იმ დრომდინ, სინამ სოიულის დაწაფი არ დაუყვირებდა:

— სახლში აღარ წახვალ, შე კუშაკო, შენა?

იანკო იმ წამსვე ფეხშიშველად გაიქცეოდა სოფელში, მაგრამ სკრიაპკის სმა მანც უკანდას ესმოდა, თითქოს კვალ-და-კვალ მისდევსო: «ესკათ, გესამოთ და კიმსიარულოთ!» — კონტრასსიც ხანს ამღეკდა: «როგორც ღმერთმა დაგვიწესა, როგორც ღმერთმა დაგვიწესა, როგორც ღმერთმა დაგვიწესა!»

დიდი ბედნიერება იყო იმისთვის, როდესაც ან ქორწილში ან მეუღლისში სკრიაპკის სმას გაიგონებდა. იგი წკებოდა დუმელზედ და მთელი დღე, კატასავით ბრწყინვალე თვალებით ჩუმად გამოიყურებოდა. მან თვითონ გაიკეთა შვილდისა და ცხენის ძუას სკრიაპკა, მსოფლივ ის ისე კარვად ვერ უკრავდა, როგორც დუქნის სკრიაპკა; იგი ისე ჩუმად უკრავდა, თითქოს ბუჩი ან კოლო ბზუისო. იანკო მანც დიდიდან საღამომდინ უჭრაკდა ამ სკრიაპკას, თუმიც ამის გულისათვის მას იმდენი მოსვდებოდა სოფელში, რომ ბოლოსა და ბოლოს დაუქარებულ დაბეუილ ვაშლს მოგატანებდათ. მაგრამ რა ექნა, ბუნება მისი ასეთი იყო. იგი უფრო და უფრო სდებოდა, თმა უსჭელებოდა, თვალები უდიდებოდა და სშირად ცრემლებით ევსებოდა, ლოყები და გული სულ უფრო და უფრო წაუვარდა...

სახოგადოდ იგი სსკა ბაკუებს არ ჰგვანდა, იგი უფრო თაის გაკეთებულ ლაიანის სკრიაპკას ჰგვანდა, რომელიც უღონოდ ჭრიალებდა. ყანების გაჭრას წინად იგი თითქმის შიმშილით

კვდებოდა, იმის მასაზრდოვებელი მხოლოდ სტატიული და სკრიპის შოენის სურვილი იყო.

ამ სურვილმა მის კეთილი არა დააყარა-რა.

ბატონის სასახლეში ლაქიას ჰქონდა სკრიპა და ხანდისხან საღამ-საღამოებს უკრავდა, რომ ამით ქალბატონის მოახლისთვის თავი მოეწონებინა. იანკო ზოგჯერ მიიპარებოდა ხოლმე გაღებულ საეუწყნარს კარებთან, რომ აქედან სკრიპა დაესმია. იგი კვიდა კედელზედ, კარების პირდაპირ და იანკო მას ისე ხარბად უყურებდა, როგორც წმინდანს, რომლის ხელის შეხებისაზე ცოდად სთვლიდა. მკრამ უხომო სურვილი კი ჰქონდა ხელი ესლო იმისთვის. ერთხელ მანც ღიწმობდა მისი ხელში ალება, ერთხელ მანც გაესინჯა იგი კარგად... საბოლოო პატარა გული სისარულით უწყებდა ცემას, როდესაც კი ამაზედ დაიწყო დაიჭირს!

ერთხელ სასადილო ოთახში არაღი იყო, ბატონები დიდი ხანა საზღვარ გარეც ცხოვრობდნენ, ლაქია კი მოახლესთან იჯდა სახლზე მოშორებით. იანკო მიმალული იყო ძირსკენებში და შესტქროდა გაღებულ კარებიდან თავის სახატრელ სკრიპას. ბადრი მთვარე სასადილო ოთახის ერთს იფანჯარას მისდგომოდა. მთვარის სხივები ბოლოს თვითონ სკრიპასაც მიადგა და სრულიად გაანათა იგი.

მთვარე ესა უფრო ვერცხლის ფერ სხივებს ახეკდა. მისი სხივებთ. გაშუქებული იყო განსაკუთრებით სკრიპის გამობერილი ნაწილები და ისე ძლიერადაც იყენებ გაშუქებულნი, რომ იანკო მათ ვეღარც კი უმტერებდა თავს. მთვარის სხივებზედ ეკლავური გარეკვით მოჩანდა: შედრეკილი გვერდები სკრიპისა, სიმები და ტარი. სკრიპის ახლო სხივებით განათებული ქამანა ილა. ას, უოკელივე ეს რა მშენიერი იყო და საოცარი! იანკო ძირსკენებში იყო დამალული, სუსტს მუხლებზედ დაეყრდნო მელავეები და პირ-გაღებული, სულ შესტქროდა და შესტქროდა... ხან შიში იჭერდა მას ერთს ალაგას და ხან რაღაც უცნაური ძალა აგდებდა მას წინ. ჯადო იყო ესა, თუ რა? მხოლოდ განათებული სკრიპა თითქო მისკენ მოცურავდა და უახლოვდებოდა... ზოგჯერ მას წყვილიც სრულიად ზებურავდა, რომ შეძებ უფრო გაშუქებულიყო სხივებით. ჯა-

დო იყო სწორედ, ვაღა!... ამ დროს დაჭბურა ქარმა, სკებ-
მა სმაურობა შექნეს, ყვავილებმა შრიალი დაიწყეს და იანკოს გარ-
კვევით მოესმა:

— წადი იანკო, — სსსადილო ოთასში კარვინ არის!.. წადი,
იანკო!

ნაოელი და გაკაშკაშებული ღამე იყო. ბაღში ტბის ახლო ბუღ-
ბული ხან ნელის და ხან მაღლის ხმით უსტკვენდა: «გასწი, მიდი,
აიღე!» დარბისელი ბუ ყმაწვილის თაზეუ გადაფრინდა და დასძახა:
«არა, იანკო, არ აიღო!» მაგრამ ბუ გაფრინდა და ბუღბული კი დარ-
ხა, უვავილებიც გარკვევით ჩასწურწურებდნენ: «იქ არავინ არის».
სკრიპკას კვალად მიადგა მთვარის შუქი.

პატარა ფერ-მისდილი იანკო წყნარად და სიფრთხილით წინ
მიდიოდა, ბუღბული კი ხუმად უსტკვენდა: «გასწი, მიდი, აიღე!»

თეთრ-პერანჯიანი იანკო უსწლოვდებოდა სსსადილო ოთასის
კარებს. ესღა სკრიპკას შავი ფოთლები ღარ ევარებოდნენ. ოთა-
ხის კარებთან მსოლოდ ზუადყოფი იანკოს აჩქარებული ქშენა ის-
ძოდა. ერთი წამიც და თეთრ-პერანჯიანი იანკო შინ შევიდა, მსოლოდ
ერთი ფეხი დარჩა გარედ. ტყუილად დაფრინავ, ბუღ, და დაჭყუ-
რი: «არა, ხუ აიღეო!» — იანკო უკვე სსსადილო ოთასშია.

კეპებრთელა ბაყაყებმა მაშინვე ყიყინი შექნეს, თითქოს შე-
შინდათ რისიმეო, მაგრამ მერმე ისეე დაწუმდნენ. ბუღბულმა გას-
წვილია სტკენა და ყვავილებმა — შრიალი. ამ დროს იანკო ნელ-ნელა
მიიპარებოდა და შიშმა სულ უფრო-და-უფრო აიტანა. ძირსკენებ
შორის იგი ისე ჭკრძნობდა თავს, როგორც შინა, ესღა კი ისე
ჭკრძნობდა თავს, როგორც მასეში გაბმული ნადირი. იანკოს უფრო
დაეტყო მოძრაობა, მაღი-მაღ სუნთქვდა და ამასთანავე სიბნელეში
სრულიად დამალა. მთვარის შუქმა კვალად გაანათა სსსადილო ოთა-
ხი, იანკო სკრიპკის წინ იდგა და მაღლა თავ-აღებულად შესტკერო-
და მას. მაგრამ მთვარე ისეე ღრუბელში შევიდა და აღარაფერი არა
სჩანდა-რა.

ერთი წამის შემდეგ სიბნელეში მოისმე სულა და ხაღვლიანი
ხმა, თითქოს ვიღამაც სიმებს ხელი შეახოო და უეცრად... მკვა-
სე ნამძინარევი ხმიფ ვიღამაც იკითხა:

— ვინა სარ მანდ?

ვილმაც სპინკა გაჭკრა კედელს, გასათა ოთახი და შეძვეგ...
ოჭ, ღმერთო! მოისმა ღანძლვა-გინება, ცუმა-ტყევა, ყმაწვილის ტირი-
ლი და ყვირილი: «ოხ, ღეთის გულისათვის!» — ქოფებებს ყეფა
შექნეს, ფანჯრებში სინათლე გამოჩნდა და მთელ სასაღმისი სმა-ურობა
ასტყდა... მეორე დღეს საწყალი იანკო მსაჯულების წინაშე იდგა.

განა ის უნდა დაქაჯვით, როგორც ქურდი? — რასაკვირველია.
გადააუღეს თვალი მსაჯულებმა მათ წინ მდგომს ჰინში თითებ-ჩა-
დებულს, გამხდარს, თვალბ-დაჭყეტილს, შეშინებულს, ძალსე ნა-
ცემს ჰატარს ყმაწვილს, რომელმაც არ იცოდა, სად იყო და რა უნ-
დოდათ მისგან... აბა, რა უნდა ექნათ, მით უმეტეს, რომ ბავში
მხოლოდ ათის წლისა იყო და ძლივს იდგა ფეხზე... ცისეში ჩასვით,
თუ რა ექნათ? ცოტა სიბრალეული მანც უნდა გამოქინათ. უმ-
ჯობესად სცნეს, მოსამსახურეს წაუყვანა და კარგად გაეწკებლა,
რომ მეორედ აღარ გაუბუნა ქურდობა. დაუძახეს მოსამსახურე
სტანს და უბრძანეს: აბა, წაიყვანე და კარგად გაეწკებლე, რომ დას-
სოკდესო.

სტანმა დაიქნია, ბრყვი და მსეცური თავი, ამოადო იღლის
ჭკუი იანკო, თითქოს გატის კნუტიაო და შეიყვანა ფიც-
რულში. ყმაწვილს ან არ ესმოდა, რას უბრძებდნენ, ან შიშისაგან
ხმას არ იღებდა, მხოლოდ ისე იცქირებოდა, როგორც მასეში გაბ-
მული ჩიტი. ან კი იცოდა, რას უხამდნენ მას? როგორც კი სტანმა
გააწვინა მიწაზე, დაიმკლავა მკეები და დაჭკრა წკებლები, იანკომ
მშინე დაიყვირა: «დედა!...» რამდენსაც სტანსი წკებლებს დაარტყამდა,
ისიც ყვიროდა: «დედა, დედა!» ბავშვის თან-და-თან ხმა ჩაუწყდა და
— არ ჩიტი, მერამდენე დაკურაზე — ბავშვს დედას კედარ დაუძახა...

საბრალეო დამსხვრეული სკრიპკა!..

აი, შე უგუნურო, ბოროტო სტანო! განა ყმაწვილების მკრე
ცუმა შეიძლება! უმაჯისოდაც იგი სუსტი იყო და დალეულა, ძლივსა
სუნთქავდა სოღე... ყმაწვილის წასაყვანად დედა მოვიდა და იმ-
ლებული იყო ხელში აყვანილი წაუყვანა. მეორე დღეს იანკო კედარ
ადგა, მესამე დღეს კი სულთ-მობრძკა იწვა ქენაზედ.

მერცხლები ქობის ახლო შემოძვდარიყვნენ ადუბლის სეზედ და ჭიკტიკობდნენ, ოქროს ფერი მზის სხივი ფანჯრიდან შეჭურებდა და ახატებდა ემაწვილის გაწეწულ თმას და ჩამქრალ სასუსს. ეს სხივი თითქო გზა იყო, რომელსედაც უნდა გაეარა ცაში მიმავალ ჰატარა ბაკშის სულსა. კარგია, რომ სიკედილის წამს მანინც გამოუჩნდა ეს ფართო ბრწყინვალე გზა, თორემ მისი სააქაო ცხოვრების გზა რომ ეიწრო და ეკლით მოეენილი იყო. მისი ჩაყარნილი გული ძლივს-ღა ფეთქავდა, თუძცა სასეზედ კი ეტყოზბოდა, რომ იგი თითქოს უურს უგდებდა გლეზულ ფანჯრებში შემოსულს სმებს. საღაშო იყო. სათიბაეიდან დაბრუნებული გოგოები მხიარულად მოდიოდნენ და მოიძღეროდნენ: «ახ, გამწვანებულ მდელოზედა»; წყლის ნაპირიდან კი სტვირის სმა მოისმოდა. იანკო უეანასენულად უგდებდა უურს სტვირის სმას და სიძღერას... საბანზე მის წინ იდო მისი ლაფანის სკრიბკა.

უეცრად ბაკში გამოურეკა და მისმა ბაკებმა მერთოლჯარებით წაინურნულეს:

— დედა!..

— რა იყო, შვილო?— დაეკითხა დედა, რომელსაც ცრემლები თითქმის არზობდნენ...

— დედა, ღმერთი ცაში ნამდვილს სკრიბკას მოძცემს?

— მოცცემს, შვილო, მოცცემს!— უზასუსა დედამ, მაგრამ მეტი კერა სთქვა-რა: მისმა მაგრამა გულმა დღეს კი კელარ გაუძლო ამ ზვარს და გასეთქას ჭლამოდა. იმას მოლოოდ კანესა შეეძლო: «ახ, იესო, იესო!»— ჰირქვე დაეცა სკვირზე და დაწყო უგონოდ ქეითინი, ისე, როგორც ადამიანი, რომელიც სედავს რომ უღმობულ სიკედილს კელარ გამოტგლევს სელიდან ძვირთვის არსებას.

კერც მან გამოტგლიჯა... მან თავი მძლავ აიწია, მაგრამ ისეე ძირს დააღო და დასედა შვილს: ჰატარა მეიუსიკეს თვალეი გასეული დარსენოდა, ისე, როგორც სიცოცხლეში. სასე დაღონებული ჭჭონდა. მზის სხივიც გაჭჭრა.

კურთსეულ იყოს სსენება შენი, იანკო!

ბატონები მეორე დღეს იტალიიდან დაბრუნდნენ. ბატონმა
ს თქვა:

— Quel beau pays que l'Italie! (რას საუცხოო ქვეყანას
ეს იტალია!)

— მევე რა მუსიკის მოყვარული ხალხია! On est heureux de
chercher la-bas des talents et de les protéger... (ბედნიე-
რნი არიან სწორედ, რომ იქ შეუძლიანთ ნიჭი გამოიპოონ და მფარ-
ველობაც გაუწიონ.) — დაუმტა ქალბატონმა.

იანგოს საფლავსე არვის ფოთლები შრიალობდნენ...

6.—ა.



შპინამ პერი *)

ფოტოანოვისა.

±

სამოთხის ჭურჭელის ქვეშ
 პერი, ჯერ ქარფა გულითა,
 სსკა წმინდანთ შორის მლოცველი
 და ღვთის მოყვარე სულითა,
 ხშირად ნაღვლობდა ჩვენს ქვეყნის
 არეულ ცხოვრებაზედა;
 ბუკრი რამ გაუგონია
 ანდილებსიგან მასზედა.
 გაუგონია, რომ მიწა
 იმყოფება სადღაც შორს,
 რა მზე ამოვა, დაჭსედავს,
 ნათლითა ჭმოსავს მთა და გორს.
 სიტურფე დედა-მიწისა
 ბეგრჯულ სმენია ყურითა,
 სმენია ისიც, რომ საღხი
 საესკა მტრობა-შერიითა.
 სისხლის ღერა, ჯაგრის ამოყრა
 მიუჩინთ გასართობელად,
 იქ ეკელა დაბადებულა
 ურთმანეთისა მგომბულად.

*) პერი, ფერია — სპარსული სიტყვაა და ნიშნავს კეთილ, სუფილს, კეთილ ანგელოზს.

დღე არ გაიკლის და ღამე,
 ისე არ დაიბურება,
 რომ არ ეწვიოს ქვეყანას
 სსკა-და-სსკა უბედურება.
 ხალხის ასეთი აშბოხი
 გულს უღელვებდა პერისა;
 გაიკლო ნასკა უთუოდ.
 ბუნებით მშვენიერისა.
 და აი ცოდვილ ქვეყნისკენ
 დაღვრემილ-დაფიქრებული
 დაეშვა, სადაც მრავალი
 სტირის გულ-დაწყლულებული.

II

შორს ისედება ღვთის შვილი,
 მოფრინავს, მოეჩქარება;
 გონიერულ თვალებს სცადა
 სამოთხე მიეთვარება.
 აღმოსავლეთით გამოხნდა
 მიწისა ზურგი შავადა,
 სამოთხესავით ღამაში
 და ტუროვა სანასავადა.
 წამდის ასულნი მთა-კლდენი
 ამაყად იეურებიან,
 უფსკრულ-სეკები ნისლეები
 მათ სამზურადა დგებიან.
 და იმათ შორის ქაფ-ქაფით
 ხალ-კლდეზე გადმოდინარე,
 ლელებს შუა გრილით
 ქვეს მოაგორებს მდინარე.

შეძლებ კი დაწინაურებული
 გზას მოაშურებს ეკლადა...
 ვით მოხერხება ჭკლებიც
 სდგანან შტო შეუსრულადა.
 აი გამონსდა ქალაქი,
 წყლის ნაპირებზედ შორითა;
 აქლს სსქონელი ქალაქში
 შემოაქვს აქლემ-წორითა.
 გასურებული მყო ეკლას
 აჭრელებს ათასფერადა...
 დანაქურთმული სსსლები
 მოსჩანან მსუენიერადა.
 და ამით შორის მქითის,
 კოშკი, ცად აყუდებული,
 თეთრ ღრებლებ შუა ოქროსფერად
 გამოსჭვივს გაბრწყინებული.
 თავდახრით იმზირებინ
 შწვანე სეივნის თალები;
 ხაკერდისფერად დართულან
 ყოველ მსარეზე ბალები,
 ბალები, სდაც მზიან დღეს
 გულ-მკერდს იშლიან იანი,
 სდაც ამოდუდს შადრეხად
 წყარო ბროლ-წინწკლებიანი.
 მაგრამ ღვთის შვილი ვერი თავს
 ნეტა სდა შეაფარებსა?
 ხომ ვერ დაუწეებს კაკუნსა
 მქითს, სასასლის კარებსა?!
 სუდს შეუხუთავს სასასლე
 აშენებული ხელითა;
 მას უნდა გული უბიწო,
 უმანკო ეკლადფერითა.

რომ კერძ აიგებს. ბუდესა
ჩალა-ბუღა და თივითა
სადმე მიკარდნილ ფანჯრის ქვეშ
მოფრენილ მერცხალავითა.

III

ამ დროს ამღავრი და მბრძანები,
მუდამ მრისხანე კილოთი,
წყნარად და დინჯად ქენახე
მობძანებოდა სპილოთი.
თავს ედგა ფარჩით მორთულად
მეუეს სპილოზე კანაჯი;
სპილოც მისწწნილია, ბებური,
თვალ-გულის შემსწარაჲი,
მოაბიჯებდა მტკიც-ბუქში
ტლანქ თესებს; წყნარა-წყნარადა;
მონებიც ჩუმიდ მოსდევდნენ,
მწყობრად და თანაბარადა.
ჭკოცნიდნენ მძიმედ დაჩნულს
სპილოს კვალ-ნაფესურებსა,
მეთვის ბრძანების სისძენლად
იმახილებდენ ყურებსა.
ზოგნი კი ზირში ლოცავდნენ,
ისსენიებდნენ ქებითა...
ბერი წინ გადაეგებს
მედიდურს მოწიწებითა
და უთხრა: მეფეეკ, შენს გულში
მოძეცი ბერის ბინაო;
გამარჯვებულნიც იქნები
მუდამ გარედ და შინაო.
გულს დაგიშვილებ, ჩაგინკრე
ღვთიურ სიყვარულს, გრძნობასა.

უბინაფ პერი

შეგიჟვარდება სიკეთე
და შეიძლება მტრობასა. —
— მე რას მიქვიან სიკეთე;
პატავს არა ვცემ იმასა;
სისხლი მიწურია, ნაჩქევი
ჭკაკდეს შესაზუნა წვიმასა.
ამ ერთის გარდა ყველასე
ვარ მე გულ-გადაბირული;
მომწონს გმირს მუდამ საგმირო
რამი და ბრძოლა გმირული.
მზის ამოსვლიდან ჩასვლამდინ,
ჩემის ძამაცის ჟვართა,
მსურს, რომ მთლად გაკანადგურდო,
რაც წინ დამსკდება ძალითა.
სასული გმირის და სისხლი,
სახუქრად მოტანილია,
ჩემთვის თვალ-მარგალიტებსე
და სიცოცხლესე ტუბილია.
— ოს, ვერ გიშეკელი, მიუგო
სწრაფად ნატკენის გულითა:
მე ყველა მიუყარს, საღსს მუდამ
გუმსური სიუკარულითა
და მათი სისხლის დასახვა
მომკლავს, ამაკსებს სენითა!...
სოქვა და გაშორდა ლოცვის თქმით
მეფეს კვლავ ისეკ ფრენითა.

IV

დაღამდა. მთვარე-ვარსკვლავნი
ამოციმციმდნენ ცაზედა,
მკრთალი ნათელი სსიუკების
ჰეკეტად ჩამოდგა მძასუდა

ჟურ ხალხს არ სძინავს ქალაქში,
 დაღლილს, დაქანცულს ძალზედა;
 მოდიან, იკრიბებიან
 დიდის მქებითს კარზედა.
 ზერიც იჭითკენ მიფრინავს,
 ზერიც მათ მისდევს კვალზედა
 და შორი-ახლო ჩერდება
 ასაკალ კიბის ქვაზედა.
 ხედავს აშვიონს მოფენილს
 ხალხი-ფარდაგებითა,
 აშვიონს აქედ შესობას,
 მოკირწყლულს თლილის ქებითა.
 ძალადი ტანის ქურუმი
 გამოდის შუა გულზედა,
 მსკერძეტიკელურად ქადაგებს
 წმინდანებსე და რჯულზედა.
 ურჩებს, რომ სული აიღონ
 მრუშობა-მეძობაზე,
 დმერთი ადიდონ, იფიქრონ
 ძმობა და მეგობრობაზე;
 უკვლამ გულ-წრთელად მქითში
 მონანიონ ცოდვები....
 ქურუმი ცრემლს ღერის, ღუღლუღებს
 როგორც ანბოდებო;
 ხალხს გულზე სეკდა დააწვა
 მძიმედ, ვით საღი ღოდები,
 გასშირდა ოხურა-ქვითინი,
 კვნიეს, გულ-ასაგოდები.
 მორჩა ქურუმი. დაიწყო
 ხალხმა გამოსულა გარედა;
 ზოგს ისეც ცრემლი ჩამოსდის,
 ზოგი ქვითინებს მწარედა.
 ქურუმიც უკან მოჭეუება,

ცრემლ-მორეული თვალებში...
 ჰერი წინ დასკდა ღვთის მოსავს
 გარედ, გაღვანის კარებში.
 — ღვთის მოყვარულო, გაგიღებ
 ნეტარ სამოთხის კარებსა,
 თუ მომცემ ბინას მენს გულში;
 და ღმერთიც შეგვიყვარებსა.
 სიცილით უთხრა: — არაფა კთქვი
 წყლან მე ამბიონსედა,
 მხოლოდ ხალხს კუჭადაგებდი,
 ხალხი მომიყვდა გონზედა.
 მე კი რომ შეითხო, მოგიგებ
 და ამას გეტყვი ჩემზედა:
 ვირჩევ ქვეყნიურ დიდებას
 ცხონება-სამოთხეზედა.
 თუ მომანიჭებ სიმიდდრეს,
 მასთან დიდებას ქვეყნიურს,
 სამუდმო ბინა-სადგურად
 მაშინ დაგითმობ მხოლოდ გულს“...



გაფუფუნებულს საწოლზე
 ტურთა ნებივრად მძინარე,
 ტებილ ოცნებაში გართულა
 წამოდგა სასე მცინარე.
 ბროლის ტანს სურნელაჲანი
 წყლი გადისსა სელითა
 და ნაზად ჩამოვიარცხნა
 ეულჭი თმა სავარცხელითა.
 სიწყნარე არის, არ ისმის
 ჰმა არსად ჩამი-ჩუმიდა;

მოამბე

სარკეს უმცირეს, ამშვენებს
საცმელი აბრეშუმისა...
ლამაზი არის, კით ჰური,
თუძცა კი მიწიერია —
და მისი ჰჯეროვნება
მაღლის ციფო მოსახურია
აკურს წყნარად და ჩუმიდ
კარებმა დაიჭრიალა,
ფანჯრებში ოდნავ სიაკმა
ფარდები გააფრიალა.
ჰური შემოდის, კბკლუტის
მიუხლოვდა საწოლსა
და უთხრა: „ისე გიუფრებ
როგორც ჩემს დასა და ტოლსა;
მომეცი ბინა შენს გულში,
ტურფაკ, თავშესაფარადა;
კიჭნები შენი მლოცველი,
დღისით და ღამით მარადა.
და სულით წმინდა, გულ-წრფელი
ღვთის სამსახურად ქცეული,
იქნები ქმრისა ერთგული
და დედათ შორის რჩეული.“
მაგრამ ქალწული ქალწულსა
არ აქცევს უფრადღებასა
და ეუბნება: „მზირდები
შსოლოდ ერთს მწუსარებასა,
და მე კი მინდა ნაცნობნი,
მეგობართ შორის ტრიალი,
სიმსიარულე, ახალი
კაბების ჭმუჭუნა, შრიალი.
წადი მიმართე სხვა გულებს,
უხინჯო, უსადოებსა...“

მშვიდობით, ბინა არა აქვს
 აქ, ჩვენთან უმანკოებსა.

VI

აგერა გზასკად შემოსვდა
 ტანფეს შიშველა გლასსა;
 ძლიერი ჭარი მტკერ-ბუქით
 უგსებს თმასა და სხასსა.
 და უთხრა ზერიმ მთხოვარსა
 თხოვნით და მუდარებითა:
 „მომეცი ბინა შენს გულში,
 ტანჯულა მწუხარებითა.
 მრავალს ვაების მნასკელსა,
 სიტარცხლით გაწამებულსა,
 ჩაგინერგ დუთიურ სიუვარულს
 და დაგიმშვიდე მით გულსა.
 და რაკი სულის სიმშვიდით
 ზღვრებო ტბილს ნეტარებასა,
 შთლად დაივიწყებ შენს ტანჯვებს,
 ჭკუენიურს მწუხარებასა.“

—ნეტავ მაგ ღამაზე სიტყვებით
 ტყვილად გულს არა ბზარავდე;
 ჩემს გაწამებას დუმილით
 ვზიდავ სამარის კარამდე.
 რად მინდა ტბილის სიტყვებით
 იმედის ძლევა, ტყვეობა,
 უკელას ისა სჯობს, ბატონო,
 მიბოძრათ მოწყვალეობა!..

VII

გაშორდა გლასსა, გაივრინდა
 ჭკემოთკენ გულის თრთოლითა;

რა დანასაც მან ხადი
 შემეული მწკანუ მოლითა,
 დაეშვა დასასკენებლად,
 უიმედობით მიიწინაღო,
 მთლად დაქანცული, დაღლილი
 და გულ-ამოსკვნით მტირალი.
 იმ დროს, როდესაც საბრალო
 ჰერის ცრემლები სდიოდა,
 ხალში ჰტარა ყმაწვილი
 დათამაშობდა, კიოდა.
 და ჰერის ტირილისაგან
 შემეერთალი შეშინებული
 მიუხსლოვდა ანკელოზს
 და ჭკითსაკვს გაოცებული:
 „რაზედა სტირი?“ — მიუგო
 ჰერემ გულდაწვეტილად:
 „გეძებ გულს, კერ მიზოკია,
 დასადგომად და ბინადა.“
 — „ნუ სტირი, მოდი ჩემს გულში, —
 მიუგო ბაკშემა წენარადა, —
 მასა ჭსურს დიდი ჰატარა
 უყვარდეს თანახარადა.
 და თქვენც იპოვათ იქ ბინას,
 თუმც ჰატარა მაქვს მე გული.“
 ჰერემ ბაკშეს გაუღამილა,
 შეხედა დაამებული
 და გადაფრინდა მის გულში;
 კვლავ აღარ დაღონებული
 და სამოთხეშიც მას შემდეგ
 ის აღარ დაბრუნებულა.

მ. ძღვიძელი

... უნდა ვთქვათ, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ახლა უნდა გავაჩვენოთ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ახლა უნდა გავაჩვენოთ.

ანდრე კოჩნელი

რომანი პოლ ბურჟესი

პატარა ვიყავ, რომ აღსარების სათქმელად დავდიოდი. ვხანობ, რომ ეხლაუ პატარა არა ვარ და არ შემიძლიან საღამოს წაბრუნებულ წავიდე ბონაპარტეს ლიცეის ციხესა და ცარიელს ეკლესიაში, სადა კედლები თეთრად არის გაღვნილი, სკამები დაწვრილებულია, პატარა არღანი სდგას, ქერი ცისფრად იციქვება და ვარსკვლავებით არის მოქედული. გული მიკანკალვდა ხოლმე, როცა ჩემი რიგი მოვიდოდა და დავიჩოქებდი ხის პატარა ფარდულის წინ აღსარების სათქმელად. ამ ფარდულის იქითა მხრიდან ბუნდად მომქსმოდა ხმა მოძღვრისა, რომელიც აღსარებას ათქმევინებდა ჩემზედ წინად მისულს ჩემს ამხანაგსა. გარშემო სიჩუმე იყო ხოლმე ეკლესიაში; მხოლოდ ათასში ერთხელ ისმოდა ჩურჩულით ლაპარაკი. სირცხვილი მწვავდა იმ კედლების გამო, რომელიც უნდა. მეღვიარებინა მოძღვრის წინაშე. ამ დროს ისეთს აღელვებულს ყოფაში ვიყავი, რომ, როცა მოძღვარი ასწევდა ფარდას, მთელი ტანი კენესას დამიწყებდა ხოლმე. პატარა სარკმელიდან ვხედავდი მოძღვრის მკვეთრსა და სასტიკს სახეს, თუმცა მოძღვარი საზოგადოდ სრული კაცო იყო, თეთრ-წითლად გაჰქონდა დაეღაეი და უღომობელის ხასიათისა არ უნდა ყოფილიყო. ჯოჯოხეთის ტანჯვასა ვგრძნობდი იმ დროს, მაგრამ სამაგიეროდ პატარა ხანს უკან დიდად ვსიამოვდებოდი.

მოვინბდი, რაკი ცოდვებს მოვიშორებდი. თავისუფლად ამო-
ვისუნთქებდი ხოლმე, ვგრანობდი, რომ მძიმე ტვირთი მოვიშო-
რე, ცოდვა მოვინანიე და ახლა შემიძლიან ახალი ცხოვრება
დავიწყო და კეთილის საქმით არ მოვიღალო-მეთქი.

განა რა იყო მიზეზი, რომ ასე განვთავისუფლდებოდი და
განვხლდებოდი ჰოლომე? მიზეზი მხოლოდ ეს იყო, რომ აღვია-
რებდი ჩემს ცოდვებს და ამით ვუშვიმებდი სვინიდიის უიმისო-
დაც მძიმე ტვირთს. აღსარება ის ნესტარი იყო, რომელიც ერ-
თის დაკვრით არჩენს წყლულსა და იარას.

დღესაც საჭიროა, მოვიშორო გულიდან ის ლოდი, რო-
მელიც საშინლად მაწუხებს. რაც გადამხდა, რაც გამოვიარე, მე-
ტად მაწუხებს და ვერავისთვის კი გამიზიარებია. არის ისეთი სა-
თქმელი, რომელსაც ვერ იტყვი, იმიტომ რომ ის სათქმელი
არაფინ არ უნდა გაიგონოს...

არ იმიტომ აზრად მრბივიდა მოვატყუილო რაგორმე ჩე-
მი თავი დე ამ თეთრს ქაღალდს ვანდო ჩემს გულის საი-
ღუმლო. არას არ დავმალავ, დაწვრილები მოვეყვები იმ საშინ-
ელს ანბავს, რომელიც მე გადამხდა და ასე ვიფიქრებ, ვითომ
მოდღეარს აღსარებას ვეუბნები-მეთქი. გავთავებ აღსარებას და
მერე დაქრნახავ, გათავდება ჩემი ტანჯვაცა თუ არა. ნეტავი შე-
მტირდეს მანცა, რომ შევძლო სიცოცხლე, არ გავიმწარო ყმა-
წყირი-ქაცობა და არ დავიბნელო წუთი სოფელი.

ღმერთო, რამდენი ვიტანჯე ამ წუთი-სოფელში და მაინც
კიდევ მინდა ვიცოცხლო, კიდევ მიყვარს წუთი-სოფელი. სა-
კმაზა დავლიო ერთი კიქა „laudanum“-ი, რომელსაც წვე-
თობითა ვსვამ უძილობის წამლად და ჩემს ტანჯვას უტბად
მოვირებნა ბოლო, უტბად მოვშორდები სინიდიის მხილებასა და
ქენჯნასა. მაგრამ არ შემიძლიან, არ მინდა. სული ტკბილია
და მს სურვილი, რომ ვსცოცხლობდ-მეთქი; მეტად ძლიერან,
სხაგრავს ყოველს ზნეობრივს მოსაზრებას და ჩემძახის, ნუ მრ-
იკლავ თავს, ნუ გამოესაღმები წუთი-სოფელსა.

იცოცხლე, იცოცხლე, საცოდავო, თუ კი ბუნება ისეთი
ძლიერია, რომ ჰიფოთ და ჰვანკალებ სიკვდილის გაგონებაზე!

და აი არ მინდა წავიხედე საიქიოს, საცა, ვინ იცის, იქნება მიცვა-
ლებულნი სუონი ერთმანეთს შეეყრებიან ხოლმე. არა, ეს მეტად
ღრღი საშინელება იქნებოდა!

ჩემს თავს სიტყვა მივეცი, გულს გავიმაგრებ-მეთქი და აგერ
მე კი ეხლავე გონება შეკარგება. დაუბრუნდები ისევ ჩემს გან-
წრახვას. ამ ქალაღზე გამოვსახავ ჩემის ბედისა და თავ-გარ-
დასაფალის ხატსა, რომელიც ბუნდად ჰკრთის ჩემ აზრებ შორის
და ასე უწყალოდა მტანჯავს. მერე კი დავწვავ ჩემის ცუდის-
ხელით დაწერილს ქალაღებს. მანამდე კი მინდა შუქი მივაყე-
ნო იმ შავსა და ბნელს წარსულს, რომლის ფიქრმა და მოგო-
ნებამ ლამის ქკუიდან შემშალოს. იქნება ის წარსული მაშინ
შინც ცხადად დაეინახო და დაურიდებლად თვალი გავუსწო-
რო! ჩემს ძალასაცა ესრჯავ. აი ამ ოთახში, საცა გავბედე
ძნელად გასაბედი, უფრო ადვილია მოვიკრიბო გონება და და-
ლაგებით დავიწყო მოთხრობა. ახლა კი საქმეს შევეუდგეთ. სი-
ტყვას ვაძლევ ჩემს თავს, რომ ყველაფერს დავწერ. საცოდა-
ვო ჩემო გულო, მე გადაუხსნი პირს ყოველს შენს იარასა და
წყლოუს.

II

ჩემი წარსული? მე ვგრძნობ რომ დიდხანს ვიტანჯე. მა-
გრამ რაკი სისხლით შეღებილს გზაზედ შევდექი, საიდან და-
ვიწყო ახალი ამბავი ჩემის ხანგრძლივის წამებისა? არ ვიცი.
კაცთა გრძობანი თავ-თხელ ზღვის ნაპირებსა ჰგავს, რომელ-
თსც არც საზღვარი ეტყობათ და არც გარკვეული სახე აქვთ.
ამგვარს ქვიშიან უდაბნოში, რომელიც წყლით არის მორია-
ლებული და კუნძულებით გავსებულია, ვერ შეიტყობ, სად იწ-
ყება და სად თავდება ზღვა. მაინც ამგვარს ალაგებსაცა ჰხა-
ტავენ ხოლმე რუკებზე; ჩვენი გრძობანიც უნდა გამოვხატოთ
როგორმე. ამისი, საღსარი სჯა და ანალიზია. მაგრამ როგორ
ვუთვალთვალთ იმ წუთს, როცა გულს იარა გაუჩნდება? აი.
საიდუმლოთა საიდუმლო. მეტი ღონე არ არის, უნდა ვეცა-

დო, რომ უფრო მარტივი საქმე დავიყენო თვალ-წინ. ჩემს აზრებს რომ დავემორჩილო, გავიყინები და თავ-ზარი დამეცემა; ეს აზრები ისე მართობს, როგორც ხაშიში. მაშ. დავიწყებ ჩემს ამბავსა იქიდან, რაც ჩემს გარეშე მოხდა. ჯერ მოგიტყვი იმ გარკვეულს და ცხადს საქმეს, რომელიც მიზეზი გახდა იმისი, რაც შემდეგ მოხდა: მოვყვით მაძი-ჩემის მეტად საშინელსა და საიდუმლო სიკვდილის ამბავს. ისიც მოვიხსენიოთ, როგორ იმოქმედა ამ ამბავმა ჩემზე. რაც მაშინ ვიგრძენე, ამას ცალკე გამოვხატავ. მაშინდელს გრძნობას აღარ მოვუმატებ, იმას, რაც შემდეგ გავიგე და ვიგრძენი.

ცხრა წლისა ვიყავ. იდგა ივნისი 1864 წლისა. ცხელია. ცა საამურად იყო მოწმენდილი, ის იყო დავბრუნდი ბონაპარტეს ლიციიდან და ვმეცადინობდი ჩემს ოთახში. ფანჯრებს ფარდები ჩამოფარებული ჰქონდა. ჩვენ მაშინ ტრანშეს ქუჩაზე ვიდექით, ჩემს ოთახს მშვენიერი ცისფერი შპალიერები ეკრა, კოხტად იყო მოწყობილი. ჩემთან შემოსასვლელად მეთრე ოთახიდან სამი საფეხური უნდა ამოგველოთ. აი ამ ოთახში გავატარე ჩემი უკანასკნელი ბედნიერი დღენი. ძალიან კარგად მახსოვს, რომ განიერი შავი ტანსაცმელი მეცვა. წინაღვე დამეხაზნა რვეული და შიგა ვწერდი რომელსაც ლათინურ საგნის უღვლილებასა... უცბად შემომესმა საშინელი ყვირილი, შემდეგ გულ-გასახეთქი ლაპარაკი და აჩქარებული სიარული იმ ტალანში, საითკენაც ჩემის ოთახის კარი იყო. გონება-დაკარგული გავვარდი ტალანში და შეეფეთე გაფითრებულს მოსამსახურეს, რომელსაც დიდ-ძალი თეთრეული ეჭირა ხელში. მოსამსახურემ დამინახა თუ არა, გონ-დაუტანებლად წამოიძახა:

— ბ-ნო ანდრე, რა საშინელი უბედურება დაგვემართა!

მავრამ მაშინვე გონს მოვიდა და, თითქო თავის სიტყვებისა, შეეშინდაო, მითხრა:

— მიბძანდით თქვენს ოთახში, ჩქარა, ჩქარა.

ვიდრე პასუხს მივცემდი, წამავლო ხელი, შემავლო ჩემს ოთახში, დაჰკეტა კარები და საჩქაროდ გაიქცა.

— არ იქნება, არა, ვყვიროდი მე: ყველაფერი მითხარით, რა მოხდა; ყველაფერი მინდა ვიცოდე...

პასუხს არავინ მაძლევდა, ვეჭიდებოდი კარებს, ვცემდი მუშტებს და ვაწვებოდი მხრებითა, მაგრამ ამაოდ. ჩაძოვჯგუჭი კიბის მეორე საფეხურზე და საშინელის მოუსვენრობით ვუგდებდი ყურს ტალანში მოსიარულეებს. ტალანში წინ-და-შუკან მოსიარულე მოსამსახურეებმა იცოდნენ, რა საშინელი უბედურებაც მომხდარიყო. მაგრამ რა იცოდნენ? მართალია, მაშინ ყმაწვილი ვიყავ, მაგრამ იმდენი კი შეყურებოდა, რომ მოსამსახურეს სიტყვები დიდს უბეიურებას მოასწავებდა. ორის დღის წინად საუზმის შემდეგ მამა-ჩემი წავიდა ჩვეულებისამებრ თავის კანტორაში Victoire-ს ქუჩაზე. საუზმის დროს ძალიან ჩაფიქრებული იყო, მაგრამ წინადაც თითქმის რამდენისამე თვის განმავლობაში შეტად დაღონებული იყო და სრულიად აღარ ეტყობოდა მხიარულობა. სასაუზმოდ ვისხედით მამას გარდა, დედა-ჩემი, მე და ბ-ნი ჟაკ ტერმონდი, რომელიც მამი-ჩემის მეგობარი იყო სკოლიდანვე. ჯერ საუზმე არ გავგეთავებინა, რომ მამა-ჩემი წამოდგა, დაჰხედა საათს და წასვლა დააპირა.

— სად მიეჩქარებით, კორნელი! ჰკითხა ტერმონდმა.

— ერთი უცხოელი კაცი მელის, უპასუხა მამამ: საქმეები აქვს ჩემთან. ავად არის და უნდა შევეუარო სასტუმროში, რომ საჭირო ქაღალდები გამოვართვა. რაღაც უცნაური კაცია და, ურიგო არ იქნება, კარგად გავიცნო... რამდენიმე საქმე გავუკეთე და, ცოტა არ იყოს, ვნანობ კიდევ.

ეს იყო და ეს. მას შემდეგ მამა-ჩემის ამბავი ვეღარა გავიცეთ-რა. თუმცა პირობის კაცი იყო და ვადას არაფერში გადააცილებდა ხოლმე, მაინც იმ დღეს სადილად აღარ მოვიდა. დედა-ჩემი ძალიან სწუხდა, მით უმეტეს, რომ იმისი უკანასკნელი სიტყვები ისევ ყურში უტრიალებდა. მერე მამა-ჩემი ისეთი კაცი იყო, რომ თავის საქმეებზედ იშვიათად დაიწყებდა ლაპარაკს. გაიარა ლამემ, გათენდა დილა და კვლავ მოვიდა სადილობის დრო. მე და დედა-ჩემი კვლავ დავრჩით მარტონი, შევსცქეროდით იმის უქმად დარჩენილს თევშს და

უფრო გვემატებოდა მწუხარება, სადილს შემდეგ მოვიდა ჟაკ ტერმონდი, რომელსაც დედამ წერილი მისწერა და დაიბარა. მე ჩემს ოთახში გამგზავნეს, მაგრამ ტერმონდს მანაც შევნიშნე, რომ თვალები მეტის-მეტად უბრწყინავდა. უიშისოდ კი იმის ლამაზ სახეს თვალებზე მუდამ სიწყნარე და სიღინჯე ეტყობოდა. შევნიშნე კიდევ, რომ ზურგთ უკან ჯოხი ეჭირა და გამწარებული ატრიალებდა. ამ ჯოხს ვერცხლის თავი ჰქონდა და ზედ უცნაურ პირუტყვეთა ქანდაკება იყო გამოყვანილი. ეს უცნაური ქანდაკება მომწონდა იმ ჯოხის თავისა, თორემ, ასე რომ არა ყოფილიყო, იქნება, ვერც კი შევნიშნავ, რად ატრიალებდა ისეთის აღელვებით ჯოხს ხელში. მაგრამ ან კი როგორ არ უნდა აღელვებულყო ბ-ნი ტერმონდი, რომ ისე მოულოდნელად დაიკარგა მისი საუკეთესო მეგობარი და ამაზნავი?

— ხვალაო, სთქვა მანაც ტერმონდმა თავის ნახისა და მიმზიდველის ხმით: ეგებ შევიტყო რამე... თუ კორნელი არ დაბრუნდა... მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დაბრუნდება და ყველავერს შევიტყობთ. უთუოდ წავიდა საღმე იმ საქმის გამო, რომელზედაც ლაპარაკობდა ხოლმე. შეიძლება ბარათიც გამოვიგზავნათ კაცის ხელით, მაგრამ კაცმა ბარათი აღარ მოგიტანათ.

— მაშ თქვენ გგონიათ, რომ აგრეა საქმე? ეუბნებოდა პასუხად დედა-ჩემი.

რამდენჯერ გავიხსენე განწირულების დროს ეს ლაპარაკი და თვალ-წინ წარმოვიდგინე ის ოთახი, საცა ეს ლაპარაკი მოხდა. პატარა სასტუმრო ოთახი იყო. კედლებზე ეკრა თვარ-წითელი ზოლიანი ქსოვილი, რომელიც მამა-ჩემმა მაროკოდან მოიტანა. სახე დედა-ჩემისა, მისი შავი თმა, წაბლის ფერი თვალები და ათრთოლებული ტუჩები მუდამ თვალ-წინ წარმომიდგებოდა ხოლმე. მისი პირი-სახე იმ საღამოს ისეთავე თეთრი იყო, როგორც ის საზაფხულო ტანისამოსი, რომელიც ზედ ეცვა. ბ-ნს ტერმონდს კი სერთუკი ეცვა. კარგად მოყვანილს ტანზე მშვენიერად ჰქონდა გაწყობილი; ერთვის სიტყვიტ, რა-

გორც ყოველთვის, იმ ჟამიდანაც ტერმონდი იყო ფრიალ მარ-
თებული და თავაზიანი. წინად-გრძნობაზე, კლაპარაკი სასაკი-
ლოდ არა მყოფნის, ტერმონდის სიტყვებმა სრულიად დამა-
შვიდა. იმ დრომდე ბ-ნი ტერმონდი ყმაწვილურის აღტაცე-
ბით მიყვარდა. ისიც ძლიერ მანებებდა. ჭეორე, დილით
გულ-დამშვიდებულად წავედი ლიციეში,

მაგრამ ეხლა კი ვიჯექი ჩემის ოთახის კიბეზე და წინან-
დებურად მოუსვენრობასა ვგრძნობდი. ხან-გამოშვებით ვარა-
ხუნებდი კარებს და ვეძახდი ვისმე, მიშველე-მექტი. დიდხანს
პასუხს არავინ მაძლევდა, მაგრამ ბოლოს, ჭოდის-როდის შე-
მოვიდა ჩემი მოხუცი გამდელი.

— მამა? მამა სად არის? ვყვიროდი მე.

— ვაი, შე საწყალო, შე საცოდავო! ამიყვანა. ხელწოდა
წაილულულა ჩემმა გადიამ.

იმისთვის მიენდოთ, გაემქლანებინა ჩემთვის საშინელი ამ-
ბავი: მაგრამ საწყალს გამდელს ილაჯი არა ჰქონდა ეთქვა რა-
მე. გაეუსხლტი ხელიდან და გავიქეცი ტალან-ტალან. ვიდრე
დამიჭერდნენ, გავირბინე ცარიელი ოთახები და მამას საწოლს
ოთახში დავიბადე. საწოლზე ილა ცხედარი, ზეწარ-გადაფარე-
ბული; ცხედარს თავი ბალიშზე ედო; სახეზე ერთი წვეთი სი-
სხლიც არ ეტყობოდა; თვალები უძრავი და ახელილი ჰქონ-
და; შუბლი და ნიკაპი პირსახოცით შეეხვიათ; საწოლთან და-
ჩოქილი იყო ჯავრით მოკლული არსება, ჯერ ისევ მხიარულის
ტანისამოსითა. აი ყოველივე, რაც დავინახე. ცხედარი იყო მა-
მა-ჩემი და მის წინ დაჩოქილი ადამიანი—დედა-ჩემი! ათრთო-
ლებული და თავ-ზარ დაცემული გავექანე დედა-ჩემთან.

— შვილო, ჩემო ანდრე! დაიძახა დედა-ჩემმა და მხურვა-
ლედ დამიწყო კოცნა.

იმის სიტყვებში ისეთი მწვავე ტკივილი სჩანდა, იმის კაც-
ნაში ისეთი დედა-შვილური სიყვარული გამოიხატა, მისი გული
ისე აღვსილიყო ცრემლით, რომ დღესაც კი, როცა მამაგონდე-
ბა ის წუთი, გული გამითბება ხოლმე. მაგრამ დედა-ჩემი მალე
მოვიდა-გონს, ამიყვანა ხელში და გამომიყვანა იმ ოთახიდან,

რომ აღარ მეტკირნა საშინელის სანახაობისათვის; მეტიც-მეტის აღელვებისაგან ერთი-ათად მოჰმატებოდა ძალა და ღონე.

— ღმერთმა დამსაჯა! ღმერთმა დამსაჯა! ამბობდა საცოდავი და არ კი ფიქრობდა, რას ვამბობო.

ხშირად გაიტაცებდა ხოლმე დედა-ჩემს გრძნობა ღვთის-მოსაფობის და ბედის საწერგლისა. ამბობდა ამ სიტყვებს და გამწარებით მკოცნიდა და მღუღარე ცრემლით ასველებდა ჩემს სახეს, ჩემს კისერს, ჩემს თმებს.

ო, კეთილო და მოსიყვარულე-ადამიანო, გეპატივება ჩვენი წამება, მამსიცა და ჩემიცა, იმიტომ რომ იმ ცრემლებს ისეთის გულ-წრფელობით აფრქვევდი. თვით იმ შავსა და ბნელს წუთს, როცა ლანდი მამა-ჩემისა მომეჩვენებოდა ხოლმე— შენი მაშინდელი გულ-წრფელი მწუხარება უფრო მეტად ჩამაგდებდე ხოლმე გულის-ხმაში, ვიდრე მისი საყვედური. იმ დედა-შვილურის სიყვარულის განო, აღარაფერს არ მივაქციე ყურადღება და დღევანდლამდე მწამს შენი სიკეთე და ადამიანობა. დიად, ის ცრემლები, ეს გახშირებული კოცნა, როგორც შენ მაშინ მე მკოცნიდი, თვალთ-მაქცობა არ იყო და არავითარს ბოროტებას არა ჰფარავდა. ვფიცავ მაშინდელს ჩვენს საერთო ქვითინს და მწუხარებას, რომ შენ მონაწილეობა არ მიგიღია იმ საშინელს შეთქმულობაში. მომიტევე, რომ დღესაც თითქო საჭიროდ მიმაჩნია, უფრო მეტიც ვიწამო ის, რაც უიმისოდაც მრწამდა. რომ იცოდე, როგორ მინდოდა, როგორ ვაგიყვებით მწყუროდა მაშინ მკოდნოდა, რომ შენ უბრალო იყავ.

მოხსენებელი ვარ და მისივე სიტყვებით ვამბობ

დავუწყე დედას გამოკითხვა, როგორ მოხდა ეს საშინელი ამბავი-მეთქი. იმან მიპასუხა, რომ მამა შენს წვეთი დასცემია ეტლში და, რადგან თან არავითარი ქალადები არა ჰქონია, ორის დღის განმავლობაში ვერ გაუგიათ მისი ვინაობაო. დიდებსა ჰგონიათ, რომ ვითომ აღვიღია ყველა ყმაწვილს ტყუილი უთხრა. მაგრამ მე ისეთი ყმაწვილი ვიყავ, რომელიც

დიდხანს ფიქრობს იმაზე, რასაც დიდები ეუბნებიან. ავწონ-და-
 ვწონე ყველა ის გარემოებანი, რაც კი ვიცოდი, და დავრწმუნ-
 ნდი, რომ ნამდვილი მართალი არა მქონდა გაგებული. თუ მარ-
 თლა ისე გარდაიცვალა მამა-ჩემი, როგორც მიაბებს, მაშ მო-
 სამსახურემ რაღა მკითხა ერთხელ, როცა ლიციიდან მოვყავ-
 დი: „რა გითხრეს, რა მიზეზი დაგისახელესო?“ და მერე ეს
 კაცი, ჟიმისოდ ისეთი ენა-ჭაპარტელა და ყბედი, რად იყო გა-
 ჩუმებული და აღარას ამბობდა ამ საგანზე? რად იყენენ ყვე-
 ლანი გაჩუმებულნი ჩემთან, რად ჰკუთმავდნენ ტუჩებს, ჰხუტა-
 ვდნენ თვალებს? რად დაიწყებდნენ ხოლმე სრულიად სხვა ლა-
 პარაკს, როცა კი დამინახავდნენ? რატომ სახლში არსად გა-
 ზეთებს არ აყენებდნენ და წინად კი, მამი-ჩემის სიცოცხლე-
 ში, სამივე გაზეთი, რომელსაც მამა იღებდა, მუდამ აქა-იქ იყო
 გაფანტული? რა იყო მიზეზი, რომ, როცა ოთხის თვის უკან,
 ამ უბედურის შემთხვევის შემდეგ, დავბრუნდი ლიციში, ისე-
 თის ცნობის-მოყვარეობით შემომცქეროდნენ მასწავლებელნი-
 ცა და ამხანაგებიცა? ვაი ჩემს თავს, იმათმა ცნობის მოყვარე-
 ობამ მიმახვედრა, რა საშინელი უბედურებაცა გვწვეოდა. გა-
 ვიდა ორი კვირა მას შემდეგ, რაც სწავლა დაგვეწყო; ერთს
 დილას ორ ახლად შემოსულ ამხანაგთან ვთამაშობდი. კარგად
 მახსოვს იმათი სახელები: ერთს ერქვა რასტუე და მეორეს
 სერუენი. თვალ-წინ მიდგია იმათი სახე; ერთი პირ-ბუტალი
 იყო და გაფუნჩული ლოყები ჰქონდა, მეორე დიდ-ცხვირა იყო.
 ჩვენ ვთამაშობდით დასვენების დროს ლათინურისა და ინგლი-
 სურის გასაკვეთ შუა. გავათავეთ თუ არა თამაშობა, უცბად
 მოვიდნენ ჩემთან და მკითხეს, ვითომც აქ არაფერიყო:

— მართლა იპოვეს განა მამი-შენის მკვლელები?

— მართლა მკვლელს თავს მოჰკვეთავენ?

მას უკან თორმეტმა წელიწადმა გაიარა და დღესაც არ
 შემიძლიან აღუშფოთებლად მოვიგონო, რანაირ დამიწყო მა-
 შინ გულმა ცემა. ალბად ძალიან გაფფითრდი იმ დროს, იმი-
 ტომ რომ ორივე ყმაწვილს, რომელთაც ასეთი მეხი დამატეხეს
 თავს თავიანთის გამოუცდელობითა, თვითონვე შეეშინდათ.

უგუნურმა ბოროტებამ შემიპყრო და მინდოდა, ვცემოდი ამა-
ნაგებს და მუშტის მოღერებით გამეჩუმებინა, რომ აღარ განეგრ-
ძოთ ეს ლაპარაკი, მაგრამ თან გულში ვიფიქრე, იქნება მართლა
ასეა და იმიტომ არის ყველა გაჩუმებული მამი-ჩემის სიკვდილის
შესახებ-მეთქი. მე გავწიოლდი და ძლივს წავიბუტბუტე:

— არ ვიცი.

ამ დროს დარეკეს ხარი და კლასში უნდა შევსულიყავით.
მთელი დღე ვიმეორებდი გულში იმ სიტყვებს, რომელმაც ისე
ამაღლევა. არ ვიცი, რა მიზეზი იყო, მაგრამ ამაზე კი დედას-
თან ხმა არ ამოვიღე. საოცარია, მაგრამ უნდა ვთქვა კი, რომ
იმ დღიდან დაწყებული დედა-ჩემმა, რომელიც მე სულითა და
გულით მიყვარდა, სრულიად დამიშინა. კარგი რამ იყო მაშინ
დედა-ჩემი, თან თუმცა ფერ-მკრთალი, მაგრამ თან დიდებულის
თავ-მოწონებით აღსავსე! არა, არას გზით არ გავბედავდი და
ექვს არ ავიღებდი, რომ მართალი არ იყო ის, რაც მან ზიამ-
ბო მამი-ჩემის სიკვდილის შესახებ. მაგრამ ხმა-ამოუღებლობა მა-
წუხებდა და გადავწყვიტე, იულია გამდლისათვის მეთქმევი-
ნებინა როგორმე ნამდვილი ამბავი. იულია უქმარ-შვილოდ და-
ბერდა, თითქმის ორმოც და ათის წლისა იქნებოდა, დალეული
იყო და პრტყელი, დაქმეილი სახე ჰქონდა. შავი თვალები კი
დიდის გულ-კეთილობით უბრწყინავდა, თუმცა უკბილობის გა-
მო უფრო ბებერს მკითხავსა და მარჩიელსა ჰკვანდა. იულია
გამდელი დიდი მწუხარე იყო მამი-ჩემის გარდაცველების გამო.
როცა მამა-ჩემი ჯერ უცოლ-შვილო ყოფილიყო, იულია მაში-
ნაც თურმე ემსახურებოდა. უფრო ჩემთვისა ჰკვანდათ იულია
სახლში, თორემ სხვა მოსამსახურენი საკმაოდ იყვნენ: მზარეუ-
ლი დედაკაცი ცალკე იყო, ხელზე მოსამსახურე ბიჭი და გო-
გო კიდევ ცალკე. საღამოებით იულია დამაძინებდა ხოლმე,
ლოცულობდა ჩემთან ერთად და აღსარებას მათქმევინებდა
ხოლმე, თუ რამ დამეშავებინა ყმაწვილურის ცელქობით.

— რა საძაგლები ხართ ეს პატარა ყმაწვილები! შესძახა
გამდელმა, როცა ყველაფერი გუამბე: მაგრამ არა უშავს-რა, ად-
რე თუ გვიან ხომ გაიგებდი მაინცა...

გამდელი მოჰყვა და მიაბზო ყოველივე. ვიწექ ლოგინში და მწარედ ვტიროდი. ღეთის წინაშე, გამდელიც ჩემზედ ნაკლებ არა სწუხდა, თან, რაც შეეძლო, მანუგეშებდა და მისვამდა თავზე თავის გამზმარს, შრომით დაბებრებულს ხელს.

მერე გაზეთში წაიკითხე დაწვრილებით ეს საშინელი, გულსაკლავი ამბავი, რომელიც გაუგებარი და გამოუკვლეველი დარჩა და მით მოიწამლა ჩემი ახალგაზღობა. გამდელმაც არა ნაკლებ დაწვრილებით მიაბზო მაშინვე ეს ამბავი. აი ეს ამბავი იმ სახით, რა სახითაც დღე-მუდამ თავში მიტრიალებდა და ვიმედოვნებდი, რომ იქნება ერთი სხივი მაინც მოეფინოს საიდანმე ამ საიდუმლო საქმესა-მეთქი.

მამა-ჩემი გამოჩენილი ადვოკატი იყო, რამდენისამე წლის წინად დაანება ადვოკატობას თავი და შეიძინა საკმაოდ გამოსარჩენი კანტორა. მამა-ჩემს იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით უფრო მალე გავმდიდრდებო. რადგან დიდი ნაცნობობა ჰყვანდა, ყოვლად პატიოსანი გამრჯელი კაცი იყო და საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდა, ამიტომ მამა ჩემმა მალე დიდი სახელი გაითქვა. ათი სეკრეტარი ჰყვანდა და მილიონ-ნახევარი შეძლება დასტოვა. მაგრამ ეს მილიონ-ნახევარი მხოლოდ დასაწყისი იყო. შემდეგში უფრო დიდის სიმდიდრის იმედი ჰქონდა, ეს სიმდიდრე უნდოდა როგორც თავისთვის, ისე უფრო თავის შვილისა და ცოლისათვის, რომელიც მეტის-მეტად უყვარდა. სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქალაქებში აღმოჩნდა მრავალი წერილები და წიგნები, ამ წერილებიდან და წიგნებიდან სჩანდა, რომ მთელის ერთისთვის განმავლობაში, ვიდრე გადაიცვლებოდა, მიწერ-მოწერა ჰქონდა ვიღაც ვილიამ ჰენრი როჩდელთან. ამ როჩდელს ჰქონოდა მინდობილი სან-ფრანცი-სკოელ სავაჭრო სახლის კროფორდისაგან, რომ ეშუამდგომლენა საფრანგეთის მთავრობის წინაშე და მიეღო მისგან ნება-რთვა რკინის გზის გასაყვანად კოჩინ-ჩინეთში, რომელიც ისიც იყო დაიპყრო საფრანგეთმა. აი ამ როჩდელის სანახავად წავიდა მამა-ჩემი, როცა ისაუბმა დილით ჩვენთან. ესაუბნობდით სამნი: მე, დედა-ჩემი და ბ-ნი ტერმონდი. როჩდელი ენა-

ხა მამა-ჩემს საიმპერატორო სასტუმროში. ეს სასტუმრო უზარ-
მაზარი სახლია, რივოლის ქუჩაზე, ზღვათა სამინისტროს ახლო-
კომპუნის დროს ეს სახლი დაიწვა, მაგრამ სინამდევ კი, ვინ
იცის, რამდენჯელ ვთხოვე ყმაწვილობაში ჩემს გამდელს, იმ
სახლისკენ გავიაროთ-მეთქი. გული მტკიოდა, მაგრამ მინდო-
და შემეხედნა იმ სახლის ეზოში, რომელიც მორთული იყო
ყვავილებით, დამენახა შესავალი კიბე, დაფენილი ხალიჩითა-
და მარმარილოს ფიცარი შესავალ კარებში, რომელშიაც შევი-
და მამა-ჩემი მაშინ, როდესაც დედა-ჩემი ემუსაიტებოდა ბ-
ტერმონდს და მე კი იქვე, იმათ ახლო, ვცელქობდი. მამა წა-
ვიდა სახლიდან პირველის საათის თხუთმეტ წუთზე, თხუთმეტს
წუთს სასტუმრომდე მისვლას მოუნდებოდა. მეკარემ იცნა შე-
მდეგ გვამი მამა-ჩემისა და მოიგონა, რომ, მართალია, ასე, პი-
რველის ნახევარზე მოვიდა და მკითხა, რომელ ნომერში ჩა-
მოხდა მისტერ როჩდელიო? ეს უცხოელი კაცი წინა დღით
მოვიდა და კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ მეორე საართულში
აირჩია თავისთვის ნომერი. ამ ნომერში ერთი სასტუმრო ოთა-
ხი იყო, ერთი—საწოლი და ერთიც—ტალანი. ეს კაცი თავის
ნომრიდან არც ერთხელ არ გამოსულა, სადღიოთაც მარტო
ისადილა იმ დღესვე, საუზმითაც მარტოდ-მარტო ისაუზმა მე-
ორე დღიას. ასე, ორი საათი იქნებოდაო, აჩვენა თურმე მე-
კარემ გამომძიებლის წინაშე: როცა მარტო როჩდელი გამო-
ვიდა ნომრიდან, მაგრამ ის კი აღარ მახსოვს, გამოვიდა თუ
არა მიცვალებულაო. სასტუმროში იმოდენი ხალხი შედის და
გადის მუდამ, რომ ეგ ვეღარ დავიმახსოვნეო. როჩდელი გამო-
ვიდა სასტუმროდან დინჯად, აუჩქარებლივ. ილიაში პორტ-
ფელი ეჭირა და სიგარასა სწევდა. მას შემდეგ უკან აღარ და-
ბრუნებულაო.

საღამოზედ მოახლე შევიდა როჩდელის ნომერში ლოგი-
ნის გასასწორებლად, მაგრამ საიმისო ვერა შეამჩნია-რა. დიდი
ძველი ჩემოდანი, პატარა, ახალთ-ახალი ნესესერი და კამოდ-
ზე დალაგებული ნივთები ისევ თავ-თავის ალაგს იყო. მეორე
დღით, ასე, თორმეტ საათზედ, იგივე მოახლე შევიდა ნომერ-

ში და რაკი შენიშნა, რომ როჩდელი წუხელის შინ არა ყოფილარ, გაასწორა ქვეშაგები და ისე გამოვიდა, რომ სასტუმრო ოთახი არ მიულაგებია. საღამოზედ მოახლე ასევე მოიქცა. მხოლოდ მესამე დღეს, დილით, ერთმა მოახლემ გაიკვირვა, რომ ასე დიდხანს არ მოდის ამ ნომრის მდგმურიო და დაიწყო ოთახებში ბორიალი. უცბად მდივან ქვეშ იპოვა კაცის გვამი, რომელსაც თავი პირსახოცებითა ჰქონდა შეხვეული. მოახლემ მორთო ყვირილი. შემოცვივდნენ სხვა მოსამსახურენი და დივან ქვეშედან კი გამოიტანეს მამი-ჩემის გვამი.

სცენა მამი-ჩემის მოკვლისა ადვილად წარმოსადგენი იყო. კეთაზე წყლული ჰქონდა. ეს წყლული ცხადად ამტკიცებდა, რომ საცოდავი მოკლული იყო დამბაჩით, რომელიც ზურგთუკანიდან დაეხალათ, ალბად იმ დროს, როცა სტოლთანა მჯდარა და ქაღალდების კითხვაში ყოფილა გართული. დამბაჩის ხმა ვერავის გაეგონა, რადგან ქუჩაში დიდი ხმაურობა დგას და ის ოთახიც ტალანიდან მოშორებითა ყოფილა. ამასთანავე საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მკვლელი ფრთხილად მოქცეულა და განგებ ამოურჩევია ისეთი დამბაჩა, რომელსაც დიდი ხმა არა აქვს გასროლის დროს. ტყვია ტვინში ჩასჭოდა და იმ წუთშივე გაეთავებინა კაცი. მკვლელს წინაღვე დაემზადებინა სრულიად ახალი უნიშნო პირსახოცები და იმითი შეეხვია პირი სახე და კისერი თავის მსხვერპლისათვის, ისე რომ სისხლის კვალი არსად არა სჩანდა. ხელები იმისთანავე პირსახოცით შეფწმინდა, ხოლო ის ლიტრა, რომლითაც დაებანა ხელები, ბუხარში შეედგა და ბუხრის ფარდით დაემალა. რისთვის ჩაედიანთ ეს კაცის კვლა, გასაქურდავად, თუ გაქურდვით ნდომებიან პოლიციის თავ-გზის დაბნევა? მამას აღარა ჰქონდა აღარც საათი, აღარც პორტფელი და აღარც ისეთი რამ ქაღალდი, რომ შეეტყოთ მისი ვინაობა. მაგრამ იმისი ვინაობის გამოცნობა მაინც არ გაძნელებულიყო; სერთუკის სარჩულზე ყოფილიყო დანიშნული ნომერი და ადრესი მკერვალისა; ამ გზით მალე შეიტყეს, ვინ იყო მსხვერპლი ასეთის საიდუმლოებით დაფარულ ბოროტ-მოქმედებისა და გვამი მამი-ჩემისა პატარახანს.

უკან, ვიღრე სამოსამართლო წესები შესრულდებოდა, მოასვენეს ჩვენს სახლში.

მკვლელი ვილა იყო? გამოძიებამ ბევრი ვერაფერი შეიტყუა. გახსნეს ჩემოდანი როჩდელისა, რომელსაც, უეჭველია, სხვა სახელი ერქვა და არა როჩდელი, და შიგ აღმოჩნდა სხვა-და-სხვანითი, შემთხვევით ნასყიდი ძველ-ძვეულების ღუქანში. თვით ჩემოდანიც ასე იყო ნასყიდი. ღუქნის პატრონმა სულ სხვა ნიშნები დაასახელა როჩდელისა, და სასტუმროს მეკარემ კი—სულ სხვა; პირველმა სთქვა, რომ ქერა-კაცი იყოვო, წვერი არა ჰქონდაო, მეკარე კი იფიცაედა, რომ თმაცა და დიდი წვერიც შავი ჰქონდაო. იპოვეს მეეტლეც, რომელსაც ჩემოდანი წამოედლო ღუქნიდან და მისი მსყიდველი წამოეყვანა, მაგრამ იმანაც ისა სთქვა ჩვენებაზედ, რაც ღუქნის პატრონმა. მკვლელი ჯერ წასულიყო ეტლით სამგზავრო ნივთების მალაზიაში, ეყიდნა იქ ნესესერი, მერე წასულიყო საცვლების მალაზიაში და იქ ეყიდნა პირსახოცები და ბოლოს—რკინის გზის სადგურზე, საცა ჩაებარებინა ყველა ეს ბარგი. მეორე მეეტლემ, რომელსაც სამი კვირის უკან წაეყვანა ის კაცი ლიონის სადგურიდან საიმპერატორო სასტუმროში,—სწორედ ისეთივე ნიშნები დაასახელა მკვლელისა, როგორც სასტუმროს მეკარემ უჩვენა გამოძიებას.

ამ სახით, სამის კვირის განმავლობაში მკვლელს სულ სხვა სახე გაეკეთებინა განგებ გრიზითა, რადგან ყველა მოწმენი თანხმად ამტკიცებდნენ, რომ ასეთისა და ასეთის ტანისა იყო, ასეთი შეხედულობა ჰქონდა, ასეთი ხმაო. ამ საეულებელს აზრს ამტკიცებდა პარიკმახერი ეულიენიცა. ეულიენი თავად მისულიყო გამოძიებელთან და ეთქვა, რომ ამ ერთის თვის წინად ჩემს საპარიკმახეროში მოვიდა ვილაც დიდი ტანის კაცი, მხარ-ბეჭიანი, ქერა და შემომიკვეთა შავი პარიკი და შავი წვერი მასკარადისათვისაო. მე შევასრულე მისი სურვილი. მოვიდა ის კაცი და წაიღო არა თუ მარტო პარიკი და წვერი, არამედ სხვა საპარიკმახერო რაგინდარაცაო. უთუოდ იმიტომ, რომ გაეშავებინა წარბები და ისეთი შავგვრემანი სახე გაეკეთებინა, როგორცა აქვთ სამხრეთ ამერიკელთ. მართლაც, ძალიან მო-

ეხერხებინა გრიმი. მეორედ რომ შესულიყო პარიკმახერთან, პარიკმახერს ვეღარ ეცნო. როცა გაზეთებმა დაიწყეს ლაპარაკი, რომ ასეთი და ასეთი იღუმალი კაცის კვლა მოხდა საიმპერატორო სასტუმროში, სთქვა თურმე პარიკმახერმა, მე მანინვე ნეკზედ ვიკბინე და მომაგონდა ის კაცი, რომელმაც ისეთი მოხერხებული გრიმი გაიკეთა და ისეთი უცნაური საზაბი მოისაბაბა ზაფხულში, — მასკარადში მინდა წასვლაო. მაგრამ ამ მოულოდნელმა ამბავმა უფრო გააძნელა გამოძიება, რადგან ცხადად სჩანდა, რომ მკვლეელი დიდის სიფრთხილით მოქცეულიყო და ამით სრულიად მიემალა თავისი ასავალ-დასავალი.

მამი-ჩემის ქალაქებში იპოვეს ორი წერილი, ლონდონიდან გამოგზავნილი, მაგრამ ეს წერილები უკანვერტოები იყო და ხელიც განგებ შეცვლილი. ამ წერილებიდან სჩანდა, რომ როჩდელს უნდა წარედგინა მამი-ჩემისათვის მოხსენება საქმის გარემოების შესახებ, მაგრამ ალბად ეს მოხსენება მამი-ჩემს პორტუგელში ჰქონდა და პორტუგელი ხომ მკვლელს თან წაეღო. სავაჭრო სახლი კროფორდი ნამდვილად არსებობდა სანფრანცისკოში, მაგრამ ამ სავაჭრო სახლს არასოდეს არა ჰქონია არც სურვილი და არც განზრახვა, რკინის გზა გაეყვანა კოჩინ-ჩინეთში. საზოგადოდ, ეს დანაშაულობა ისეთის საიდუმლოებით იყო მოცული, რომელსაც სანამართლო ხშირად ვერას-გზით ვერ გამოიცნობს ხოლმე. ეჭვი არ არის, რომ მკვლელს ამოდენი ხერხი და სიფრთხილე მარტო ცარიელის ფულის მოსაპარავად არ გამოუჩინია. ვინ გაიგონა, რომ საქმიანი კაცი მოტყუებით გააბან ასეთის მოხერხებით დაგებულს ხაფანგში მხოლოდ იმიტომ, რომ წაართვან საათი და რამდენიმე ათასი ფრანკი. იქნება შურის ძიება იყო მიზეზი? წარსული ცხოვრება მამი-ჩემისა დაწერილებით გამოიძიეს და აღმოაჩინეს, რომ რამდენიმე სწრაფ-გარდამავალი ცუდლუტობა ჩაედინა ყმაწვილობაში ქალის სიყვარულის გამო. სხვათა შორის ძალიან დაახლოებული ყოფილიყო ერთს ქმრიან ქალთან, მაგრამ დიდი ხანი იყო, როცა ეს კავშირი გაწყვიტა, და თუ ქმარს გუ-

მანი ჰქონდა რისამე, აქამდე რაღას გადასდებდა თავის შურის ძიებას? მერე იმ ქალის ქმარი ორმოც და ათის წლის შეძლებული სოფდაგარი კაცი იყო და ისეთი ბუნება არა ჰქონია, რომ დანაშაულობა ჩაედინა. ამას გარდა, ეს კაცი ერთი გამნმარი სუსტი პარიჟელი კაცი იყო და რა უგავდა ამას მხარბეჭიანს როჩდელსა. იქნება შეიძლებოდეს გავიფიქროთ, რომ მისმა ცოლმა მოინდომა წინანდელის ღალატისათვის შური ეძია? შემდეგში, როცა ამიტაცა მკვლელის აღმოჩენის სურვილმა, ფიქრმა მიმიყვანა ამ აზრამდე და გადავწყვიტე, უთუოდ ვნახავ-მეთქი იმ დედაკაცსა. მე ჩემი არ დავიშალე. ის დედაკაცი თეთრად იყო გაქალაჩავებული, მისი შვილიც ჩემოდენა იქნებოდა, ვინ იცის, იქნება ჩემი ძმაც იყო. უცნაურმა ჟრუანტელმა დამიარა ტანში, როცა გულში გავივლე, რომ მამა-ჩემს უყვარდა ეს ადამიანი-მეთქი, რომელიც შემომტკეროდა თავის მშვიდობიანისა და ლურჯის თვალებითა. ეს თვალები-ლა იყო ერთად-ერთი ნაშთი აწ გარდასრულის მისის სილამაზისა. შემომტკეროდა და თვალებში ისეთი გულ-კეთილობა, მწუხარება, სინანული და ღრმა გულის-ტკივილი ეტყობოდა, რომ მევესირცხვილიმა დამწვა, ამაზედ როგორ მივიტანე ექვი-მეთქი.

მართლმსაჯულება, რასაკვირველია ამისთანა გულ-აჩუყებას ჩვეული არ არის და, ვინ იცის, იქნება იმასაც ჰქონდა ეს ან კიდევ სხვა ექვი; მაგრამ მის წარმომადგენელთა ყოველს ფიქრსა და გუმანს არღვევდა და აქარწყლებდა ის უეჭველი და გაუგებარი გარემოება, რომ როჩდელი იყო ნამდვილად გარეული ამ საქმეში. ცხადი იყო, რომ საღამოს შვიდ საათიდან მეორე დღის სამის ნახევრამდე ეს კაცი საიმპერატორო სასტუმროში ყოფილიყო. მას შემდეგ კი გაჰქრა კვალი წმინდად, თითქო მოჩვენება იყოვო. იყვნენ მისი მნახველნი, იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ლაპარაკი ჰქონდათ ამ კაცთან, ისიც იცოდნენ, სად გაათია წინა ღამე, სად იყო მეორე დღით, მაგრამ შემდეგ მოჰკლა კაცი და გაჰქრა. მთელი პარიჟი გააოცა ამ საიდუმლო დრამამ და, როგორც შემდეგ შევიტყე, თითქმის ექვსის კვირის განმავლობაში ლაპარაკობდნენ ამაზე გაზეთები.

გაიარა დრომ, გაზეთები გაჩუმდნენ და თვით ღრამაც დავიწყებას მიეცა. პოლიციამაც დაუტევა ზრუნვა და მკვლელის ძებნით თავს აღარ იწუხებდა. ცხოვრებამ თავისებური მიმდინარეობა დაიწყო და თავის ტალღებით ისე შთანთქა ეს ამბავიც, როგორც ბევრი სხვა ამისთანა ამბავი შთაუნთქავს. მაგრამ მე, მე ხომ შეილი ვიყავ? მე როგორ დამევიწყებინა ჩემის გამდლის ნამბობი, რომელმაც შიშითა და ზარით გაავსო ჩემი ყმაწვილური ფიქრი და გონება? როგორ შემეძლო, რომ მომეშორებინა თვალიდან გაყვითლებული სახე მკვდრისა და დახუჭვილი თვალები, პირსახოცებით შეკრული და შეხვეული მისი შუბლი და ნიკაპი? როგორ შეიძლებოდა, რომ ასჯერ და ათასჯერ არ მეთქვა გულში: „მე ვიძიებ შენს მაგიერ შურს, საცოდავო ცხედარო!“

როცა პირველად წავიკითხე შექსპირის ჰამლეტი, მთელი ჩემი არსება დაიწვა და დადნა. ასე ყოფილა ყოყელთვის, როცა სრულს მსგავსებასა ჰხედავ პოეტის-მიერ ხელოვნებით ნამოქმედარსა და შენს საკუთარს, ნამდვილს ცხოვრებას შუა. შექსპირის ჰამლეტმა — ამ ძაბუნმა ყმაწვილმა კაცმა შემაძაგა და შემაზიზღა თავი. ო, ნეტავი არ იქნებოდა, ძაჰი-ჩემის ლანდიც მომეღინებოდა და ეამბნა ჩემთვის თავის სიკვდილის ამბავი. ვანა ერთს წუთს-ლა შეედრებოდი და შევყოყმანდებოდი? მერე კი ყოველავე ამბავი გავიგე და მაინც ისევე ვყოყმანობდი, როგორც ჰამლეტი, თუმცა არც ისე მეტის-მეტად. მაგრამ კმარა. ისევ მოთხრობას დავუბრუნდეთ.

IV

ძლივს-ლა მახსოვს, რა მოხდა შემდეგ. და ან კი რაღას დამახსოვდებოდა წვრილმანი და იწა-ბაწა ამბები, როცა ორის წლის შემდეგ მეტად დიდმა ღარდმა და ნალველმა შემიპყრო. 1864 წელს მამა-ჩემი გარდაიცვალა. 1866 წელს დედა-ჩემი შეირთო ბ-ნმა ჟაკ ტერმოზდმა. ამ ორ ამბავს შუა გავლილი დრო მაინც ცოტად დამახსოვდა. თუ დამახსოვდა, უფრო იმი-

ტომ, რომ ამ დროის განმავლობაში დედა-ჩემი სულ მარტო ჩემს ზრუნვასა და აღერსში იყო. მამი-ჩემის სიკვდილამდე, ის უბედური იყო ჩემი გამართობი. მას შემდეგ ჩემი პატრონი აღარავინ იყო. სახლი დავცალეთ ტრანშეს ქუჩაზე, რადგან სულ იმ საზარელს უბედურებას გვაგონებდა და ლა-ტურ-მობურსის ბულვარზე გადავედით. ახალი სახლი ვილაც მხატვრის აშენებული იყო. მისი სახელოსნო ოთახი დედა-ჩემმა მშვენიერ სასტუმროდ გადააკეთა. ესლა ვგრძნობ, რომ საზოგადოდ დედა-ჩემს გაზვიადება უყვარდა ყველაფრისა და, თითქო განგებ, ცდილობდა, რომ მეტის გამოჩენით გამოემყლაენებინა თვისი გრძნობანი. უფრო გულ-უბრყვილობით კი მოსდიოდა ყოველივე ესა-თითქო ყმაწვილია, მოკეკლუცე ყმაწვილიო, ისე ზრუნავდა შეეტყო, რა გვარი ქცევა უფრო გამოჰხატავს ჩემს სულიერს მღელვარებასაო და ამ ფიქრით გატაცებულს მალე გაუფრინდებოდა ხოლმე თვით ის გრძნობა, რომელიც აღვლევებდა. ამ გვარად, მართალია, თავის ქმრის უბედურების შემდეგ მარტოობას მისცა თავი და არაეის არ იღებდა სახლში, თვითეულ მახლობელთა და, მათ შორის, ჟაკ ტერმონდის გარდა. მაგრამ ამ მარტოობაშიაც მალე დაიწყო მოკაზმა-ლამაზობა და სახლის მორთვა და მოწყობა. ბუნებითვე თან დაყოლილი ჰქონდა ცოდნა ყველაფრის ლამაზად და კოხტად მოწყობისა, თუ ჩაცმადახურვისა. მეტად საოცარი ლამაზიც იყო, ეშხიანი, ფერ-მკრთალი, საკვირველი ტანადი და ისეთი გრძელი თმა ეყარა, რომ კოქებზე სცემდა, როცა გაიშლიდა და ვარცხნას, მოჰყვებოდა ხოლმე ჩემთან. იქნება მისი ეშხი და ჯადო სილამაზისა იმისი ბრალიც იყო, რომ მის ძარღვებში ბერძნების სისხლიც იღვამისი მამა ვოტრონტო მარსელში მაშინ გადმოსახლებულიყო, როცა იონიის კუნძულნი შემოიერთა საფრანგეთმა. ასე იყო. თუ ისე, შემდეგ ბევრჯელ მომსვლია ფიქრად, რომ დიდი სხვადა-სხვაობა იყო დედი-ჩემის ნაზს სილამაზესა, კოპწიობასა და მამი-ჩემის მოუხეშაობის შორის. მამა-ჩემი ზორბა ტანის ვაჟკაცი იყო და მეც იმისგან დამყვა დიდი ტანი. ვინ იცის, იქნება ეს სხვადა-სხვაობაც იყო მიზეზი ამდენის უბედურებისა

და ვაი-ვაჟლახისა! მაგრამ მაშინ ასეთი სჯა არ შემეძლო. მე ის მახარებდა, რომ კოპწია და ლამაზი არსება აღერსით მეუბნებოდა: „ჩემო შეილოვო“. საგანგებოდ მორთულს სასტუმროში ფარჩასა და ძვირფას ქსოვილთა შორის იჯდა ხოლმე დედა-ჩემი და უკრავდა ფორტეპიანოს. ამ ყოფაში მე ის ღმერთი მეგონა და აღტაცებით ვეთაყვანებოდი. იმის გულისთვის ვცდილობდი, რომ სუფთად მეტარებინა საგანგებოდ შეკერილი მრავალ-გვარი ჩემი ტანისამოსი, თუმცა კი ბუნებით უხერხული ვიყავ და ვერ ვიშენვედი. დედი-ჩემის წყალობით ნელ-ნელა გაჰქა ჩვენს სახლში ხსენება მამი-ჩემისა, თუმცა იმის შრომისა და ღვაწლის მადლობელნი უნდა ვყოფილიყავით, რომ ასე მდიდრულად ვცხოვრობდით. ეხლანდელს ჩვენს ცხოვრებას იმდენად აღარ შეეფერება სისხლის დაქცევით ჩადენილი დანაშაული და უბედურება, რომ, რაც ამ გვარი რამ გვინახავს ჩვენის თვალთ, მალე სიზმრებად გადაგვექცევა ხოლმე.

ღიად, ჩვენი ცხოვრება ჩვეულებრივ მიმდინარეობდა იმ დრომდე, ვიდრე მოულოდნელად არ შევეტყე, რომ დედა-ჩემი მეორედ გათხოვდა. მახსოვს არა თუ დრო, როცა ეს შესანიშნავი ამბავი მოხდა, არამედ დღე და საათიც კი. მე მაშინ მამიდა-ჩემთან ვიყავი. მამიდა-ჩემი ერთი მოხუცებული ადამიანი იყო, ასე 45 წლისა, და კომპინში სცხოვრობდა. თანა ჰყავდა სამი მოახლე. მათ შორის ჩემი გამზრდელი იულიაც, რომელმაც ვერ შეიშვნია დედა-ჩემი. მამიდა ლუიზა ნამდვილი სოფლელი ადამიანი იყო და პარიჟში იშვიათად ჩამოვიდოდა ხოლმე მამა-ჩემთან ორიოდ-სამიოდე დღით. ტანთ ეცვა ყოველთვის სახლში შეკერილი ფარჩის თალხი კაბა გახამებულის საყელო-მაჯებითა. ყელზე ჰქონდა გაკეთებული ძველებური ოქროს ძეწკვი, რომელიც კაბის ზედა-ტანში იყო ჩატანებული და მერე წელთან სჩანდა საათითა და ბრელოკებით. თმა ჰქონდა და სახე ისეთი კეთილი, რომ პირველს ნახვაზედვე მოეწონებოდა ადამიანს, თუმცა დიდი ცხვირი ჰქონდა, დიდი ტუჩები და გრძელი ნიკაპი. მამიდამ აღზარდა მამა-ჩემი სწორედ ამ კომპინში და, როცა მამა-ჩემმა დედა-ჩემი შეირთო ცო-

ლად, მისცა თავის ქონებიდან, რაც კი შეეძლო. საწყალს ბევრი ტანჯვა და ვაება გამოეარნა ამ ორს წელიწადში. ჩემს ალბომში მქონდა მისი წინანდელი სურათი, და ეხლა რომ ვუყურებდი მის სახეს, სულ სხვა იყო. თმა სულ გასათერთებოდა, სახე დაქმეჭოდა. თუმცა გასათხოვარი იყო, მაგრამ სახეს არ იკეთებდა. მიკვირდა კიდევ მაშინ, როგორ ითმენს და სიყვარულს არ აპყვება-მეთქი. ეხლა კი უსამართლოდა ვსჯი დედა-ჩემის შესახებ, რომელსაც სრულიად სხვა ბუნება და ხასიათები დასჩემებია, ვიდრე მამიდას. გული კი ჩჩვილი ჰქონდა დედას, იმდენად ჩჩვილი, რომ თავად ვერ მოახერხა ეთქვა ჩემთვის თავის გათხოვების ამბავი და მამიდა-ჩემს დაავალა, შენ შეატყობინეო. მამიდა ლუიზამ თვალ-ცრემლიანმა წამიყვანა ბაღში, საცა ყმაწვილობისას ხშირად თამაშობდა თურმე მამა-ჩემი. ხის ფოთლები, ცოტა არ იყოს, გაყვითლებულიყო, შემოდგომის გამო, და დაქწიფებულს ყურძენს მრავლად ეტანებოდნენ კრაზანები. მამიდა ჩამოჯდა სკამზე, გამომართვა ორივე ხელი და მითხრა:

— ანდრე, ერთი დიდი ამბავი უნდა გითხრა მე შენა.

შევეწუხდი და მოუთმენელობით დავეწყე ყურება მამიდა-ჩემს. რაც მამა გადამეცვალა, მას უკან სისუსტე დამჩემდა და ხშირად უმიზეზოდაც კი სულ გული შემომკვნესოდა.

— დედა-შენი მეორედა თხოვდება, მითხრა მამიდამ და, რასაკვირველია, შემატყო, რომ აღელვებული ვიყავ.

რასაკვირველია, ამ ამბავმა უცბად არ იმოქმედა ჩემზედ. მამიდამ ისეთი კილოთი დაიწყო ლაპარაკი, რომ მე მეგონა, უთუოდ სამწუხარო ამბავს რასმე მეტყვის-მეთქი, დედის ავადმყოფობისას, ან გარდაცვალებისასა-მეთქი.

— ვის უნდა მისთხოვდეს მერე? ვკითხე დამშვიდებით.

— აბა გამოიცან?

— ბ-ნს ტერმონდსა? წარმოვთქვი მე დაურიდებლივ. ეხლაც ვერ გამოიგია ნათლად, რად წაპოვისროლე მაშინვე ეს სიტყვა. მართალია, ბ-ნი ტერმონდი ხშირად დადიოდა ჩვენსა მამი-ჩემის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ არა ნაკლებ ხშირად მოდიოდა ხოლმე მამი-ჩემის სიცოცხლეშივე. ტერმონდი ჩვენს სა-

ქმეებს აკეთებდა და დიდის მეგობრობითა და გულ-მტკივნეულ-ლობითაც გვექცეოდა. მაშ რალად დამებადა უცნაური გრძნობა დარდისა და ნაღვლიანობისა, როცა მისი და დედი-ჩემის ქორწილის ამბავი შევიტყე? პირიქით, კიდევაც უნდა გამხარებოდა. კარგად ვიცნობდი ბ-ნს ტერმონდს და ყოველთვის დიდად მანცვიფრებდა ხოლმე კიდევაც, მეტადრე ძველად, ოდესმე. რაც კარგი რამ სათამაშოები მქონდა, სულ იმისი ნაჩუქარი იყო და წელსაც კი დონ-კიხოტის წიგნი მაჩუქა დორეს დახატულის სურათებითა. და მაინც უხერხულადა ვგრძნობდი ჩემს თავს, როცა იმას ვუყურებდი. ჩემის ჭკუით ასე ვფიქრობდი, რომ ეს კაცი ძალიან ხშირად მაშორებს ხოლმე დედა-ჩემსამეთქი. თითქო ვეჭვიანობდი კიდევ. ვეჭვიანობდი, რასაკვირველია, ყმაწვილურად, და ხშირად იმის ჯიბრზე დავუწყებდი ხოლმე ალერსს. ვითომ ამ ალერსით მინდოდა დამემტკიცებინა მისთვის, რომ დედა-ჩემი ჩემია და არა შენი-მეთქი. ვინ იცის, მიმიხვდა ტერმონდო, თუ არა? იქნება იმანაც იგრძნო, რასაც მე ბუნდად ვფიქრობდი, ასე იყო თუ ისე, ალერსიანად მექცეოდა, მაგრამ ვატყობდი კი, რომ არაფრად ვეპიტნავებოდი. ყმაწვილობაში გული ადვილად არა სცდება. აი ამიტომ შევკრთი, როცა იმისი სახელი წარმოვთქვი.

— დიად, ბ-ნს ტერმონდსა, მიპასუხა მამიდამ: მაგრამ ერთი ეს მითხარი, მაშინადვე იმაზედ რად გაიფიქრე? სთქვა ესა, დამაცქერდა და, თითქო თავის სიტყვებისა თავადვე სცხვენინა, მკითხა:

— იცი რამე განა?

ამ სიტყვებზე ტირილი მომივიდა. მიზეზი სხვა არა ყოფილა-რა ჩემის ნერვების სისუსტის მეტი. რაც მამა-ჩემი გარდაიცვალა, მას აქედ დამჩემდა ეს სისუსტე ნერვებისა. ასე მომდიოდა ხოლმე ხშირად, როცა მარტო ჩაეკეტებოდი ოთახში; უცბად შიში შემიპყრობდა და გონს ვეღარ მოვდიოდი. წარმომიდგებოდა თვალ-წინ ყოველივე უბედურება და სატანჯველი: მაგალითად, მეგონა, რომ დედა-ჩემსაც და მერე მეც ისევე დაგვხოცავენ, როგორც მამა-ჩემი მოჰკლეს-მეთქი. შიშით

აკანკალებული წამოვდგებოდი და ტახტ-ქვეშ ვიცქირებოდი, იქ ხომ არავენ არის დაძალულო-მეთქი. ვთქვათ, ქუჩა-ქუჩა მივდიოდი ბიჭთან ერთად; უეცრად მოპივიდა ფიქრად, ეს ბიჭიც ხომ ამხანაგი არ იყო მაზი-ჩემის მკვლელისა-მეთქი, ან ბრძანება ხომ არა აქვს, იმასთან მიმიყვანოს მეცა; ან ჩემი გადაშენება ხომ არ უდევს გულში-მეთქი. ასე მქონდა დაბნეული გონება და ამიტომ ვუიქრობდი, გავკრავ ფეხსა და კოპიენში გავიქცევი-მეთქი. იქ კი მოვრჩები კაცის მკვლევებსა და ჩემს მოსაკლავად შეთქმულებსა-მეთქი. მაგრამ მქონდა კი ამისათვის ფული? ავიღებ და საათს გავყიდი-მეთქი. მივცემ აი იმას, ლიცვის გზაზე რომ მესაათე ზის და მუდამ ამოკიეულის თვალით დასცქერის საათების მოწყობილობასა-მეთქი. ასეთი სამწუხარო ზნე დამჩემდა, სულ უბედურება მელანდებოდა თვალ-წინ. ამ ზნემ ბევრჯერ ჩამაშხამა წუთი-სოფელი ყმაწვილობაში. ამავე ზნემ ამატირა ამ წუთშიაც კომპეინის ბაღში. მამიდამ გულაჩუყებითა მკითხა: განა რას ემღურები ბ-ნს ტერმონდსა? მე ჩავეკონე მამიდას გულში და ვუამბე, რა უსიამოვნობაც მახსოვდა უკანასკნელად ბ-ნ ტერმონდისაგან.

ასე, ორის თვის წინად ლიცვიდან გახარებული მოვდიოდი მახლში. პროფესორმა სასიამოვნო ლექცია წაგვიკითხა და თხზულებაც მომიწონა. ასე გახარებული, დიდი ხანი იყო, აღარა ვყოფილიყავ. ვუიქრობდი, მივალ შინ, ვუამბობ დედა-ჩემს სასიამოვნო ამბავს და გავახარებ-მეთქი. ისიც სიხარულით მაკოცებს, უფრო გულიანად, ვიდრე სხვა დროსა მკოცნის-მეთქი. დავაწყე წიგნები ჩემს ოთახში, დავიბანე ხელები და შევეკრინდი სასტუმრო ოთახში, საცა ხშირად იყო ხოლმე დედა-ჩემი. დედა-ჩემს შეეშინდა, ასე აჩქარებითა რას მორბისო და შეპკივლა შეშინებულმა. დედა ბუხართან იდგა. იქვე ახლოს იდგა ბ-ნი ტერმონდიცა. ტერმონდმა წამავლო ხელი, ვითომ დედას მოვაშორო შეილიო.

— უჰ, სთქვა დედამ: რა ნაირად შემაშინე, გული გადმომიტრიალდა.

— არ გაგონილა მაგნაირად სასტუმრო ოთახში შემოვარდნა. მისაყვედურა ბ-ნმა ტერმონდმაც.

ხმაც ისეთივე წყრომისა იყო ბ-ნის ტერმონდისა, როგორც ხელის წავლება. ხელი წამომატანა და ისე მამიჭირა მკლავზე, რომ სალამოზედ, როცა ტანთ გავიხადე, ის ადგილი დალურჯებული შქონდა. მაგრამ მისმა საყვედურმა და მკლავის ტკივილმა ისე არ გამაოცა, როგორც დედი-ჩემის მოულოდნელმა სიტყვებმა.

— ნუ გაუწყობით, ჯერ ყმაწვილია... დაქკვიანდება.

სთქვა ესა დედამ და სიყვარულით დამიწყო თავზე ხელის ზმა. შევატყე, რომ იმისი სიტყვები, ვედრებით სავსე სახე და ოდნავ ათამაშებული ღიმილი მიმართული იყო ტერმონდისადმი, რომელსაც შეეკრა წარბები და განრისხებულივით იგრუნდა ულვაშებს, თითქო ჩემს იქ ყოფნას გამოჰყავს მოთმინებდნაო. საიდან სადა, რომ ასეთის მრისხანებით მელაპარაკება ჩვენს სახლში ეს კაცი, სრულიად უცხო და გარეული-მეთქი? რა ნება ჰქონდა, რომ ხელი დამაკარა? იმისი შევირდი ვიყავი, თუ შეილი? და რატომ დედა-ჩემმა არ დამიფარა? თუ დავაშავე რამე, დედას წინაშე დავაშავე. ბრაზი ყელში მომივიდა და კინაღამ ნადირივით ვეცი ყელში, რომ დამეკბინა, თავ-პარი მომეკაწრა. დედასაც და იმასაც მრისხანედ შევხედე, ხმა აღარ ამოვიღე და წამოვედი ჩემს ოთახში. ავი ვიყავ და მალე ვერ შოვიბრუნებდი ხოლმე გაბოროტებულს გულს. ეს სამწუხარო ნაკლულეევანება იმიტომ დაგჩემდა, რომ მეტის-მეტად ჩვილი გული, ჩვილი აგებულება გქონდაო, მეუბნებიან. ყოველთვის, რასაც ვიგრძნობდი, რაც გულს დამაჩნდებოდა, უთუოდ უნდა გამეზვიადებინა. უბრალო რამე მაჯავრებდა და მერე დიდ-ხანს ვიყავ გაბუტული. მამამაც კი ვერა მომიხერხა-რა და ვერ დამაშლევინა გაწიწმატება და მერე ბუჭიაობა, ვითომ და შეურაცხყოფილის თავ-მოყვარეობისათვის; ვგრძნობდი, რომ ჩემს ზნეობაში ეს თვისება მეტის-მეტად სამწუხარო ნაკლულეევანება იყო და, როგორც პატიოსანს ყმაწვილს, მერე მე თვითონვე მრცხვენოდა ჩემის თავისა. ამიტომ იყო, რომ დიდ შეურაცხყოფად მივიღე ბ-ნ ტერმონდის სიტყვები, რომელიც მაშინა მთქვა იმან, როცა ის-ის იყო სასტუმრო ოთახიდან გამოვდი-ოდდი.

— ახლა უყურეთ, მთელს კვირას ეგრე გაბუსხული იქნება. რა საძაფელი ხასიათებისაა!

მე ტერმონდის ჯობრზე არ გავიბუტე. ამით მინდოდა დამემტკიცებინა, რა უსაფუძვლოდ მისაყვედურა, მაგრამ დავიწყებით კი არ დამვიწყებია ეს საყვედური და ეხლაც, როცა მამიდას ვუამბობდი ამ ამბავს, ვგრძნობდი, რომ ბრაზი ყელში მომდიოდა.

— ქირივით ვეჯავრები მე იმას და არ ვიცი კი, რა დავუშავე? ვამბობდი გულ-ამომჯდარი.

— დამშვიდდი, შვილო, მეუბნებოდა ჩემი კეთილი მამიდა:— უბედური მამა-შენივით აზვიადებ ყველაფერს. დედი-შენის გულისთვის მაინც ჭკვიანად მოგქეცი და გულის-თქმას ნუ აპყვები. მეტის-მეტად ნუ იბორბტებ გულს. შენთვისცა ცუდი. ნურც იმას გადიკიდებ მტრად, დაუმატა მამიდამ.

გამიკვირდა, ასე გადაწყვეტით რად მიჩვენეს, რომ კარგად მოვეტყე ტერმონდსა-მეტქი. თუმცა კი აქ გასაკვირი არა იყო. მაინც შევატყე მამიდა-ჩენს, რომ, როცა ტერმონდზე ლაპარაკობდა, აღელვებულ იყო.

— დღეს საღამოსვე უნდა წიგნი მისწერო, მითხრა მამიდამ მცირეოდენის ღუმილის შემდეგ.

წიგნი მისწეროვო! გული ჩამწყვიტა ამ სიტყვამ. ისინი შეტყუდლდნენ და ახლა აღარ შემეძლო ისე მეფიქრა ერთზე, რომ მეორეც თვალ-წინ არ წარმომდგენოდა.

— თქვენ კი მისწერეთ? ვკითხე მე.

— კარგა ხანია მივწერე.

— ქორწილი როდის-ღა იქნება?

— ქორწილი იყო კიდევ, მიპასუხა მამიდამ ხმა-დადაბლებით. ძლივს გავიგონე იმისი სიტყვები.

— სად იყო?

— სოფელში, მეგობართა და ნაცნობთა შორის. შენ იფიქრეს, რომ არ დავიბარებთ, დაისვენოს იქ, საცა არის, ვიდრე დათხოვნილია სკოლიდანაო. სამის კვირით წასულან სოფელში და მერე იტალიაში აპირებენ, მაგრამ გზად გამოვი-

ლიან და პარიჟში განხავენ. მე იმიტომ არ წავედი ქორწილში, რომ, ხომ იცი, მგზავრობის თავი არა მაქვს. შენ ჩემთან იქნები, ვიდრე ისინი პარიჟში დაბრუნდებიან. აბა მაშ წადი და მისწერე, გენაცვალე, წიგნი.

კიდევ ბევრი რამ უნდა მეკითხნა მამიდა-ჩემისათვის, მაგრამ ამ ხანად თავი დავანებე და პატარა ხანს უკან მამიდას საწერ სტოლთან ვიჯექი. იქ კედელზე ეკიდა იმათი სურათები, ვინც მეტად უყვარდა მამიდა-ჩემს. მამი-ჩემის სახე რამდენიმე იყო, პატარაობაში დახატულიდან ვაჟ-კაცობამდე. მამიდა ლუიზა ძალიან ჰგვანდა მამა-ჩემს. მეც ხან მამი-ჩემის სურათს ვუცქეროდი, ხან თვითონ მამიდას. ვუცქეროდი მამიდას და ვგრძნობდი, რომ მეტად მახლობელი იყო ჩემი. წამოვდგებოდი ხოლმე, დავკოცნიდი მამიდას და მერე ისევ მოვყვებოდი წიგნის წერას იმ ჩემ მტერთან, რომელზედ უსაშინელესი მე არაყინა მყვანდა დედა-მიწის ზურგზე.

ეს დღე იყო მეორე ფურცელი ჩემის თავ-გარდასავალისა, რომელიც ზედ დაიბეჭდა ამოუშლელის ასოებითა.



მამი-ჩემის მოკვლა და დედი-ჩემის მეორედ გათხოვება— აი ის ორი ამბავი, რომელიც მძიმე ლოდევით აწევს მთელს ჩემს სიყმაწვილეს. ბევრი ისეთის ხასიათის ბავშვია, რომ ადვილად იფიწყებს დარდასაცა და მწუხარებასაც: ოღონდ დღეს გაერთოს რაზედმე, თორემ, რაც გუშინ იყო, იმას მალე ვადი-ყრის გულიდან. მე კი ისეთი არა ვარ. ეგ ორი ფიქრი განუწყვეტლივ ტრიალებს ჩემს გონებაში. რაღაც დაუსრულებელ გალუცინაციის გამო, სულ თვალ-წინ მედგა მკვლარი მამა-ჩემი, რომლის წინაშე ქვითინებდა დედა-ჩემი; სულ მამიდა-ჩემის ნაღვლიანი ხმა მესმოდა, დედა-შენი თხოვდებოდა. მეც ვგრძნობდი, რომ გული სულ ისევე მიკვდებოდა, როგორც მაშინ, როცა პირველად გამოვცადე ყოველივე ეს საშინელება. ახლაც კი, როცა ვცდილობ გავითვალისწინო ისტორია ჩემის

სულისა და გულისა, თავ-გადასავალი კემშარიტი ანდრე კორნელისა, ჩემს წარსულ ცხოვრებაში ვერას ვხედავ, რასაც ეს ორი ამბავი არ აჩრდილებდეს, ისეთი დრო ვერ წარმომიდგენია ჩემის ყმაწვილობისა, რომ ამ ორს ამავეს არ შეესვას და არ შეექსოვებინოს, სწორედ ისე, როგორც შავ-ბნელს ღრუბელს შეუსვამს ძალი მებისა და შეუქსოვებია აზრი იმ სახლის გადაწვისა, რომელსაც კი იგი მები დაეცემა. ჩემის ბავშვობისა და ყმაწვილობის ყველა სურათი, რომელიც კი ჩემმა ხსოვნამ თვალწინ დამიყენა, იმ უნუგეშო ორის დღით არის შავად აფერადებულნი, იმათ ბნელს ჩრდილში გადიშალა მთელი ჩემი სიცოცხლეცა.

მერე რა სურათებია ეს სურათები? ვხედავ დიდს ეზოს, ხეებით შემორიგებულს. ეზოში ჯგუფ-ჯგუფად სჩანან ყმაწვილები. ზოგნი თამაშობენ და ცელოქობენ, ზოგნი კი ნაღვლიანად შესცქერიან მოთამაშეთა. ეს ეზო ვერსალის ლიცეის ეზოა; ვინცა თამაშობენ, — უფროსი შეგარდები არიან, ვინც სეირს უცქერიან, — ისინი ახლად მოყვანილები, ხამები და მათ 'შორის ვარ მეცა. მხოლოდ ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მამიდა-ჩემმა მითხრა, დედა-შენი თხოვდებოა, და ჩემი ცხოვრება მას უკან სულ შეიცვალა. რა კი დედა-ჩემი და ჩემი მამინაცვალი იტალიაში მიდიოდნენ და ზაფხულამდე იქ აპირებდნენ დარჩენას, გადასწყვიტეს, რომ მე ლიცეიში ვყოფილიყავ პანსიონერად, ხოლო პარიჟისაში კი არა, — ვერსალისაში.

— იქ მეტად ცუდი ჰავაა, სთქვა ბ-ნმა ტერმონდმა: — მაგრამ, რა კი პანსიონში იქნება, ფიქრი აღარაფრისაა, დაუმატა მან და შემომხედა იმ გულ-ცივობით, როგორც მაშინ, როცა ისე გულ-მოსულმა ჩაჰქიდა ხელი მკლავში: — ლიცეიში ყოფნა ხასიათს აშლაშინებს; მაგისტვის საჭიროა, რანდში გამოვიდეს.

სრულიად მადლოპელი არ ვიყავი, რომ ასე ზრუნავდა ჩემთვის. მაგრამ თან იმასაც ვერა ვგრძნობდი, რომ ბევრად ადვილი იქნებოდა მათ დაბრუნების შემდეგ ჩემი დატოვება პანსიონერად ლიცეიში და ისიც პარიჟზე მოშორებით. ან კი რად იწუხებდა თავსა და რად ცხარობდა. ერთი კი ეთქვა, მე ასე მსუ-

რსო— და ქ-ნი ტერმონდი ხმა-ამოუღებელივ დაემორჩილებოდა მის სურვილს. რანაირ ვიტანჯებოდი, როცა დედა-ჩემი ისევე შინაურულად ელაპარაკებოდა იმას, როგორც მამა-ჩემს. იმან წამიყვანა ამ ვერსალის ლიცეიში; მეორე დღეს დედა-ჩემი მოვიდა ეტლით და გამომეტხოვა, ისიც დედასთან იყო და ამიტომ ვეღარა ვუთხარი-რა. ის, ჟაკ ტერმონდი, იდგა მუდამ ჩვენ შორის. ღმერთო, რა უქლეველ უგულობას ვგრძნობდი იმ კაცის მიმართ. დედასაც შევატყე, რომ შესწუხდა, ასე გულ-ცივად რად მეთხოვება ჩემი შვილიო. მაგრამ დავიჯერო ვერ მიხვედრილიყო, რომ, რაკი ის კაცი იმასთან იყო, მე დედას აღერსს ვერ დავუწყებდი?! დედა წავიდა და მე დავჩი.

ჩემ თვალ-წინ სისწრაფით ცოცხლდება სახე მასწავლებელი სორბელისა, რომელიც გაკვეთილების დროს ჩუმიდ ლექსებსა სწერდა; შეგირდის რიკენისა, გრძელ-ცხვირა და ფერ-მკრთალისა; აყლაყუდა ჰარიზელისა, რომელსაც ლოყის ძვლები ძაღვად ჰქონდა წამოშვერილი, ცისფერ თვალემა იყო და მეტად ჩოფურა; ჟერვესი, შავ-გვრემან და გრუზა-თმიანისა, რომელიც კითხულობდა სახლში „Journal pour Tous“-ის ძველ ნომრებში რომანებს და მერე, სეირნობის დროს, მამობდა შინა-არსს. ყველა ესენი ცოცხლობდნენ და სულდგმულობდნენ ისეთის ინტერესებით, რომელიც წვრილმანებად მიმაჩნდა იმასთან შედარებით, რაც მე მოსაგონებლად მქონდა. ჩემი ამხანაგები თითქო ჰკრძნობდნენ, რომ მე ისეთი რამ გადამბედოდა, რაც იმათ არ გამოეცადნა; აბუებულიც არა ვყვანდი, როგორც ეს ემართებათ ხოლმე სხვა ახლად-მოსულსა და ხამებს, მაგრამ მაინც ჟერვესს გარდა არავისთან მეგობრად არ ვყავი; რაკი ყოველ ჩემს ოცნებას მწუხარების ელფერი დასცემდა, განსაკუთრებულს სიამოვნებასა ვგრძნობდი იმის ნამებობ რომანების სმენითა. ამ რომანებში უმთავრესი ადგილი ეჭირა სხვა-და-სხვა დანაშაულობას. საუბედუროდ, ეს გარემოება ვუამბე მამიდა ლუიზას. მამიდამ ყოველივე ღონის-ძიება მიიღო, რომ დემშვიდებინა აფეთქება ჩემის შერყეულის ფიქროცნებისა. ამიკრძალეს, ჟერვესთან ერთად აღარ ისეირნო ხოლმეო და მით მო-

აშორეს ხელ-და-ხელ გამომცხვარი მეფელეტონე თავის მკითხველს საზოგადოებას.

მაგრამ ვერც მამიდას ზრუნვამ, თუმცა ყოველ კვირაობით მოდიოდა და მთელს დღეს დასეირნობდა ჩემთან, ვერც მეცადინეობამ, თუმცა გულ-მოდგინედ ვსწავლობდი, რადგან არ მინდოდა გამეხარებინა ჩემის ცუდის სწავლით ბ-ნი ტერმონდი, ვერც ჩემმა აღგზნებულმა ღვთის-მოსავობამ - ვერ დაამწვიდა ის დემონი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ჩემს გულს. საღამოობით და დღისითაც, როცა კი დროს ვიპოვიდი, რამდენჯერმე უნდა გადამეკითხნა დედა-ჩემის წერილები, რომელსაც კვირაში ერთხელ მწერდა. თავის მოგზაურობის ამბებზე მწერდა დაწვრილებით. ბევრი რამ არც კი მესმოდა. მხოლოდ ის იყო ცხადი ჩემთვის, რომ დედა-ჩემი ბედნიერია უჩემოდ, რომ დედა-ჩემმა გულიდან გადიყარა მამა-ჩემი და დაივიწყა მისი სიკვდილი, რომ დედა-ჩემს უყვარს თავისი ახალი ქმარი. მეტისმეტად მწყინდა, გულს მიკლავდა ის ამბავი, რომ დედას, ჩემს გარდა, სხვაც უყვარდა. ეს კია, რომ დედასაც ნება ჰქონდა თავისი ცხოვრება სხვა-ფრივ მოეწყო. მაშ რაღად მაწუხებდა ყოველივე ეს და მიფრთხობდა ძილს? გაუთავებელი და დაუსრულებელი მეგონა ხოლმე ღამეები ლიცეიში. გავიდოდა რამდენიმე საათი და ძილი მაინც არ ეკარებოდა ჩემს თვალებს. ჩემს შერყეულს ფიქრ-ოცნებას მხოლოდ ის-ღა ელანდებოდა, რომ ის ადამიანი, რომელიც ყველაზედ უფრო მიყვარდა ამ ქვეყნად, ბედნიერად ცხოვრობდა იმასთან, ვინც ისე მძულდა, მერე მძულდა ისე, როგორც მხეცს. უაზოდ ასე ძლიერ იმიტომამ მძულს-მეთქი, ვამბობდი ჩემ-თავად, რომ იმან დაიჭირა პირველი ადგილი იმ გულში, რომელიც მარტო ჩემი იყო-მეთქი წინად. აი ასე უძილოდ და მოუსვენრად გატარებულ ღამეებში ხშირად გაუეღვია ჩემს გუნებაში ამ აზრს: სად არის ეხლა მკვლელი მამი-ჩემისა-მეთქი? იცის ნეტავ, რომ მე ახლა აქა ვარ? შიშით კანკალს დავიწყებდი ხოლმე და ჩემს თავს ვეკითხებოდი: იქნება აქაც მოვიდეს და ჩემი მოკვლაც მოინდომოს-მეთქი?! ღმერთს შევავედრებდი ხოლმე ჩემს თავს და მივეცემოდი მო-

უსვენარს ძილს. მაგრამ ამ დროს უკვე განთიადი იყო ხოლმე მოტანებული, ხოლო ხუთ საათზე მალეძებდნენ. წამოვდგებოდი ხოლმე და ვგრძნობდი, რომ თავი დამძიმებული მაქვს, ნერვები მოშლილი და გული დაწყლოებული, თითქო ჩემს არსებას უკურნებელი რამ სულის ავადმყოფობა დასჩემებიაო.

VI

განვლო სამმა წელმა. ვერსალის ლიცეიში უნდა დავრჩენილიყავ მხოლოდ ათ თვეს, რაც ხანი დედა-ჩემმა იტალიაში გაატარა. მაგრამ 1870 წლის ზამთარსაც ისევ ლიცეიში ვიყავ. „იქ ჰაერიც კარგია და ანდრეც კარგად სწავლობსო“ — ეუბნებოდა თურმე დედა-ჩემი მამიდა-ჩემს და მით, რასაკვირველია, ბ-ნი ტერმონდის სიტყვებს იმეორებდა. ესეც კია, რომ მეც მომელაპარაკა დედა-ჩემი და მეც ეგრე ვუთხარ, ვერსალში მირჩევნიან-მეთქი. რამდენიმე კვირა ვიყავ სახლში დათხოვნილი, დედი-ჩემის დაბრუნების შემდეგ, და ცხადად დავრწმუნდი, რომ ჩემი ყოფნა სახლში არ ივარგებდა, მეტად დამეთუთქებოდა გული დედი-ჩემისა და ბ-ნი ტერმონდის სიყვარულის ცქერით. კარგად მახსოვდა წარსული და ჩემი ეჭვით საესე თვალები არა ერთსა და ორს საბუთს ჰხედავდა ამ სიყვარულისას. დედა წინანდლები მელერსებოდა ისევ და მისვამდა თავზე თეთრსა და ნაზს ხელებს, მაგრამ მისმა ალერსმა დაჰკარგა ჩემს თვალში თავისი წინანდელი მიმზიდველობა მას უკან, რაც თითზე მეორე ჯვარის-წერის ბეჭედიც გაიკეთა; მალე პირველი მოიშორა და მარტო მეორეს-ღა სჯერდებოდა. როცა მამა-ჩემი ათასში ერთხელ მიუალერსებდა და ხვეწას დაუწყებდა, დედა პირს მოარიდებდა ხოლმე. ახლა კი მორჩილებითა და სიმშვიდით ეყრდნობოდა ბ-ნი ტერმონდს მხარზედ. ჩემი მამი-ნაცვალის შეავლებდა წერწეტსა და ნაზს წელზე ხელს და ჰკოცნიდა შუბლზე, რომელსაც შემოჰხვეოდა გარშემო არა სქელ-სქელი ბლუჯა თმებისა, როგორც მამა-ჩემს უყვარდა, არამედ ხუჭუჭი დალალები, და ისიც არ ერიდებოდა, ხელიდან არ უსხლტდე-

ბოდა. ამისთანა შინაურული, დაახლოვებული ქცევა ბ-ნ ტერ-
მონდის მხრივ საშინელი ჯოჯოხეთი იყო ჩემთვის. დედა-ჩემი,
რასაკვირველია, იოტის ოდნაც არ იყო ყოველ ამას მიხვედ-
რილი. ერთხელ სასეირნოდ წავედი და, რაკი მოაქლიმ დროს
სახლში არ იყო, ბ-ნმა ტერმონდმა ჩააცვა დედა-ჩემს ფეხსაც-
მელი. დავინახე, როგორ გაჰხადა პატარა საშინაო ფეხ-საცმე-
ლი და როგორ აკოცა მის აბრეშუმით ნაკერს პირისფერს
ჩულქს. ამ სცენამ ისე გამაბოროტა, რომ ვერსალის ლიციეში
ყოფნა ვამჯობინე. იქ ჩემთვის საზარელს დედა-ჩემის მეორედ
გათხოვებას და მამა-ჩემს არა მომაგონებდა-რა მაინც, მერე ისიც
ამ სახით! ეს იყო მიზეზი, რომ, როცა ბ-ნმა ტერმონდმა მკი-
თხა — ლიციეში დარჩები, თუ არაო, მე გადაქრით ვუპასუხე,
დავრჩები-მეთქი.

1869—1870 წ. ზამთარი ისე ცხოვლად მიდგია თვალ-
წინ, თითქო გუშინდელი ამბავიაო, არა იმიტომ, რომ იმ ზამ-
თარს ახალი რამ გადამხედლოდეს; არა, მაშინდელს ჩემს სურათს
ვუქქერი და ცხადად ვგრძნობ, რა გუნებაზედაც ვიყავ მაშინ.
ეს სურათი მევე ისე მიჩვენება, თითქო ჩემი ლანდიაო. თმა
შოკლელა მაქვს გაკრეკილი, გამხდარი ვარ და უშნოდ აწოწვი-
ლი, როგორც შეჭურის მოზარდს ყმაწვილს. ეს ის ხანი იყო,
როცა შევირდები ათას-ნაირ უწმაწურ ლაპარაკით ერთობიან,
კითხულობენ უწესოდ ისეთს წიგნებს, რომელიც იმათ წლო-
ვანებას არ შეეფერება და კადნიერად უარ-ჰყოფენ სარწმუნოე-
ბას. ამ დროს ახალი მგობარიც გავიჩინე, ჯორჯი დედიო, და
იმასთან ერთად გავყვევი ურწმუნოებას, ღვთის უარ-ყოფას,
კაცთ-ძულებას, ისე როგორც სხვა ჩვენი ამხანაგები, ზოგი
გარყენილებას აჰყვა, ზოგი ცუდ-მედილობას, ზოგი ვითომ და-
პოლიტიკას და ზოგი — სიყვარულს.

მაინც ეს მოწყენილი, დაღვრემილი ლიციე თავის უნა-
ყოფო ლექციებით, უაზრო სწავლით, სასადილოთი, საცა მუ-
დამ დაურეცხავის ჭურჭლის სუნი იდგა, აუდიტორიებით, საცა
სკამებზე, ვინ იცის, რა არ იყო ამოკრლი, დორტუარებით,
რომელიც სისუფთავით თავს ვერ მოიწონებდა — ჩემს საკუთ-

რებად მიმაჩნდა. ისე ვგრძნობდი იქ ჩემს თავს, თითქო საკუთარს სახლში ვარ-მეთქი. მიყვარდა ეს საპატიმრო, რომელიც სამკურნალო საცავად და ყაზარმასაც; მიყვარდა იმიტომ, რომ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ არა ვხედავდი საბუთებს ჩემს ორ-კეცის უბედურებებს; იქ ცოტას ხნობით მაინც ყუჩდებოდა ის ორი გულის-თქმა, რომელიც მოსვენებას არ მაძლევდა: ერთი ის იყო, რომ შური მეძია მამი-ჩემის მოკვლისათვის, ხოლო მეორე იყო სიძულველი ბ-ნის ტერმონდისა. ბედნიერი დღეები სასჯელი იყო ჩემთვის და, ვინ იცის, რა შიშით უნდა მოვლოდებოდი ლიცეიდან გამოსვლას, რომ არ მცოდნოდა, აი მივიღებ ბაკალავრის დიპლომს, სრული თავისუფალი შევიქნები და შემეძლება მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო მამი-ჩემის მკვლელის მოძებნასა-მეთქი. ჩემს თავს სიტყვა მივეცი, უთუოდ ვიპოვო ის მკვლელი, რომელიც მართლ-მსაჯულებამ ვერ აღმოაჩინა-მეთქი, და ჩემი საიდუმლო გარდაწყვეტილება დიდს ზნეობრივს ძალას მაძლევდა. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ მაინც მეტრს-მეტად მტანჯავდა მთელი წვრილმანი გარეგნება, რომელიც კი ცხადად ამტკიცებდა, რომ სრული ობოლი ვიყავ. ყოველივე ხმა-მალლა ჰლალადებდა ჩვენს სახლში, რომ მე იქ ის საყვარელი შვილი აღარ ვიყავ, რომლის სურვილს ყველანი ემორჩილებიან. მსახურნიც კი არაფრად მაგდებდნენ და კადნიერად შეკიდებოდნენ; ხოლო, როცა ერთს მათგანს ვუჩივლე, ისვე გამოვიდა მართალი და მე ამის გამო გადავწყვიტე; ჩენს დღეში ასე აღარ დამემცირებინა თავი. ამასთანავე მიგეჩვიე ტანჯვასაც; ხოლო ვინც ტანჯავაშია, ის კაცის შეძულეზასაც ეჩვევა. ჩემი წინანდელი ოთახი, დიდი, ნათელი, რომელსაც ფანჯარა ბალისკენა ჰქონდა და კარები — დედას დასაძინებელ ოთახსკენ, ბ-ნმა ტერმონდმა დაიჩემა, მე კი პატარა ბნელი ოთახი მომიგდეს, რომელსაც სარკმელი შეშის დასაწყობ ეზოსკენ ჰქონდა. კვირა-დღეობით მოვიდოდი დილა-ადრიან ლიცეიდან და ვხედავდი, რომ ოთახში ციოდა; ცეცხლის დანთებისათვისაც კი არავინ ჰფიქრობდა. დავჯდებოდი და რამდენსამე ხანს მწუხარებით გავატარებდი ხოლმე ამ ოთახ-

ში მამი-ჩემის დიდ სურათ წინაშე; ეს სურათიც წინად დედი-ჩემის პატარა სასტუმრო ოთახში იყო ხოლმე და მერე კი ჩემს ოთახში გადმოიტანეს. კარგად ვკრძნობდი, რომ სულით ობოლი ვიყავ, ვკრძნობდი მარტოობას სულისას, თუმცა დედა-ჩემი ცოცხალი იყო, აქვე ახლო ოთახში იმყოფებოდა და ვუყვარდი კიდევაც.

ახლა კრიტიკის თვლით ვუყურებ ჩემს სამწუხარო ახალგაზღვობას და უნდა აღვიარო, რომ, ცოტა არ იყოს, თვით ჩემის ხასიათის ბრალია, თუ მე და დედა-ჩემს შორის ისეთი გულსაკლავი გაუგებრობა არსებობდა. დედა-ჩემს ერთსა და იმავე დროს მეც ვუყვარდი და თავის ქმარიცა. ჩემი მოვალეობა იყო ამეხსნა მისთვის, რა ნაირ მწყინდა, რომ იმის გული ჩვენ ორთა შორის იყო გაზიარებული. დედა მიმიხვდებოდა, რა ცეცხლშიც ვიყავ და დამიხსნიდა იმ წვრილმან უსიამოვნობისაგან, რომლის წყალობით ბოლოსა და ბოლოს სულ გაცვივდა ჩვენი დედაშვილური სიყვარული. როცა მნახავდა, ეგონა, რომ გულს გადუშლიდი და ალერსით მივესურვილებოდი, ის კი არა თუ ყოველ ამის ხალისს გულშივე მიკლავდა მასთან ერთად ყოფნა ჩემის მაჰი-ნაცვლისა. თუმცა ყოველ კვირა, ოთხშაბათობით, მოდიოდა ხოლმე დედა-ჩემი ჩემთან ვერსალში, მაგრამ ქმარიც მუდამ თანა ჰყავდა და ვიცოდი, რომ ყველა ჩემს წერილებს იმას აჩვენებდა ხოლმე, ამიტომ ერთი სიტყვა არ მიმიწერია დედასათვის გულ-წრფელად. დიალაც, უნდა შემეტყობინებინა, რაც მაწუხებდა, რა უგუნური იქვიანობაც მტანჯავდა, მაგრამ თან იმასაც ვშიშობდი, ეაი თუ მეტის-მეტად ვატკინო გული-მეაქი და აი ამიტომ ყოველივე, რაც კი გულში მქონდა დაბარხული, მაიძულებდა, დავდუმებულიყავ იმის წინაშე დარცხვენილივით, უხერხულ ახალგაზღვდასავით. დედაც, როგორც სხვა დედა-კაციც, ვერ მიხვედრილიყო ისეთის ხასიათის ამბავს, რომელიც მის ხასიათს სრულიად არაფრით არ ჰგვანდა. ბედნიერი იყო თავის მეორე ქმართან; ორივეს უყვარდათ ერთმანეთი; დედამ მთელი თვისი სიცოცხლე ბ-ნ ტერმონდისთვის გასწირა და, რასაკვირველია, გამწირა მეც. რაკი მე ღვიძლი შვილი ვიყავ, დე-

დას ეგონა, რომ, ცხადია, იმას, ვინც მე მიყვარს, ჩემი შვილიც ეყვარებაო. მართლაცა-და, ბ-ნი ტერმონდი დიდს მზრუნველობას მიწევდა. დიდის გულ-მოდგინებათ ჰფიქრობდა ჩემის აღზრდისათვის, მიგზავნიდა ცალკე ოსტატებს: დაშნაობისას, ცხენოსნობისას, ცეკვა-თამაშისას, მუსიკისას, უცხო ენებისას. ახალწლისთვის დიდს საჩუქრებს მომიტანდა ხოლმე, ხოლო ოთხშაბათობით მაძლევდა წკრილმანის ხარჯისათვის იმდენს, რამდენზედ მეტიც ლიცეის შევირდს არ შეეძლო მეელო. ბუნებითა და ხასიათით ბრძანების მოყვარული იყო, მაგრამ ჩემთან ხმა-მალლა ლაპარაკი არას დროს არ დაუწყებია; საზოგადოდ, დიდის მოხატობითა და ზრდილობით მეკიდებოდა. მისი მოსიყვარულე ქალი კი ყოველსავე ამას ადვილად დასახვედა იმის საბუთად, რომ აი კაცი, რომელსაც გულით უყვარს ყმაწვილი და ისე ექცევა, როგორც მოითხოვს ფრიად ნაწურთნი გონიერებაო. მე რალა მქონდა მის წინააღმდეგ? მე ვერ გამომეხატა გარკვევით, რისთვის ვემდურებოდი და ამიტომ ვიყავ გაჩუმებული. ამისთანა ხმა-ამოუღებელი გულ-ცაგობა ბ-ნი ტერმონდის მიმართ და თავ-შეკავებული ყოფა-ქცევა დედასთან, რასაკვირველია, აფიქრებინებდა მშობელს, რომ ჩემი შვილი მეტად უგულო ეგოისტიყო. მართლაც, ასეთი უფრო გაეხდი, ჩემდა უნებურად. ვიყავ გაბუჭულ-გაბუხებულივით და ისე ვიყურებოდი, თითქო შეშინებული ნადირიყო. ასეთის უგემურობის მიზეზი კი იყო ბ-ნი ტერმონდი. ისე მძულდა ეს კაცი, რომ, ვგონებ, არც ერთხელ არ მიქამია გემრიელად და მადიანად არც სადილი და არც საუზმე, თუ ის ჩემთანა მჯდარა. მეტადრე ამ საუზმე-სადილებზე ვგრძობდი ხოლმე თავს უხერხულად და ვიყავ პირ-მოქუშივით დაღუმებული, თუმცა ლაპარაკი რაც იყო, არა გამომეპარებოდა-რა ხოლმე.

ბ-ნი ტერმონდის მამა ბირჟაზე ჩალიშობდა, ხოლო თვით შვილი წინად დიპლომატი იყო. ამიტომ ისეთი ნაცნობობა ჰყვანდა, რომელსაც მამა-ჩემთან საერთო არა ჰქონდა-რა. ახლა კი დედა-ჩემი და ბ-ნი ტერმონდი ხშირად დადიოდნენ იმ არეულ და სხვა-და-სხვა მიღეთის საზოგადოებაში, რომელსაც

მაღალი საზოგადოება ეწოდება. სად განქრნენ ზამი-ჩემის მგობრები, რომელნიც ჩვენსა სადილობდნენ ხოლმე ათასში ერთხელ, როცა ტრანშეს ქუჩაზე ვიდექით: ლუი-ფრლიპეს ნამინის-ტრალი, ქ-ნი ლეგე, ქვრივი ინჟინერისა და სამიოდ-ოხიოდე კიდევ სხვა წარმომადგენელი მდიდარის ბურჟუაზიისა, რომელნიც ესე მწერდა და წყნარად ცხოვრობდნენ, რომ მათ შორის თეატრში წასვლა საოცარ ამბად მიაჩნდათ, ხოლო ბალის გამართვა — დიდი საქმე იყო. ახლა კი დედა და ბ-ნი ტერმონდი თითქმის ყოველ საღამოს ეტლით მდილობდნენ ხან აქედ და ხან იქით. თავიანთი ცხენები ჰყვანდათ და რამდენიმე ეტლი, ნაცვლად ნაქირავების კარეტისა, რომელსაც სჯერდებოდა მამა-ჩემი. მამა-კაცნი და დედა-კაცნი, რომელთაც ვხედავდი ეხლა დედი-ჩემის სახლში, სულ მხიარულები და ახალგაზდანი მცხვენებოდნენ; იმათი სალაპარაკო სულ დროს გატარება იყო, თეატრები, ბალები, მსკარადები, დოღი, მორაჯლობა-სამკაული. მამა-ჩემი იგლისის ზონარქის დეგებით იყო განსტვალული და ამიტომ იმპერია არ მოსწონდა. ახლა კი დედი-ჩემის სახელი გამოქმული იყო ხოლმე ტიულერში მიწვეულთა სიაში. ხშირად სადილობდა ჰერცოგინა არკოლისას და მეგობარი იყო ერთის მარშალის და ხუთის მარკიზის ცოლისა. დედა-ჩემი რომ ბალს გაჰმართავდა, გაზეთები დაიწყებდნენ ხოლმე ლაპარაკს ამ ბალის შესახებ და მის აღწერას ჰბეჭდავდნენ. ყველა ამას ამბობდა, რა მშვენიერია ქ-პნი ტერმონდისა, და მისმა ახალმა სახელმა იმდენად დაჩრდილა ძველი მისი სახელი, რომ თითქმის მარტო მე-ღა მახსოვდა, ვინც იყო დედა-ჩემი; მე-ღა მახსოვდა, რომ ის იყო ქვრივი ბ-ნის კორნელისა, რომლის საზარელ სიკვდილის შესახებ იმდენი სწერეს გაზეთებმა. თვით დედა-ჩემმა ნუ თუ დაივიწყა ყოველივე ესე?!

ნუ თუ დაივიწყება კანონია-მეთქი ადამიანის ბუნებისა, ვფიქრობდი მე ჩემ თავად ყმაწვილურის სიფიცხით. პასუხს მევე ვაძლევდი ჩემს თავს — არა-მეთქი. ჩემ გარდა იყო ერთი არსება კიდევ, რომელსაც ახსოვდა სველაფერი, რომელსაც მამა-ჩემის სიკვდილი დღესაც საშინელ მაჯლაჯუნასავით აწვა გულზე და

რომლის წინაშე შეგმეძლო ყოველივე გულწრფელად მეთქვა, ჩემი ჭირი და ნალველი მემბნა. ჩემი კეთილი მამიდა ლუიზა სრულიად არ გამოაცვლილიყო და ყოველ წლივ ცოტაოდენს ხანს ვრჩებოდი ხოლმე ზაფხულობით იმის სახლში. იმის გულ-შიაც და იმის სახლშიაც ყოველივე ძველებურადვე დარჩენილიყო. მამიდას გადაეწყვიტა, რასაკვირველია, უფრო ჩემის გულისათვის, ჰქონოდა მისვლა-მოსვლა დედა-ჩემთან და ამიტომ წვლიწადღი საზიოდ-ოთხიოდეჯერ სადილობდა ლა-ტურ-მობურის ბულვარზე. დიდს მოთმინებით ისმენდა ხოლმე მამიდა-ჩემი ჩენს ტირილსა და ჩივილს და ყოველთვის დამამშვიდებდა და მანუგემებდა ხოლმე, ისე რომ მასთან მუსაიფის შემდეგ ისე აღარ ვემდუროდი დედას და ჩემს თავს ვანტყუნებდი, მეტად უსამართლო ვარ და ტყურლად ვესაყვედურები ბ-ნ ტერ-მონდსა-მეთქი. ხანდახან მოვახერხებდი ხოლმე და ჩენს ჯავრს იმ კაცზე ვყრილობდი, რომელმაც მომპარა გული დედა-ჩემისა. თან-და-თან შევნიშნე, რომ ბ-ნ ტერმონდსაც არ ვეპიტნავე-ბოდი მე. როცა უცებ შევიდოდი ხოლმე სახლში, თითქო შეჰკრთებოდა და ხმაც ოდნავ შეეცვლებოდა; უეჭველია, არა-ვინ სხვა ამას ყურადღებას არ აქცევდა, ხოლო მე არ გამომე-პარებოდა ხოლმე და ვგრძნობდი, რომ გული ამ დროს წვას დამიწყებდა, ყელში ნერწყვი გამიშრებოდა ხოლმე და თითქო ვიჩხოზოდი. რაკი შევატყე, რომ ასეთი ზედ-მოქმედება მქონ-და იმ კაცზე, რომელიც მძულდა, დავრხევი ეს ხელზე და მოსვენებას აღარ ვაძლევდი. თუმცა ხასიათის კაცი იყო და კარ-გად ეჭირა თავი, მაინც საკმაო იყო დამტერებით შემგხენდა მისთვის, რომ დიდხან ვერ გაეძლო და მაშინვე გაბრუნებული-ყო. თუ მეტის-მეტად ჩაცხვებით დავუწყებდი ცქერას, ერთხელ კიდევ შემომხედავდა რამდენსამე წუთს შემდეგ, მაგრამ თვალს კი მაინც დიდხანს ვერ გამიშტერებდა ხოლმე. შეიქმუხენიდა შუბლს და ხშირად ისე მეგონა, დამიშლის და მეტყვის, მაგრე ნუ მიყურებო, მაგრამ არ აპყვებოდა გაბრაზებას და ზოგჯერ მეორე ოთახში გავიდოდა ხოლმე. ვხედავდი, რომ არ უნდო-და პირდაპირ შემბოდა, თუმცა ძლიერ უნდა დაეტანჯნა ჩემს

ურცხოვას, რადგან მეტის-მეტად ცხარე და გულ-ანჩხლო კაცი იყო. უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც ვუმაღავდი მამიდა-ჩემს ლუიზას, რომ ამ წვრილპანებში ასე ვერეოდი ჩემს მტერს, ის იყო ვაი თუ ამის გამჟღავნების გამო მამიდა-ჩემმა ისე გულ-თბილად აღარ თანაუგრძნოს ჩემს უბედურებასა-მეთქი. სამაგიეროდ, ათასში ერთხელ კი ვეტყვოდი ხოლმე, რომ დაფაცვებული ვარ, ვიპოვნო მკვლელი მამა-ჩემისა და გადავუხადო-მეთქი.

— ღმერთს უნდა მივანდოთ, შეილო, დასაჯოს ღმნაშავე-ნიო, იტყოდა ხოლმე მამიდა-ჩემი და ხელს მიმაფარებდა პირზე-და, — გახსოვდეს: „მიუტევეთ, რამეთუ თქვენცა მოგეტევეთ“, „ნუ იტყვი: თვალი — თვალის წილ და კბილი — კბილის წილო“! ანდრე, აღმოიფხვრე გულიდან ეგ აზრები.

და კეთილს მოხუცს მდულარებით აევსებოდა ხოლმე თვა-ლები.

გ. ვაჭუშაძე

(შემდეგი იქნება)

* * *

როს საუკუნოდ დაგუბდე, გულის შესწევითოს ძეგრანი,
სიყვარულის შესწევითონ სიმთა მართოლგარე უღერანი,
ვეღარ ვხედავდე მშობელ ცას, მომავლდეს სატროფოს მხერანი,
აღსრულდეს აღსასრულია, გარდუვად ბუდის წერანი, —

ნუ დამიტოვებ, ნუ მიგლოვ, ცრემლის ნუ დაღერი ცხარეს,
სახეს ნუ იხოვ ღამაზსა, ჩემის სიცოცხლის მოვარეს,
თმს ნუ გაიწლი, გიშრის თმის, მოთქმს ნუ მასქენ მწარესა,
რომ შესს სიკვდიმდე ტროფიალსა გულის მიწა წამუარესა!...

გულისა, სად დუღდა სისხლ-ცრემლი, და დაესიონ ჭიანი,
ოდონდ საფლავზე ჭეკოდნენ ვარდნი ფურჩქინილნი, იანი, —
დაესსენ მოკვდე, დაემიწდე, მატლთა გულს მისცენ ზიანი,
ოდონდ შეს, სატროფოვ, სარობდე და ცა სხივს გუენდეს მზიანი!

ტრ. ვალსკო

26 დეკემბერს 1893 წ.

წითელი ყვავილი

ვ. კარმანისა

— მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის, ხელმწიფე იმპერატორის პეტრე პირველის ბრძანებით ამ საგიჟეთის რევიზია უნდა მოხდეს.

ეს სიტყვები ისეთი მაღალის და რიხიანის ხმით იყო წარმოთქმული, რომ საავადმყოფოს მწერალმა, რომელიც მელნით გათხუპნულ სტოლთან იჯდა და ავადმყოფს დიდს დაფურცლულს დავთარში სწერდა, სიცილი ველარ შეიმაგრა. არ იცინოდა მხოლოდ ორი ყმაწვილი კაცი, რომელნიც ავადმყოფს თან მოჰყვნენ: იგინი ძლივს-ღა იდგნენ ფეხზედ, რადგანაც ორი ღამე უძილოდ გაეტარებინათ ამ გიჟის გვერდით, რომელიც ეს არის ეხლა მოიყვანეს რკინის გზით. უკანასკნელ სტანციასთან ამ უბედურს სიგიჟე უურო მორეოდა; მათ საღლაც ეწოვნათ გიჟების ჩასაცმელი პერანგი და კონდუქტორების და ჟანდარმების დახმარებით ამ გიჟისთვის ჩაეცმიათ. ასე შემოეყვანათ ქალაქში და ასევე მოიყვანეს საავადმყოფოშიაც.

იგი საშინელი შესახედავი იყო. სიგიჟეში დაუხრეწილ ტანისამოსის მაგივრად, გაუარფარებული პერანგი ეცვა; ამ პერანგის გრძელი სახლებით ხელები გულთან ჰქონდა შეკრული. მისი ამღვრეული და მეტას-მეტად დაჰყეტილი თვალები (ათი დღე და ღამე არა სძინებოდა) ცეცხლივით ანათებდნენ; ძარღვების კანკალის გამო ჰქვემოთ ტუჩიც უკანკალებდა; მოთელილი ხუჭუჭი თმა შუბლზედ ჩამოჰფარებოდა; იგი ჩქარის ნაბიჯით დადიოდა ოჯახის კუთხიდან კუთხეში, ცნობის-მოყვა-

რეობით ათვლიერებდა ქალღმერთთა სავსე ძველ შკაფებს, ზოგჯერ თავის მომყვანებსაც შეხედავდა ხოლმე.

— წაიყვანეთ ეგ მარჯვნივ განყოფილებაში.

— ვიცი, ვიცი. შარშანაც ვიყავ მე აქა. ჩვენ საავადმყოფოს ვათვლიერებდით. მე ყველაფერი ვიცი და ძნელად მომატყუებთ, — სთქვა ავადმყოფმა.

იგი კარებისაკენ მიბრუნდა. მოსამსახურემ მის წინ კარები გააღო; ავადმყოფმა უგუნური თავი მალლა აიღო და ჩქარის მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა ოთახიდან და თითქმის სირბილით შევიდა სულით ავადმყოფთა განყოფილებაში. გამკლავებულნი უკან ძლივს მისდევდნენ.

— დაუძახე. მე არ შემიძლიან. თქვენ მე ხელები შემიკარით.

მეკარემ კარები გააღო და თანამოგზაურნი საავადმყოფოში შევიდნენ.

ეს საავადმყოფო ქვითკირის დიდი შენობა იყო და სახელმწიფოს ეკუთვნოდა. ამ სახლის ქვემო სართულში იყო ორი დიდი ზალა, ერთი პურის საქმელი და მეორე უწყინარი ავადმყოფების ერთად საცხოვრებელი, განიერი ტალანი შუშებიანის კარებით, რომელიც ყვავილების ბალისკენ გადიოდა, და ოცამდინ ცალკე ოთახები, რომლებშიაც ავადმყოფები ცხოვრობდნენ; ამ სართულშივე იყო ორი ბნელი ოთახი, ერთი ნაწლებით იყო მოფენილი და მეორე ფიცრებით; ერთს თაღებიან ოთახშიაც აბანო იყო გამართული. ზემა სართული ქალებს ეკირათ. იქ რაღაც ალიაქოთი ედგათ და ზჷული და ტირილის ხმა ჩამოდიოდა. ეს საავადმყოფო ოთხმოცი კაცისათვის იყო გამართული, მაგრამ რადგანაც ახლო-მანლო გუბერნიებში სხვა საავადმყოფო არსად იყო, ამისათვის აქ სამასამდინ ავადმყოფს მოეყარათ თავი. თითო პატარა ოთახში ოთხი და ხუთი კრაოტი იდგა; ზამთრობით, როდესაც ავადმყოფები ბაღში აღარ გამოჰყავდათ და ფანჯრებიც მაგრად იყო ჩაკეტილი, საავადმყოფოში ადამიანს სული ეხუთებოდა.

ახალი ავადმყოფი იმ ოთახში წაიყვანეს, სადაც აბანო იყო გამართული. საღს კაცზნდაც კი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ოთახი და გონებით ავადმყოფს ხომ აბა უფრო რა ხეირს დააყრიდა. ეს იყო დიდი თაღებიანი ოთახი თლილი ქვით მოფენილი, კუთხეში მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა; კედლები და თაღები მუქ-წითელ ფრად იყო შეღებილი; იატაკის თანაზრად ორი წყლით სავსე აუზი იყო. ფანჯარასთან კუთხეში სპილენძის ლუმელი იდგა წყლის ასადუღებელი ქვაბით, მიღები და კრანტებიც იქავე ეწყო; გონებით ავადმყოფ კაცისთვის აქ ყოველისფერი შავ-ბნელი და ფანტასტიური იყო, და ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებდა ჩასუქებული და მარად მოღრუბლული ამ აბანოს მოსამსახურე.

როდესაც ავადმყოფი ამ საშინელ ოთახში შეიყვანეს თბილ წყალში საბანებლად და საავადმყოფოს უფროსი ექიმის მკურნალობის წესისამებრ უნდოდათ კეფაზედ დიდი მუშკი დაეკრათ, იგი საშინლად გაბრაზდა და გაცოფდა. ერთი მეორეზედ უფრო საშინელი ფიქრები მოსდიოდა თავში. ეს რუ არის? ინკვიზიცია? თუ საიდუმლო საწამებელი ადგილი, სადაც მის მტრებს უნდოდათ მისთვის ბოლო მოედოთ? იქნება თვით ჯოჯოხეთიც არის? ბოლოს მას მოუვიდა ფიქრად, რომ მცდიანო. თუმცა საშინლად ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ტანთ მაინც გახადეს. სნეულებას ისე გაეღონიერებინა იგი, რომ მოსამსახურეებს ადვილად გამოუხსლტებოდა ხოლმე ხელიდან და ბოლოს ოთხმა კაცმა წაქციეს, ხეო-ფეხი დაუჭირეს და ისე ჩასვეს თბილი წყლით სავსე აუზში. წყალი მას მღულარებად ეჩვენა და უგუნურს თავში კვალად გაუტლვა უთავბოლო ფიქრმა: იქნება მღულარე წყლით და გახურებულის რკინით უნდათ გამომცადონო. აუზში ხელ-ფეხს იქნედა, მაგრამ მოსამსახურეებს მაგრა ეჭირათ; პირში წყალი ჩასდიოდა და სული უგუზდებოდა, იგი ისე საშინლად ყვიროდა და ისროდა უთავბოლო სიტყვებს, რომ ვისაც თავის თვალით არ უნახავს, წარმოდგენით ვერ წარმოიდგენს. ამ ყვირილში ლოცვაც ისმოდა და წყველა-კრულვაც. სინამ სრულიად არ მოიქანცა, სულ ისე ყვიროდა, ბო-

ლოს, ზღუდარე ცრემლები გადმოსცივდა და შშვიდად წარმოსთქვა:

— წმინდაო მთავარ-მოწამეო გიორგი! შენ გაბარებ ჩემს ხორცს. სულის კი — ოხ, არა, არა!...

რგი დაშშვიდა, მოსანსახურეები კი მაინც ხელს არ უშეებდნენ. თბილმა წყალმა და თავზედ დადებულმა ყინულმა იმოქმედეს მაზედ, რგი გრძნობა-დაკარგული ამოიყვანეს წყლიდან და სკამზედ ჩამოსვეს, რომ მუშკი დაეკრათ. მან კვალად მოიკრიბა დანარჩენი ძალა და დაიწყო ყვირილი.

— რადა? რისთვის? ყვიროდა იგი. მე ავკაცობა არავეისთვის მიქნია. რისთვის უნდა მომკლათ? ო-ოხ, ღმერთო! ოხ, ჩემზედ წინად წაზეულნო! გვედრებით, დამიხსენით...

მუშკის დაკვრამ საშინლად დასწვა და შეაძრწუნა იგი. მოსამსახურეები ველარ იმაგრებდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. — მეტი ღონე არ არის, — სთქვა მუშკის დამკვრელმა — უნდა მოვეკლიჯოთ.

ამ სიტყვების გაგონებაზედ ავადმყოფმა კანკალი დაიწყო. მოგლიჯოთ!... რა უნდა მოგლიჯოთ? მე! გაიფიქრა იმან და შეძრწუნებულმა ხელები თვალებზედ მიიფარა. მუშკის დამკვრელმა სხელი ტილო მოაუსო კეფაზედ და მოაცალა მუშკი, ერთი პირი ტყვიც ასძვრა და წითელი ხორცი გამოუჩნდა. მუშკის აძრობამ ისეთი საშინელი ტკივლები მოჰტვარა, რომ, არამც თუ ავადმყოფი, კარგად მყოფიც ვერ აიტანდა, იმას ისე ეგონა ყოველისზევს. ბოლო ეღებო. ერთი საშინლად მიიწ-მოიწია, მოსამსახურეებს ხელიდან გამოუსხლტა და ტიტვლა დაეცა იატაკზედ. იმას ეგონა თავი მომჭრესო, უნდოდა დაეყვრა და ვერ მოეხერხებინა, იგი გონება-დაკარგული წაიყვანეს და კრაოტზედ დააწვინეს. დიდხანს ღრმად ეძინა.

II

მას ღამე გამოეღვიძა. ყველგან სიჩუმე იყო; მეორე დიდი ოთახიდან მძინარე ავადმყოფების ფშვინვა გამოდიოდა. სადღაც

შორს, რაღაც უცნაურის ხმით, ავადმყოფი თავისთავს ელაპარაკებოდა. ზემო სართულიდანაც, სადაც ქალების განყოფილება იყო, სიმღერის ზმა ჩამოდიოდა, ხრინწიანის ხმით რაღაც სიმღერას მღეროდა. ავადმყოფი ამ ხმებს ყურს უვდებდა. იგი საშინელს სისუსტეს ჰგრძნობდა, ასე ეგონა მთელი ძვლები დამტვრეული მაქვსო; კისერი ძალიან სტკიოდა.

— სადა ვარ? რა არის ჩემს თავს? გაიფიქრა იმან. უცრად თვალ-წინ ცხადად წარმოუდგა უკანასკნელი თვე თავის ცხოვრებისა და მიხვდა, რომ ავად იყო, გაიგო ისიც, რითაც იყო ავად. მას მოაგონდა თავის სულელური აზრები, სიტყვები, საქციელი, და საშინელმა კანკალმა აიტანა. — ეს კიდევ მადლობა ღმერთს, ეს კიდევ მადლობა ღმერთს! წაიბუტბუტა იმან და კვალად ჩაეძინა.

რკინებით გამაგრებულ ღია ფანჯრიდან მოჩანდა ერთი პატარა ქუჩაბანდი, რომელიც დიდ შენობების და ქვითკირის გალავნის შუა იყო. ამ პატარა ადგილს არავის ფეხი არა ხვდებოდა, რაღაც გარეულის ბუჩქებით და ტუზუად აყვავებულის იასამანით იყო სავსე... ფანჯრის პირ-და-პირ, ბუჩქების იქით, გალავნის მაღალი კედელი იყო; მთვარის სხივებით გაშუქებული ხეები დიდი ბაღიდან ფანჯრებში შემოიციკირებოდნენ. მარჯვნივ თვით საავადმყოფო იყო, რომლის რკინებიანი ფანჯრებიც შიგნიდან იყო განათებული; მარცხნივ მთვარისაგან თეთრად გაკაჩაჩებული კედელი იყო. მთვარის შუქი ოთახში შედიოდა ფანჯრებიდან და ანათებდა ლოგინს და ავადმყოფის ტანჯულს, ფერ-მკრთალს სახეს; მას თვალები დახუჭული ჰქონდა; ახლა იმას სიგიჟისა არა ეტყობოდა-რა. მას, როგორც ტანჯულს კაცს, ისე ღრმად ეძინა, რომ თითქმის სუნთქვაც აღარ ისმოდა. მან რამდენსავე წაშს სრულის ჭკუით გამოიღვძა, თითქო სრულიად ჯან-სალიაო; გამოიღვიძა, მაგრამ იპისთვის, რომ დილით ლოგინიდან კვალად გაგიჟებული ამდგარიყო.

2) კვლავ იგივე სურათი შევხვდებით. მთელი მისი ცხოვრება ერთი და იგივე იყო. იგივე იყო მისი მანქანის მართვა. იგივე იყო მისი...

III

— როგორა ხარ? ჰკითხა მას ექიმმა მეორე დღეს. ავად-
მყოფს ის იყო გამოვლენილი და ჯერ ისევ ლოგინში იწვა.

— ძალიან კარგად! მიუვო მან, წამოხტა ზეზე, ფეხები
ჩუსტებში ჩაყო და ხალათის ჩაცმაც დაიწყო. — ძალიან კარ-
გად! მხოლოდ ეს, აი!

მან კეფაზედ დაიღო ხელი.

— კისერი ისე მტკივა, რომ აქეთ-იქით ვეღარ მიმიღია.
მაგრამ არა უშავს-რა. ყოველისფერი კარგია, თუ გაგეგება; მე
კი გამეგება.

— თქვენ იცით ეხლა სადა ხართ?

— რასაკვირველია, ვიცი! მე საგიჟეაში ვარ. მაგრამ თუ
კაცს გაეგება, ეს სულ ერთია. სულ ერთია.

ექიმი დაკვირვებით აცქერდებოდა თვალეში. იგი მშვე-
ნიერი, ნაზი სახის კაცი იყო, მოქერაო წვერი აბრეშუმივით
უბზინავდა, მისი დამშვიდებული თვალეები ოქროს სათვალეებიდან
გამოიყურებოდნენ, მის სახეს შორს გამჭვრეტელობა არ ეტყო-
ბოდა. იგი ყველაფერს თვალს ადევნებდა:

— თქვენ აგრე დაშტერებით რას მიცქერით? თქვენ ვერ
გაიგებთ იმას, რაც გულში მაქვს, — განაგრძო ავადმყოფმა: — მე
კი კარგად მესმის, თქვენ რაცა გაქვთ გულში! რად წერებთ
ავ-კაცობას? რად შეგიკრებიათ აქ ეს უბედურნი და რად და-
გიმწყვდევიათ? ჩემთვის სულ ერთია: მე ყოველისფერი მესმის
და გულ-დამშვიდებული ვარ; მაგრამ ისინი? რა საქიროა ამო-
დენა ტანჯვა? კაცმა, რომელმაც იცის, რომ იმის გონებაში
დიდი აზრი, საზოგადო აზრი ტრიალებს, იმისთვის სულ ერ-
თია, სადაც უნდა ცხოვრობდეს და რასაც უნდა ჰკრძაობდეს.
ასე გასინჯეთ, იმისთვის სიკვდილ-სიცოცხლეც კი სულ ერთია...
ეს ხომ ასეა?

— იქნება, — მიუვო ექიმმა და ოთახის კუთხეში სკამზედ
ჩამოჯდა ისე, რომ შესძლებოდა თვალ-ყურით ედევნებინა ავად-

მყოფისათვის, რომელიც აჩქარებით დადიოდა ოთახის კუთხიდან კუთხემდინ, დიდრონ ჩუხტებს აფრასტუნებდა და წითლებით მორთულს ხალათს აფრიალებდა. ექიმს თან ჰყავდნენ ფერშალი და ზედამხედველი, რომელნიც კარებთან იყვნენ გამოქიმულნი.

— მცც მიტრიალებს თავში ის დიდი აზრი! წამოიძახა ავადმყოფმა:— და როდესაც მე ამ აზრს მივაგენ, ასე მეგონა, ცხლა და ვიბადე-მეტქი. გრძნობანი გამიფხიზლდნენ, ჭკუა ისე მუშაობს, როგორც თავის დღეში არ უმუშავნია. რასაც წინად დიდის გაჭირვებით უნდა მივხვედრილიყავ, ეხლა იმას ადვილად მივხედები ხოლმე. მე რეალურად შევფეგენ ყოველივე ის, რაც ფილოსოფიამ გამოიკვლია. მე უკვე მივხვედი ჩემ თავდ, რომ სივრცე და დრო— ფიქცია ყოფილა. მე ყოველ საუკუნეში ვცხოვრობ. მე ვცხოვრობ უსივრცოდ, ყველგან ანუ არსად, როგორც გნებავდეთ. ამისათვის ჩემთვის სულ ერთია, აქ დ. მიქერთოთუ გაშიშვებთ, გამანთავისუფლებთ თუ ისევ დაქცრილი ვიქნები. მე შევნიშნე, რომ ჩემისთანა კაცი აქ რამდენიმეა. დანარჩენებისათვის კი ასეთი მდგომარეობა საშინელბაა. რასთვის არ გაანთავისუფლებთ იმათ? ვის უნდა...

— თქვენა თქვით, — გააწყვეტინა ექიმმა, — რომ სივრცისა და დროს გარეშე ვცხოვრობო. მაგრამ არ შეგიძლიანთ არ დ. მტანხზოთ, რომ მე და შენ ამ ოთახში ვართ და ეხლა, ნ მაისს 18**წ., თერთმეტის ნახევარი, — ექიმმა საათი გასინჯა. — ამაზედ რას იტყვიან?

— არაფერს. ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა ვიყო და როდესაც უნდა ვცხოვრობდე. თუ ჩემთვის სულ ერთია, განა ეს იმას არა ნიშნავს, რომ მე ყველგან და ყოველთვის ვიმყოფები?

ექიმმა გაიცინა.

— ახირებული ლოლიკაა, — უთხრა მან და წამოდგა. — ვინ იცის, იქნება მართალს ამბობდეთ. ნახვამდის. სიგარა არ გინდათ.

— ზაღლობას მოვახსენებთ. იგი შესდგა, აიღო სიგარა და მღელვარებით მოაკენიტა წვერი. — ეს კაცს შველის ფიქრის

დროს — სთქვა მან. — ეს მიკროკოსმთა ქვეყანაა. ერთ წვერზედ ფერფლია და მეორეზედ სიმჟავე... ქვეყანაზედაც ასეოივე თანასწორობაა, ორი მოწინააღმდეგე ძალა ერთმანეთს აუქმებს. მშვიდობით, ექიმო!

ექიმი სხვებისკენ წავიდა. დანარჩენი ავადმყოფები თავიანთ კრაოტებთან იდგნენ გამოჭიმულნი და ექიმს ელოდნენ. არც ერთი მთავრობა ისე პატივცემული არ არის თავის ქვეშევრდომთაგან, როგორც ექიმი-ფსიხიატრი თავის გიჟებისაგან.

როცა ავადმყოფი მარტოკა დარჩა, კვლად დაიწყო კუთხიდან კუთხეში სიარული. მას ჩაი მოუტანეს; ზეზეურად გადაცალა დიდი ჭიქა ჩაი ორ მოყუდებაზედ და თეორი პურის ერთი დიდი ნაჭერი თვალის დახამხამებაზედ შექამა. შემდეგ გამოვიდა ოთახიდან და რამდენსამე საათს ჩქარ-ჩქარა დადიოდა მთლად შენობის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდინ. ავღრიანი დღე იყო და ავადმყოფებს ბაღში არ უშვებდნენ. როდესაც ფერშაღმა ახალ ავადმყოფს ძებნა დაუწყო, მას ტალანის ბოლოსკენ გაასწავლეს. იგი იდგა აქ, ბაღში გასასვლელ შუშთან კარგბს მისდგომოდა და დაკვირვებით უყურებდა ყვავილებს. მისი ყურადღება ერთმა მეტად წითელმა ხაშხაშის ყვავილმა მიიზიდა.

— წამობრძანდით ავწონოთ, — უთხრა ფერშაღმა და მხრებზედ ხელი დაადო. როდესაც იგი ფერშაღისკენ მობრუნდა, შიშისაგან კინალამ უკან არ გადახტა: თვალეზში საშინელი ბოროტება და მძულვარება ეტყობოდა. მაგრამ, როდესაც ფერშაღი დაინახა, სახის გამომეტყველება მაშინვე სხვა გვარად შეეცვალა და თავის ნებით გაჰყვა მას უკან, არცერთი სიტყვა არ დაუძრავს, თითქოს რაღაც ღრმა ფიქრში იყო გართული. მათ ექიმის კაბინეტზედ გაიარეს; ავადმყოფი თვითონ შესდგასასწორზედ; ფერშაღმა აწონა იგი და ჩანიშნა დავთარში 109 გირვანქა. მეორე დღეს 107 გირვანქა მოვიდა, მესამე დღეს 106.

— თუ რომ შემდეგაც ასე დაიკლო, იგი ვერ იცოცხლებს, — სთქვა ექიმმა და უბრძანა ნოციერი საჭმელები უქმიათ.

თუმცა საქმელიც კარგი მისცეს და ახირებული მადაც ჰქონდა ავადმყოფს, მაგრამ ის მაინც დღითი-დღე ხდებოდა და წონაში კლებულობდა. ავადმყოფს თითქმის არ ეძინა ხოლმე და მთელი დღე სულ დადიოდა და დადიოდა.

iv

იგი ჰგრძნობდა, რომ საგიჟეთში იყო; იგი იმასაც კი ჰგრძნობდა, რომ ავად იყო. ზოგჯერ, როგორც საავადმყოფოში მოყვანის პირველ ღამეს, მას გამოვლენიებოდა ხოლმე და გონზედ მოვიდოდა; ჰგრძნობდა, რომ ყოველი ასო სტკიოდა და თავი საშინლად დამძიმებული ჰქონდა. ამ დროს იგი ცხადად ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას და თითქოს ავადმყოფობა აღარ ეტყობოდა. იქნება ყოველივე ამის მიზეზი ის იყო, რომ ღამ-ღამობით საავადმყოფოში მყოფროება იყო და იმის გონებაზედ აღარაფერი ახლენდა შთაბეჭდილებას, ან იქნება იმისთვის, რომ ამ დროს მისი გონება უფრო ნაკლებად მუშაობდა. მაგრამ გათენდებოდა თუ არა და საავადმყოფოში ხმაურობა ატყდებოდა, მის გონებას ტალღებივით მიცხეოდნენ ხოლმე ათასგვარი შთაბეჭდილებანი, სწეული გონება ველარერეოდა მათ და კვალად გაგიჟდებოდა ხოლმე. მისი გონიერული და უგუჟური მსჯელობა ერთმანეთში იყო არეული. იმან კარგად იცოდა, რომ მას გარშემო ავადმყოფები ეხვეწენ, მაგრამ იმავე დროს ყოველ მათგანს რაღაც საიდუმლო პირად სთვლიდა, რომელსაც უწინ იცნობდა და ან გაეგონა რამე მათზედ. იმის აზრით საავადმყოფო სავსე იყო ყველა დროის და ყველა ქვეყნის ხალხით. აქ ცოცხლებიც იყვნენ და მკვდრებიც. აქ იყვნენ გამოჩენილნი და ძლიერნი ამა ქვეყნისანი და მკვდრეთით ამდგარნი უკანასკნელ ომში დახოცილი ჯარისკაცები. იგი გრძნობდა, რომ რაღაც მოჯადოებულ წრეში იმყოფებოდა და თავის გარშემო შემოკრებილი ჰქონდა მთელი ქვეყნის ძალა, იგი თავის თავს ამ წრის ბურჯად რაცხდა და ამით მეტის-მეტად ამპარტავნობდა. ყველა ივინი იმის ამხანაგე-

ბი იყენენ და აქ იმისთვის შეკრებილიყენენ, რომ გაეკეთები-
ნათ ის საქმე, რომელიც მას უზარ-მაზარ საქმედ მიაჩნდა და
დედაშიწის სურგზედ ბოროტების აღხოცის მოასწავებდა. მან
აქ იცოდა, რაში მდგომარეობდა ეს საქმე, მაგრამ მის ასასრუ-
ლებლად კი საკმაო ძალას ჰგონობდა თავის-თავში. მას შეეძ-
ლო სხვების გულის პასუხის გაგება; ყოველს ნივთში მთელს
მის ისტორიას ხედავდა; ბაღში მდგარი თელის დიდი ხეები მთელს
ლენგენდებს და წარსული დროის ამბებს უამბობდნენ; თვით სა-
ავადმყოფოს, რომელიც მარძალაც დედი ხნის შენობა იყო,
პეტრე პირველის მიერ აშენებულ შენობად სთვლიდა და დარ-
წმუნებული იყო, რომ ჰოლტაეის ომის დროს მეფე აქა ცხო-
ვრობდა. ყოველივე ეს მან აღმოიკითხა საავადმყოფოს კედლე-
ბზე, ბაღში ნაპოვნ აგურის ნატეხებზედ; წთელი შენობისა და
ბაღის ისტორია მათზედ იყო დაწერილი. მან საცხედროს პა-
ტარა შენობაში დიდი ხნის მიცვალებულები დაასახლა და და-
შტერებით იცქირებოდა მის ფანჯარაში, რომელიც ბაღისკენ
იყურებოდა, ფანჯრის გაქუჩყიანებულ შუშაში იგი ხედავდა
იმ ნაცნობ პირთ, რომელთაც ან პირად იცნობდა და ან მა-
თი სურათი ენახა.

მშვენიერი დარები დაიჭირა. ავადმყოფები მთელს დღეს
ბაღში ატარებდნენ. მათი წილი ბალი თუმცა პატარა იყო, მა-
გრამ ხეებითა და ყვავილებითა იყო სავსე. რომელ ავადმყოფ-
საც კი შეეძლო, ხედამხედველი ამუშავებდა; მთელს დღეს
ხან კვლავს აკეთებდნენ, ხან ხეივნებს მიწას აყრიდნენ და ხან
კიტრსა, საზამთროს და ნესესა რწყავდნენ. ბაღის ერთს კუთ-
ხეში აღუბლის ხეები ჯგუფად იდგა. ბაღის გარდი-გარდმო თე-
ლის ხეების ხეივანი იყო, ამ ხეივნის შუა ალაგას განგებ გა-
კეთებული გორაკი იყო და იმაზედ ისეთი მშვენიერი ყვავილე-
ბი ეთესა, რომ იმათ ბადალი მთელს ბაღში არ მოიპოვებოდა; გო-
რაკის აქეთ-იქით ნაპირებზედ ღია ფერის ყვავილები იდგნენ;
ზედ გორაკის თავზედ კი წითელი ხრახნილებით შემკობილი
ჟვითელი ფუსტული იდგა. ბევრი ავადმყოფი ამ ყვავილს რა-
ღაც საიდუმლო მნიშვნელობას აძლევდა. ახალი ავადმყოფიც

არა ჩვეულებრივ ყვავილად სთვლიდა. რა ყვავილებიც კი მალოროსიის ყველა ბაღებში მოიპოვებოდა, ამ ბაღშიაც იყო. ამავე ბაღში იღვა სამი ძირი ხაშხახის ყვა-ვილი განსაკუთრებულის ჯიშისა; ის ყვავილი იმით იყო შე-სანიშნავი, რომ მეტის-მეტი წითელი იყო. აი სწორედ ამ ყვა-ვილმა დასცა თავ-ზარი ავადმყოფს მაშინ, როდესაც იგი საა-ჭადმყოფოში მოიყვანეს და პირველს დღეს შუშას კარებიდან ბაღ-ში იცქირებოდა.

როდესაც პირველად ბაღში გავადა, იმან მაშინვე ამ ყვა-ვილს მიაქცა ყურადღება. ამ ყვავილისა მხოლოდ ორი ძირი-ლა იღვა; იგინი რაღაც შემთხვევით სხვა ყვავილებზედ მოშო-რებულნი იდგნენ და გარშემო უბრალო ბალახ-ბუღაჩი ეხვიათ;

ავადმყოფები რიგ-რიგად გადიოდნენ ბაღში, გასაუღელ კარებში მოსამსახურე იღვა და ყველა მათგანს ბამბის ყა-ლფაკს აძლევდა, რომელზედაც წითელი ჯვარი იყო გამოსა-ხული. ეს ყალფაკები ომში ნაქონები იყვნენ და საავადყოფ-ოსათვის ეყიდნათ. ავადმყოფი ამ ჯვარს, რასაკვირველია, გან-საკუთრებულ, საიდუმლო მნიშვნელობას აძლევდა. მან მოიხა-და თავიდან ყალფაკი და ჯერ ჯვარს შეხედა, მერე ხაშხა-შის ყვავილებს. ყვავილები წითლად დაჟღავნებდნენ.

— ეს ამარცხებს მტერსა, — სთქვა ავადმყოფმა: — აბა ვნა-ხოთ.

იგი ჩავიდა ბაღში. მიიხედ-მოიხედა და რაკი მოსამსახურე ვერ დაინახა, რომელიც თვითონ იმის უკან იღვა, გადავიდა კვალში და ხელი ყვავილებს წაატანა, მაგრამ მოწყვეტა კი ვერ გაბედა.

მან ყვავილებისკენ გაწედნილ ხელში და მთელს ტანშიაც რაღაც სიცხე და ჩხვლეტა იგრძნო; თითქოს მის-თვის რაღაც უცნობი ძალა გამოდიოდა ყვავილის წითელი ფურცლებიდან და მთლად იმის ტანს სუსხავდა. იგი უფრო ახლო მივიდა და ხელი ყვავილისკენ გაიწოდა, მაგრამ ყვა-ვილი, როგორც მას ეჩვენებოდა, თავს იკავდა და მოსაწამლეო, მომაკვდინებელს სუნს უშვებდა. მას თავბრუ დაეხვია; უკანასკნე-

ლი ძალა მოიკრიბა და ის იყო წაავლო ყვავილს ხელი, რომ ვიღამაც მხრებში ხელი სტაცა. ეს იყო მოსამსახურე.

— არ შეიძლება მოწყვეტა, — უთხრა მოხუცმა მოსამსახურემ. — ყვლებშიაც ნუ დადიხარ. თქვენ აქ ბევრი გიყები ხართ და ყველამ რომ თითო ყვავილი მოწყვიტოთ, ბალი სულ ერთიან გაოხრდება, — უთხრა მან დარწმუნებით და თან ხეოდ, მხრებში ჰქონდა ჩაქიდებული.

ავადმყოფმა შეხედა მოსამსახურეს, ხელიდან გაეშვებინა და აღელვებულმა ხეივანზედ გაიარა მდუმარებით. — ოხ, უბედურნო! ფიქრობდა იგი. — თქვენ ვერა ხედავთ, თქვენ ისე ხართ დაბრმავებულნი, რომ მას ქომავლებს უწევთ, მაგრამ რადაც უნდა დამიჯღეს, მე იმას ბოლო უნდა მოვუღო. დღეს თუ არა, ხვალ მაინც შევხვდებით ერთმანეთს და ვნახოთ, რა იქნება. თუ გინდ რომ კიდევ დავიღუპო ამ ბრძოლაში, ეს ხომ სულ ერთი იქნება.

იგი საღამომდინ ბაღში დასვირობდა, უჩვეობრდებოდა ავადმყოფებს და უცნაურად ელაპარაკებოდა, იგინი ამის ლაპარაკს თავიანთი უკუნური აზრების პასუხად სავლიდნენ. ავადმყოფი ხან ერთს ამხანაგთან დადიოდა, ხან მეორესთან და საღამოზედ უფრო დარწმუნდა, რომ „ყოველივე მზად არისო“ მალე, ძალიან მალე დაიმსხვრევიან ფანჯრის რკინება, ყველა ეს დატუსაღებულნი გავლენ აქედან და განიბნევიან დედა-მიწის ზურგზედ, მათელი ქვეყანა შედრწუნდება, გაიძრობს ძველს ტყავს და სიტურფითა და მშვენიერებით იბრწყინვებს. მას ყვავილი დაავიწყდა, მაგრამ როდესაც ბალიდან გამოვიდა და საავადმყოფოს კარებს მიუახლოვდა, მან კვალად დაინახა ორი წითელი ყვავილი. მაშინ ავადმყოფი უკან ჩამორჩა სხვა ავადმყოფებს, მოსამსახურეს უკან მოუდგა და მარჯვედროს ელოდდა. არავის დაუნახავს, როგორ გადახტა კვალში, როგორ მოგლიჯა ყვავილი და როგორ ჩაიკრა გულში ჰერანგის შიგნიდან. როდესაც ყვავილის დანამული ფოთლები მოხვდა ტანზედ, იგი გაყვითლდა და თვალები დააქყიტა. შუბლზედ ცივმა ოფლმა დაასხა.

საავადმყოფოში ლამპები ჟანთეს; ზოგიერთა ავადმყოფები კრაოტებზედ ჩამოჯდნენ და ვახშამს ელოდდნენ, მხოლოდ რამდენიმე მოუყვენარი ავადმყოფი ჩქარ-ჩქარა დადგინდა ტალანში და ზალაში. ყვავილის მომწყვეტი ავადმყოფაც მათ რიცხვში იყო; მას ათთრთოლებული ხელები გულზედ ჰქონდა დაკრებილი; თითქო გულში ჩაკრულ ყვავილის გათელვა, განადგურება უნდოდა. იგი ერიდებოდა სხვა ავადმყოფებს, თითქო ეშინოდა ახლო არ მომეკარნენო. — ახლო ნუ მოხვალთ, ახლო ნუ მოხვალთ! ყვიროდა იგი. მაგრამ საავადმყოფოში ამისთანა ყვირილს ყურადღებას არ ათხოვებდნენ ხოლმე. მან უფრო მოუმატა სიარულს, უფრო დიდს და დიდს ნაბიჯებს ადგამდა, ერთ-ორ საათს გაშმაგებული დადიოდა.

— მე შენ დაგალაღე. მე შენ დაგაღრჩობ! ამბობდა იგი გაბოროტებული. ზოგჯერ კბილებსაც აკრაქვენებდა.

სასადილო ოთახში ვახშამი მოამზადეს. უსუფრო სტოლზედ ქაშით სავსე რამდენიმე ხის ჯამები დასდგეს. ავადმყოფები ჩამოსხდნენ სკამეიკებზედ; ყველას თითო ნაქერი შავი პური მისცეს. თითო ჯამში რვა-რვა კაცი სჯამდა ხის კოვზით. ვისაც უფრო კარგ საქმელს აძლევდნენ, ისინი ცალკე იხსდნენ. ჩვენმა ავადმყოფმა საჩქაროდ შეკამა თავის კერძი და შემდეგ სხვა ავადმყოფებთან მივიდა.

— ნება მიბოძეთ თქვენთან დავჯდე, — უთხრა იმან ზედამხედველს.

— განა თქვენ არ გივახშიათ? უთხრა ზედამხედველმა და ზოგიერთებს კერძი მიუმატა.

— მე ძალიან მშიან. მე მხოლოდ საქმელი მომადონიერებს: თქვენ იცით, რომ მე სრულიად არა მძინავს ხოლმე.

— კამე რამდენიც გინდოდეს, ჩემო კარგო. ტარასი, კოვზი და პური მოართვი.

იგი მიუჯდა ერთს ჯამს და ძალიან ბევრი ქაში შეკამა.

— ახლა კი კმარა, კმარა, — უთხრა ზედამხედველმა, როდესაც ყველამ გაათავეს ვახშამი და ჩვენი ავადმყოფი კი ისევ სჯამდა და თან გულზედ ხელს იჭერდა. — მეტი მოგივათ.

— ახ, რომ იცოდეთ, რამოდენა ღონეა ჩემთვის ასჯირო, რამოდენა ღონე! მშვიდობით, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, — უთხრა ავადმყოფმა, სტოლიდან წამოდგა და ზედამხედველს ხელი მაგრა ჩამოართვა. — მშვიდობით!

— მერე სად მიბრძანდებით? ჰკითხა ღიმილით ზედამხედველმა.

— მე? არსად. მაგრამ იქნება ხეალ ერთმანეთი ჩველარა ენახოთ. გმადლობთ გულ-კეთილობისათვის.

მან კიდევ მაგრა ჩამოართვა ხელი ზედამხედველს. ხმა აუკანკალდა, თვალებში ცრემლები მოერია.

— დამშვიდდით, ჩემო კარგო, დამშვიდდით, — მიუგო ზედამხედველმა. — რა საჭიროა ვგრეთი შავი და ბნელი ფიქრები? წადით, დაწექით და კარგად დაიძინეთ. თქვენთვის ბევრი ძილია საჭირო; თუ ბევრს დაიძინებთ, მალე კარგად გახდებით.

ავადმყოფი ქვითინებდა. ზედამხედველი მიუბრუნდა მოსამსახურეებს და ფბრძანა სუფრა აეღოებინათ. ჯერ ნახევარ საათს არ გაცვლო, რომ საავადმყოფოში ყველას ეძინა, გარდა ერთი კაცისა, რომელიც გაუხდელი იწვა თავის კრაოტზედ. იგი ისე კანკალობდა თითქო გაცივებულია და გულზედ ხელებს იჭერდა. იმის ფიქრით. გული სულ მომაკვდინებელის შესამთა ჰქონდა გაყენთილი.

მას მთელი ღამე არ ეძინა. მან მოსწყვიტა ეს ყვაილი იმისთვის, რომ ამას იგი უდიდეს ღვაწლად სთვლიდა. გაიხედა თუ არა შუშის კარებიდან, მაშინვე ამ ყვაილებმა მიიპყრეს იმის ყურადღება. იმას ასე ეგონა, რომ ამ დღიდან სრულიად მიხედა. იმას, რაც უნდა მოეხდინა ქვეყანაზედ. მთელი ქვეყნის ბოროტება ამ ყვაილში იყო შეკრებილი. მან იცოდა, რომ ხაშხაშიდან თრიაქს აკეთებენ; იმან ეს აზრი გააჭვიადა და რაღაც საშინელ მოჩვენებად წარმოუდგა თვალ-წინ. იმის ფიქრით, ეს ყვაილი იყო ბუდე ყოველივე ბოროტებისა; მან შე-

ისეა უდანაშაულოდ დაღვრილბ სისხლი. (ამისთვის იყო იგი ასე წითელი) და ცრემლები მთელის კაცობრიობისა. იგი იყო, საიდუმლო, ღვთის წინააღმდეგი, საშინელი არსება, არიმანი, გარეგანი შეხედულებით მშვიდი და უზანკა. იგი უნდა მოსწ, წყვატოს და მოჰკლას. ეს კიდევ არაფერა, იგი ისე უნდა მოიკლას, რომ სულის ამოხდომის დროს თავის ბოროტების გეოსლი ქვეყანას არ გადასხას. აი ამისთვის ჰქონდა გულთან დამალული ეს ყვავილი. მას იმედი ჰქონდა, რომ ყვავილი დილამდინ მთელ თავის ძალას დაჰკარგავდა, მისი გესლი ბოროტება გადავდოდა იმის გულში და სულში და იქ დამარცხდებოდა.—მაშინ თვით იგი დაილუბება, მოკვდება, მაგრამ მოკვდება როგორც პატიოსანი მებრძოლი, როგორც პირველი მოსარჩლე კაცობრიობისა, იმისთვის რომ დღევანდლამდის მთელი ქვეყნის ბოროტებას არავინ შეჰბრძოლებია.

— მაა არ დაუნახავთ იგი, მე კი დავინახე. განა შეიძლება იგი ცოცხალი დავტოვო? სიკვდილი უჩუბობესია.

იგი სუსტდებოდა და უძლურდებოდა მომავალ ბრძოლის ლოდინით. მეორე დღეს ფერშაღმა ნახა და სიცოცხლის წინააღმდეგობა აღარ ეტყობოდა. თუმც ეს ასე იყო, მაგრამ მღეღვარებამ თავისი ძალა გამოიჩინა, იგი წამოხტა ლოგნიდან და საავადმყოფოში დაიწყო სირბილი, ხან ავადმყოფებს ელაპარაკებოდა და ხან თავის თავს, თუმცა ისე უთავბოლოდ, რომ ასე იმას არას დროს არ ულაპარაკნია. იგი ბალში აღარ შეუშვებს; ექიმმა ნახა, რომ მისი სხეულის წონა თან-და-თან კლებულობდა და ძილი კი მაინც არა და არ მოსდიოდა. ამისთვის უბრძანა მისთვის კანქვეშ მორთი ბლომად შეეშხაპუნებინათ. მან წინააღმდეგობა არ გაუწია: საბედნიეროდ, ამ დროს მისი უფუნური აზრები აჰ აპერაციას ეთანხმებოდნენ. მას ჩქარა ჩაეძინა, გიგური მოძრაობა დაუდგა. იგი მიბინარდა და აღარ ფიქრობდა მეორე ყვავილზედ.

ეს ყვავილი სამი დღის შემდეგ მაინც მოვლიჯა და მოსამსახურებ დაშლა ვერ მოასწრო. მოსამსახურე გამოუდგამას უკან. ავადმყოფი გამარჯვებულის ხარხარით შევარდა.

საავადმყოფოში, დაეცა თავის კრაოტზედ და ყვავილი პერანგის შიგნიდან გულში ჩაიკრა.

— შენ რაღა გლეჯავ ყვავილებს? ჰკითხა მოსამსახურემ. მაგრამ ავადმყოფი გულ-ხელ დაკრებილი იწვა კრაოტზედ და ისეთი სულელური ლაპარაკი დაიწყო, რომ მოსამსახურემ მოხადა თავიდან წითელ ჯვრიანი ყალფაკი და წავიდა. კვლად დაიწყო მოღანდებული ბრძოლა. ავადმყოფი ჰგრძნობდა, რომ ყვავილებიდან გველების მსგავსად გამოდიოდა ბოროტება; ეს გველები საღებავით გარს ერტყმოდნენ იმას, უჭერდნენ და ჟინთავდნენ მთელს მის არსებას საშინელის შხამით. იგი ხან ტიროდა და ცვედრებოდა ღმერთსა, ხან კი წყევლა-კრულვას უთვლიდა თავის მტერს. საღამოზედ ყვავილი დაჰქნა. ფეხით გასრისა დაჰქნარი ყვავილი, მერე აკრიფა იატაკიდან მისი ფურცლები და აბანოს ოთახში წაიღო. მან ეს გამხმარი ყვავილის ფურცლები შეჰყარა გახურებულ ლუმელში, იგი დიდხანს უყურებდა, თუ როგორ იწოდა მისი მტერი და ბოლოს როგორ გადაიქცა ფერფლად. მან შეუბერა და ეს ფერფლი აქეთ-იქით გაჰფანტა.

მეორე დღეს ავადმყოფი უფრო შემძიმდა. იგი მეტისმეტად გაყვიოდა, თვალები და ლოყები ჩაუცვივდა, მაგრამ სიარულს მაინც არ იშლიდა, თუმცა ზოგჯერ კიდევ იქცეოდა. ის სულ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა.

— შე არ მინდა ძალა ვიხმარო, — უთხრა უფროსმა ექიმმა ნავის თანაშენწეს.

— ბოლო ხომ უნდა მოვულოთ ამის განუწყვეტელ სიარულს. დღეს იგი 93 გირვანქაა. თუ ასე იკლო, ორი დღის უკან მოკვდება.

უფროსი ექიმი ჩაფიქრდა. — მორთი? ხლორალი? ჰკითხავდა იგი.

— გუშინ მორთიმ აღარ იმოქმედა.

— უბრძანეთ შეჰყარან: არა, მგონია მაგან კიდევ იკოცხლოს.

VI

ავადმყოფი შეჰკრეს. იგი პერანგ ჩაცმული იწვა კრაოტზედ და ზედ გადაჭერილი ჰქონდა ტილოს ჩანაქერები. სიგიჟე თან და თან უფრო ერეოდა და აქეთ-იქით იწევდა. რამდენიმე საათის განმავლობაში იგი ძალიან ცდილობდა განთავისუფლებულიყო. ბოლოს, ძალიან მიინძრ-მოინძრა, ერთი ტილოს ჩანაქერი გაწყვიტა და ფეხები გაინთავისუფლა, მერე წამოდგა ზეზედ, ხელებ-შეკრულმა დაიწყო. ოთახში სიარული და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახოდა.

— ოხ, შე... შენი!... დაუყვარა შემოსულმა მოსამსახურემ.—
რა ეშმაკმა გაგანთავისუფლა! ივანე! გრიგოლ! მოდით დროით, აშვებულა.

სამივენი მისცივდნენ ავადმყოფს და დიდხანს იბრძოდნენ. ბოლოს, წააქციეს ავადმყოფი, ლოგინზედ და წინანდელზედ უფრო მაგრა შეჰკრეს.

— თქვენ არ გესმით, რასა შერებით! ყვიროდა ავადმყოფი და თან სული უგუბდებოდა. — თქვენ იღუპებით! მე ენახე მესამე ყვავილი, რომელიც მალე გაიშლება. ახლა ის გაიშლებოდა კიდევ, დამაცადეთ საქმე გავათავო! უნდა მოვკლა იგი, მოვკლა! მოვკლა! მაშინ ყოველისფერი ვათავდება, ყველანი გადარჩებიან, მე თქვენ ვაგგზავნილით, მაგრამ იმის მოკვლა მხოლოდ მე შემიძლიან. თქვენ ერთი იმასთან მიკარებოდა და იხლავდით.

გაჩუმდით, ბატონო, გაჩუმდით! უთხრა მოჭყტმა მოსამსახურემ, რომელიც მას ჰყარაულობდა.

ავადმყოფი უცბად გაჩუმდა. იმან განიზრახა მოსამსახურეების მოტყუება. იგი მთელ დღეს შეკრული ჰყავდათ და ღამეც ასევე დასტოვეს. მოსამსახურემ ჯერ, ვახშამი აჭამა, მერე იმის კრაოტის გვერდით რაღაც გაიშალა და დაწვა, ერთი წამის შემდეგ მას ღრმად ჩაეძინა, ავადმყოფი კი ცდილობდა როგორმე განთავისუფლებულიყო.

ავადმყოფმა პერანგის გრძელი სახელოები იმდენი უხახუნა კრაოტს, რომ ერთს ალაგას გახვრიტა და სალოკი თითი ფაშოკო. ამ ერთი თითის შემწეობით მან გაინთავისუფლა ხელე-ბი ისე ადვილად და მოხერხებით, რომ სალი ადამიანიც კი ვერ მოახერხებდა. ამის შემდეგ ყური დაუკლო მოსამსახურეს და ნახა, რომ ტკბილად ეძინა. ავადმყოფმა გაიხადა პერანგი და კრაოტიდანაც აეშვა. ახლა ის თავისუფალი იყო. იგი მივიდა კარებთან, მაგრამ კარები შიგნიდან დაკეტილი დახვდა. თურცა კარის გასაღები მოსამსახურეს ელო ჯიბეში, მაგრამ ჯიბის გასინჯვა ვერ გაბედა, ეშინოდა არ გაიღვიძოსო. მან გადასწყვიტა ოთახის ფანჯრიდან გადასულიყო.

მყუდრო, მშვიდი და ბნელი ღამე იყო; ფანჯარა ღია ღარ-ჩომოდათ; ცაზედ ვარსკვლავები ბრწყინავდნენ. იგი უყურებდა იმათ და უხაროდა, რადგან იმას ეგონა, რომ იგინი მას თანა-უგრძნობდნენ. ვარსკვლავების სხივებმა უფრო გაამზნევს იგი. საკმაო იყო აქეთ-იქით შეედრია ფანჯრის რკინები, რომ გა-მძვრალიყო და გადასულიყო იმ ქუჩაბანდისკენ, რომელიც ბუჩქებით იყო სავსე და აქედან ხომ ბალის კედელზედაც ადგ-ლად გადავიდოდა. იქ მოხდებოდა უკანასკნელი ბრძოლა, და მერე თუ გინდ მომკვდარიყო, აღარაფერს ინაღვლიდა.

იგი შეეცადა ფანჯრის რკინების მოკავეს, მაგრამ ხელე-ბი ეტკინა და ვერ მოკავეა. მაშინ იმან თავის პერანგი და-გრისა, ფანჯრის რკინას გამოაბა და ზედ ჩამოეკიდა. დიღხნის წვალების შემდეგ, რკინა იმდენად მოიკავეა, რომ გაძრომა შეიძლებოდა; იგი გადაძერა კიდევ, ბუჩქები გაიარა და ბალის კედელთან შესდგა. ყველგან მყუდროება იყო; საავადმყოფოს ოთახები ოღნავ იყო განათებული; იქ არავინ არ მოჩანდა. იგი ვერავინ შენიშნა; იმის კრაოტის წინ მწოლარე მოსამსახურეს ამ დროს ისევ ტკბილად ეძინა. ვარსკვლავები ციმციმებდნენ და თავის სხივებს ავადმყოფს გულამდინ აწვდიდნენ.

— მე მოვდივარ თქვენთან, — წაიჭურჩულა იმან, როდესაც ცას შეხვდა.

იგი აფოფხდა კედელზედ, მაგრამ უკანვე წამოვარდა, ფეხებიდან და ხელებიდან სისხლი სდიოდა. იგი შეუდგა ადვილად გადასასვლელ ალაგის ქებნას. იქ, სადაც ბალის კედელი საცხედროს კედელთან იყო შეერთებული, კედლიდან რამდენიმე აგური იყო გამოვარდნილი. ავადმყოფმა ისარგებლა ამით, იგი ავიდა კედელზედ, მისწვდა თელის ტოტებს და ჩაცოცდა ძირს.

იგი მაშინვე ნაცნობი ადგილისკენ გაიქცა. ყვაილი იქვე იდგა და დანამული იყო.

— უკანასკნელი ბრძოლა! წაიწურაყლა ავადმყოფმა, — უკანასკნელი! დღეს ან უნდა გავიბარჯო და ან მოკვდებ. მაგრამ ეს ჩემთვის სულ ერთია. მოიცადეთ, — სთქვა მან, როდესაც ცას შეხვდა: — მე მალე მოვალ თქვენთან.

მან ამოგლიჯა ყვაილი, მიგლიჯ-მოგლიჯა, დაიჭირა ხელში და ისევ იმავე გზით შემოვიდა თავის ოთახში, რა გზითაც გავიდა. მოსამსახურეს ეძინა. ავადმყოფი მივიდა თუ არა ლოგინთან, მიშინვე უგრძნობლად დაეცა ზედა.

დილით იგი მკვდარი დახვდათ. სახე დაწყნარებული და ნათელი ჰქონდა; წმინდა ტუჩებზედ და ჩაცვივებულ თვალზედ რაღაც ამპარტანული ბედნიერება ემჩნეოდა. როდესაც იმას საკაცებზედ სდებდნენ, უნდოდათ მოკუმშული ხელი გაეხსნათ და ყვაილი გამოეცალათ. მაგრამ ხელი ვერ გაუხსნეს და მან ეს გამარჯვების ნიშანი სამარეში თან ჩაიყოლა.

ქალ. მამულაშვილისა

მამულაშვილი იყო ერთ-ერთი იმ ქალიწამბისა, რომელიც კვანთის მთის მხარეში, მდ. მტკვრის სანაპიროსა, მდებარეობდა. მამულაშვილი იყო ერთ-ერთი იმ ქალიწამბისა, რომელიც კვანთის მთის მხარეში, მდ. მტკვრის სანაპიროსა, მდებარეობდა. მამულაშვილი იყო ერთ-ერთი იმ ქალიწამბისა, რომელიც კვანთის მთის მხარეში, მდ. მტკვრის სანაპიროსა, მდებარეობდა.

ქ ი თ ხ ვ ა - პ ა ს უ ხ ი

ქ ი თ ხ ვ ა

კარგი რაბა ხარ, ხეძო ქვეყანა,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

გიმწერ და მსერა კვლავ სწუერთან თვალს,
ვისძენ და სძენით უური ვერ ჰქმდება;
მაგრამ რამდენად საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

რა დავაზნის კვლავ სანატრელი?
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?
მაგრამ რამდენადც მადლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

ვან მოგმართოს შენ და წინ არ დასკდეს
შენი სამდადრე, შენი უსკება;
მაგრამ რამდენადც მდიდარ-უსკვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

მარტვი, რად არის იქ გულთა კლამა,
სად სიტყვებსა განსარბულია
და რამდენადც შენ ცხოველ-მოყოველ ხარ,
იმდენად უფრო რად კვდება გული?

ზ ა ს უ ხ ი

— მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
 კაი მე ჩემი ბედ-კრულ, უძლური!..
 იქ თვით სამოთხეც ვფოჯოხეთია,
 სად თვის შესამს ანთხეს მტრობა და მური.

საყვარელი ვარ... ჩემს მზიან-ჩრდილში
 სიყვარულს უნდა თვის ტასტი ედვას
 და ვაი იმის სასაცვლოდ თქვენ კი
 ერთმანეთს აყრით კრულვას და წვეკვას!

მადლით სავსე ვარ და ვაი ჩემს შვილს
 ეგ მადლი ჩემი ვერ უშენგვია
 და ან იქ რა ჭჭმნას თვით წმინდათ წმინდამ,
 სად ცოდვას მადლი დაუძლევიან?

მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
 ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჯამთ,
 მე ტყვილ ცსოურების წყაროსა გაწვდით
 და ვაი თქვენ კი მძა-მძის სისხლსა სკამთ!..

იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო
 უღანბოლას ურგებ-ურწყული,
 სადაც არ აბნეს თვის წმინდა ნამსა
 სული მართალი და წრფელი გული.

ილია ჩავჭავაძე

მეფე დავით აღმაშენებელი

და

მისი დრო

ისტორიული მონოგრაფია



დავით აღმაშენებლის სალაშქრო მოღვაწეობა ორ ნაწილად განიყოფება. პირველ ნაწილს შეადგენს შინაური მტრის დამორჩილება და კახეთ-ჰერეთის შემოერთება, ხოლო მეორეს— გარეშე მტერთან ბრძოლა და სამშობლოს განთავისუფლება. ლაშქრობის ორსავე ხანას საკუთარი ხასიათი და მიმართულება ამჩნევია. პირველ ხანას ლაშქრობას ასპარეზი უფრო ვიწრო აქვს. ამას გარდა, შინაური მტერი და კახეთ-ჰერეთი მეფემ მხოლოდ ქართველ ჯარით დაიმორჩილა. გარეშე მტრის შესამუსვრელად და სამშობლოს განსათავისუფლებლად საჭირო იყო უფრო დიდი და ფართო ბრძოლის ასპარეზი. ამიტომ მეფემ მიმართა ეგრედ წოდებულს **როქის სპას** და სალაშქროდ მოიწვია უცხოელნი, რომელთაც ჯამაგირი ეძლეოდათ (როქა ბერძნულად ჯამაგირია).

სულ პირველადვე საქართველოს სამხედრო გამგეობა ფეოდალობის წესზე მოეწყო და თვითელი ერისთავი ვალდებული იყო, საჭირო დროს, ჯარი მზად ჰყოლოდა. ლაშქრის შეკრება ებარა სპასალარს ანუ სპასპეტს, რომელსაც, სხვათა

შორის, ეპყრა „პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცე-სობა“. მთელი სამეფო განაწილებული იყო ოთხ სადროშოდ და ჩვეულება უჩვენებდა, — ომის დროს რომელ დროშას რა ადგილი უნდა სჭეროდა. ამას გარდა, შინაურ სპის წეს-წყობილებას განაგებდა განსაკუთრებული მოხელე, ეგრედ წოდებული მსასურთ-უსუცესა. სხვათრიე სწარმოებდა როქის სპის საქმე. ამ საქმეს ჰვატრონობდა მონათ-უსუცესა, როქის სპა თვით მეფეს ახლდა, იმის დროშის ქვეშ იდგა და განსაკუთრებულს წესდებას ემორჩილებოდა¹⁾. თუმცა სახელწოდება „როქის სპა“ თავდაპირველად არ იწმარებოდა, მაგრამ ჯერ ისევ მირიან მეფის დროიდან ლაშქრის ჯამაგირით დაჭერა ჩვეულებად დაწესდა. რასაკვირველია, როქის სპას ხანდახან თვით საქართველოს მკვიდრიც შეადგენდნენ. მაგრამ დავით-აღმაშენებელმა როქის სპად უცხოელნი მოიწვია. მეფეს აზრად ჰქონდა საქართველოს ძველი საზღვრები შეეძინა და ამ საქმისთვის შინაური სამხედრო ძალა საკმარი არ იყო. ჯერ-ჯერობით კი მეფე თურქებს ქართველ ჯარით ებრძოდა. მართალია, შინაური ლაშქარი რიცხვით მცირედი იყო, მაგრამ მხნეობას და ვაჟკაცობას კი საოცარს იჩენდა და, სხვათა შორის, ამის მიზეზად მეფის სამხედრო გამგეობა უნდა ჩაითვალოს, თუმცა ესეც კია, რომ დავით აღმაშენებელმა ხელ-უხლებლად დასტოვა ამ გამგეობის ძველი ფეოდალური წყობილება.

მატიანის სიტყვით, სამხედრო გამგეობის დაარსება ფარნავაზ მეფეს ეკუთვნის. როცა ამ მეფემ საერისთავოები დააწესა, იმავე დროს დაადგინა სპასუცეობა, უპირატესი მხედართმძღვანობა. სპასუცი შიდა-ქართლში ბრძანებლობდა და თვითეული ერისთავი იმას ემორჩილებოდა²⁾. თუმცა სპასუცი მოხსენებულია მეფობის დაარსების ადრე, ეგრედ წოდებულ მამასახლისობის დროს³⁾, მაგრამ ეს გარემოება არ არღვევს მა-

¹⁾ ვახუშტის გეოგრაფია. გვ. 14, 18, 36.

²⁾ ქ. ცბა, 31—2.

³⁾ ისტ. თეიმურაზისა, 101.

ტიანის თქმულებას. პირვანდელ დროის სპასპეტობა არ წარმოადგენდა მუდმივსა და განსაკუთრებულს მოხელეობას. მხოლოდ მეფობასთან ერთად დაარსდა ნამდვილი სპასპეტობა, რომელიც შეეფერებოდა ახლად დადგენილ სამეფო გამგეობას და მართებლობას. ამბობენ, ვითომ ფარნავაზ მეფისაგან დადგენილი სპასპეტობა სომხურს დაწესებულებას მიაგავსო⁴⁾; მაგრამ, როგორც სჩანს, თვით სომხებმა გადაიღეს ქართველებისაგან ზოგი სამხედრო წესი, მაგ., სეჟე წყუთა რახშია⁵⁾. ერისთავთა შორის სპასპეტი უფროსი ხელის-უფალი იყო, ხოლო თვითეული ერისთავი თავის საბძანებელში განაგებდა სამხედრო საქმესაც. ესევე უნდა ითქვას სასულაერო წოდების უმაღლეს წარმომადგენელზედაც, რომელსაც საკუთარი ლაშქარი ჰყავდა, თავისი დროშა ჰქონდა და ხშირად ლაშქარს მძღვანობდა. სხვათა შორის, ერისთავობის ძალა და გავლენა ამაში მდგომარეობდა. ამიტომ დავით აღმაშენებელმა პირველი ყურადღება მიაქცია სალაშქრო საქმეს და სამეფო კვერთხს დაუმორჩილა. მთელი მხედრობა, მთელი საომარი ძალა. სპასპეტობა თვით მეფემ დაიპყრა, უპირატესი მხედართმძღვანი იგი შეიქმნა და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო გამგეობისათვის.

ქართველი ლაშქარი ორად იყო გაყოფილი. ერთს ნაწილს შეადგენდნენ მხედაზნა, ხოლო მეორეს — მკჳარცხანა. რაც შეეხება სალაშქრო საქმის განვითარებას, ქართველნი თავის მეზობლებზე დაბლა არ იდგნენ. საბრძოლავი მსუბუქი ეტლი, საომარ წესისამებრ ჯარის განწყობა ბრძოლის ველზე და სხვა ამგვარი საჭირო ცოდნა იმათ პირველადვე შეთვისებული ჰქონდათ⁶⁾. რომის ისტორიკოსნი და პიტიკოსნი დიდის ქებით ამკობენ ქართველთა ლაშქარს, რომელსაც ასე ამშვენებდა წითელი ტანთ-საცმელი⁷⁾. გრავილუჯერ გამოსცადეს რომაელებმა ამ

⁴⁾ ვახუშტის ისტორია, 2⁹, შენიშვნა 1.

⁵⁾ H. de la G. 1. 46 n. 4.

⁶⁾ თემურაზი, გვ. 184.

⁷⁾ Баратовъ, I стр. 53 -4; H. de la G. 1. 63 n. 5.

წითლად მორთულის ლაშქრის ვაჟკაცობა და მამაცობა. ეს ლაშქარი მშვენიერად იყო გაწრთენილი და იროსის შესაფერად შეიარაღებული⁸⁾. დავით აღმაშენებელმა ხომ უპირატესი ყურადღება მიაქცია ჯარის გაუმჯობესობას და ბევრი სასარგებლო ცვლილება მოახდინა სამხედრო გამგეობაში. მაგრამ ამაზედ შემდეგ იყოს...

დაიწყო თუ არა ჯვაროსანთა ომიანობა, სპარსეთის სულტანმა თავისი ჯარი საქართველოდან გაიყვანა. თურქთა დარაჯად და მცველად მხოლოდ მეციხოვნენი დარჩნენ. იმათ ხელთ იყო თითქმის ყველა დიდი და შესანიშნავი ციხე-სიმაგრე და ამის გამო თურქნი უწინდებურად არბევდნენ და აწუხებდნენ ქართველობას. მტკვრისა და იორის მინდორ-ველნი იმათ ეჭირათ. თურქნი უფრო პირუტყვის მოშენებას მისდევდნენ და ამიტომ საძოვარ ადგილებს საჭიროებდნენ. ტფილისიდან მოკიდებული ქ. ბარდამდე მტკვრისა და იორის ნაპირნი იმათ საიალალო ადგილს შეადგენდა. ზაფხულობით სომხეთის მთებში მიდიოდნენ, მაგრამ შემოდგომის დამდეგს უკან ბრუნდებოდნენ და იმათგან მოსვენება არ იყო: სოფლებს არბევდნენ, ძარცვავდნენ, ტყვეებს იტაცებდნენ. იმათ ავკაცობას და თავ-გასულობას თითქო საზღვარი არ ჰქონდა, ალაფის სიხარბეს დასასრული არ ეტყობოდა. ან რისა ეფიქრებოდათ და ერიდებოდათ, როცა ზურგს უკან საიმედო მეციხოვნენი ეყენათ ტფილისს, რუსთაესა და აგარანში⁹⁾. პირველი და თავი მიზეზი თურქებთან შეშინება სწორედ იმათი ბოროტი ქცევა და მოუსვენრობა შეიქმნა. მაგრამ იქნება ამ მიზეზსაც ჯერ-ჯერობით ომიანობა არ გამოეწვია, უკეთუ საზოგადო გარემოება ხელს არ მოუმართავდა მეფის განზრახვას. ჯვაროსანთა ძლევა-მოსილებამ თავს ზარი დასცა მთლად მაჰმადიანობას. ბიზანტიამ ძალა მოიკრიბა, მოღონიერდა, ხელ-ახლად საკმაო ადგილი დაიჭირა მცირე აზიაში. ნაცვლად ამისა, სალ-

⁸⁾ სალაშქრო ამბებს ვახუშტი ასწერს, ისტ. გვ. 16.

⁹⁾ აგარანი ციხესაც ერქვა და იმ ადგილსაც, რომელიც მდებარეობდა მტკვარ-შულავერ-ბოლნისის შუა. H. de la G. 1. 361 n. 1.

ჩუქნი შესუსტდნენ და საშიშარი აღარ იყვნენ ქრისტიანები-სათვის, რომელნიც გარეშემო ერტყნენ. ამას გარდა, მაჰმადიანობაში უთანხმოება და განხეთქილება არსებობდა, სხვა-და-სხვა ამირნი ერთი-ერთმანეთს ებრძოდნენ და თუმცა ქრისტიანობის ამოღებული ბასრი მახვილი თავს დასტრიალებლათ, მაგრამ შინც გონზე ვერ მოდიოდნენ ¹⁰⁾. რასაკვირველია, ქართველობა გაამხნევა, წააქეზა ჯვაროსანთა ძლევა-მოსილებამ. თუკი საჭიროება მოითხოვდა, მართლ-მადიდებელი ბიზანტია მზად იყო მხარი მიეცა და შეველა გაეწია ერთ-მორწმუნე მეზობლისათვის. ეს მეზობელი თითონაც აგზნებული იყო სარწმუნოებრივის გრძნობით და მუდამ ჰხედავდა, თუ ვითარის კადნიერებით მტერი-უპატიურად და უკადრისად ექცეოდა ამ წმიდა გრძნობას.

ქვემო-ქართლს, მტკვრის მარჯვნივ, იქ, სადაც ეხლა ბორჩალო სძევს, ძველად სამშვილდეს საერისთაო იყო. ამ საერისთაოში, ორის მდინარის—ქციასა და ჭივჭავის შუა მდებარეობდა მაგარი ციხე-ქალაქი, სახელად ორბეთი, რომელსაც შემდეგ სამშვილდე ეწოდა. თითონ ციხე გორაზე იდგა და დიდი ძტრატეგული მნიშვნელობა ჰქონდა ¹¹⁾. როცა აღზარდნა ასი ათასის მხედრით საქართველოს შემოესია, პირველად ახალქალაქი და სამშვილდე აიღო ¹²⁾. იმ დროიდან სამშვილდეში მტრის მეციხოვნე იდგნენ. ამ მეციხოვნეთა იმედით მძვინვარებდნენ თურქნი მტკვრის ნაპირად. წინად ქართველთა სამშვილდის აღება განიზრახეს და ეს აზრი პირველად გიორგი ჭყონდიდელს მოუვიდა. ამ მწიგნობართ-უხუცესს და სახელოვანს მოღვაწეს დისწული ჰყავდა, სახელად თევდორე, „კაცი გონიერი და დიდად მყოფი“, რომელსაც მეფემ, რატის სიკედილის შემდეგ, ბაღვივაშთა მამული—კლდე-კარი და თრიალე-

¹⁰⁾ Веберъ, стр. 532—35.

¹¹⁾ П. Иоселиани, „Города, существовавшие и существующие въ Грузинъ“, стр. 60—1. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 166. რუკაზე № 2 სწანს, რომ ორბეთი მდებარეობდა ქციას ნაპირად, ქვემოლ, სამშვილდე კი ცოტა ზემოლ.

¹²⁾ Вardanъ Великий, стр. 126.

თი უბოძა. გიორგი ჭყონდიდელმა მოიხმო დისწული და ორი სხვა დიდებული—აბულეთი და იოანე ორბელი. იმათ „სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე“. არ არის მოხსენებული, თუ როგორ მოხდა მთელ საერისთაოს ციხეთა ბურჯის „მოპარვა“, ხოლო სწერია, რომ სამშვილდის აღებამ შიშის ზარი დასცა. მტერსაო. როცა თურქებმა ამ ციხის აღება შეიტყეს, „უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევენს და ღამე იელტოდეს და ჩვენთანა მოითვალნეს ივინი“... მეფე იმ დროს იმერეთს იმყოფებოდა. სამშვილდის აღებამ დიდად გაახარა ქართველობა და ეს ამბავი სასახარულოც იყო: ციხის აღებით მტრის ბატონობა შეირყა, თურქებს გავლენა მოაკლდათ და საქართველოს საზღვრებიდან გავიდნენ. წინად კი სამშვილდე სავსე იყო თურქებითა და გეგონებოდათ, მატიანის თქმისამებრ, „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა აქა არსო“... სულტანიც კი ვერ მოიფიქრებდა ამ საზარელ ამბავს, რამეც დროს, 1110 წელს, ქართველებმა აიღეს ქერნას (ქ³), და მტკიცედ ფეხი მოიკიდეს მთელ საერისთაოში.

ქართველების გამარჯვებამ ძლიერ გააბოროტა სპარსეთის სულტანი. მაშინ სულტნად თაფარი ბძანდებოდაო ¹³⁾. სულტანი, ვინც უნდა ყოფილიყო, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ განრისხებული ბატონი დიდის წყრომიდა და სიბრაზით ჰლაშობდა საქართველოს დასჯას და ამისათვის მრავალი ჯარი გამოგზავნა. ჩვენის მატიანის მოწმობით, იგი ჯარი ორასი ათასის კაცისაგან შესდგებოდა, მაგრამ ეს რიცხვი მეტად გაზვიადებულია. იმ დროს, 1110 წელს, როცა მტრის ლაშქარი საქარ-

¹³⁾ სამშვილდისა და ქერნას აღება მოხსენებული არ არის Chr. armén-ში, 57. იქ მხოლოდ სწერია, რომ მეფემ მტირე ჯარით დიდი თურქობა დაამარცხაო...

¹⁴⁾ H. de la G. I. 359 n. 2. მსოფლიო ისტორიისა და ქრონიკონის მიხედვით, სულტნად იმ დროს იჯდა თაფარი კი არა, არამედ ბარქიაროქი, რომელიც გარდაიცვალა 1104 წ. თვით ბარქიაროქის მეგვიდრეს, იმის ძმას მამულდი ეწოდებოდა, Шлоссеръ 645. Веберъ, 450—51.

თველოს მუქარიტ თავს უნდა დასხმოდა, მცირე აზიაში, ჯვაროსანთა და მაჰმადიანთა შორის, გაცხარებული სისხლის ღვრა-ოქო და სულტანიც ორას ათას მეომარს არ მოაცდენდა პატარა საქართველოს დასასჯელად. სახელოვანი ჯვაროსანი რაინდი ტანკრედი მუსრს ავლებდა თურქობას ასურეთში, სადაც ჰსურდა დაეარსებინა იერუსალიმის სამეფოზე უფრო განთქმული და პატივდებული სამფლობელო ¹⁵⁾. ესრეც რომ არ ყოფილიყო, თვით იერუსალიმის კოროლი ბალდუინი მედგრად ებრძოდა მაჰმადიანებს, ლაშქრავდა მისირს (ეგვიპტეს), რომელიც სპარსთა სარწმუნოებრივ მოძღვრებას აღიარებდა ¹⁶⁾ და იმათგან შემწვებას მოელოდა. ყველა ამ გარემოების მიხედვით უფრო სარწმუნო და ნამდვილია, რომ სულტანმა საქართველოში მხოლოდ ათი ათასი ჯარი გაგზავნა ¹⁷⁾. ეს ლაშქარიც საკმაო იყო. მაგრამ გენიოსმა სპასპეტმა მცირედის ძალით სხვათა დაატრიალა ბრძოლის ჩარხი და მტერს დაუმტკიცა, რომ ძლევა-მოსილება მარტო მეომართა სიმრავლეზედ არ არის დამოკიდებული. როცა დავით აღმაშენებელი ნაქარმაგვეს ¹⁸⁾ იმყოფებოდა, სულტანის ლაშქარი უმაღლ თრიალეთზე გაჩნდა და იქ საბრძოლველად დაბანაკდა. მეფემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, დაუყონებლივ ღამით გაეშურა მტრისკენ. იმას მხოლოდ ათას ხუთასი კაცი ჰყავდა. შთელი ღამე თავის ლაშქრით სიარულს მოუწდა და მეორე დღეს, განთიადისას, მტრის პირდაპირ იდგა. მტერი ვერ წარმოიდგენდა ასეთს სისწრაფეს, მაგრამ დავით აღმაშენებლის სალაშქრო ხერხს, სხვათა შორის, სწორედ ეგეთი სისწრაფით მოძრაობა და უცბად მეხისავით თავს დასხმა შეადგენდა. ასტყდა ფიცხელი, სასტიკი შებმა. ცისკრიდან დაწყებული საღამომდე სისხლი იღვროდა. ბინდისას მტერი იძლია, დასტოვა კარავნი, ქურჭელნი და გაიქცა. და

¹⁵⁾ Вебер, 536.
¹⁶⁾ Плоссер, 663.
¹⁷⁾ Chron. arm. 58.

¹⁸⁾ „ნაქარმაგვევი იყო სადგური მეფეთა და კეთილ-სანადირო და აწ კარა-ლეთად წოდებული, ვახ. გეოგრაფია, 250.

მარცხებულ თურქობას თავს ზარი დაეცა, ხოლო ბრძოლის უინით ალტაცებულ ქართველობას არც კი ეგონა, რომ მტერი გაიბნეოდა და მეორე დილით ისევ ომიანობას მოელოდა. ამიტომ მტერს არ დაედევნენ და იგი გადარჩა სრულს გაეღეტას. ამ ბრძოლის შემდეგ სულთანს თითქო გაბედულება მოაკლდა და, ცოტა არ იყოს, საქართველოს შიშიც გულში დაებადა. ქართველობა კი უფრო და უფრო გამხნედა, იმედი და სასოება მიეცა, მტრის რიდი და მორჩილება გულიდან აღმოეფხრა...

ხუთმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ მტერი ვერ ჰხედა და საქართველოში შემოსევას. თრიალეთზე გამარჯვების გარდა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მცირე აზიაში მაჰმადიანთა შორის შეღლი და ბრძოლა თანდათან გამწვავდა. სხვა-და-სხვა ამირნი ერთი-ერთმანეთს ექიშებოდნენ, ეკამათებოდნენ. მართალია, არც ჯვაროსნები იქცეოდნენ თანხმობითა და ერთგულობით, იმათაც შინაური დავა და უსიამოვნება არ აკლდათ, მაგრამ, როგორც უნდა ყოფილიყო, იმათ მინც უფრო მეტი პოლიტიკური წინ-მხედველობა მოეპოვებოდათ, ვიდრე მაჰმადიანებს. ჯვაროსანთა ლაშქარი მედგრად და მკაცრად ებრძოდა მტერს და ამიტომ სულთანმა უბრძანა მოსულის ამირს მაუდუდს ყველა კუთხეში ჯარის შეკრება და საომრად გამოყვანა. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა ასურეთში, ეფრატისა და ორონთას წყალი სისხლით წითლად შეიღება¹⁹⁾. რაღა თქმა უნდა, რომ მაჰმადიანობას საქართველოსთვის არა სცალოდა.

დავით აღმაშენებელმა ეს მარჯვე დრო კარგად გამოიყენა. მეფემ განიზრახა, რომ თურქობა ჯერ საქართველოში შეემუსრა და მერე მახვილი სამშობლოს გარედ ამოეღო. ამისთვის საჭირო იყო ხმლით აღება იმ ციხე-სიმაგრეთა, რომელნიც მტრის ბუდეს შეადგენდნენ. „ფრიალ მაგარის“ სამშვილდის შემდეგ ჯერი არა ნაკლებ „მაგარ“ რუსთავზე მიდგა. ტფილისის ქვემოდა, მტკვრის მარცხენა მხარეს, მდებარებდა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც შემდეგ რუსთავი დაერქვა. გარდმო-

¹⁹⁾ Веберъ, 536—7.

ცემა ამბობს, ვითომ ეს ქალაქი ქართლოსის ცოლმა ააშენაო. რუსთავი ძნელად ასაღები ციხე იყო და დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა საქართველოს მღელვარე ცხოვრებაში²⁰). იგი სდარაჯობდა ყარაიანის ფართო ველ-მინდორსა და სანადირო ქალას. მტერს საძოვარი და სანადირო ადგილი ხომ დიდად ესიამოვნებოდა და მტკიცედაც ფეხი მოიკიდა რუსთავში, რომელსაც, სიახლოვის გამო, გაჭირვების დროს თითქო მხარს აძლევდა ტფილისი, სადაც მაჰმადიანთ მეციხოვნენი იდგნენ. რუსთავსაც მალე ისეთი ბედი ეწია, როგორც სამშვილდეს. საყურადღებოა, რომ ამ ორი მაგარი ციხის აღება გიორგი ჭყონდიდელის საქმე იყო, — როცა მეფე მუხრანს იპოყებოდა, „წარიღო გიორგი ჭყონდიდელმა რუსთავიცაო“, ამბობს მატრანე²¹). რუსთავის წართმევა დიდად საზარალო და საწყინარი იყო თურქებისათვის: რაკი მაგარი ციხე ხელიდან გამოეცალათ, იწყეს „რიღობა საზამთროთა ადგილთა დგომისაო“... ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც რუსთავი მრისხანედ დაჰყურებდა ვრცელს საზამთრო სადგომსა. სხვაფრივადაც სავალალო შეიქმნა თურქებისათვის ამ ციხის დაკარგვა. მტერი გაიბნა ველად და მეფეც ყოველსავე ღონის-ძიებას ჰხმარობდა, რომ თავს დასხმობდა მაწანწალა ბრბოს და მუსრი გაეელო. უბინადრო და პირუტყვის მოშენების მიმდევარ მტერს ველ-მინდვრად ყოფნა ესაჭიროებოდა, მაგრამ რუსთავის მეციხოვნენი აღარა ჰყავდნენ.

დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა თურქთა ზნე და ხასიათი. ამ ცოდნაზე დაამყარა სახელოვანმა სტრატეგიკოსმა თავისი სალაშქრო წესი და ჩეულები. ერთს ასეთს ჩეულებს შეადგენდა მალვით და სისწრაფით მტერზე დაცემა. თურქს სიფხიზლე აკლდა, ცოტად დაუდევარიც იყო და თავის მოწინააღმდეგის მხნეობას არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებასა, არაფრად აფასებდა. ამბობენ, რომ მტრის სისუსტის შეგნება ძლი-

²⁰) П. Иоселиани, „Горда... въ Грузіи“, стр. 37—8. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 181.

²¹) ქ. ცბა, გვ. 245. ეს ამბავი მოხდა 1115 წ.

ერი საშუალებაა ომში გასამარჯვებლადაო²² ჩხვათა შორის, სწორედ ამ საშუალებით ხელ-მძღვანელობდა დიდებული სპასპეტი. და თუ რა ღირსებისა იყო საზოგადოდ სტრატეგიული მოხერხება ამ სპასპეტისა, ცხადსა ბრძალა გვიჩვენებს. სომხითის პირად, კლარჯეთის გვერდით, მდებარებდა ცალკე სამთავრო, რომელსაც ტაო ეწოდებოდა. ტაო მეტად მაგარი ადგილია, მთიან-გორიანი, სადაც მკაცრი და სუსხიანი ზამთარი. იცის²²). თუმცა სომეხნი გვედავებიან და თავიანთ საკუთრებად სთვლიან როგორც ამ ადგილს ისრე ბევრ სხვასაც, მაგრამ ძველადვე ტაო საქართველოს ნაწილს შეადგენდა და ჩვენის მეზობლების ცაქა სულ სხვა იყო²³). რუსთნის აღების შემდეგ, 1116 წელს, როცა მეფე საქართველოში აქვლეტდა მტერსა, სომხითის მხრიდან დაიძრა მრავალი თურქობა, მოვიდა ტაოს და დაბანაკდა, — „ზამთრისა სიფიცხესა და მათა სიმამრესა მიენდვისო“, ამბობს მატიანე. მაგრამ მეფემ თურქთა უზრუნველობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ძლიერ მოიხვეჭა იქ, სადაც კადნიერი მტერი არ მოელოდა, როცა შემოსევა შეიტყო, დავით აღმაშენებელმა მსწრაფლად ბძანება გასცა, ქართლის ჯარი საომრად მოემზადოსო და თითონ ქუთაისს წავიდა: მტერი არ მიხედეს, რომ სალაშქრო მზადებაში ვარო. იმერეთში თითონაც საომარ მზადებას შეუდგა და შემოსთვალა, — ამა და ამ დროს ქართლელნი და მესხნი კლარჯეთს უნდა დამხდნენო. მტერს „ფიცხელ ზამთრის“ იმედი ჰქონდა, მაგრამ მეფე სწორედ ზამთრით გაემგზავრა სალაშქრად, წარუძღვა „შიდა სპას“²⁴) და სავლელად ამოირჩია ისეთი გზა, საიდანაც თურქნი დასხმას ვერ მოიფიქრებდნენ. ეს გზა იყო ქოროხის ხეობა, რომელიც აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით საზღვრიდა ტაოსა. იქ მოიყარა თავი მთელმა ლაშქარმა. ისპირის მთის პირიქით მტერი იდგა. მაშუქადამე, ჩვენო ჯარო მთის მეორე მხრიდან,

²²) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 120.

²³) დ. ბაქრაძის საქართველოს ისტორია, გვ. 268-4.

²⁴) „შიდა სპადა“ იმერნი უნდა იგულისხმებოდნენო, H. de la G. 1. 360

ზურგს უკან დაესხა მტერსა. ასეთს მოხერხებულს მისვლას თურქობა ვერ წარმოიდგენდა და მოუშზადებელი შეხვდა ქართველ ჯარსა. შეიქნა მახვილის ტრიალი და ცემა. მეფის სტრატეგულს ნიქსა და პირადს მხნეობას იმის ღაშქრის ვაჟაკობა და მამაცობა თითქო ეჯიბრებოდა. ერთმაცა და მეორემაც მთავარი გონება დაუბნია ურიცხვს მტერს, რომელიც მთელ ტაოსის სიგრძე-სიგანეზე იყო გაშლილი. ბევრი გაიჟლიტა, ცოტამ კი გაქცევით თავს უშველა, ადგილობრივ დასტოვა ცოლ-შვილი და ყოველი სარჩო-საბადებელი. მატთანე ჰმოწმობს, რომ ტაოსის გამარჯვებამ მთელი ჩვენი ქვეყანა აღაქსო „ყოვლითა კეთილითაო“... 25).

თუმცა, ვიდრე გარეშე მტერთან ბრძოლას შეუდგებოდა, მეფემ შინაური წესიერება და მშვიდობიანობა დაამყარა, მაგრამ, როგორც სჩანს, მთავართა ურჩობა არა სცხრებოდა. „ქართლის ცხოვრება“ პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ ასეთმა ურჩობამ თავი იჩინა წუქეთის საერისთაოში, რომელიც მდებარებდა ჰერეთის ქვემოლ, აღმოსავლეთით. იმ დროს იგი საერისთაო ეკუთვნოდა გრიგოლს (გვარი მოხსენებული არაა) და მისი შვილნი—ასამ და შოთა განდგნენ. საერისთაოს ბურჯს შეადგენდა გიშის ციხე, რომელიც მთის ძირში და წყალის ნაპირზედ იყო აშენებული 26). მეფემ მალე შემუსრა ურჩობა და გიშის ციხე აიღო. შემდეგ ივისი შვილი დიმიტრი დიდის ჯარით გაგზავნა შირვანს სამხრად. ეს გარემოება ნათელს ჰყენს ასამისა და შოთას განდგომას. უეჭველია, შირვანის მფლობელი ესარჩლებოდა მეფის ურჩთა, ერისთავ გრიგოლის ძეთა, და გალაშქრების მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო, თორემ მეფე აბა რად ინებებდა დარბევას შირვანისაკ, სადაც დედოფლად მძანდებოდა იმისი უფროსი ქალი თამარი, „მნათობი აღმოსავლეთისა, მამისაგან მიმღე-

25) ქ. ცბა, 245. Chron. armén. 58, სადაც ტაოსის ბრძოლა ქლიერ მოკლედ არის ნაამბობი.

26) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 304 და carte № 4.

ბელი მზებერთა შარავანდედთა“... მეფის შვილმა თავისის მხნობითა და ლაშქრობით განაკვირნა მხილველნი და მსმენელნი, გასტეხა შირვანის უმაგრესი ციხე ქალაქი და ძლიერ შემოსილი მოვიდა მამასთან, უთვალავის ტყვიითა და ალაფით სავსეო 27). მაგრამ შირვანი მაინც გონს ვერ მოვიდა, ლალატს თავი არ დაანება და ამიტომაც არა ერთ გზით გამოსცადა ქართველი ლაშქრის მკლავი შეუდრკელი...

დრო თითქო განგებ მოსვენებას არ აძევლდა მხნესა და დაულალავს მეფესა. თურქებიც საქართველოს ეტანებოდნენ და, როცა გარემოება ხელს უწყობდა, მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ. მტრის მეხსიერებაში თითქო აღმოიფხრა თრიალეთისა და ტაოს საშინელი ამბავი!.. 1118 წელს არეზის ნაპირად დიდძალი თურქობა შეიკრიბა და ჰლამოდა საქართველოს აოხრებასა. ვინ იცის, იქნება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ იმ დროს ჯვაროსნებმა მცირე აზიაში ომიანობა შესწყვიტეს და მახვილი სხვა ადგილას გადაიტანეს. იერუსალიმის კოროლმა ბოდუენმა ჯარი ეგვიპტის საზღვრებზე და ღუნაისკენ გაგზავნა, მეწამულის ზღვის მიდამონი გარდაიქცნენ უმთავრეს სალაშქრო ასპარეზად 28). ამას გარდა, სპარსეთის მღვდმარებაც შეიცვალა და ამ ჩვენს დაუძინებელს მტერს ცოტა ხნობით მაინც ბეჯმა გაუღიმა: სპარსეთის სულატნმა სანჯარმა სამარყანდი და ხვარაზმა დაიპყრა და ისე განდიდდა, რომ თავისი სამეფო ინდოეთამდე წასწია 29). რასაკვირველია, ყველა ამ გარემოების მიხედვით საქართველოს მეზობლად მყოფ თურქებს სითამამე მოემბატათ და განიზრახეს ჩვენის სამშობლოს აკლება და დარბევა. მეფე ჩვეულებისამებრ სისწრაფით მოიქცა და საკმაო ჯარი შეჰყარა. ეს ჯარი ბზობის კვირაში დაბანაკებული იყო ღანუხს, რომელიც მაგარ ციხედ ითვლებო-

27) სომხური ქრონიკა კი მარტო იმას ამბობს, რომ სიხარულით დაბრუნდაო, Chron. arm. 58.

28) Веберъ, 537—8.

29) Шоссеръ, 645

და და მდებარებდა ელისენში, ალაზნის განაპირად, მარცხენა მხარეს ³⁰). ლანუხიდან ჯარი არეზისკენ დაიძრა. მეფე კი გაემგზავრა სამშვილდის საერისთაოში და იქ, ს. ნახიდურს, მიეგება პასეჟის დღესასწაულს. დღესასწაულის დროს სამხედრო თათბირიც გაიმართა. თათბირი იყო იმის გამო, — შებმოდნენ მტერს და დაეწყათ ლაშქრობა, თუ არა. გარემოებაც თხოულობდა ასეთს თათბირს. მტრის ზოგი ჯარი კიდევ შემოესია საქართველოს. გამოჩენილი სარდალი ბეშკენ ჯაყელი თუმცა მამაცად დაუხვდა მტერსა, მაგრამ მაინც ვერა გააწყო-რა და ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა ჯავახეთში. ბეშკენის სიკვდილმა ყველა ძლიერ დააღონა, და ასეთის სარდლის დაკარგვა იმ გაჭირვებულ დროს მართლაც დიდად დასაღონი და დასაკლისი იყო. დიდებულნი ურჩევდნენ მეფეს, არეზისკენ წასვლა და იქ მტერთან ბრძოლა საშიშიაო, მაგრამ მეფემ თავისი აზრი ამჯობინა და წავიდა არეზის მხარეს, სადაც ლანუხიდან წინად ჯარი გაგზავნა. მდინარე არეზის ნაპირები მთლად თურქებს ეკირათ. იმათ მრავალა ჯარი ჰყავდათ, მაგრამ მეფეს მტრის სიმრავლე არასოდეს არ აშინებდა. იგი განგებ მახვილს სცემდა და ლაშქრიდა სწორედ იმ ადგილს, სადაც მტერი ბლომად ეგულებოდა. ქართველმა ჯარმა დაამარცხა თათრები, „მოსრა სიმრავლე მათი ურიცხვი“. მატთანე ამბობს, რომ მეფემ წამოიღო ურიცხვი ალაფი და ტყვეო...

არეზის ბრძოლის შემდეგ, იმავე წელს, მეფემ დაიწყო იმ ციხე-სიმაგრეთა აღება, რომელნიც ჯერ ისევ თურქებს ხელთ ჰქონდათ. ერთი ასეთი ციხე იყო ღორე, მდებარე საქართველოს სომხეთში, ორს მდინარეს შუა, კლდეზე ³¹). ლორე თუმცა ხან-და-ხან სომხეთის მეფეებს ეკუთვნოდა, მაგრამ ქართველები არ ანებებდნენ და ყოველთვის ედავებოდნენ ³²), ამ-

³⁰) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 304 — 8 და carte № 4.

³¹) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 140 და carte № 2.

³²) H. Ioseliani, „Города... въ Грузіи“, 52.

ბობენ, რომ ეს სადავო ციხე მეფე დავით უმამულომ (Давидъ Безземельный) მეთორმეტე საუკუნეში თავის შვილს კვირიკეს აუშენაო ³³). სულ ერთია — ვისაც უნდა აეშენოს, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ მაგარი ლორე საქართველოს საზღვრის ნაპირზე მდებარებდა და სტრატეგულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც გარეშე მტერი ჩვენს სამშობლოს უფრო ხშირად სომხეთის მხრიდანაც შემოესეოდა ხოლმე. მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარს ლორე თურქებმა აიღეს. იმ დროს იგი კლანთანთა, სომეხ ბაგრატიონთა გვარეულობის სატახტო ქალაქად ითვლებოდა და შესანიშნავი ციხეც იყო ³⁴). დავით აღმაშენებლისათვის, რასაკვირველია, დიდად საჭირო იყო ლორეს დაქერა. ამ საშუალებით შეიძლებოდა საქართველოს საზღვრის გამაგრება და ამიტომ მეფემ თურქებს წაართვა იგი ციხე-ქალაქი და თავისი მეციხოვნენი მცველად ჩააყენა. მერე რიგი მოვიდა აგარანის აღებისა. მათიანე ამბობს, ბაგრატი მეოთხე სამ თვეს მოუუნდა ამ ციხის აღებასა და დავითმა კი მეორე დღეს, დილით, დაიპყრა ეს სიმაგრეო ³⁵)...

აგარანი აიღეს ივლისს 1118 წელსა და იმ დროიდან ორის წლის განმავლობაში ლაშქრობა აღარ ყოფილა, თუმცა თურქთა სხვა ციხენიც ეპყრათ საქართველოში და თვით ტფილისი ჯერ ისევ იმათ ეკუთვნოდა. სპარსეთში საქმეთა მსვლელობა საქართველოსთვის თითქო სასარგებლოდ მოეწყო, რადგანაც იქ, სულტანის სიკვდილის შემდეგ, შინაური განხეთქილება ჩამოვარდა. მეფემ მაინც ომიანობა შესწყვიტა და ჯარის გამრავლებას შეუდგა. მუდმივმა და დაუცხრომელმა ომიანობამ შეასუსტა, შეამცირა საქართველოს ლაშქარი. ამას გარდა, ახლად დაქერილ ციხეებში ქართველნი მეციხოვნენი უნდა მდგარიყვნენ და ამიტომ საომრად ფეხზე მდგომს ჯარს რიცხვი აკლ-

³³) Варданъ Великій, стр. 132 и примѣч. 498.

³⁴) Грузія и Армения, II стр. 264, 293—4. Варданъ, стр. 140.

³⁵) მეფე ბაგრატის ცხოვრებაში არა სწერია, რომ იგი სამი თვე იბრძოდა აგარანის ასაღებად, H. de la G. 1. 362 n. 2.

დებოდა. მეფეს სხვა მოსაზრებაც ჰქონდა. ბრძოლის ველზე ყოველთვის გამარჯვება ქართველებსა რჩებოდათ და ამ გარემოებამ გაამხნევა დავით აღმაშენებელი, დიდი წადილი და სასოება აღუძრა, გაუფართოვა პოლიტიკური საზოგადოება; გაუნათა შორს-მკვრეტელობა: მეფემ განიზრახა თურქთა სრული შეშუსვრა და ამ საშუალებით სამშობლოს დიდების დამყარება, — „აღიღო მალღად თავი თვისი და მიმოავლო თვალი გონებისა თვისისა“ ესა თა ვითარებასა და დასკვნა, რომ დიდის საქმისათვის საჭიროა დიდი ღონე...

კავკასიონის ჩრდილოეთით, მდინარე დონიდან მოკიდებული კასპიის ზღვის ნაპირებამდე, სტხოვრებდა თურანის მოდგმის ხალხი, რომელსაც ყივჩაყთ უწოდებდნენ. ზოგი მწერალნი ყივჩაყთ ჰხადიან ჰუნნებად, ხოლო რუსეთის მეისტორიე ამბობს, პოლოვცნი იყვნენო³⁶). ძველად ამ ხალხმა თავისი მამაცობით დიდი სახელი მოიხვეჭა, მეცამეტე საუკუნეში მონგოლებს შეუერთდა და ისრე გაძლიერდა, რომ ყივჩაყთა ურდოს რუსეთიც კი ემორჩილებოდა. ყივჩაყნი განთქმულნი იყვნენ სალაშქრო ღირსებითა და, მატანის სიტყვით, დავით აღმაშენებელმა „უწყოდა მათი სიმხნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსვლისა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოველითურთ მომზავებლობა ნებისა თვისისა“³⁷). ამას გარდა, მეფე სიძე იყო ყივჩაყთა მთავრის ათრაქასი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თავის ხალხზე. თითონ ყივჩაყნი, სიღარიბის გამო, მზად იყვნენ როქის სპად დასდგომოდნენ სხვა მფლობელს და ყველა ამ მიზეზის გამო დავით აღმაშენებელმაც იმათ მიმართა. მეფემ თავისი სურვილი სიმამრს შეატყობინა და მთავარი ათრაქაც სიხარულით დასთანხმდა. საჭირო იყო მხოლოდ დარიალას კარების გაღება და უნებლად გამოვლია იმ ვიწრო და შეუვალ ხეობაზე, რომელიც ბუნებას საკვირველ ციხე-სიმაგრედ გარდაუქცევია. ოსებს და ყივჩაყებს

³⁶) ვახუშტის ისტორია, გვ. 179, სხოლოა. 4.

³⁷) ქ. ცბა, გვ. 246.

ერთმანეთში მტრობა და შური ჰქონდათ და, რადგანაც დარი-
ალით გადმოსვლა იმათ შორის სისხლის ღვრას გამოიწვევდა,
ამიტომ თვით მეფე წაბძანდა ოსეთს და წაიყვანა გიორგი
ქყონდიდელი. კრძალვითა და მოწიწებით მიეგებნენ ოსთა
„მეფენი“ და მთავარნი დავით აღმაშენებელს, „ვითარცა მო-
ნანი დადგეს წინაშე მისსა“... მეორე მხრით მოვიდნენ ყიფა-
ყნი. მეფემ ოსთა და ყიფაყთა მძევალნი მოსთხოვა, მშვიდობა
და სიყვარული დაამყარა მათ შორის და გზა მისცა მომავალს
როქის სპას³⁸). მაგრამ დროებით მშვიდობის დამყარება ორ
ველურ და მესისხლე ერის შორის არა კმაროდა და საჭირო
იყო სხვა საშუალება უზრუნველად ყოფისათვის. ესრეთს სა-
შუალებას შეადგენდა დარიალას და კავკასიონის სხვა კართა
დაპყრობა. პირველადვე მეტადრე დარიალას, რომელსაც ხე-
ვის-კარსაც უწოდებენ, ჩვენი მეფენი დიდს ყურადღებას აქცე-
ვდნენ და დავით აღმაშენებელიც ისრე მოიქცა,— ჩრდილო-
ეთით კლდეზე ააშენა ციხე³⁹) და მთელი ხეობა და კავკასი-
ონის გზები დაიჭირა. ამის შემდეგ კი ყიფაყებს შეეძლოთ
უშიშრად მოსულიყვნენ საქართველოში. ათრაქა ცოლ-შვილით
და თავის ხალხით მოვიდა. ჩვენის მატიანის თქმით, გადმოსახ-
ლდა სულ ორმოცი ათასი მეომარი ყიფაყი სახლობით და, ამას
გარდა, ხუთი ათასი მონა, „ქრისტიანე ქმნილნი, მისანდონი
და გამოცდილნი სიმხნითაო“⁴⁰). ხოლო სომეხთა ისტორიკო-
სი; მათე ედესელი ჰმოწმობს, ვითომ მარტო თხუთმეტი ათასი
ყიფაყი მოვიდა, ხუთასი ალანი და ასი ფრანგიო⁴¹). რასაკვირ-

³⁸) Chron armén-ში p. 88 შეცდომით თუ სწერია, მშვიდობა განამტკიცა
ოსთა და ბერძენთა შორისო...

³⁹) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 228. ხალხის გარდმოცემით, ვითომ განაახ-
ლა დარიალას ციხე, Грузія и Армения, I. стр. 30. იქ, სადაც ჯვარის მთა,
ჯვარის აღმართი ნიშნად კავკასიის დაპყრობისა, ib. 36.

⁴⁰) ქ. ცბა, გვ. 247.

⁴¹) H. de la G. 1. 361. n. 3. სომხური ქრონიკა ორმოც ათასს სახლობან
იხსენიებს და ამბობს, ხუთას ახალგაზდას მეფე თავის სასახლეში ზრდიდოა, Chron.
arm. p. 58. ფრანგებს უწოდებდნენ მთლად ყველა ევროპელებსა.

რველია, დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, თუ რაოდენ კაცისაგან შესდგებოდა როქის სპა და ეს მით უფრო, რომ მეფის ლაშქრის რიცხვი უცილობლად ცნობილი არ არის.

პირველად საზრუნველი ყიფჩაყების დაბინავება იყო და მერე საომრად განწყობა და განმზადება. მეფემ დასასახლებლად შესაფერი ადგილები აურჩია და როცა დააბინავა, სალაშქრო წესის დაარსებას მიმართა. ყიფჩაყნი ველურს ხალხს წარმოადგენდნენ და მისდევდნენ ეგრედ წოდებულს საგვარეულო ცხოვრებას,—თვითეული გვარი დამოუკიდებელს და საკუთარს კავშირს შეადგენდა და ამიტომ მეფემ იგინი „დააწყვნა გვარად-გვარად“, დაუდგინა სპასალარნი და მართებელნი, ყიფჩაყთა რაზმნი ისრე მოაწყო, როგორც იმდროინდელი სამხედრო ხელოვნება ითხოვდა. სჩანს, რომ ყიფჩაყთაგან ცხენოსანი ჯარი შესდგა და ცხენოსნობაც უფრო შეეფერებოდა იმათ ზნე-ჩვეულებას და ცხოვრებას. დიდი შრომა მოანდომა მეფემ ამ ცხენოსანთა გაწვრთნას, ბევრი იღვაწა სალაშქრო-წესიერების ასაღორძინებლად, მაგრამ სრულიად თავისი წადილი მაინც ვერ შეასრულა. ასე გასინჯეთ, ომის დროსაც კი ყიფჩაყნი შფოთსა და უწყესობას არა სტოვებდნენ, ქართველ ჯარს უსიამოვნებას აყენებდნენ, შულლს უწყევდნენ. ასეთი გაუწრთენელობა საქმეს აფერხებდა და ხან-და-ხან მტერს შველას აძლევდა. სწორედ ყიფჩაყების მოუსვენრობა და დაუდევრობა შეიქმნა მიზეზად, რომ შემახიდან სულტანი მაჰმუდი გაიპარა და ტყვედ არ ჩაუვარდა ძლიერ-მოსილს მეფესა ⁴²⁾. ეს კიდევ არაფერი. არა ერთხელ და ორჯელ განიზრახეს ყიფჩაყებმა გვირგვინოსანის სპასპეტის ლალატი და მოკვლაც კი, მაგრამ ვერ მოახერხეს ⁴³⁾, რადგანაც მეფე იმათ განზრახვას თავის დროზე ტყობულობდა და სპობდა. ყოველ შემთხვევაში, ყიფჩაყებმა საქართველოს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანეს, განაძლიერეს მისი სახელი. რასაკვირველია, ამის მიზეზი ისევ

⁴²⁾ Additions... 288—40.

⁴³⁾ ქ. ცბა, 33. 262.

და ისევ მეფე იყო,—უებრო სპასპეტმა და პოლიტიკოსმა ზედ-მიწევნით იცოდა ყივჩაყების ავიცა და კარგიც და ამ ცოდნას სამეფოს სასარგებლოდ ჰხმარობდა. როქის სპის დაარსების შემდეგ მეფემ შრომას უფრო მოუმატა და მემატიანეც განცვიფრებით იხსენებს იმის მხნეობას ⁴¹) და დასძენს,—იმის ქმნილთაგან მხოლოდ მცირედს გადმოქცემთო. მაგრამ ეს „მცირედიც“ საკმაოა დაეით აღმაშენებლის დიდთა საქმეთა საცნობლად. და თუ მატიანის „მცირედს“ სხვა ცნობებსაც ზედ დავურთავთ, მაშინ ხომ უფრო დიდად აღმოჩნდება გენიოსის სპასპეტის მოღვაწეობა...

IV

მტერი ჯეროვანს თვალ-ყურს ადევნებდა მეფის მოქმედებას, მისვლა-მოსვლას, იმის თვითეულის ნაბიჯს. მიჩენილი ჯაშუშები ყველაფერს ტყობილობდნენ, მაგრამ მეფის განზრახვას კი ვერ გებულობდნენ. და, სხვათა შორის, დავით აღმაშენებლის ხასიათს თავისი განზრახვის დაფარვა შეადგენდა. მტერთან სპასპეტს გულ-ახილი და წრფელი დამოკიდებულება არ შეშვენის. იქნება ესრეთი საქციელი წინააღმდეგი იყოს ზნეობრივის კანონისა, მაგრამ მიუცილებლად საჭიროა სპასპეტისათვის, რომელიც, ლაშქრობის დროს, უნებლიედ ემორჩილება სხვა გვარს ზნეობას. მეფეც, თუ ასე შეიძლება ითქვას, სალაშქრო ზნეობას მისდევდა: ჩვეულებად ჰქონდა განგებ აფხაზეთს გარდასვლა და მტრის ჩამოტყუება საზამთრო ადგილებში, მტკვრის პირად. და როცა თურქმანები მთებიდან ჩამოდიოდნენ და ერთად გროვდებოდნენ ველ-მინდორზე, მეფე ესხმებოდა და მუსრს ავლებდა. თვით ესრეთი დასსმაჯ ¹) მეფის ჩვეულებრივს სალაშქრო მოქმედებას შეადგენდა. შემ-

⁴¹) ib. 248.

¹) დასსმაჯ ესე არს, რა მტერმან დრო დაიციეს და განუშხადებელს მტერს უეცრად მიეტოს, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

დევ როქის სპის დაარსებისა, თურქობა უწინდებურად ვერა ჰბე-
დავდა ვაკედ ბინადრობას, მაგრამ მეფემ ჩაპოიტყუვა: 1120 წელს,
როგორც კი ზამთარი დადგა, მაშინვე მეფე ქართლიდან იმერეთს
წავიდა და გეგუთს დაბინავდა. გეგუთი ზამთრობით მეფეების სად-
გურს შეადგენდა და მდებარებდა რიონის პირად, ქუთაისის ახლო²⁾.
იქ იყო მშვენიერი სრა-სასახლე, რომლის ნანგრევები ეხლაც
ჰმოწმობენ ამ ძველის „ციხე-დარბაზის“ სიტუტყეს³⁾. მაგრამ
გეგუთიდან დავით აღმაშენებელი მალე გაემგზავრა შავ ზღვი-
საკენ და, მტრის თვალის ასახვევად, გადავიდა ხუფთას, ზღვის
კიდებთან მდებარე ალაგს⁴⁾. ჯაშუშნი, მატიანის სიტყვით —
მსტოვანნი, გაფაციცებით ყურადღებას აქცევდნენ მეფის სი-
არულს და ქართლში ატყობინებდნენ თურქებსა. ამ უკანას-
კნელთ შეიტყეს მეფის შორს ყოფნა და იწყეს საზამთრო აღ-
გილს მოგროვება. დიდ-ძალი თურქობა მოგროვდა და დაიზამ-
თრა ბოტორაზე⁵⁾. მეფესაც ხომ ეს უნდოდა და, სცნო თუ
არა ეს ამბავი, დაუყონებლივ და მსწრაფლივ წამოვიდა ქარაღლს.
თოთხმეტს ფებერვალს უეცრად დაეცა მტერსა. დაიწყო საში-
ნელი ღერა სისხლისა, რომელმაც თოვლით თეთრად მოფენი-
ლი მინდორი წითლად შეღება. ძლიერ ცოტამ უშველა თავს
და ცხენზე შეჯდომა მოასწრო გარდასახვეწად, ხოლო უმრავ-
ლესობა დაატყვევეს. ქართველთა ალაფიც დიდი დარჩათ⁶⁾.

რასაკვირველია, ესოდენ ჯაფის შემდეგ, სხვა სპასპეტი
ცოტახნობით მაინც დასვენებას მიეცემოდა, მაგრამ ტყუილად
კი არ ამბობს მემკვიდრე, რომ ჩვენმა წინა-მბრძოლმა „არა
ჰსცა ძილი თვალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსვენება ხო-

²⁾ ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 370.

³⁾ გაზ. «ევალი» 98 წ. № 5, გვ. 11—13.

⁴⁾ ბროსესს, თუმცა ბეჯითად არა, მაგრამ ჰკონია, რომ ხუფთა მდებარებდა
იქ, სადაღ მდინარე ხუფთა შავ ზღვას ერთვის, H. de la G. I. 325, II. 1. ვახუშ-
ტი ამბობს, ხო თს მივიღაო. ხოთი სხვა ალაგია, თუმცა იგიც ზღვის პირად მდებ-
არეებს, სამეგრელოში, ib. 364, II. 1. გეოგრაფია. გვ. 396.

⁵⁾ ბოტორას მაგიერ სომხური ქრონიკა თუ ხარს იხსენებს. ბროსე ამბობს,
არც ერთისა და არც მეორის მდებარება არ ვიცო, H. de la G. I. 364 II. 2.

⁶⁾ Chron. armén-იც იხსენებს ამ ამბავს, თუმცა ერთის დღით ადრე, p. 58.

რცთა თვისთაო“... მეფის კურთხეულ მარჯვენას დალაღვა თითქო არ ეკარებოდა. მისი სალაშქროდ სვლა ნამდვილს ფრენას მიაგავდა და თანამედროეც სწორედ ვერე განმარტებს, — მეფე აფხაზეთიდან ბოტორაზე გადმოფრინდაო... ეხლა ეს ახოვანი და ძღვევა-მოსილობით აღფრთოვნებულნი სპასპეტი დანულისკენ გადაფრინდა და იქიდან, დიდ-მარხვის დამდეგს, თავისის ჯარით შირვანს შეესია. აილო მდიდარი ქალაქი ყაბალა, რომელსაც სომხური ქრონიკა კაპა:კადაკეს უწოდებს 7). ყაბალაში მეფემ მრავალი ოქრო, ვერცხლი და სხვაგვარი ძვირფასი ნივთი მოიპოვა და ალაფით საესე დაბრუნდა ქართლში, მაგრამ ისევ მალე, „მყის“, მისის თვის დამდეგს, მეორედ გაილაშქრა შირვანზე შეკრებილის ჯარით. არა სწერია, თუ რა იყო მიზეზი პირველისა ან მეორის გალაშქრებისა, მაგრამ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ორსავე ლაშქრობას საგნად ალაფის შოვნა ჰქონდა. იმ დროს საალაფო ლაშქრობა ჩვეულებად იყო მიღებული. მეფემ დააარსა როქის სპა, რომლის შენახვას საზრდო და ჯამაგირი ესაჭიროებოდა და უმთავრესი მიზეზიც ეს არის საალაფო ლაშქრობისა. ამას გარდა, შირვანიშტრის თვალთ უცქეროდა საქართველოს გაძლიერებას და, როცა შეეძლო, მხარს უჭერდა თურქმანთ. ესეც ხომ ხელ-მოსაკიდი საბუთი იყო ლაშქრობისათვის. მეორე ლაშქრობის დროს მეფემ მთლად გადალახა შირვანი. თან საკმაო ჯარი ჰყავდა. ამ ჯარმა ქურდევანამდე ინავარდა და მრავალ ალაფით დატვირთული დაბრუნდა საქართველოში 8). მაგრამ დიდხანს არ დაუსვენია და იმავე 1120 წელს სხვა ადგილს მოუხდა ომიანობა.

ტაოს სამხრეთით, მდ. არეზის სათავეს მიდამოს შუა, მდებარებდა ერთი ადგილი, სახელად ბასიანა, რომელიც წინად სომხებს ეკუთვნოდა და შემდეგ კი საქართველოს ბაგრატიონ-

7) Chron armén. 58.

8) ქ. ცხაში სწერია: «ჩაიდა შარვანს... არაბია-ლიქათათ ქურდევანამდე და შიშტლანთამდე... I. გვ. 248. ვასტუტი შიშტლანთას მაგიერ შიმშატას სწერს. ბროსესე ამბობს, ლიქათა ლაიშს მიაგავსო და ლაიში შირვანშიაო, ხოლო შიშტლანთა ან შიმშატა სად მდებარებს, არ ვიციო, H. de la G. I. 364 n. 6.

ნებმა დაიპყრეს და სამცხეს შეუერთეს⁹⁾. ბასიანის გვერდით და მიჯნით სომხებს ჰქონდათ აშორანა, ცალკე სათემო ადგილი. იმ დროს თურქთა ხელთ იყო სომხეთი, საქართველოს საზღვრებამდე, და სომხეთიდან ეცემოდნენ კლარჯეთ-ტაო-ბა-სიანსა. როცა მტერმა შეიტყო მეფის შირვანში ლაშქრობა, წინ წამოიწია და ჰსურდა საქართველოს შემოსეოდა. მტერს თითქო მესხიერებამ უღალატა და დააფიწყდა ტაოსის დამარცხება. დავით აღმაშენებელმა შეიტყო თუ არა თურქების განზრახვა, უმაღლვე აშორანსკენ გაემართა ჯარით და, ჩვეულებისამებრ, დაესხა მტერსა, — ზოგნი დახოცა და მრავალი ტყვედ წამოყვანა. ალაფი სხვა იყო. დაბრუნების დროს, გზაში, ქართველებს მეორედ შეემთხვათ მტერთან ბრძოლა. გამარჯვებული მეფე თავზე წაადგა დაბანაკებულ თურქმანებს სევგე-აჰმე-ში და ისე დაამარცხა, რომ „არა დაუტყვე-მოტირალი კარავთა მათთაო“¹⁰⁾.

თურქმანნი არ ისვენებდნენ და როცა კი მეფეს დაიგულებდნენ შორს, მტკვრის ნაპირებისკენ მოდიოდნენ საზამთროდ. იმათ ქვემო-ქართლს, აქა-იქ, თითო-ოროლა ციხე კიდევ ექირათ. ტფილისიც იმათ ხელში იყო. ამას გარდა, სომხეთსა და მცირე აზიაში მდებარე სხვა-და-სხვა საამირო უნებლოედ შველის იმედს უბადავდა საქართველოში და იმის საზღვრად მყოფ თურქობასა და მიზეზიც ეს არის, რომ 1121 წელს ელი ხალხი სომხეთის მთებიდან ჩამოვიდა და მტკვრის პირად საძოვარ ველ-მინდორს დასახლდა თავისის საქონლითა. იმ წელს დიდი თოვლი მოვიდა და ზამთარიც მკაცრი იყო. მეფე, საქმეების განსაგებლად, აფხაზეთს წავიდა და ბიჭვინტამდე მოვიდა. რასაკვირველია, თურქმანთ ეკონათ; მეფეს ჩვენთვის არ

⁹⁾ ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 120. პ. იოსელიანი ამბობს ქ. ბასიანი — ეხლა ასან-ყალა ეწოდება — მეფე ბაკურ მესამემ ააშენაო 576 წელს, „Города... въ Грузин“, стр. 34, მაგრამ ეს ამბავი არაფრით მტკიცდება და იმ დროს არც ბაკურ მესამე იყო ცოცხალი, H. de la G. I. 214—16.

¹⁰⁾ Chron. armén-ი სევგელაშვილის ბრძოლას არ იხსენებს, p. 58. არ ვიცით, სად მდებარებდა ეს ადგილი, რომელსაც ვახუშტი თავის ისტორიაში სევგელა-შენიად სწერს.

სცლიანო და გულ-უშიშრად იმყოფებოდნენ. მაგრამ მეფემ სხვაფრივ ინება და „ლომი“ დაბრკოლებას არ მოერიდა, ქართლში ლაშქარი მზად იყო და მხოლოდ „წინა-მბრძოლის“ მოსვლას ელოდებოდა. ეს, „წინა-მბრძოლიც“ მალე მოვიდა, დიდმა თოვლმა ვერ დააბრკოლა მფრინავი სპასპეტი. ლიხის მთის გადასავალი შეკრული იყო თოვლითა, რომლის სიმაღლე სამ მხარს შეადგენდა, მაგრამ მეფემ „გარდაათხრევინა მთა ლიხისა“ და იმიერნი ამიერთა ლაშქარს შეუერთა. ლაშქრის სიმრავლე დიდი შესდგა. მეფემ ჩვეულებრივს ხერხს მიმართა—სისწრაფესა და დასხმას: ჯერ ქართლში არც კი გაეგოთ, რომ მეფე უეცრად თაეს დაეცა სულტანსაო, ამბობს მათიანი (11). იმ დროს სპარსეთში სულტნად იჯდა ძლიერი ხანჯარი, ხოლო იმის ძმისწულს მაჰმუდს სპარსეთის მცირე დინაწილი ეჭირა. ამ უკანასკნელის ძმა, სახელად მელიქი, განჯის გამგებლად ითვლებოდა (12). ამიტომ გვეგონია, რომ ამ შემთხვევაში სულტნად უნდა იგულისხმებოდეს მაჰმუდი, რომელმაც ალბად ჯარი მოაშეგლა თაეის ძმას მელიქს, განჯის გამგებელს. დავით აღმაშენებელმაც სწორედ ამ მიზეზის გამო შეკრიბა მრავალი ლაშქარი. მათიანის სიტყვით, ჩვენმა ლაშქარმა აღავსო მთელი ადგილი ლიხის მთიდან მტკვრამდე და გაგიდან ბერდუჯამდე (13). სომხურ ქრონიკიდან სჩანს, რომ მებრძოლეთა პირველი შეჯახება მოხდა ხუნანში (14). უძველეს დროიდანვე შესანიშნავი ციხე-ქალაქი ხუნანი, რომელსაც პირველად მტკვრის-ცხენო ეწოდებოდა, ქართლოსმა აღაშენაო და მდებარებდა ტფილისიდან აღმოსავლეთით, იმ ადგილას, სადაც მტკვარს ქცია ერთვის (15). ხუნანი მტკვრის არემარეს იფარავდა და მტრის მეციხოვნეთ ეკუთვნოდა. ციხის

11) ქ. ცხა, გვ. 249.

12) Варданъ Великій, стр. 145—6.

13) გაგი ციხე იყო და მდებარებდა საქართველოს სომხეთში, ჩირდილო-აღმოსავლეთით, თუმცა კი არა სჩანს, სახელდობრ რა ადგილას, Варданъ, примѣч. 716, стр. 176.

14) p. 59.

15) ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 168. იხ. „Города... въ Грузіи“, 39—40.

გარეშემო, დიდს მანძილზე, მდინარის გაღმა-გამოღმა, საზამთროდ დაბინავებული იყო თურქობა. ხუნანთანაც გამარჯვება დავით აღმაშენებელს დარჩა. იქიდან მეფის ლაშქარი წავიდა ქვემოდ აღმოსავლეთისკენ, საქართველოს სომხითის სამხედურის კერძოდ და ისე მოსრა მტერი; რომ ამბავის მთხრობელიც არ გადაჩაო... ამ გაღმაშქრების შემდეგ მეფე უკანვე დაბრუნდა და ჯარი დაასვენა, მაგრამ ისევ მალე მოუხდა საომრად წასვლა. ორი თვე გავიდა და მეფემაც ხელ-მეორედ შეკრიბა ლაშქარი. იმ წელს. დიდის თოვლის გამო, მტკვარი ძლიერ მოვარდა, წყალს ნაპირნი ველარ იტევდნენო. ამის იმედით თურქმანნი უდარდელად დაბინადრდნენ ქ. ბარდასთან, რომელიც განჯას ქვემოდ იდგა, მტკვრის მარჯვნივ. ლაშქარი განჯის გზით არ წავიდა. სჩანს, მეფეს ჩვეულებისამებრ მტერზე დასხმა ესურვებოდა და საჭირო იყო სხვა მხრით მისვლა. იგი თავის ყვიჩაყებით ხუნანის ახლო აღიდგებულ მტკვარში გასურდა¹⁶⁾ და მეორე ნაპირას გავიდა. მტერი არ მოელოდა დასხმას და საშინლად დამარცხდა. დავით აღმაშენებელს მრავალი ალაუი დარჩა. ორის დღის შემდეგ ძღვევა-მოსილი მეფე ქართლში დაბრუნდა.

ბარდის ბრძოლამ დიდი გავლენა იქონია თურქებზე. ჯერ ერთი, რომ იმათ დასტოვეს ქვემო-ქართლის სამხედვარი და სპარსეთისკენ გადიხვეწნენ; მეორე, — სრულს სასოწარკვეთილებას და შიშს მიეცნენ. ცხადი იყო, რომ მოკლე დროს იმათი ბატონობა უნდა მოსპობილიყო. სწორედ ასეც მოხდა და ეს ეგრედ წოდებულ დიდ-გორის ბრძოლის შედეგი იყო.

დიდ-გორის ბრძოლას ერთი პირველთაგანი ადგილი უჭირავს საქართველოს სამხედრო ისტორიაში. თავის დროზე ამ ბრძოლამ აჩიის ყურადღება მიიპყრო და მისი ამბავი თვით ევროპაშიც კი გაისმა. უცხოელნი მეისტორიენი აღტაცებით მოაგვითხრობენ დიდ-გორის საოცარს ლაშქრობას. ამას თვისი საბუ-

¹⁶⁾ ...«აღმოს მტკვარსა გაუტურდა», ქ. ცბა, 249. უნდა იყოს ხუნან-სო, H. de la G. I. 265 n. 3. Chron. arm. 59. აქ შეცდომით ხუნანისა და ბარდას ბრძოლა ერთად არის მოხსენებული.

თი აქვს. იქ, დიდ გორის ხეობაში, საქართველოს მეფე გაემკლავა მაჰმადიანობის საუკეთესო სარდალთა, მრავალს, ხელოვნურად დარაზმულს ჯარს და სრულიად დაამარცხა შვედთებული ძალა სპარსეთის სულტნისა და მისი ამირებისა. მართალია, მაჰმადიანთა მწერალნი ღირსეულს ფასს არა სდებენ მეფის საკვირველს გამარჯვებას და თითქო კიდევ ამცირებენ დიდ-გორის ბრძოლის მნიშვნელობას, მაგრამ ამის მიზეზი აღვიღალ გასაგებია და პირუთვნელი ქეშმარიტება სულ სხვაფრივ ჰმოწმობს. უცილობლად არ შეიძლება ითქვას, თუ რა დროს მოხდა ეს შესანიშნავი ბრძოლა, თუმცა სინამდვილეზე უფრო ახლო იქნება, უკეთუ ამ დროდ 1122 წ. მივიღებთ¹⁷⁾. არ ვიცით ბეჯითად თვით ის კერძო გარემოებაც, რომელიც ბრძოლის საბაზი შეიქნა. რასაკვირველია, საზოგადო მიზეზი საქართველოს და სპარსეთის ურთი-ერთი მტრობა და დავით აღმაშენებლის სამხედრო ძლევა-მოსილობა იყო. საქართველოს მეფე მეტად საშიში შეიქნა მაჰმადიანობისათვის; სპარსეთი ამას კარგად ჰგრძნობდა. ხოლო ჩვენი მათიანე ზოგადად მოგვითხრობს, რომ „ქირთაგან“ შევიწროებულნი განჯელ-ტფილელ-დმანელნი ვაქარნი წავიდნენ და სულტანი აღამხედრეს საქართველოზეო¹⁸⁾. ერთ უცხოელ მებისტორიეს თქმით, სახელდობრ აი თურმე რამ გამოიწვია დიდ-გორის ბრძოლა. საქართველოს სამზღვრად, ეჩმიაძინის მხარეს, მდებარებდა საამირო თაკი, რომლის გამგებელი, ამირი კახი მეფე დავითის მორჩილების ქვეშ იმყოფებოდა. 1121 წ. კახი უმიზეზოდ ოცდა ათი ათასი ჯარით შემოესია თრიალეთის საერისთავოს, აიკლო და ტყვენი წაიყვანა. მეფემ სამაგიერო გადაუხადა და დიდი ვაება მიაყენა მოღალატე ამირსა, — ბევრი ხალხი გაუწყვიტა, მრავალი დაატყვევა და დიდი ალაფი წამოიღო. თურქებს ეწყინათ. ჩაიკვტეს ძაძა, ჩვეულებისამებრ. თავზე მტვერი დაიყარეს და გასწიეს საჩივლელად. ზოგნი თავრიზს წავიდნენ

¹⁷⁾ H. de la G. I. 366 n. 1. Additions;.. 237—9.

¹⁸⁾ ქ. ცხა, 83. 249.

სულტანთან და ზოგნი მცირე აზიაში, გავლენიან ამირ ელ-ლაზთან 19).

თავრიზის მბრძანებელი მელიქი, რომელიც თავისის ძმის შაჰმუდის თანაშემწედ ითვლებოდა და შემდეგ მთელი სპარსეთის სულტანად დაჯდა, ძლიერ განრისხდა საქართველოს მეფეზე. არა ნაკლებ აღელდა და გასწყრა ელლაზიცი, რომელიც უმისოდაც მტრულად უცქერდა დავით აღმაშენებელს და ჰსურდა იმის დამარცხებით ანტიოქია და იერუსალიმი ჯვაროსნებისთვის წაერთმია. ელლაზი ზეაეი და გულდიდი ამირი იყო, ამასთანავე დიდის და განთქმულის შთამამავლობისა. ვიდრე ჯვაროსანთა ლაშქრობა დაიწყებოდა, იმისი მამა არდუხი ფლობდა იერუსალიმს და მერე სამფლობელო თავის შვილს დაუტოვა. შემდეგ, როცა ჯვაროსნებმა აიღეს წმინდა ქალაქი, ელლაზმა საკუთარი საამირო დაარსა და დიდად განითქვა მცირე აზიაში 20). ეს ამირი გაწვირთნილი იყო ლაშქრობაში და თავის დროს საუკეთესო სარდალად ითვლებოდა. როცა ჯვაროსანნი ალყით ანტიოქიას შემოერტყნენ, ელლაზი გამოჩენილ მოსულის ამირ კერბოლასთან ერთად სამი კვრა, დღე და ღამე, მამაცურად ებრძოდა ევროპელებს და თუმცა ბრძოლა ქრისტიანების სასარგებლოდ გათავდა, მაგრამ ევროპის რაინდნი მიანც განცვიფრებით შეჰყურებდნენ მტრის მხეობას და გულადობასა 21). მართალია, ელლაზმა და იმის თანაშემწე სარდლებმა ჯვაროსნებს ვერ წაართვეს ანტიოქია, მაგრამ შემდეგ ელლაზმა საშინლად დაამარცხა ანტიოქიას მთავარი როჟე და ბევრი ჯვაროსანი რაინდი გამოასალმა წუთისოფელს. თვით იერუსალიმის კოროლი ბოდუენ მეორე ვერ გადურჩა იმის ძლიერ-მოსილობას ღ იქნება, ელლაზის მეცადინეობით, სამეფო. ხელიდანაც გამოსცლოდა, მაგრამ ამირს შვილი აეშალა და გამარჯვებული სარდალი თავის სამფლობელოში გაეშუ-

19) Additions... 228 n. 1—5. იმ დროს ელლაზი ქალიძის (Алени) ამირი იყო, H. de la G. I. 365 n. 8.

20) Шлоцеръ, 653—4. Веберъ, 452—3.

21) Веберъ, 521—3.

რა 22). ჯვაროსნებთან ლაშქრობამ გამოსცა და განავითარა სამხედრო ნიჭით შემკული სარდალი, თუმცა იმავე ბრძოლამ დიდი მძულვარება დაუნერგა გულში ქრისტიანობისადმი. ამიტომ, როცა „ქირთაგან“ შევიწროებულ მაჰმადიანთა მდგომარეობა შეიტყო, დიდს საომარ მზადებას შეუდგა და შეკრიბა ასორმოც და ათი ათასი ჯარი. ელლაზმა ამოდენი ჯარიც არ იკმარა და საშველად მოიწვია თავისი სიმამრი, ჰილლახის ამირი დურბეზი, სადაყას შეილი 23).

დურბეზი თავის სიძეზე ნაკლებ სარდლად არ იცნობებოდა და დიდი სამხედრო გამოცდილება ჰქონდა. ამასთანავე დიად გავლენიანი ამირი იყო მთელ მაჰმადიანობაში და ხელთ ეპყრა უზარ-მაზარი ადგილი ეფიოპიიდან ინდოეთამდე. ერთხელ თვით ხალიფის სატახტო ქალაქი ბაღდადიც კი დაიჭირა და რამდენჯერმე შეებრძოლა სპარსეთის გამოჩენილს სულტანს სანჯარსა. ისტორიკოსნი დურბეზს ჰხადიან ნიჭიერ ამირად, პოეტად, ცბიერად და ამასთანავე შიანთათვის თავისუფალ აზრის კაცად, რომელიც ჰგმობდა მაჰმადსაო 24). თავისუფალი აზროვნება დურბეზს არ უშლიდა თანატოლებს მიმხრობოდა, და ათი ათასი კარგად შეიარაღებული ჯარი შეჰყარა საქართველოზე გასალაშქრებლად. თავრიზის ანუ განძაკის მფლობელმა მელიქ თოგრილმა კიდევ ორმოცი ათასი მეომარი გამოიყვანა. ამ სამს სარდალს მეოთხეც მიემატა — ყარაბაღის და ნახჩევანის ბატონი კონდოლი 25), და ამოდენი უსჯულოება აღსდგა პაწია საქართველოზე, რომელსაც მხსნელად და მეოხად გენიოსი სპასვეტი ჰყავდა. მაჰმადიანთა მწერალნი ამბობენ, ჩვენი ჯარი ოც და ათ ათასს კაცს არ აღემატებოდაო 26), მაგრამ ეს მართალი არ არის, — იმათი ლაშქარი ორას ათას მეომარზე მეტიც იქნებოდა, რად-

23) ib. 538—9.

24) Additions... 228 n. 6. ჩვენი ბატონი ამბობს, თითონ სულტანმა მოიწვია დურბეზი, გვ. 249.

25) Бебер, 538. Additions... 228—9.

26) Additions... 239. ქ. ცბა, გვ. 249.

27) Additions... 237—8.

განაც მთელ მცირე აზიის ძალამ ერთად მოიყარა თავი საქართველოს ასაოხრებლად და გასანადგურებლად 27).

სპარსეთის სულტანმა მხედართ-მძღვანობა ანუ ლაშქრის უფროსობა უბოძა ელლაზს, „კაცსა მრავალ-ლონესა“, „ყოველსა მხედრობად შემძლებელსა“. ელლაზი ჯერ თავრიზს მივიდა და მერე იქიდან საქართველოსკენ დაიძრა. ვინ უწყის, რაოდენი სანეტარო იმედი და წადილი ებადებოდა გულში ამ ბედისაგან გალადებულს სარდალსა!.. ამბობენ, ვითომ დიდ-გორის ომიანობის წინად დავით აღმაშენებელმა მცირე აზიაზე გაილაშქრა 28) და ევროპელ ჯვაროსნებს მხედრობა მიაშველათ 29). რასაკვირველია, ამის შემდეგ ჯვაროსანთა და ქრისტიანთა დაუძინებელ მტრის რისხვას საზღვარი არ უნდა ჰქონოდა და ეს მით უფრო, რომ ელლაზს დავით აღმაშენებელი თავის პირად მეტოქედ მიაჩნდა. ჩვენს მეფეს შედარებით ცოტა ჯარი ჰყავდა. საბრძოლველად გამოიყვანა ორმოცი ათასი ქართველი, თხუთმეტი ათასი ყივჩაყი, ხუთასი ოსი და ასი ფრანგი, სულ ორმოც და თხუთმეტი ათასი და ექვსასი მეომარი, ე. ი. ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე მტერმა 30). მაგრამ ამ მცირედს ჯარს დავით აღმაშენებელმა ძლევის სული ჰშთაბერა, რადგანაც „წყნარად, უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო“... „უშიშვან და ყოვლად უძრავმან გულითა“ პირველადვე შეიგნო ელლაზის დიდი შეცდომა. ეს შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ელლაზი მთიან ადგილას დაბანაკდა და თავისი ლაშქარი ვრცელს მანძილზე გააბნია, ასე რომ რაზმთა და წყობათა შორის კავშირი და ერთობა არ არსებობდა. თავისი ჯარი სამ ნაწილად გაჰყო და ბანაკად დაუნიშნა თრიალეთი,

27) ib. 229 n. 4, თუმცა ვითიეს გაუზვიადებია ლაშქრის სიმრავლე. მათგ ედესელის სიტყვით, მთლად მაჰმადიანთ ჯარი ორას ათასს კაცს შეადგენდა, ib. 228—9.

28) ib. 239.

29) П. Иоселиани, Ист. груз. церкви, 1843 г. стр. 72—3.

30) Additions... 229, ასე ანგარიშობს მათე ედესელი, ხოლო ვითიეს თქმით ქართველებს ჰყავდათ 80 ათასი ჯარი, მტერს — 600 ათასი, ib. n. 4. მაგრამ ეს გაზვიადებული რიცხვია.

დიდ-გორი და მანგლისი³¹⁾. რადგანაც მტერი ზაფხულს მოვიდა საქართველოში, ალბად ელლაზმაც იმიტომ ამჯობინა გრილი ადგილები, მაგრამ საუბედურო ის იყო, რომ იმ ადგილებში, სადაც ღრე და ოღრო-ჩოღრო პატარა ხეობა მრავალია, დიდი ჯარი ფრთას ვერ გაშლიდა, ერთი რაზმი მეორეს შველას ვერ გაუწევდა. სწორედ ასეც დაემართა მტრის დიდს ლაშქარსა. დავით მეფემ დიად კარგად იცოდა ელლაზის შეცდომა. იმან პირველად ელლაზის ლაშქრის მარჯვენა ფრთა დამარცხა თრიალეთზე, მერე მარცხენა და დასასრულ მიმართა შუაგულ ლაშქარს, რომელსაც დიდ-გორის მთის კალთები ეჭირა. თვით ადგილი დიდ-გორი, სადაც ეს შესანიშნავი ბრძოლა მოხდა, წარმოადგენდა ხეობას, რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ ზღუდავდა ტყით დაბურული მთა. მეფემ სანგლებით შეჰკრა ხეობის გასავალი გზები და ამითი მოუხსნა თავის ჯარს საშუალება უკან დაბრუნებისა. მერე მოწინავე რაზმები წასწია მტრის ბანაკის ახლო; ხეობის სათავისაკენ და ორასი მეომარი მიუსია წინ-მდგომარე ელლაზის რაზმსა³²⁾. იმ ორასმა მეომარმა ასტეხა ბრძოლა; პირველად იგინი ეკვეთნენ მტერსაო მაჰმადიანნი იმათ აბრალებენ ელლაზის დამარცხებას. აბდულ ფარაჯ და ელ-აინის სიტყვით, ორასი ყივჩაყი პირდაპირ წამოვიდა მოწინავე რაზმისაკენ და მაჰმადიანთა ღონის-ძიება არ მიიღეს; რადგანაც მეფის მოლალატენი ეგონათ, მაგრამ ყივჩაყნი რაზმის შუა გულში ჩაერივნენ, ისრის სროლით გაჰჟანტეს რაზმი და უკუ აქციესო. უკან მდგომარე რაზმმა იფიქრა, — წინა რაზმი გამოიქცაო, და თითონაც გაიქცაო. ამის გამო ერთი რაზმი მეორეს დაეჯახა, მთელი ლაშქარი აირიე-დაირიეა და საქმე ამით წახდაო³³⁾. საქმე ისაა, რომ პირველსავე შეტაკებაზე ელლაზის ჯარი შედრკა, წესი და რიგი დაჰკარგა და თავ-

³¹⁾ Баратовъ IV, 18. დიდ-გორის მთა საბარათიანოშია. ამ მთიდან გამოდის მდ. ალგეთი. დიდ-გორის ქვემოდ სძევს მანგლისი, ვახ. გეოგრაფია, 170.

³²⁾ Additions... 229 n. 4. გოთიეს სიტყვით, ეს ორასი მხედარი ფრანგი იყვნენ, მაჰმადიანთა მეთრონიენი კი იმათ ყივჩაყებად მჯადიან..

³³⁾ ib. 237, 239.

ზარი დაეცა. გულადად მიტანილს იერიშს მაჰმადიანნი ვერ გაუმაგრდნენ და გაიქცნენ. შეიქნა საშინელი სერა და ჟლეტა, — „აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა“. ორმოცი ათასი მაჰმადიანი იმსხვერპლა დიდ-გორის ბრძოლამ და ოც და ათი ათასი ტყვე დარჩა ძღვევა-მოსილ მეფესა ³⁴). რვა ღლეტად სდევნიდნენ ქართველები ელლაზის უკუ-ქცეულს ჯარსა. თვით ელლაზი თავში დაიკოდა და ძლივს გადაჩა მოკვლას. მაგრამ მაინც მალე მოკვდა: ფლავი და ნესვი ჭარბად ჭამა და გადაჰყვა კუქსაო ³⁵). მაგრამ ამ სათაკილო სიკვდილს სამარცხვინო დამარცხება აღემატებოდა. დიდის ლაშქრის პატრონმა და გულ-დიდმა სარდალმა მხოლოდ ათასი მეომარი გაიყოლა, ურიცხვი და ძვირფასი ალაფი დასტოვა და ხელ-ცარიელი დაბრუნდა სახლში ³⁶).

ტფილისი ჯერ ისევ მაჰმადიანთ ეჭირათ. საქართველოს დედა-ქალაქი თავის მიდამოებით ცალკე საამიროს შეადგენდა. ამირობა ბენი-ჯაფარის გვარეულობას ეპყრა და იგი გვარი ორასის წლის განმავლობაში ითვლებოდა ტფილისის გამგებელად. ბოლო დროს ბენი-ჯაფარის შთამომავლობა იქამდინ დასუსტდა და დაწვრილმანდა, რომ ამირის ღირსება და უფლება მცირე-წლოვანებს ებარათ და თვითეული მათგანი მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში განაგებდა ამირის თანამდებობას ³⁷). ტფილისში უწესობა და აღრევა არსებობდა. დიდ-გორის ბრძოლის შემდეგ ბენი-ჯაფარიანთ იგრძნეს, რომ იმათ ბატონობის დასასრული მოახლოვდა და შემწეობა მოსთხოვეს თურქმანთა ზოგიერთ მთავრებსა. ეხლა კი ტფილისმა მიიპყრო ქრისტიანობის და მაჰმადიანობის ყურადღება. მეფემ თავის ჯარით ალყა შემოავლო მაგარს და ძნელად შეუვალს ციხესა და, როგორც ელ-სეჰები ჰმოწმობს, ორი წელიწადი გარშემო ერთყა ქალა-

³⁴) *ibid.* 229. მაჰმადიანთა მესტორიენი კი ამბობენ, ქართველებმა მარტო ოთხი ათასი მოკლეს და აზღვნივე ტყვედ წაიწყვეს, *ibid.* 28—9.

³⁵) *Вестеръ*, 538—9.

³⁶) *Additions...* 229. ქ. ცხა, 250.

³⁷) *idib.* 240—42.

ქსა³⁸). ტფილისის გარშემო ბრძოლა არა სცხრებოდა და, როცა ციხის კედლებში შემოზღუდულ მტერი შესწუხდა, დაბორჩილება განუცხადა მეფეს, მაგრამ თხოვნა არ შეუსრულდა, — მეფემ ინება იარაღით აღება თავის სატახტო ქალაქისა³⁹). აილო კიდევ. ჯარმა გაჟლიტა ქართველნი მცხოვრებელნი, რომელთაც სჯული ჰგმეს და მაჰმადიანობა მიიღეს, დასწვა იმათი მიზგითი და ბევრი დაატყვევა. შიშისა და კრძალვის დასანერგად, ხუთასი ურწმუნო ჩამოჰკიდეს სარჩობელაზედ⁴⁰).

ძლევით წაქეზებულმა ქართველმა ჯარმა დაუწყო რბევა სულტანის სამფლობელოს და დიდი გაქირვება მიაყენა იმის ქვეშევრდომთა. მეფე ლაშქარიდა სომხეთისა და დარუბანდისკენ მდებარე ადგილებს. შევიწროებულმა თათრობამ საშველად ჯერ ხალიფს მიმართა ბაღდადში და მერე სულტანს მაჰმუდს. ეს უკანასკნელი განრჩხდა და ჯარით მოვიდა ადერბეიჯანს, საიდანაც თავრიზის (განძაგის) გამგებელი მელიქი სამოცი ათასის კაცით გამოგზავნა საქართველოს ასაოხრებლად. მელიქმა ხილი გააკეთებინა მტკვარზე და შირვანის მხრით ჰსურდა შემოსეოდა საქართველოს, მაგრამ დაეთა აღმაშენებელმა წადილი მოუსპო. მეფის მოწინავე რაზმა ხილი დაანგრია და ხიდის მცველი რაზმიც შემუსრა. მელიქი თავრიზში გაეშურა და იმედგაცრუებული მივიდა სულტან მაჰმუდთან⁴¹). მეფე კი შირვანში შევიდა. იქაურს მცხოვრებლებს ეება დაადგათ ქართველ ჯარისაგან, რადგანაც შირვანი მომხრე იყო სულტანისა და იმის განზრახვას ესარჩლებოდა. დარუბანდელებმა ველარ გაუძღეს გაქირვებას და დესპანები გაუგზავნეს სულტან მაჰმუდს, რომელსაც შემწეობას სთხოვდნენ. მაშინ თითონ სულტანი დაიძრა თავისის ლაშქრით და მოვიდა შირვანში, სადაც მეფე იმყო-

³⁸) *ibid.* 238. ჩენი შატრანე ამბობს, მეფემ «პირველსავე ომსა» ტფილისი 1122 წ. აიღო, ქ. ცბა, 250. ზოგნი სხვა დროს უჩვენებენ: 1120 — 28 წწ. *H. de la G. I.* 367 n. 3. ეს წელთა განსხვავება ამტკიცებს, რომ მეფემ უშალვე ვერა იღო ტფილისი.

³⁹) *Additions...* 242.

⁴⁰) *Варданъ Великий*, стр. 146.

⁴¹) *Additions* 230, 239, 242.

ფებოდა. როცა ორი მოწინააღმდეგე ჯარი ერთმანეთს შეხვდა და ერთმა მეორეს თვალი გადაავლო, მტერი შიშმა შეიპყრა და ვეზირმა სულტანს ურჩია კიდევ უკან დაბრუნება, მაგრამ შირვანელებმა არა ჰქნეს, — ჩვენ უთქვენოდ ქართველებს ვერ შევებმითო. სულტანმა შებმა ვერ გაბედა, ველად დაბანაკებული ჯარი აჰყარა და ქ. შამახიაში გამაგრდა. მეფემ ალყა შემოარტყა ამ ციხეს და ისრე მკიდროდ შემოზღულდა, რომ თავმოკმონე სულტანი სიმდაბლით ემუდარებოდა „გზასა სამტოლოვაროსა“. სულტანს საოტი აღარა ჰქონდა. შიმშილმა და წყურვილმა შეაწუხა. იმის ჯარი გაქირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სასოწარკვეთილებას მიეცა. რანის ათაბაგს აღსუნღულს ეწადა სულტანის ხსნა და საშველად წამოვიდა, მაგრამ ვერას ვახდა: ქართველებმა დაამარცხეს, ოთხი ათასი კაცი დაუხარაღეს და კინალამ თითონაც არ მოჰკლეს ⁴²). სულტანი ჯარით დატყვევებას ვერ გადარჩებოდა, მაგრამ იმის საბედოდ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა მეფის ბანაკში: მაჰმადიანი მწერალნი ამტკიცებენ, ქართველებსა და ყივჩაყებს რალაზედაც უსიამოვნება და ჩხუბი მოუხდათ, ჩხუბი ომად გადაიქცა და ამის გამო სულტანი ღამით გაიპარა შამახიიდან და თავს უშველოა ⁴³). თუ არ ასეთი შემთხვევა, სულტანი ხელიდან ვერ წაუვიდოდა მეფეს, რომელსაც შამახიიდან გასავალი გზები დაქერილი ჰქონდა და სულტანი, თითქო ფრინველი გალიაშიო, ისე დამწყვდეული ჰყავდა. მაჰმუდის გაპარვის შემდეგ დავით აღმაშენებელი საქართველოში დაბრუნდა. საჭირო იყო დარღვეულ სამხედრო წესისა და რიგის აღდგენა, დამნაშავეთა განკითხვა და განსჯა. მაგრამ ერთის თვის გასულს მეფე ჯარით ისევ შირვანში წავიდა, აიღო სატახტო ქალაქი გულისტანი, მკვიდრნი დაიმორჩილა და ხარჯი დაადო ⁴⁴).

შირვანზე გალაშქრება მეფეს მოუხდა 1123 წ. ივნისს, „სიცხეთა მათ საშინელთა“ და შემდეგ დაბრუნებისა დასასვე-

⁴²) *ibid.* 238—9. ქ. ცბა, 251. Chron. arm. 59.

⁴³) *Additions...* 238—40, 243.

⁴⁴) Chr. arm. 59. ქ. ცბა, 251. ბროსე, შეცდომის გამო, ამ ამბავს სხვა-ჯეროვ სთარგმნის, H. de la G. I. 368.

ნებლად და ეგრედვე სწმეფო საქმეების მოსაწყობლად გეგუთს წავიდა. მეორე წელს, მარტის თვეს, ისევ ქართლში მოვიდა დმანისის ასაღებად. დმანისა, დბანისა (სიტყვისაგან „დაბა“, გარეშემო ბევრი დაბა და სოფელი ერტყა) მდებარებდა მდ. მაშავერზე, ტფილისიდან დასავლეთით, სომხითში და მაგარ ციხედ ითვლებოდა. დაბის ნანგრევები ეხლაც ამტკიცებენ წარსულს დიდებას მაგარის ციხე-ქალაქისას, რომელიც მეცხრე საუკუნეში შემუსრა ქართლის ამოახრებელმა ბუღამ⁴⁵⁾ და რომელსაც, განახლების შემდეგ, ძველი მნიშვნელობა არ შოაკლდა. ქართლში მოსვლის უმაღლეს მეთემ აიღო დმანისი⁴⁶⁾ და მერე, ერთ თვეს უკან, კასპიის ზღვისკენ წავიდა და რაუბანდის და მის გარეშე ადგილების დასაპყრობლად. როგორც სჩანს, გალაშქრების მიზეზი ის იყო, რომ სპარსეთის სულტანი ოცი ათასის ჯარით შირვანს ზოეშველა და ჰსურდა დავით აღმაშენებლის გავლენა და ბატონობა მოესპო ამ სამაჰმადიანო სამფლობელოში⁴⁷⁾. მეფემ დაამარცხა სულტანის ჯარი, მერე და რაუბანდის მფლობელს დაესხა ქ. შაბურანში, სძლია და თავისი მახვილი მიმართა დაღესტანსა⁴⁸⁾. ამბობენ, იმ დროს დაღესტანის მთების ძირად და თვით მთებში, და რაუბანდის ახლო, სტხოვრობდნენ ქალდეველნი, რომელნიც ქართულად ლაპარაკობდნენ⁴⁹⁾. იმავე მხარეში ბინადრობდნენ ქურთნი, გადმოსახლებულნი აბაშიდან მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს⁵⁰⁾. დავით აღმაშენებელმა დაიპყრა ყველა ეს ხალხი და ეგრედვე ლეკნი და კასპიის ზღვის ნაპირად მყოფნი ყრეჩაყნი და შემდეგ დაიმორჩილა დაღესტანი და კავკასიის მთანი⁵¹⁾. ეს ძლევა-მო-

⁴⁵⁾ П. Юселиани, „Города... в Грузии“, 46. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 150—4.

⁴⁶⁾ ვარდანის სიტყვით, ხუნანი და დმანისი დავითის შვილმა მეფე დიმიტრიმ აიღო, 147. Additions... 223.

⁴⁷⁾ ibid. 230 n. 7.

⁴⁸⁾ შაბურანი, შაბრანი დაღესტანის ქალაქი იყო. ამბობენ, ვითომ ამ დროს ეკუთვნის და რაუბანდის რკინის კარების მოტანა გელათში, მაგრამ ეს ნამდვილი არ არის, H. de la G. I. 368. n. 3.

⁴⁹⁾ Варданъ В. 126 nр. 491—3.

⁵⁰⁾ H. de la G. I. 190 n. 1.

⁵¹⁾ Additions... 232.

სილი ლაშქრობა მოხდა აპრილში, ხოლო მაისის დამდეგს მეფემ თავისის ჯარით დაღესტნიდან სომხეთისაკენ გასწია, იქ ბევრი ციხე-ქალაქი და ადგილი დაიჭირა და საქართველოს შემოუერთა⁵²⁾. სომხეთში ლაშქრობას მეფე მოუწინა ერთს თვეს და იენიქს სომხეთიდან საქართველოს სამზღვრებს მიმართა, მოვლო ნაპირი ადგილები ტრაპეზუნამდე და, სადაც კი შემთხვევა მიეცა, სძლია და განაბნია თათრები, მრავალი მათგანი დაატყვევა. ალაფითა და ტყვეებით დატვირთული ქართველი ჯარი მოვიდა ოლთისს, რომელიც დასწვა და იქედან დაბრუნდა თრიალეთს, სადაც მეფემ თავისი ლაშქარი დაითხოვა დასასვენებლად...

მაგრამ ლაშქარს დიდხანს არ დაუსვენია. მეფეს მალე სხვა საქმე გაუჩნდა, — ქ. ანის აღება. სომხეთის ბაგრატიონთა სატახტო ქალაქი ანი თავისი სიმდიდრით, სიმშვენიერით და სიდიდით შესანიშნავი იყო მთელ მცირე აზიაში, მაგრამ 1064 წ. ალპ-არსლანმა ააოხრა და საშინელი ზარალი მიაყენა. დაწროკებულნი მცხოვრებელნი ყირიმში და პოლშაში გაიფანტნენ. თათრების მთავარმა ფადლონმა სულტანს სთხოვა, ქალაქი მედამითმო და ანი თავის შვილი-შვილს მანუჩეს გადასცა. მანუჩე კეთილ-გონიერი გამგებელი იყო, ქრისტიანებს სწყალობდა და ქალაქსაც ძველი დიდება დაეტყო⁵³⁾. დავით აღმაშენებლის დროს მანუჩეს ანუ მანუჩარის შვილი აბულ-სევარი განაგებდა ანსა და თავისის ხასიათით და ქცევით დიდად აწუხებდა მცხოვრებლებს. იმას ჰსურდა ანი მიეყიდნა ყარსის ამირისათვის. ქალაქუნა და კაცურს ღირსებას მოკლებული აბულ-სევარი შეურაცხებას აყენებდა ქრისტიანობას და ეს მცხოვრებლებს სწყინდათ. იმათ ქრისტიან მეფეს მიმართეს⁵⁴⁾ და, როცა დავით ზაფხულობით ბოჯანოს იმყოფებოდა, მწიგნობარნი მოვიდნენ და სთხოვეს, — ანის ქალაქი თქვენთვის გვიბოძებიაო. მაშინვე მე-

⁵²⁾ ქ. ცხა, 251. Chr. arm. 59. Варданъ В. 147 и пр. 291—7.

⁵³⁾ Грузія и Армения, II, 267—69. ანის პირველი საკრებულო ტაძარი აღმშენებელია დავით აღმაშენებლის ბებიასაგან, რომელიც მკუდლვე იყო მეფე გაგიკისაო.

⁵⁴⁾ Варданъ В. 146, пр. 589—90. Additions... 292.

ფემ ბჰანება გასცა და სამ დღეზე სამოცი ათასი შეკაზმული ცხენოსანი ჯარი შეიკრიბა. მეფე გაემურა ანისკენ და „უჭირველად“ აიღო ქალაქი და მისი ციხენი. დაატყვევა აბულ-სევარი ცოლ-შვილით და აფხაზეთში გაგზავნა, ხოლო ანის დასაცველად მესხეთას აზნაურნი დააყენა⁵⁵). ანში იმ დროს დაცული ზყო საქართველოს ძვირფასი და წმიდა განძი—ჩვენის განმანათლებელის ნინოს ჯვარი, რომლის სადღებლად სომხებმა საკუთარი დღესასწაული დაადგინეს⁵⁶). ამბობენ, მეფემ ეს განძი თან წამოიღო⁵⁷). ანში ყოფნის დროს მეფემ ნება მისცა სომხების და ქართველებს სასულიერო წოდებას ერთად შეკრებისა და კრებას ჰსურდა სარწმუნოებრივი კავშირი დაემყარებინა, მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხდა. ყოველ შემთხვევაში, დავით აღმაშენებელი სათნოებით მოეპყრა სომხებს და ბევრი მათგანი გადმოასახლა საქართველოში, მიანიჭა ყოველგვარი უფლება და გაათანასწორა ქართველებთან. სამწუხაროდ, ამ ორის მეზობელ ერის ძმობა და ერთობა შემდეგ სხვაფრივ დატრიალდა და დიდებულს მეფეს იქნება საბუთიანად სწამებდნენ პოლიტიკურს შეცდომას⁵⁸).

როცა მეფემ გაათავა სომხეთის საქმე, თავისის ჯარით შირვანში წავიდა. აიღო ქალაქი შამახია და სხვა ციხეები და მალე მთლად შირვანი იარალით დაიჭირა, მოსპო შირვანშას უფლება და გამგებლად დააყენა სვიმონ ჭყონდიდელი, სახელოვანი დისწული გიორგი ჭყონდიდლისა, „კაცი ყოველითურთ სრული და ბრძენი“⁵⁹). ხოლო შირვანის დასაცველად დასტო-

⁵⁵) ვარდანის თქმით, მეფემ ანის გამგეობა ჩააბარა აბულეთს და იმის შვილს ივანეს, ხოლო აბულ-სევარი და იმის რვა შვილი თან წაიყენა, გვ. 146. ამბობენ, აბულ-სევარის შთამომავლობისანი არიან შარვაშიძენი, ვახუშტის ისტორია, 183, სხოლო 2.

⁵⁶) Варданъ В. 137—8 и пр. 537.

⁵⁷) П. Иселиани, Жизнеописание Св. Гр. цер. 1850 г., стр. 41. Грузія и Армения, I. 51.

⁵⁸) Баратовъ, IV. 25.

⁵⁹) ამბობენ, ვითომ იქაურს ხალხს ეხლაც ახსოვს ეს ბრძენი გამგებელი «ივერია», 1882 წ. № 4, 5, მღ. ჯანაშვილის «ისტორიული სურათები», გვ. 9.

ვა მეციხოვნენი და დიდი წყალობა უბოძა ლეკებს და სხვა მთის ხალხს, რომ მორჩილებაში ყოფილიყვნენ. შირვანის დაპყრობის შემდეგ მეფეს ერთი ბრძოლა კიდევ მოუხდა და დასრულდა კიდევ იმის სამხედრო მოღვაწეობა. სპარსეთის მხედართ-მთავარმა ამირ იბრაჰიმმა დიდის ჯარით გამოილაშქრა საქართველოზე. იბრაჰიმს შემწეობას აძლევდნენ სომხეთის ამირი დაუთი და სხვანი მრავალნი ამირნი. მეფე წინ მიეგება მტერს, სძლია, გააქცია და ხუთი დღე სდევნა. ველნი და მინდორნი მოირწყო მტრის სისხლით, აღივსო მძოვრით, რომელიც შორს მანძილზე ჰფენდა სიმყარლის სუნსაო, ამბობს უცხოელი მეისტორიე⁶⁰⁾. მეფეს „ეგუღვებოდა გაზაფხულ ქშნა დიდთა საქმეთა და ლაშქრობათა“, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა. არც დიდად საჭირო უნდა ყოფილიყო მეტი ლაშქრობა, რადგანაც უიმისოდაც სულტანი მეფის შიშისაგან ძრწოდა, „ეოცნებოდა მძინარესა შიში და მღვიძარესა სიკვდილი“....

ნ. უბნებლა

(შემდეგი იქნება)

⁶⁰⁾ Additions... 231.

ლვინის დაყენება*)

I

ყურძენის დამწიფება და რთველი

ბ) რთველი

წინა დღეებში ვთქვით, რომ ყურძენი სრულიად დამწიფებული უნდა მოიკრიფოს. ეს საზოგადო კანონია. მაგრამ ხანდისხან, ზოგიერთ შემთხვევაში და ზოგიერთ გარემოებაში, ამ კანონის ასრულება ძნელია. ყველა ვენახის პატრონს არ შეუძლიან მოიკადოს ყურძენი სრულიად დამწიფებამდინ, განსაკუთრებით, თუ შემოდგომა ბურუსიანი და წვიმიანია. ამისთანა ამინდში ყურძენის მარცვალნი ხშირად სკდება და ობი მალე ეკიდება. ამ შემთხვევაში სჯობს ყურძენი დაუმწიფებელი მოიკრიფოს, ვიდრე არ დაობებულა და არ დამწიფებულა. ობი ძალიან აფუჭებს ღვინის გემოს. ბევრი სხვა გარემოებაც აზარალებს ყურძენს, მაგ. სეტყვა, და დაცდა, ვიდრე ყურძენი დამწიფდებოდეს, მავნებელია და არა სასარგებლო.

გარდა ამისა, რთვლის დრო ადგილობრივ ჰავაზედაც არის დამოკიდებული. ამის გამო საზოგადოდ მიღებულია, რომ 1) საცა ჰავა თბილია, ძალიან სიციხეები არ იცის, იქ ყურძენი დამწიფების უმაღლესი უნდა მოიკრიფოს, 2) გრილს ნოტიო და მაღლობადგილებში ყურძენი ძალიან უნდა დამწიფდეს, სჯობს კიდევ, რომ ყურძენი ცოტაოდნად დაქენეს ვაზზე და 3) იმ ადგილებში კი, სადაც პაპანაქი სიციხეებია, სჯობს ყურძენი ადრე მოი-

*) იხ. მოამბე № 1

კრიფოს, ცოტად შემოუსვლელი, და სრულად დამწიფებას არ მოუცადონ. მაშასადამე, კახეთში და ქვემო ქართლში ყურძენი დამწიფების უმაღლვე უნდა მოიკრიფოს; ზედა ქართლში და იმერეთში ყურძენი ძალიან უნდა დამწიფდეს, ხოლო განჯასა და ერევანში კი სჯობს ყურძენი ცოტად შემოუსვლელი მოიკრიფოს. აქ ჩვენ ვლაპარაკობთ დაბალ ღირსების, ერთი წლის შემდეგ სასმელ ღვინოებზე.

ჩვენა ვთქვით, რომ თბილ ქვეყნებში ყურძენი ცოტა ადრე უნდა მოიკრიფოსო. შენიშნულია, რომ ამისთანა ქვეყნებში ჯერ სრულიად დაუმწიფებელი და ადრე მოკრეფილი ყურძენის ღვინო თან-და-თან უფრო კეთდება და მალეც ძველდება. თუ დაგვიანებული რთვლის გამო ყურძენი მეტის-მეტად დამწიფდა და ძლიერ ტკბილია, მაშინ ღვინო უბუკეტო, უჯანო, უხალისო დგება, ძნელი შესანახავია და სასმელადაც ხშირად საზიზღარიც არის. დაგვიანებული რთველი, რომელიც ასე მავნებელია თბილი ქვეყნების ღვინოებისათვის, აუცილებლად საჭიროა ზოგიერთი ქვეყნების განთქმული ღვინოებისათვის, მაგ. ბორდოსი, ბურგონისა და რეინის ნაპირებისა.

ბურგონიელები ამბობენ, რომ იმათში კარგი ღვინის დასაყენებლად ერთი მესამედი მოკრეფილი ყურძენისა დაუმწიფებელი უნდა იყოს, მეორე მესამედი კარგად მომწიფებული, ხოლო უკანასკნელი მესამედი კი სრულიად მწიფე და დრო-გადასული — დამჟკნარი.

ბორდოში, სადაც ბევრი შესანიშნავი და გათქმული ღვინოებია, შავ ყურძენს დიდის დაკვირვებით არჩევენ, ასე რომ ყველა მკვახე და ან დაობებულ მარცვალს აცლიან; თეთრ ყურძენს კი ხშირად დამჟკნარს და დაობებულს ჰკრეფენ, როგორც სოტერნში (Hausen Soternes); რეინის ნაპირებზედ, აგრედვე ბურგონიაში და ბორდოში რთველი გვიან იციან და ყურძენს ამორჩევით ჰკრეფენ, დამწიფებულს სჭრიან და მკვახეს ვაზზე უშვებენ. ასე დრო-გამოშვებით ყურძენს კრეფა ძალიან კარგია იმ ადგილებში, სადაც ყურძენი თანაბრად ერთ დროს არა მწიფდება. მართალია, ეს ბევრს დროს და ბევრ ხარჯს თხო-

ულობს, მაგრამ ეს რა საფიქრებელია იქ, სადაც უნდათ, რომ კარგო ლენო დადგეს და კარგი თვისება და ფასი ჰქონდეს.


ყურძნის მოკრეფაზე ჩვენ აქ ბევრს არას ვიტყვი. გრილადგილებში ყურძენი უნდა მოიკრიფოს მხოლოდ მაშინ, როცა ამინდი კარგია და დღე მზიანი, რადგანაც, თუ ყურძენი ცივსაწინახელში დაიწურა მაშინ ტკბილი ძნელად აღუღდება. არც ის არის კარგი, როცა ყურძნის დაკრეფის დროს დიდი სიციხეები დგას. ტკბილის ტემპერატურა უნდა იყოს 20° — 24°C ; თუ ამაზე თბილია, ის ერთბაშად და საჩქაროდ აღუღდება და მალევე დაიდულდება, ასე რომ მაქარში ბევრი შაქარი დაარჩება. შეუცვლელი და ეს შაქარი ბევრს აენებს ლენის შენახვას.

საზოგადოდ რთველი ყველგან მაშინ უნდა დაიწყოს, როცა კარგი დარია. აუცილებლად საჭიროა, რომ რთვლის დროს წვიმა და ნამი არ იყოს. თუ დილა ნამიანია, ან ბურუსიანი, მზის ამოსვლამდინ უნდა დაიცადონ, რომ ყურძენს ნამი არ მიჰყუტეს საწინახელში. მსწავლეულების გამოკვლევიდან სჩანს, რომ ნამის წყალი წმინდა წყალთ არ არის, იმაშია გახსნილი სხვადასხვა ორგანული ნივთიერებანი, რომლებიც ცუდ გემოს აღუტენ ლენოს.

კარგი იქნება, რომ ყურძნის მოკრეფის დროს თითო მუშა თითო რიგ ვაზს გაჰყვეს, რომ უფრო ყურადღებით შეიძლოს ყურძნის მოკრეფა.

მტევანს ან ხელით სწყვეტენ, ან დანით სჭრიან, უფრო ხშირად კი კოტატი და სასხლავი დანით, ან მაკრატლით სჭრიან. ჩვენის ფიქრით, არც ხელით მოწყვეტა არის კარგი და არც დანით მოჭრა, რადგანაც ამ შემთხვევაში ვაზის ტოტი და ხშირად თითონ ვაზიც ძალიან ირხევა, რის გამოც ყურძენს მარცვალნი სცივია, მეტადრე, თუ ყურძენი კარგად არის დამწიფებული. ასე მოკრეფით ბევრი ყურძენი იკარგება. თუ შესაძლებელია, მაკრატლის ხმარება სჯობია. მაკრატლით მტევანი ისე მოიჭრება, რომ ვაზს სრულიად არ შეარხვეს და მამასადამე არც მარცვალნი ჩამოსცივია და ტყუილ-უბრალოდ არ გაფუტდება. აი სურათი იმ მაკრატლისა, რომლის ხმარებაც გავრცელებულია საფრანგეთში (სურ. 10).

რთველში ყველა მუშას პატარა კლათი უჭირავს, რომელშიაც მოკრილ ყურძენს აწყობს და, როცა გაავსებს, საზოგადო გოდორში ჩაჰყრის და, როცა ესეც აივსება, მაშინვე საწნახელში მიაქვთ. კალათის და გოდრის ხმარებასაც თავისი ნაკლულევანება აქვს. თუ დიდის სიფრთხილით არ ჩაიწყო ყურძენი დაიჰყლიტება და ტკბილი დაიღვრება. სამწუხაროდ, სიფრთხილე ძნელად მოეთხოვება მუშას რთველში, როცა გაცხარებული მუშაობაა. ამისთვის იშვიათია, რომ საწნახელში მიტანილ გოდორს წვენი არ გასდიოდეს. მაშ ამ მხრითაც ვენახის პატრონს ბევრი ზარალი ეძლევა. ვინც კი თავის შრომას და თავის მოსავალს აფასებს, ის, რასაკვირელია, თუ შეეძლება აქვს და მოსახერხებელიც არის, არ დაიშურებს, კალათების და გოდრების მაგივრად ისეთი ჭურჭელი იხმაროს, რომ ტყუილ-უბრალოდ არ დაჰკარგოს ნაწილი თავის მოსავლისა. ეს ჭურჭელი ისეთი უნდა იყოს, რომ დაჰყლეტილი ყურძნის წვენი არ გაუვიდეს და ამასთან მსუბუქი და ადვილი სახმარებელი იყოს. საფრანგეთში ზოგიერთ ვენახებში კალათების მაგივრად ხმარობენ თეთრ თუნუქის პატარ-პატარა ყურიან კასრებს (სურათი 11) და გოდრების მაგივრად ან თუნუქისავე და ან ხის ორ ყურიან ჩანახებს (სურათი 12). ამ შემთხვევაში მუშას სიფრთხილე არ მოუნდება, რადგან, თუ ყურძენი დაიჰყლიტა, ტკბილი არ დაიღვრება. ზოგიერთს ვენახის პატრონს საწნახელი ვენახზე მოშორებით



სურათი 10.

ყურძნის საკრელი მაკრატელი



სურ. 11

თუნუქის კასრი



სურ. 12

ხის ჩანახი

ღვინის დაყენება

აქვს და ყურძენი ურმებით მიაქვთ საწნახელში. ამ შემთხვევაში ურემში ჩამდგარია დიდი გძელი გოდორი და ან რამდენიმე პატარა გოდორი. ამ ნაირად ყურძნის გადატანა მცირე ზარალს არ აძლევს ვენახის პატრონს, გზაში ყურძენი ძალიან იყვევება, იჭყლიტება და ბევრი ტკბილი იღვრება და იკარგება. საფრანგეთში, ვასაც საწნახელი ვენახზე მოშორებით აქვს, ის საწნახლამდის ყურძნის მისატანად ხმარობს თუნუქის ერთგვარ გრძელს და ღრმა გეჯას, რომელიც ისეა ჩამდგარი ურემში, რომ გადატანის დროს ყურძენი სრულიად არ იჭყლიტება. ამისათვის ურმას ჭალებზე ზეწრებთან თოკებია გაბმული ხარახასავით და ზედ ლასტი ან ფაცარი ძეხს. ლასტს ქვეშ ჩალაა დაგებული და ზედ ლასტზე ის თუნუქის გეჯა სდგას. გვერდებზედაც ჭალების და გეჯის შუა ჩალაა ჩატანებული, ასე რომ გეჯა ურემში საქანელასავით არის ჩამოკიდებული. რაც უნდა ოღრო-ჩოღრო გზა იყოს, გეჯა არ ინჯღრევა და ყურძენიც არ იჭყლიტება და თუ მაინც და მაინც ცოტაოდნად დაიჭყლიტა, ტკბილი მაინც არ დაიღვრება და არ დაიკარგება. ვასაც ამ გვარად ყურძნის გადატანა შეუძლიან, ძალიან კარგი და სასასგებლო იქნება.

ყურძნის გაწმენდა. ზოგიერთ შემთხვევაში ხშირად საჭიროა საწნახელში მიტანილი ყურძნის გაწმენდა, მეტადრე მაშინ, როცა, ავადმყოფობის გამო, ვაზი ნაწამლია სხვა-და-სხვა წამლებით, მაგ. გოგირდის ფქვილით, კირით და ან სპილენძიანი გოგირდის მკვავით. გაჭუჭყიანებული ანუ გატალახიანებული მტევნები დიდის სიფრთხილით და ყურადღებით უნდა დაიბერტყოს და წყლით გაიბანოს, მეტადრე თუ მტევანს გოგირდი აყრია. თუ საწნახელში მტევანს გოგირდი ჩაჰყვა და ტკბილში გაერია, ღვინოს აყროლებული კვერცხის გემო და სუნნი მიეცემა, რომლის მოშორებაც შემდეგ ძნელია. აგრედვე საჭიროა ყურადღება მიაქციონ, რომ ყურძენს კირი არ ჩაჰყვეს. კირი ტკბალის სიმკვავეს დაანელებს, ამის გამო ღვინო კარგი აღარ დადგება და ხშირად სტომაქისათვის მანებელია ასეთი ღვინო. აგრედვე, თუ ვაზი დაწოლილია და მტევანი მაწით გა-

სვრილი ან გატალახიანებულია, ყურძენი მაშინაც უეჭველად უნდა გაიწმინდოს. მიწა ცუდ გემოს აძლევს ღვინოს, მძაღვ ერბოს გემოს. ამგვარი გემოს მოშორება შემდეგ ძნელია.

ყურძნის დამარცვლა. ყურძნის დამარცვლის შესახებ მსწავლულები სხვა-და-სხვა აზრისანი არიან: ზოგი დამარცვლას ურჩევს, ზოგი არა. საზოგადოდ ზოგიერთ შემთხვევაში ყურძნის დამარცვლა მარგებელია ღვინისთვის და ზოგჯერ, სხვა შემთხვევაში, მავნებელია. დამარცვლის მნიშვნელობის შესაგნებლად ჩვენ აქ მოვიგონოთ ისა, რომ კლერტი თავის შემადგენარი წივითიერებით ბევრად განირჩევა ყურძნის და მისი წვენიდან; კლერტში ბევრი ტანინია და სხვა სიმჟავეებიც; ტანინს შწკლარტე გემო აქვს და სტომაქისათვის ძნელი მოსანელებელია. ამისთვის უმჯობესია, რომ ეს სხეული ღვინოში ბევრი იყოს. მაგრამ უტანინოდაც ღვინის დაყენება შეუძლებელია, რადგანაც უამისოდ ღვინოში ბევრი აზოტიური ნივთიერება (ალბუმინი) დარჩება და ძნელი შესანახავი იქნება. ამ ალბუმინის რაოდენობის დაგვარად ღვინისთვის ხან ის ტანინიც საკმარია, რომელიც ჩენჩოშია და კურკებისგან შეიძენს; ხან კი, როცა ტკბილში ალბუმინი ბევრია, ეს ტანინი საკმარი არ არის და მაშინ კლერტიც უნდა მიეცეს დუღილის დროს. აქედან სჩანს, რომ ყურძნის დამარცვლა დამოკიდებულია ყურძნის და ტკბილის ვითარებაზე. თუ ვაზი ისეთი ჯიშისაა და ან ნიადაგი ისეთია, რომ ყურძენში ბევრი ალბუმინი იქნება, მაშინ დამარცვლა მავნებელი იქნება. გარდა ამისა, თუ საზოგადოდ ყურძენი ძალიან მაქრიანია და ცოტა სიმჟავე აქვს, მაშინაც დამარცვლა საჭირო არ არის, ტკბილს ქაქა-კლერტები უნდა მიეცეს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ღვინო დიდხანს არ დარჩეს ქაქაზედ.

უცხო ქვეყნების მაგალითი გვიჩვენებს, რომ ყურძნის დამარცვლა ძალიან გავრცელებული არ არის. მაგალითებრ, საფრანგეთში იმ 75 ადგილებში, სადაც ვენახებია მოშენებული, მხოლოდ 34 ადგილს იციან ყურძნის მარცვლა და 41 ადგილში კი არა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ამ უკანასკნე-

ლი 41 ადგილის მოსაფელი შეადგენს $\frac{4}{5}$ მთელი საფრანგეთის ლეინის მოსაფელისას. მაშ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იმისთანა დაწინავებული ქვეყანა ლეინის დაყენებაში, როგორც საფრანგეთია, ჰმარცვლავს მხოლოდ $\frac{1}{5}$ ნაწილს ყურძნისას.

აქ მოვიყვან ერთი გამორჩენილი იტალიელი მსწავლულის და ლეინის დამყენებლის პოლაჩის (Pollacci) აზრს, რომელიც ყველასგან თითქმის კანონად არის მიღებული. იმის აზრით, კლერტი ტკბილის დუღილს აადვილებს და ლეინის შენახვასაც ხელს უწყობს. იმის გამოცდილებიდან სჩანს, რომ უკლერტოდ და უქაქოდ ცუდი ლეინო დგება, თუმცა კი ზოგიერთ შემთხვევაში ისიც წინააღმდეგი არ არის დამარცვლისა და ურჩევს კიდევ დამარცვლას. იმის აზრით დამარცვლა საჭიროა: 1) იმისთანა ყურძნისა, რომელიც ზოგიერთ ადგილას კარგად არამწიფდება. ამ შემთხვევაში კლერტი მწვანედ რჩება და ბევრისიმიჯავე და სიმწკლარტე აქვს, რომელიც ემატება უიმისოდაც. მქავე და მწკლარტე ყურძნის წვენსა; 2) დამარცვლა საჭიროა იმ შემთხვევაშიაც, როცა თვითონ ვაზის ჯიში მწკლარტე ლეინოს იძლევა და 3) ეს დამარცვლა ეგრედვე საჭიროა, როცა ატმოსფერული გარემოებით ან ავადმყოფობის გამო მტევანს მარცვალი ჩამოსცვივა და თვითონ მტევანიც ან დაქკნება და ან არ დამწიფდება... ამ შემთხვევაში კლერტი მავნებელია.

წინააღმდეგ ამისა დამარცვლა მავნებელია: 1) იმისთანა ყურძნისა, რომელიც თხელ და მსუბუქ ლეინოს იძლევა. აქ კლერტი საჭირო და მარგებელია; 2) როცა ყურძენი ძალიან შაქრიანია და ტკბილი, განსაკუთრებით თბილი ქვეყნის ყურძენი; ამისთანა ყურძნის ტკბილი უკლერტოდ კარგად არ დიდუდება.

მაშასადამე, ზოგიერთი ჯიშის ყურძნისათვის დამარცვლა მიუცილებლად საჭიროა და განსაკუთრებით უფრო იმისთანა ყურძნისა, რომელსაც საფერავი ბევრი აქვს და მარცვლის კანონი ძლიერ მწკლარტეა.

საფრანგეთში ერთმა სამეურნეო საზოგადოებამ გამოცდილება მოახდინა ერთგვარ ყურძენზე, რომელსაც რუსსილოლიონს

(Roussillon) ეძახიან და რომლის ღვინოსაც ჩვეულებრივი ძალა აკლია და რალაცა მიწის გემო აქვს. ამ გამოცდილებამ აღმოაჩინა, რომ დამარცვლილი ყურძნის ღვინო ბევრად უფრო კარგი დგება, ვიდრე დაუმარცვლავისა. ბუკეტი და ჯანი კარგი აქვს და აღარც მიწის გემოს იჭერს, მხოლოდ, ცოტა არ არის, ფერი აკლია.

აი კიდევ დამარცვლას რა მნიშვნელობა აქვს ღვინის დაყენებაში:

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ შავი ყურძნიდან დაყენებული თეთრი ღვინო უფრო მაგარია, ალკოგოლიანი, ვიდრე წითელი ღვინო, დადუღებული ქაქაზე და კლერტზე (საფერავის გარდა, ჩვენში ყველა შავი ყურძნიდან შეიძლება თეთრი ღვინის დაყენება, ამისთვის საკმარისია უქაქოდ ტკბილის დადუღება). ამასთანავე ისიც შენიშნულია, რომ თუ შავი ყურძნის ტკბილმა მარტო უკლერტო ქაქაზე დაიდულა, მაშინ ის ღვინო უფრო ალკოგოლიანია, ვიდრე მაშინ, როდესაც კლერტიან ქაქაზე დაიდუღებს. აი შედეგი ამ გამოცდილებისა:

- | | |
|--|----------------------------|
| 100 კილოგრამი შავი ყურძენი დაქაჯული და დადუღებული იყო უქაქოდ; ამ ღვინოს სიმაგრე ალკოგოლისა ჰქონდა | = 9 ⁰ ,7 ალკოგ- |
| 100 კილოგრამი იმავე ყურძნისა იყო დამარცვლილი და წითელი ღვინო იყო დაყენებული, მაშასადამე ქაქაზე დადუღებული, უკლერტოდ; სიმაგრე | = 9 ⁰ ,5 — |
| 100 კილოგრამი იმავე ყურძნისა კლერტიან ქაქაზე დადუღებული; სიმაგრე | = 8 ⁰ ,9 — |
| 100 კილოგრამი თეთრი ყურძენი, უქაქოდ დადუღებული; სიმაგრე | = 9 ⁰ ,6 — |
| 100 კილოგრამი იმავე თეთრი ყურძნისა ქაქაზე და კლერტზე დადუღებული; სიმაგრე | = 8 ⁰ ,5 — |

როგორც ვხედავთ შავი ყურძნის ტკბილიც და თეთრისაც კლერტზე დადუღებული უფრო სუსტ ღვინოს იძლევა და უკლერტოდ კი უფრო მაგარსა.

როგორც ვხედავთ, დამარცვლა ხან საჭიროა და ხან არა! ამიტომაც ზოგი ურჩევს დამარცვლას და ზოგი კი არა. ზოგიერთ შემთხვევაში კი ყველანი ერთხმად ურჩევენ დამარცვლას, მაგ. როცა ყურძენი დასეტყვილია, ან სიცხისაგან დამწვარი და ან მილდიუთ ავადმყოფი; ყველა ამისთანა ყურძნისთვის კლერტი მავნებელი იქნება.

ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ დამარცვლილი ყურძნის წვენიდან ან ქაქიდან გამოხდილი არაყი ან კონიაკი უფრო კარგი თვისებისაა, ვიდრე დაუმარცვლავი ყურძნის ღვინიდან და ქაქიდან გამოხდილი. ყურძენს ან ხელით ჰმარცვლავენ, ან ცხავის შემწვობით, ან მანქანებით.

ხელით დამარცვლა ძნელია და ბევრ ჯაფას თხოულობს; ამისთვის ხელით მარცვლა გავრცელებული არ არის. უფრო გავრცელებულია ცხავით დამარცვლა; ცხავი უმჯობესია ხისა იყოს (სურათი 13). სურათიდან სჩანს, თუ ეს ცხავი რანაირად არის გაკეთებული: იგი ოთხ-ფეხიან სტოლსა ჰგავს. ზედა ფიცრები დახვრეტილია ცხავით; ამ ცხავის ქვეშ ფეხებ შუა ჩადგმულია უჯრასავით გაკეთებული გობა, რომლის ერთი გვერდი ღარივით არის შევიწროებული. ხანდისხან რკინის მავთულის ცხავსაც ხმარობენ, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს კარგი არ არის.



სურ. 13.
ყამარცვლავი ცხავი

ამ ცხავზედ დააწყობენ ყურძნის მტევნებს და შემდეგ ორ-კაბი ჯოხით, პატარა ფიწლით აგორებენ მტევნებს ამ ცხავზე. რადგანაც ცხავის ნაჭვრეტები უფრო დიდრონებია, ვიდრე ყურძნის მარცვლები, ამისათვის მარცვლები ედებიან ნა-

კვრეტების გვერდებს და სწყდებიან კუნწებიდან: მარცვალი გობაში ცვივა და აქედან საწნახელში ჩადის; კლერტი კი ცხაფზე რჩება.

ახლა ბევრგვარი სამარცვლავი მანქანებია, მოგონილი მაგრამ მათს აღწერას ჩვენ საჭიროდ არა ვრაცხავთ. კლერტის მოცილება დაწურვის დროსაც ადვილად შეიძლება, რადგან დაქცლეთილ ყურძენს კლერტი ადვილად ეცლება.

რამდენიმე სნათ ყურძნის შესახებ სწავსულები. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კარგი იქნებოდა მოკრეფილი ყურძენი მაშინვე არ დაიწუროს და სამი-ოთხი დღე დაუწურავი დარჩეს. ამის გამო მოკრეფილი ყურძენი ლასტებზე ან ფიცრებზე უნდა დაიწყოს, მხოლოდ ისე კი, რომ ძალიან აგორავებული არ იყოს; საკმარია ორი ან სამი პირი წყობა. სჯობს, რომ ყურძენი თბილ ადგილას ან მზეზე ეწყოს. ასე გაფენილი ყურძენი ცოტად შეშრება და უფრო მწიფდება, უფრო კეთდება, უფრო კარგი გემო ეძლევა. სამპაიოს (Sampayo) აზრით, რომელიც ღვინის დამყენებელია პორტუგალიაში, ასე შენახული ყურძენი უფრო კარგად იწურება, იმის ტკბილი კარგად დუღდება, ღვინო მშვენიერი დგება, ფერიც კარგი აქვს და კარგადაც ინახება. ასე დაწურვა კარგია მაშინ, როცა ამინდის გამო ყურძენი კარგად არ არის დამწიფებული, და, თუ ყურძენი მწიფეა, სრულებით სალი უნდა იყოს. თუ ყურძენი ისე მწიფეა, რომ მარცვალი ადვილად სცივია და ან დამპალი და დამსკდარი მარცვალი ურევია, მაშინ იმის შენახვა არ ვარგა. ამ შემთხვევაში ყურძენი ჩახურდება, სხვადასხვა გვარად დაიწყებს დუღილს და ამ ყურძნის ღვინო სრულიად უვარგი დადგება.

ყურძენის გაჭას მოყრა (Plôlage de la vendange). ქვემოთ საფრანგეთში და ისპანიაში გავრცელებულია ერთგვარი ჩვეულება: ყურძენზე გაჯსმოაყრიან ხოლომე დაწურვის წინად. გამოცდილებით შეიტყეს, რომ გაჯის მოყრა ტკბილის დუღილს უფრო აჩქარებს და ამთავრებს, ცოტა სიმკავეს უმატებს და ამისგამო ღვინო უფრო კარგად იღებება ყურძნის საფერავით. გარ-

და ამისა, გაჯ-მოყრილი ყურძნის ღვინო უფრო-მალე და კარგად იწმინდება და კარგი შესანახავიც არის. მომეტებული სიმჟავის და კარგად დაწმენდის გამო ამ ღვინოს სენი ძნელად ედება, ავად არა ხდება, სითბოს, მგზავრობას და გადაღებას ადვილად იტანს; თვითონ ღვინოც ქალოვანი და გემრიელი სასმელია.

გაჯის მიმატება განსაკუთრებით დაბლობ და ნოტიო ადგილების ვაზის ყურძენსა რგებს, იმ ყურძენსაც, რომელიც ობით, ან ტალახით არის გაფუჭებული. ჩვეულებრივ ამგვარი ყურძნის ღვინოები ცუდი ხარისხისა არის. ქვემო საფრანგეთის ვენახის პატრონები გვარწმუნებენ, რომ თუ ამგვარ ყურძენს გაჯი აქვს მოყრილი, მაშინ ხშირად კარგი და გემრიელი ღვინო გამოდის და ადვილი შესანახავიც არის. მეცნიერებამ და გამოცდილებამ შეიტყო გაჯის ასეთი კარგი ზედ-მოქმედება ღვინოზე, მაგრამ, სამწუხაროდ, გიგენამ დაგვიმტკიცა, რომ ამ ღვინოს ცუდი ზედ-მოქმედება აქვს მსმელის სტომაქზე; ამისათვის ბევრი უარსა ჰყოფენ გაჯის მოყრას. საფრანგეთში მმართველობამაც აუკრძალა ბევრი გაჯის მიმატება და თუ ჯერ კიდევ მაინც ნებას აძლევს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ერთ ლიტრ ღვინოში ორ გრამზე მეტი არ იყოს კალ-ქვიანი გოგირდის სიმჟავე *).

რადგანაც გაჯის მოყრას ბევრი მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ, ამისათვის ქვემო საფრანგეთის ღვინის დამყენებელნი ცდილობენ იპოვონ სხვა ისეთი რამ ნივთიერება, რომელმაც გაჯის მაგიერობა გასწიოს და ამისავით კარგი ცვლილება მოახ-

*) გაჯი, როგორც ვიცით, კირიანი გოგირდის სიმჟავეა (Ca JO^{\ast}) და, რადგანაც ყველა ღვინოში და ტკბილში მოიპოვება ღვინის მარილი ($\text{C}^{\ast}\text{H}^{\ast}\text{R}^{\ast}\text{O}^{\ast}$), აი რაგვარი ქიმიური რეაქცია მოხდება ღვინოში: ღვინის სიმჟავე უერთდება კირს და კირიანი ღვინის სიმჟავე კეთდება ($\text{C}^{\ast}\text{H}^{\ast}\text{CaO}^{\ast}$); კალი-ქვაც თავის მხრით უერთდება გოგირდის სიმჟავეს და კალი-ქვიანი გოგირდის სიმჟავე კეთდება. კირიანი ღვინის სიმჟავე ღვინოში არ იხსნება და ამისათვის ღვინოს შორდება და თხლესთან ერთად ძირს იღვქება; კალი-ქვიანი გოგირდის სიმჟავის მარილი კი კარგად იხსნება ღვინოში და ამისათვის შიგა რჩება.

ღინოს ღვინოში. ამ ნივთიერებათა შორის ეხლა ორ ნივთიერებაზეა ყურადღება მიქცეული, ერთი მათგანი არის ეგრედ წოდებული კირიანი ფოსფორის სიმჟავე (CaHPO_4 ანუ $\text{Ca}^{2+}(\text{PO}_4)^{2-}$) და მეორე — კირიანი ღვინის სიმჟავე ($\text{C}^+\text{H}^+\text{CaO}^6$). კირიანი ფოსფორის სიმჟავეს იმ ზომით უმატებენ, რომ ერთ ლიტრ ღვინოში ერთი გრამიდან 3 გრამამდინ იყოს. კირიან ღვინის სიმჟავეს კი ლიტრში 3 გრამიდან 5 გრამამდინ უმატებენ (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტკბილს უმატებენ 2 გრამიდან 3 გრამამდინ ღვინის სიმჟავეს და 1,2 გრამიდან 1,8 გრამამდინ მარმარილოს ფქვილს). გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ამ სხეულებსაც კარგი ზედ-მოქმედება აქვთ ღვინის დაყენებაზე.

აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი საზურანგეთის გამოჩენილი ქიმიკოსი და ღვინის მკვლევარი არმან გოტიე (Armand Gauties):

„გიგეინის მხრით ტკბილის ფოსფორაჟი (კირიანი ფოსფორის სიმჟავის მიმატება) და ტარტრაჟი (კირიანი ღვინის სიმჟავის მიმატება) არავითარ ენებას არ მოუტანს კაცსა. ეს ორივე საშუალება ღვინოს სიმაგრეს (ალკოგოლს) უმატებს, რადგანაც ეს ორივე სხეული კარგი საზრდოა ღვინის დედისათვის; როცა ღვინის დედა კარგად არის ნაკვები და ღონიერია, მაშინ ტკბილის დუღილი კარგად მიდის და მალე თავდება. ამის გამო სხვაგვარი დუღილი შეუძლებელია, და, რასაკვირველია, ღვინო უფრო მაგარი იქნება. ამას გარდა ეს ორივე საშუალება ღვინოს ფერს უმატებს.

კალი-ქვიანი ანუ კირიანი ფოსფორის სიმჟავეს წყენა არ შეუძლიან, პირიქით, მარგებელია და საჭიროც არის ჩვენი სხეულისათვის. ამ სხეულს ჩვენ სხვაგვარადაც ვჭამთ, რადგანაც იგი ხორციშიც და პურშიც ბლომად არის.

ღვინოში მიმატებული კირიანი ღვინის სიმჟავე ღვინოში არა რჩება, მაშასადამე მავნებელი არ იქნება“.

რადგანაც ეს ორივე საშუალება ტკბილს ჩქარა ადუღებს და ღვინოს კარგადა სწმენდავს, სიმჟავეს და ალკოგოლს უმატებს, ამისათვის მათი გონივრული ხმარება სასარგებლო უნდა იყოს.

ყურძნის დაწურვა, ყურძნის დაწურვა იმაში მდგომარეობს, რომ მტენის ყველა მარცვალი გაისრისოს, ჩენჩო ანუ კანი გასცილდეს მარცვლის გულსა, მხოლოდ ისე კი, რომ კურკა არ დაიმტერეს და გული ძალიან არ გაიწუროს. ამ ნაირად მარცვლის დაქცევა იმისთვის არის საჭირო, რომ ყველა შემადგენარი ნივთიერებანი ერთმანეთში აირიონ და ჰაერმაც იმოქმედოს.


დუდილის ფერმენტი, ღვინის დედა, რომელიც მარცვლის კანზეა, ტკბილში გაერევა და ამის გამო ეს ტკბილი მალე აღუღდება. რამდენადაც ყურძენი კარგად იქნება დაქცეული, იმდენად დუდილიც ძლიერი და წესიერი იქნება. მაშასადამე კარგად დაქცევა უმთავრესი პირობაა კარგი დუდილისა და ღვინის კარგად დაყენებისა.

დაქცეული და დაუქცეულ ყურძნიდან მომზადებული ღვინო ერთგვარი არ არის. დაუქცეულ ყურძნის ღვინო თუმცა კარგი ფერისა, მაგრამ ტკბილია; დაქცეული ყურძნიდან კი ღვინოს ცოტა ნაკლები ფერი აქვს, მაგრამ უფრო ძალოვანია, უფრო კარგი გემოსი და სიტკბოც არა აქვს. სიტკბო ღვინოში საშიშარია, იმის შენახვა ძნელია. თუ ყურძნის მარცვალს კანი ნაზი და თხელი აქვს, მაშინ შეიძლება დაუქცეულად დავადულოთ, კანი თითონ დასქდება. მაგრამ, როცა ყურძნის მარცვალი მაგარია, მაშინ მიუცილებლად საჭიროა მისი დაქცევა, რადგან დუდილი მხოლოდ მაშინ იქნება სრული და თანაბარი.

ყურძენს ან ფეხითა სქცეულენ საწნახელში (სურათი 14) და ან სხვა-და-სხვა საქცეულავი მანქანებით.

ფეხით ყურძნის დაქცევა უფრო კარგია, ვიდრე ყველგვარ მანქანებით, თუ კი ეს დაქცევა ყურადღებით და სუფთად მოხდება. რასაკვირველია, საჭიროა, რომ ძუშამ კარგად დაიბანოს ფეხები საწნახელში ჩადგომამდინ. ამ გვარად ყურძნის დაქცევა იმით არის კარგი, რომ მარცვალი კარგად ისრისება და კურკა და კლერტი კი—არ იმტერევა და არ იქცეულიტება.

საწნახელი ან ქვითკირისა და ან ფიცრისა. ჩვენის აზრით, ფიცრის საწნახელი სჯობია. ქვითკირის საწნახელი იმისთვის არ არის კარგი, რომ კირი მოქმედობს ტკბილზე, მის სიმკავეს ანელებს და ამის გამო დუღილს შეასუსტებს.



სურ. 14.

ბის საწნახელი

საწნახლიდან ტკბილი ან ლაგვინში ჩადის, რომელიც ყოველთვის ქვითკირისაა, და ან დიდ ქვევრში. ქაქას ან აქვე აძლევენ სადუღებლად და ან სხვა ქვევრებში გადიღებენ. ვისაც ქვითკირის საწნახელი აქვს, ჩვენ იმათ ვურჩევთ ეს ისე მოამზადონ, რომ ტკბილი არ გააფუჭოს. ამისთვის ორი საშუალებაა გამოსადეგი:


1) საწნახლის და ლაგვინის კედლებს და ძირს დაასველებენ*) წყალში გახსნილი კაჟის მარილით (25% კალი-ქვიანი კაჟის მჟავე $K^2J;O^3$ და 75% წყალი) და, როცა გაშრება, მაშინ წმინდა წყლით კარგად გარეცხავენ. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კედლები და ძირი კარგად გაშრება, კიდევ დაასველებენ კაჟის

*) ან ცრცხით ან ტილოთი.

მარილის ხსნილით, რომელიც ეხლა უფრო სქელი უნდა იყოს (50% კაყის მარილი და 50% წყალი); გაშრობის შემდეგ კიდევ გარეცხავენ. მესამედაც გაიმეორებენ ამგვარივე ხსნილით საწნახლის კედლების დასველებასა და გაშრობის შემდეგ გარეცხვას. ყოველ გამეორების წინადაც კარგად უნდა გაირეცხოს წმინდა წყლით და გაშრეს ამგვარად მომზადებული საწნახელი საშიში აღარ არის ტკბილისათვის.

2) კაყის მარილის მაგივრად შეიძლება ღვინის სიმკვლევიზიმაროთ. ჯერ კარგად უნდა გაირეცხოს წმინდა წყლით საწნახელი და გაშრობის შემდეგ კარგად დასველდეს ღვინის სიმკვლევის ხსნილით (30% ღვინის სიმკვლევი და 70% წყალი); სამი დღის შემდეგ კარგად უნდა გაირეცხოს წმინდა წყლით და გაშრობის შემდეგ კიდევ დასველდეს ღვინის სიმკვლევის ხსნილით. ორი-სამი დღის შემდეგ, წყლით აავსებენ და დასტოვებენ ისე 20 ან 25 დღემდინ. მერე ეს წყალი უნდა გადაღვაროს და საწნახელი კარგად გაირეცხოს წმინდა წყლით. ამის შემდეგ საწნახელი მზად არის.

რაც შეეხება საწურავ მანქანებს, ისინი მრავალგვარნი არიან და ყველანი შესდგებიან უძირო გობისაგან, რომელიც დამდგარია ორ რუსხმულ ცილინდრებზე და კბილწოლერა ბორბლების შემწეობით ბრუნავენ. ყურძენი გობიდან ცვივა ამ ცილინდრებს შუა და იჭყლიტება; კურკა და კლერტი კი და უშავებელი რჩება. (სურ. 15)



სურ. 15.

საჭყლეტი მანქანა, საღვინეებზე დასადგმელი.

საწურავ მანქანას სდგამენ საღვინეებელ ქვევრზე ან ბოჩკაზე, ასე რომ როგორც ყურძნის წვენი, ისე ქაქაც ერთად ჩადის საღვინეებელ ქურჭელში.

სადღვინეების გაკესება. როცა ყურძენი კარგად არის და-

ქყლეტილი, მაშინ ჯაქასაც და ტკბილსაც ერთად ჩაასხამენ სა-
დულღებელ ჭურჭელში.

აუცილებლად საჭიროა, რომ ყურძნის მოკრეფა და იმის
დაქყლეტა ისე მოხდეს, რომ ერთი სადულღებელი ჭურჭელი
უეჭველად ერთ დღეს აივსოს. სადულღებელს პირამდინ არ აამსე-
ბენ. ჯაქას და ტკბილს უნდა ეჭიროს ოთხი მეხუთედი ნაწილი
სადულღებელი ჭურჭლისა. უამისოდ საშიშია: დუღილის გამო
შეიძლება ტკბილი გადმოვიდეს, რადგანაც დუღილის დროს
ტკბილი მატულობს

ასადულღებელი ჭურჭლის ერთი მეხუთედი ნაწილის ცა-
რიელად დატოვება კიდევ იმისთვის არის საჭირო, რომ იგი
გაივსოს იმ ნახშირ-მყავით, რომელიც დუღილის დროს იჩენს
თავს. თუ სადულღებელი ჭურჭლის ყელში ნახშირ-მყავე არ
არის, მაშინ ჰაერი იმოქმედებს ჯაქაზე დაამყავებს და ამით
ღვინო გაფუჭდება. რადგანაც ნახშირ-მყავე თითქმის სამჯერ
უფრო მძიმეა ვიდრე ჰაერი, ამისათვის ჰაერი ვერ ჩაატანს ყურძ-
ნის წვეწამდინ და ველარ იმოქმედებს მაზედ.

ნახშირის სიმყავე იფარავს ტკბილს ჰაერის ზედ-მოქმედე-
ბისაგან მხოლოდ იმ დროს განმავლობაში, მანამ ტკბილი დიდ
დუღილშია. მაშინ კი, როცა დუღილი დასრულდება, ჰაერი
შეერევა ნახშირის სიმყავეს და ჯაქამდინაც მიადწევს და დაამყა-
ვებს. თუ ამ გარემოებას ყურადღება არ მიეპრო, ღვინო გა-
ფუჭდება.

წესად უნდა იყოს მიღებული სადულღებელი ქვევრის ან
ბოჩკის მალე ავსება. ღვინის დაყენების ერთი უმთავრესი პი-
რობათაგანი ის არის, რომ ტკბილმა რაც შეიძლება მალე
დაიწყოს დუღილი და დაწყების შემდეგ გათავებამდინ აღარ
შეჩერდეს.

თუ სადულღებელი ქვევრის ავსებას ჩვენ ორს ან სამ დღეს
და ან უფრო მეტს მოვანდომებთ, მაშინ წინად ნათქვამი პი-
რობის ასრულება აღარ შეიძლება. თუ ყურძენი კარგად არის
დაქყლეტილი და დუღილს დასაწყობად სითბოც საკმაოდ აქვს,
ტკბილი შეთბება და ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში დუ-

ლილს დაიწყებს. ამ დროს რომ ახალი ტკბილი და ჭაჭა მიუმატოთ სადღღებელ ქვევრს, ეს ახალი ცივი ტკბილი და ჭაჭა წინად შემთბარს ტკბილს გაცივებს და ამის გამო დუღილს შეაჩერებს. რამდენიმე საათის შემდეგ ტკბილი ისევ აღუღდება და, თუ კიდევ მიუმატებთ ახალ ტკბილს, დუღილი ისევ შეჩერდება. ასეთი დრო-გამოშვებითი დუღილის დაწყება და შეჩერება სადღღებელი ქვევრის აესების დროს დიდს ნაკლულევანებას შეადგენს და კარგი ღვინო აღარ დადგება. ამისათვის ძლიერი იშვიათია, რომ ამ გვარად დაყენებული ღვინო ისე ერთნაირი და სასიამოვნო სასმელი დადგეს, როგორც ის ღვინო, რომლის დუღილიც თანაბრად, სიჩქარით და შეუწყვეტელად მომხდარა.

მაშასადამე, სადღღებელი ქვევრის ოთხი მეხუთედი ნაწილი საჩქაროდ უნდა გაივსოს დაქულებილი ყურძნით და, როცა დუღილი შედგება, მაშინვე სარქველით დაიხუროს. თუ სარქველს ნაჭვრეტი აქვს, ესეც ან აგურის ნატეხით უნდა დაიხუროს, ან ბამბის საცობელით, რომ ჰაერი არ გაერიოს ჭაჭის ზევით მყოფ ნახშირ-მკავეს და თან არ ჩაიყოლოს სიმკავეის დედა.

ტ კ ბ ი ლ ი

ძისი კათარება, ავ-კარტობა და ნაკლულეკანებათა შესწორება

ერთის შეხედვით ღვინის დაყენება თითქო ძნელი საქმე არ არის და მართლაც შესაძლებელია და ადვილად წარმოსადგენიც, რომ პირველი კაცისგან დაღეული ღვინო თავისთავად გაკეთდა რამე ჭურჭელში, რომელშიაც ჩვენს წინაპართ შენახული ჰქონდათ გარეული კრიკინა ყურძენი. მკითხველებს, უეჭველია, ეხსოვებათ საღმრთო წერილიდან, რომ ჯერ ისევ ნოემაც იცოდა „ნუნუას“ გაკეთება.

შესაძლებელია, რომ ეს ნოესგან მომზადებული ნუნუა კარგი ყოფილიყოს და ან რაღ უნდა ყოფილიყოს ცუდი, თუ კი ბატონი ნოე, როგორც მოგვითხრობენ, ისე ხარბად და ჭარბად დაეწაფა მას, რომ მალე გონებაც დაჰკარგა და დაეძინა. ნოეს შთამომავალთაც, რასაკვირველია, ბევრჯელ კაი ღვინო დაუყენებიათ, მაგრამ შემთხვევით და მხოლოდ შემთხვევით. კარგი ღვინის დაყენება კი ყოველ გარემოებაში არავის შეეძლო: მიუცილებლად ყველა შემთხვევას ემორჩილებოდა. ღვინის დაყენება და განსაკუთრებით ყოველ შემთხვევაში კარგი ღვინის დაყენება, ესე იგი არ გაფუჭება იმ მშვენიერი წვენისა, რომელსაც ყურძნის მარცვალის შეიცავს, იმის გაუმჯობესობა, თუ გარემოებამ მოკალი ის ხარისხი და ის სიკეთე, რომლის მოპოვებაც იმას შეუძლიან, და ამასთან დადუღებულ ტკბილის, ღვინის იმ რიგად მოვლა და შენახვა, რომ მას შეეძლოს განსაკუთრებითი თვისება და ხარისხი შეიძინოს,—ეს ყველა ადვილი არ არის და თავისთავად არ მოხდება. უსათუოდ საჭიროა მრავალ გვარი მუშაობა, გამოცდილება და მეცნიერების გამოკვლევათა ცოდნა და ამ ცოდნის მოხმარება. ღვინის დაყენება უწინ მხოლოდ ხელოვნება იყო და ეხლა კი ხელობას მეცნიერებაც მიემატა. აჰის გამო, ვისაც კარგი ღვინის დაყენება ჰსურს, იმან უსათუოდ

უნდა შეისწავლოს ეს მეცნიერება, საკუთარი გამოცდილება-საკმარისი აღარ არის. რა ჯიშის ვაზის ტკბილიც უნდა იყოს და რაც უნდა ცუდ გარემოებაში იყოს დამწიფებული, მაინც: შესაძლოა შედარებით კარგი ღვინის დაყენება, თუ ტკბილი წინაღვე იქნება გამოკვლეული და მისი ავ-კარგობა შესწორებული. კარგი ღვინის დაყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ დიდი ყურადღებაც უნდა მიეპყროს რთველს, ტკბილს, იმის დუღილს, გადაღებას და შენახვას. რთველზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ; ეხლა გავსინჯოთ ყურძნის წვენი, ესე იგი ტკბილი.

ა) ტკბილი და მისი ვითარება

ყურძნის წვენი ანუ ტკბილი ყოველთვის ერთგვარად არ არის შეზავებული და არც ერთგვარნი არიან მისი შემადგენარი ნივთიერებანი. როგორც ყურძნის დამწიფება დამოკიდებულია სხვა-და-სხვა გარემოებაზე, ისე ტკბილის ვითარებაც, ავ-კარგობაც და მის შემადგენარ ნივთიერებათა რაოდენობაც დამოკიდებულია ყურძნის ჯიშზე, იმის სრულს ან ნაკლებ. სიმწიფეზე, მიწის ნიადაგზე, ჰავაზე, სითბოზე და სინათლეზე. არა თუ სხვა-და-სხვა გვარი ყურძენი, არამედ ერთი და იგივე ჯიშის ყურძენი, თუ სხვა-და-სხვა გარემოებაშია დამწიფებული, სხვა-და-სხვა გვარ ტკბილს მოგვცემს და სხვა-და-სხვა გვარად იქნება შეზავებული: ზოგში რომელიმე მისი შემადგენარი ნივთიერება მეტი იქნება და ზოგში ნაკლები. ეს მეტ-ნაკლებობა შექრისა და სიმჟავეთა უფრო დამოკიდებულია მათ ურთიერთ შორის შეზავებაზე, მათს რაოდენობაზე.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ არაფერ შესდგომია ამ საქმის გამოკვლევას, ყურძენზე სხვა-და-სხვა გარემოებათა ზედმოქმედების შესწავლას. ჯერ ჩვენ არამც თუ არ ვიცით—რომელი ჯიშის ყურძენს რამდენი სითბო და სინათლე უნდა სრულიად დამწიფებისათვის, არამედ ისიც კი არ ვიცით, თუ რამდენი ჯიშის ვაზი არის ჩვენ ქვეყანაში და რომელ მხარეს რომელი ჯიშის ვაზი უფრო გავრცელებულია. ჩვენ არც ისა გვაქვს გამოკვლეული, თუ რომელი ჯიშის ვაზი რომელ ადგილას უფ-

რო კარგ ტკბილს და ღვინოს იძლევა. ჯერ ჩვენში ერთგვარ ყურძნის ღვინოს არავინ აყენებს; ხშირად არეული ყურძნის ღვინოები გვაქვს. ერთი სიტყვით, ჩვენ ამ მხრით ჯერ არა ვიცით—რა და არცოდნა ხომ მიზეზია მრავალის შეცდომილებისა. ვინც ამ საგნის გამოკვლევას შეუდგება, ის დიდს ვალს დასდებს ჩვენს მევენახობას და მეღვინობას და ამით სამშობლოსაც დიდ სარგებლობას მოუტანს. ამასთან ჩვენში მიუცილებლად საჭიროა ყოველ მხარეში ყოველგვარი ყურძნის ტკბილის გამოკვლევა; მხოლოდ ამით შეგვიძლიან შევიტყუოთ, რომელი ვაზი უფრო ღირსია ყურადღებისა და რომელი არა.

ჩვენს მევენახობას საზოგადოდ ერთი დიდი ნაკლულია—ნება აქვს, რომლის გასწორებაც უსათუოდ საჭიროა და ძნელიც არ არის: ჩვენში, თითქმის ყოველ ადგილას, ერთგვარი სხვლის რიგია მიღებული, და ხშირად იმისთანა ადგილებში, სადაც ჰავისა და მღებთარების გამო ყურძენი კარგად არა მწიფდება, უფრო გრძელ-რქიანი ვაზია გაშენებული. იმერული მაღლარი, ხეებზე ვაზების გაშენება შესაწყნარებელი არ არის. აქ გამოცდილებაა საჭირო; დარწმუნებული ვართ, რომ, თუ იმერეთში მოკლე რქიანი გასხვლა იქნება შემოღებული, მაშინ იქაური ღვინოების თვისება და ხარისხი სრულებით გამოიცვლება.

სითბოს და სინათლის გაკლესა ტკბილის ღირსებაზე. ჩვენ ხომ ვიცით, რა დიდი გავლენა აქვს სითბოსა და სინათლეს ყურძნის დამწიფებაზე. როგორც ყურძენია, რასაკვირველია, ტკბილიც ისეთივე იქნება და ამისათვის ამასაც დაეტყობა მათი ზედ-მოქმედება. ერთმა სწავლულმა, სახელად ლევიმ (A. Levi) გამოიკვლია სითბოს და სინათლის ზედ-მოქმედება ტკბილის ავ-კარგობაზე, მის ვითარებაზე და ცხადად დაამტკიცა, რომ რამდენადაც უფრო ბევრი თბილი დღეები იყო ყურძნის დამწიფების დროს, იმდენად უფრო ბევრი შაქარი იყო იმის ტკბილში და რამდენადაც უფრო ბევრი ნათელი და მზიანი დღეები იყო, იმდენად უფრო ცოტა სიმჟავე ჰქონდა, მაშინ როდესაც, თუ მზიანი დღეები ცოტა იყო, ყურძნის სიმჟავე ბევრი ჰქონდა. აი მაგალითი: ერთსა და იმავე ჯიშის ვაზის

(Pineau) ტკბილში ერთსა და იმავე წელს სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა რაოდენობა იყო შაქრისა და სიმჟავისა:

	შაქრის რაოდენობა ერთ ლიტრ ტკბილში.	სიმჟავის რაოდენობა ერთ ლიტრ ტკბილში.	ტკბილის სისქე.
Var-ში	267 გრამი.	4,39 გრამი.	1,0900
Clos vougeot-ში	253 —	10,03 —	1,0919
Cote d'or-ში	240 —	9,09 —	1,0944
Mercurey-ში (Saône et Loir)	201 —	9,49 —	1,0791
Savigny sur Beaune-ში	167 —	9,24 —	1,0787

ამ გამოკვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული სითბოსა და სინათლის რაოდენობაზე და ყოველ შემთხვევაში, სადაც სითბო ბევრი იყო და მზე კი ნაკლები, იქ ყურძნის წვენში შაქარიც და სიმჟავეც ბევრი იყო, როგორც ჩვენ ვხედავთ Clos vougeot-ში (253 გრ. შაქარი და 10,03 გრ. სიმჟავე); იმ შემთხვევაში კი, როცა რომელსამე ადგილს სითბოც და სინათლეც ერთგვარად ბევრი იყო, მაშინ ტკბილში შაქარი ბევრი იყო და სიმჟავე კი ცოტა, როგორც Var-ში (267 გრ. შაქარი და მხოლოდ 4,39 გრ. სიმჟავე). ამ გამოკვლევას მხოლოდ ერთი ნაკლებევაება აქვს — სახეში ვრ არის მიღებული ნიადაგის თვისება, მაგრამ, რადგანაც იმ ადგილებში ნიადაგი თითქმის დაახლოვებით ერთგვარია და მაშასადამე არ შეიძლება ასეთი განსხვავება მისგან მოხდეს, ამისათვის მეტი ნაწილი ამ განსხვავებისა სითბოს და სინათლეს უნდა მიეწეროს.

გაზის გასხვლის წესის ზედ-მიქმედება ტკბილზე. ვაზის გასხვლის წესს და კულტურასაც, როგორც ეტყობა, დიდი გავლენა აქვს ტკბილის ვითარებაზე. უენიშნულია, რომ მოკლე რქიანი ვაზი უფრო შაქრიან ტკბილს იძლევა, ვიდრე გძელი რქიანი ვაზი, ასე რომ გასხვლის გაუმჯობესობით ჩვენ შეგვიძლიან ტკბილის ვითარება და ღირსება ბევრად შევცვალოთ. ამის მაგალითები ბევრია, მაგრამ აქ მოვიყვან მაგალითს მხოლოდ იმავე ვაზის Pineau და Gamay შესახებ.

	Picau			Gamay		
	შაქარი.	სიმჟავე.	სისქე.	შაქარი.	სიმჟავე.	სისქე.
მოკლე რქიანი ვაზის ერთ ლიტრ ტბილში	193 გრ.	10,48 გრ.	1,0898	173 გრ.	9,92გრ.	1,0726

გძელ რქიანი ვაზის ტბილში კი 161 — 9,29 — 1,0745 — 133 — 12,00 — 1,0638.

ვაზის ჯიშის ვაშლის გაკლენა ტბილის კითარებაზე. სხვა-და-სხვა ვაზის ჯიშის ტბილი ერთსა და იმავე წელს და ერთსა და იმავე ადგილს, მაშასადამე, ერთგვარ გარემოებაში, სხვა-და-სხვა ლირსებისაა. ზოგში შაქარი ბევრია ზ სიმჟავე ნაკლები, ზოგში კი, პირიქით, სიმჟავე ბევრია და შაქარი ნაკლები, და ზოგში ან ორივე ბევრია და ან ცოტა. ერთი სიტყვით, ყველა ვაზის ჯიშს თავისი საკუთარი ფვისება აქვს და, თუ გარემოება იმათ ტბილს შესცვლის, მაშინ ყველას ერთგვარად შესცვლის და შედარებით ყოველთვის ერთი და იგივე განსხვავება იქნება. აქ მოვიყვან სხვა-და-სხვა ვაზის ჯიშის ტბილის ანალიზს, რომლებიც ერთ ადგილას, ერთ ვენახში იყო დამწიფებული, დიქონის გამოსაცდელ ბაღში:

ვაზის ჯიშ.	შაქარი.	სიმჟავე.	ტბილის სისქე.
Frankenthaler	260 გრ.	8,0 გრ.	1,0861
Aramon	173 —	10,26 —	1,0628
Chasselas blanc	161 —	6,20 —	1,0656
Chasselas gros coulard	161 —	4,39 —	1,0625
Chasselas rose	143 —	4,90 —	1,0682
Bouillenc	135 —	11,16 —	1,0647
Grec rouge	126 —	10,25 —	1,0547

ამინდას გაკლენა კითარისა და იმავე ჯიშის ყურძნის ტბილზე. ერთი და იმავე ჯიშის ყურძენი სხვა-და-სხვა წელს სხვა-და-სხვა გვარ ტბილს იძლევა, რასაკვირველია, თუ ამინდა სხვა-და-სხვა არის; ხშირად ისეთივე განსხვავება იქნება, როგორც არის სხვა-და-სხვა ყურძნების ტბილში ერთსა და იმავე დროს. აქ მოვიყვან ერთსა და იმავე ვაზის Pinot-ის ტბილის ანალიზს სხვა-და-სხვა წელს; მე ამოვარჩევ იმისთანა წლებს, როცა ეს განსხვავება ცხადი იყო; ერთ ლიტრ ტბილში იყო:

	წელიწადი.	შაქარი.	სიმეფე-	სისქე-
Pinot	1858	წ. 249,0 გრ.	3,6 გრ.	1,112
—	1859	— 229,6 —	4,2 —	1,105
—	1860	— 141,3 —	6,7 —	1,070
—	1861	— 221,4 —	4,3 —	1,098
—	1862	— 218,0 —	4,4 —	1,095

როგორც ზემოდ მოყვანილი მაგალითებიდან სჩანს, სხვადასხვა გარემოებას დიდი გავლენა აქვს ტკბილის ავკარგობაზე; იმის ვითარებაზე. ამ გარემოებათა გამო ზოგიერთი ტკბილის შემადგენარი ნივთიერება ან მატულობს და ან კლებულობს. აქ თავდება მათი ზედმოქმედება; მათ არ შეუძლიანთ სრულებით მოსპონ, მოაშორონ რომელიმე ტკბილის შემადგენარი ნივთიერება. ამის გამო ყოველი ჯიშის ყურძნის ტკბილში ერთგვარი ნივთიერებანი არიან, ასე რომ, რაც ერთ ტკბილში მოიპოვება, ის სხვა ტკბილშიაც იქნება, თუმცა კი რაოდენობის განსხვავებით.

აქლა გავსინჯოთ, რა გვარ ნივთიერებათაგან შესდგება ტკბილი და როგორ არიან შეზავებული ის ნივთიერებანი. ამის შესატყობად მე აქ მოვიყვან სრულს ქიმიურ ანალიზს ზოგიერთი ჯიშის ყურძნის ტკბილისას. ეს ანალიზები ერთის მხრით შეგვატყობინებენ ტკბილის შედგენილებას და მეორეს მხრით საჭირონი არიან კიდევ იმისთვის, რომ შემდეგ, როცა ღვინოზე გვექნება ლაპარაკი, შეგვეძლოს ამათთან შედარებით შევიტყოთ, რომელი მათგანი გადადის შეუცვლელად ღვინოში, რომელი იცვლება და რომელი ქაჭაში რჩება. ამით ჩვენ შევიტყობთ იმ ნივთიერებათა უპირატესობას, რომელნიც უფრო საჭირონი არიან კარგი ღვინის დასაყენებლად. ამ ანალიზებიდან, რასაკვირველია, იმასაც შევიტყობთ, თუ რა სხვადასხვა ნაირად არის შეზავებული სხვა დასხვა გვარი ყურძნის ტკბილი. სამწუხაროდ, მე აქ იძულებული ვარ მოვიყვანო მხოლოდ ავსტრიული ტკბილების ანალიზი, რადგანაც სხვა ქვეყნის ტკბილების ვრცელი ანალიზი არავის მოუხდენია. აქ სხვა ქვეყნების ტკბილის ანალიზსაც მოვიყვან, მაგრამ შემოკლებული იქნება:

ღვინის დაკეცება

ქიმიური ანალიზი აცხატებული ყუბების ტიპებისა

ყურძნის სახელი და მოსავლის აღვლი	მწიფე	% ახალი	*% მწიფე	% აქიდი	% იმპ-სანი	% სყარ	% სფენიცი	% მინერალური	% მინერალური
Riesling 1881 წ.	1,090	79,34	20,78	16,98	0,260	0,170	0,014	0,015	0,034
Kadarkas	1,095	77,40	22,60	18,48	0,285	0,131	0,014	0,0125	0,033
Grinzig	1,0755	81,75	18,25	15,32	0,247	0,019	0,018	0,02787	0,043
Traminer	1,070	74,07	25,93	23,00	0,330	0,188	0,018	0,019	0,043
Portugieser	1,100	76,40	23,60	19,81	0,505	0,211	0,018	0,018	0,043
ვენერ. ყუბ. პეტრიან	0,7	77,80	22,20	18,69	0,98	0,162	0,019	0,018	0,036
ვენერული Hydgut-დან	0,7	73,65	26,35	20,98	0,817	0,115	0,015	0,018	0,043
კვემო ციხის ყურ.	0,7	74,63	25,37	21,74	0,787	0,139	0,014	0,014	0,029
Blauer Burgunder 1883 წ.	1,079	80,86	19,14	17,67	0,956	0,158	0,010	0,011	0,042
Kleiner Riesling	1,080	80,770	19,230	17,60	0,883	0,140	0,012	0,012	0,009
Wallschriesling	1,070	82,98	17,02	14,87	0,916	0,140	0,010	0,010	0,010
Rothgipfler	1,080	80,78	19,22	17,33	0,987	0,156	0,010	0,009	0,036
Österreicherisch weise	1,073	82,30	17,70	12,48	0,984	0,157	0,012	0,025	0,007
Sylvaner	1,073	82,339	17,661	14,98	0,920	0,149	0,012	0,012	0,012
Rother Weltliner	1,077	81,340	18,660	17,97	0,982	0,135	0,010	0,013	0,005
Weisser Weltliner	1,069	83,20	16,80	14,59	0,944	0,153	0,013	0,012	0,010
Gutedel	1,064	84,740	15,260	13,38	0,910	0,1215	0,012	0,012	0,048

*) მსტრაქტი არის ტიხლის ყველა შემადგენელი ნივთიერება უწყლოდ, ასე რომ თუ ტიხლის წყალს გამოვლით, ესე იგი დაეწინაურება, მსტრაქტი დაიწყება.
 **) ნაცარს ვიხიან იმ მარიალოვან სტულებს, რომლებზეც ტიხლის და შრობის და დაწყებულ შემდეგ დარჩებიან, ისე როგორც უმჯობესი არის დამუშავი ხის ნაჭი.

უკეთეს ვერცხლად ახალია წესტრუქლი ოთხი სხვა-და-სხვა ჯიშის ყურძნის ტკვილის

გაწურულ ტკვილის 100 ნაწილში არის შემცვენი	Esterrreicher (ორი აფლიდან)	Weisser Gutedel (ორი აფლიდან)	Riesling	Burgunder
ყურძნის ზეპარი	13,110 %	12,721 %	14,07 %	15,722 %
აზოტური ნივთიერებანი და ჰორატიანი	1,771	1,885	1,553	1,917
გომიზი (gomme) და დექსტრინი	0,564	0,69	0,949	0,741
საფეხავი ნივთიერებანი	0,101	0,0082	0,0125	0,0015
ტანინი	0,3451	0,3548	0,429	0,0915
ლეონის სიმკვვე	0,7098	0,7284	0,8379	0,2840
ლომონის სიმკვვე	0,160	0,1126	0,156	0,2975
ვაშლის სიმკვვე	0,5833	0,6477	0,7035	0,7036
გოგირდის სიმკვვე	0,9020	0,90137	0,9214	0,9508
ფოსფორის სიმკვვე	0,5836	0,6059	0,669	0,70028
მარილის სიმკვვე (HCC)	0,0667	0,076	0,0736	0,0600
კაუსის სიმკვვე (SiO ₂)	0,70012	0,6525	0,812	0,8000
კორი (CaO)	0,00224	0,0029	0,0026	0,00343
მაგნეზია (MgO)	0,00224	0,0029	0,0026	0,0018
ალუმინი (Al ₂ O ₃)	0,00224	0,0029	0,0026	0,0005
რკინის ჯანგულა (FeO)	0,00224	0,0029	0,0026	0,0007
ნატრიის ჯანგი (Na ₂ O)	0,00224	0,0029	0,0026	0,0040
კალი-ქვი, კალის ჯანგი (K ₂ O)	0,00224	0,0029	0,0026	0,0031
წყალი	83,978	84,563	82,741	82,728

იტალიური ვურძნის ტიპები

ვურძნის სახელი	სისქე	წყალი %	მსტრა- ქტი	შაქარი %	სიმჟავე
Barbera	1,699	75,89	24,11	15,32	1,175
Grinolino	1,089	79,09	20,92	17,11	1,065
Pinot	1,096	75,22	24,78	20,16	0,63

საფრანგეთის ვურძნის ტიპები

ვურძნის სახელი	სისქე	შაქარი %	სიმჟავე %
Muskat blanc	1,0645	15,20	1,02
Pulsard	1,086	21,240	0,76
Teinturier (საფერავი)	1,053	13,17	1,58
იგივე სხვა ადგილიდან	1,080	15,10	1,34
Enfarine'	1,085	16,340	1,52
Clairette rose	1,082	21,00	0,62
Aramon	1,077	21,00	0,76
Utiade	1,089	21,00	0,53
Pomard	1,115	29,00	0,42
Meursault rouge	1,096	24,00	0,50
— blanc	1,120	29,10	0,30
Gamet	1,080	21,50	0,56

ამერიკული ვურძნის ტიპები

ვურძნის სახელი	ტიპოლის სისქე	შაქარი %	სიმჟავე %
Catamba კოლუმბიიდან	1,075	21,30	1,0
Clinton მასსაჩუზეტისიდან	1,080	20,50	0
Isabella	1,084	14,40	1,0
Barlett	1,068	12,87	1,00
Bluck july	1,120	24,00	1,15
Rulander	1,096	20,00	1,30
Canada	1,091	18,50	1,00
Oihello	1,099	18,0	0,8
Iork madeira	1,091	19,20	0,78
Triumph	1,071	17,3	0,9

ამერიკული ველური ვურძნის ტიპები

Scupj ernong	1,042	14,30	1,50
Aestivalis	1,051	8,97	1,44
Cordifolia	1,054	10,30	1,40
იგივე	1,032	5,38	1,40

როგორც ვხედავთ ზემოდ მოყვანილი ანალიზებიდან, ყველა ტკბილი ერთგვარ ნივთიერებათაგან არის შემდგარი, თუმცა კი ერთგვარად არ არის შეზავებული. ამის მიუხედავად ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ მრავალი ანალიზების ერთმანეთთან შედარებით ერთ-ერთი საზოგადო შედგენილება ტკბილისა, ის შედგენილება, რომელიც ყოველთვის კარგ ღვინოს მოგვცემს. ეს შედგენილება იქნება ის ტიპი, რომელიც ჩვენ ყოველ ტკბილში უნდა მოვძებნოთ და, თუ ამ ტიპიდან, დიდად განიჩქევა, მაშინ ეს შედგენილება უქვეყლად უნდა გადაკეთდეს. შესანიშნავი ფრანსიელი ღვინის მცოდნე გიუას (D-r Guyot) აზრით აი როგორ უნდა იყოს შეზავებული კარგი ტკბილი:

ას ნაწილში უნდა იყოს:

წყალი	78 ⁰ / ₀ .
შაქარი	20—
თავისუფალი სიმჟავე	0,25.
ღვინის მარილი (კრემორტარტარი)	1,50.
მინერალური მარილი (ნაცარი)	0,20.
აზოტიური ნივთიერებანი, სურნელოვანი და წებოვანი სხეულნი	0,05.

აქ კიდევ გავამეორებთ, რომ ტკბილის შემადგენარი ნივთიერებანი ყოველთვის ერთი და იმავე რაოდენობისანი არ იქნებიან, ტკბილი ყოველთვის ერთგვარად არ იქნება შეზავებული; ყურძნის ჯიში, მისი მეტ-ნაკლები სიმწიფე, ნიადაგი, ჰავა და სხვა მრავალი გარემოება სხვა-და-სხვა გვარად მოქმედობს ტკბილის ვითარებაზე და მის შემადგენელ ნივთიერებათა რაოდენობაზე.

ეხლა მოკლედ გავსინჯოთ ყველა ის სხეულნი, რომელთაგანაც შესდგება ტკბილი, შევიტყოთ მათი თვისება და მნიშვნელობა და ის საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც შეიძლება მათი რაოდენობის შეტყობა. ყველა ეს ცნობანი მიუტკიცებლად საჭიროა ყველა იმ ვენახის პატრონისათვის, ვი-

საც კიჰსურს კარგად და სარგებლიანად მოიხმაროს თავის ვენახის მოსავალი, რომ კარგი ღვინის დაყენება შეეძლოს.

ტკბილის შემადგენარ სხეულთა შორის ყველაზედ ბევრი და შესამჩნევი არიან: წყალი, შაქარი, თავისუფალი სიმჟავენი და მარილოვანი ორგანიული სხეულნი. ერთი რამ ცვლილება მათ ურთიერთ შეზავებაში — და შედარებითი მეტნაკლებობა დიდს განსხვავებას გამოიწვევს იმ ღვინოებში, რომლებიც დაყენებულნი იქნებიან სხვა-და-სხვა გვარად შეზავებული ტკბილისაგან. აქედან ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახის პატრონისათვის ტკბილის შემადგენარ ნივთიერებათა რაოდენობის ცოდნას.

1) წყალი. წყალს და მის რაოდენობას ტკბილში დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს შეადგენს ტკბილის თითქმის ოთხ-მეხუდედს ($\frac{4}{5}$) ნაწილს და, როგორც შემდეგ ვნახავთ, ამოდენივე წყალი რჩება დაყენებულ ღვინოშიაც. ეს წყალი გამსხნელია იმ ნივთიერებათა, რომლებიც ტკბილში არიან და ამის გამო მხოლოდ ეს წყალი უწყობს ხელს იმ ქიმიურ ცვლილებათ, რომლებიც ტკბილში უნდა მოხდნენ, რომ ღვინო დადგეს. უწყლოდ ეს ცვლილება არ მოხდება და ტკბილი შეუცვლელი დარჩება. თუ ტკბილში წყალი არა ყოფილიყო, ის არ აღუღლებოდა და, მაშასადამე, არც ღვინო დადგებოდა. წყლის რაოდენობის შეტყობა ძნელი არ არის და ყველას შეუძლიან, ვისაც კი სახლში სასწორი აქვს. ამის გასაგებად ჯერ კარგად ასწონავენ მშრალს და სუფთა შუშას ან ჩინურ ფიალას და შავ ჩაახამენ 10 კ. ს. ტკბილს და კიდევ ასწონავენ. ამით შეიტყობენ ტკბილის წონას. ფიალას დასდგამენ ქვაბზე, რომელშიაც წყალი დუღს და ხუფით არის დახურული, ხუფს შუაგულში ფართო ნახვრეტა აქვს; ამ ნახვრეტზე დასდგამენ ფაალას. ორთქლის სითბოთი ტკბილი დაშრება, იმის წყალი ორთქლად იქცევა და ფიალაში დარჩება მარტო ის ნივთიერებანი, რომლებიც წყალში იყვნენ გახსნილნი. დაშრობის შემდეგ, როცა ფიალა გაცივდება, კიდევ ასწონავენ და წონის დაკლება გვიჩვენებს წყლის რაოდენობას.

ვთქვამთ ფიალას და ტკბილის წონა იყო	50,6 გრამი.
მარტო ფიალას წონა	40,1 —
აქედან მარტო ტკბილის წონა იქნება	10,5 გრამი.

ახლა თუ დაშრობის შემდეგ ფიალა ტკბილითიწონის 43,1 გრ. აქედან გამოვრიცხოთ ცარიელი ფიალას წონა: $43,1 - 40,1 = 3$ ეს იქნება ტკბილში გახსნილი სხეულების წონა; და რადგანაც მთელი ტკბილის წონა იყო 10,5 გრ., მაშაქედან რომ გამოვრიცხოთ ტკბილს ნაშთის წონა $10,5 - 3 = 7,5$, მაშინ ჩვენ შევიტყობთ წყლის რაოდენობას, რომელიც გამოანგარიშებით გამოდის $71,43\%$.

ვისაც სასწორი არა აქვს, იმას ზედ-მიწევნით შეუძლიან შეიტყოს წყლის რაოდენობა იმისთანა არეომეტრის შემწეობით, რომელიც ტკბილის სისქეს გრადუსებით უჩვენებს. თუ არეომეტრი გვიჩვენებს ტკბილში 25% , მაშინ ეს ნიშნავს, რომ იმის ას ნაწილში 25% მაგარი ნივთიერება არის და 75% წყალი

2) შაქარი. წყლის შემდეგ ყურძნის შაქარი ტკბილის ერთი უმთავრესი და უსაჭიროესი ნივთიერება არის. ეს შაქარი სხვა ხილეულობაშიაც ბევრია, როგორც მაგალითად მსხალში, ვაშლში, ჭანჭურში, ბალში და ალუბალში და ამისთვის ამას ხშირად ხილის შაქარსაც ეძახიან. თუ ამ ყურძნის შაქარს გავხსნით ალკოგოლში ანუ სპირტში და ამ ხსნილს ფრთხილად დავაშრობთ, მაშინ ჭურჭლის გვერდებზე გამოჩნდება პაწაწინა თეთრი კრისტალები და ამას გარდა დარჩება სქელი ეაჟინი (სიროპი), რომელიც უფრო ტკბილია, ვიდრე კრისტალები. რაც უნდა ბევრი ხანი ვაშროთ, ეს მანც ვაჟინად დარჩება, კრისტალებად არ გადიქცევა. აქედან სჩანს, რომ ის სხეული, რომელსაც ჩვენ ყურძნის შაქარს ანუ გლიკოზას ეძახით, შეამდგარია ორი სხეულისაგან: ერთი მათგანი კრისტალდება და მეორე კი არა. პირველს ეძახიან მარჯვენა გლიკოზას და მეორეს კი — მარცხენას. მომწიფებულ ყურძენში ეს ორივე გვარი ყურძნის შაქარი თანაბარი რაოდენობისაა, ესე იგი რამდენიც მარჯვენა არის, იმდენივე მარცხენაც. ყურძნის დაჰქნობის დროს

კი მარჯვენა კლებულობს, ასე რომ ზოგიერთ ქიმიში ეს მარჯვენა შაქარი თითქმის სრულიად აღარ არის, მარტო მარცხენა რჩება. მაშასადამე, პირველად ეს მარჯვენა შაქარი იცვლება სხვა სხეულებად. ამ ორივე შაქარს თუმცა ერთგვარი შედგენილება აქვს, მაგრამ ერთმანეთისგან მაინც განირჩევიან თავიანთი თვისებებით. კრისტალური ფორმა უფრო ძნელად იხსნება წყალში, ვიდრე მარცხენა, ამის გამო მარცხენა უფრო ტკბილად გვჩვენება, ვინემ მარჯვენა. ამას გარდა, თუ ორივე ერთად არის ტკბილში, პირველი, ესე იგი მარჯვენა, უფრო მალე და ადვილად დუღდება. ყურძნის შაქარი ადვილად იხსნება წყალშიც და ალკოგოლშიაც და ამით განირჩევა ქარხლის შაქრისაგან, რომელიც ალკოგოლში თითქმის სრულეებით არ იხსნება. ამას გარდა, წყალში გახსნილი ქარხლის შაქარი პირდაპირ არა დუღდება, ჯერ უნდა ყურძნის შაქრად შეიცვალოს და მხოლოდ მაშინ ადუღდება.

მაშასადამე, განსაკუთრებითი თვისება ყურძნის შაქრისა იმაშიც მდგომარეობს, რომ ის, წყალში გახსნილი ფერმენტის ზედ-მოქმედებით (ალკოგოლის დედა), პირდაპირ დუღდება და განაწილდება ნახშირის სიმკვავედ და ალკოგოლად

$$C^6H^{12}O^6 = 2C^2H^6O + 2CO^2$$

ყურძ. შაქარი. ალკოგოლი. ნახ. სიმკ.

მაშასადამე, 180 გრამიდან გამოვა 92 გრამი ალკოგოლი და 88 გრამი ნახშირის სიმკვავე, მაგრამ, სამწუხაროდ, დუღილი ისე არ მიდის, როგორც ფორმულა გვიჩვენებს და ამის გამო ზემოდ ნაჩვენები რეაქცია პრაქტიკაში იცვლება. პასტერის გამოცდილებით ვიცით, რომ შაქრის დუღილის დროს ალკოგოლის და ნახშირის სიმკვავის გარდა სხვა ნივთიერებანიც ჩნდებიან, განსაკუთრებით გლიცერინი და ქარვის სიმკვავე; ამას გარდა სხვა ალკოგოლებიც ჩნდებიან, თუმცა კი ძალიან ცოტა. პასტერის აზრით 100 ნაწილი შაქრისა დუღილის შემდეგ იძლევა:

ნახშირის სიმკვავეს	$CO^2 = 46,67\%$
ალკოგოლის	$C^2H^6O = 48,46$ —
გლიცერინს	$C^3H^6O^3 = 3,20$ —
ქარვის სიმკვავეს	$C^4H^6O^4 = 0,61$ —
და დუღილის დედის საზრდოდ იხარჯება	$= 1,08$ —

მასსადაჲ, როგორც წინადაც ვთქვით, რამდენადაც ტკბილში შაქარი ბევრია, იმდენად ეს ტკბილი კარგი მასალაა ღვინის დასაყენებლად.

შაქრის რაოდენობის შეტყობაზე ჩვენ წინად ვილაპარაკეთ, როცა ყურძნის დამწიფებაზე გვქონდა ბაასი. ამას გარდა, რადგანაც ტკბილის წყალში გახსნილ სხეულთა შორის შაქარი ყველაზე გადაქარბებულია, ამისთვის ამის რაოდენობის დაახლოვებით შეტყობა არეომეტრის შემწიფობითაც შეიძლება. ამ არეომეტრებზე ჩვენ მაშინ მოვილაპარაკებთ, როცა ტკბილის ავ-კარგობის გასწორებას შევისწავლით.

3) ტკბალის სიმჟავე. ტკბილში მრავალი სხვა-და-სხვა სიმჟავენი მოიპოვება. თუ ყურძენი კარგად არ არის დამწიფებული, იმის ტკბილში ხშირად და თითქმის ყოველთვის მოიპოვება ღვინის სიმჟავე ($C^4H^6O^6$), ვაშლის სიმჟავე ($C^6H^6O^5$) და ლიმონის სიმჟავე ($C^6H^8O^7$). ამას გარდა, ყოველგვარ ტკბილში, დამწიფებულია ყურძენი თუ დაუმწიფებელი, ყოველთვის არის ერთი მჟავე მარილი, ღვინის მარილი, კრემორტარტარე ($C^4H^5KO^6$), რომელიც სიმჟავეს აძლევს ტკბილს; ხანდისხან ტკბილში არის ტანინიც, რომელსაც მჟავე და მწკლარტე გემო აქვს.

ყველა ღვინის დამყენებელმა კარგად იცის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ზოგიერთი მჟავე ღვინო მალე ჰკარგავს თავის სიმჟავეს და ზოგიერთი კი სიმჟავეს არ იკლებს, დიდხანს მჟავე რჩება. ეს გარემოება დამოკიდებულია იმ ორგვარ სიმჟავეთა თვისებაზე, რომლებიც ტკბილში მოიპოვება.

სწავლულების მიერ გამოკვლეულია, რომ მკვახე ყურძნის წვენში თავისუფალი სიმჟავე ბლომად არის და მარილის სიმჟავე კი უფრო ნაკლები; მწიფე ყურძენში კი თავისუფალი სიმჟავე ან სულ არ არის და ან, თუ არის, სულ ცოტა, ღვინის მარილი კი ბევრია. თუ ახალი დაყენებული ღვინო მჟავეა, მაშინ იმის სიმჟავე უფრო დამოკიდებული იქნება თავისუფალ სიმჟავეზე. აი რა მიზეზით:

ქიმიკოსებისგან გამოკვლეულია, რომ თავისუფალი სიმჟავე ძალიან კარგად იხსნება წყალშიც და ღვინოშიაც; ღვინის სიმჟავის მარილი კი ძალიან ცოტად. მაგალითებრ:

ერთ ლიტრ ცივ წყალში თავისუფალი ღვინის სიმჟავე გაიხსნება: 666 გრამი.
 ცხელ წყალში უფრო მეტი, სახელდობრ: 2000 —

ღვინის მარილს სულ სხვა თვისება აქვს: ერთ ლიტრ ცივ წყალში იხსნება მხოლოდ 5 გრამი და თბილ წყალში — 15 გრამი. მაშ. სადამე, იმ ორ გვარ სიმჟავეთა შორის ამ მხრივ დიდი განსხვავებაა. უფრო დიდ გამსხვავებას ვნახეთ, თუ ალკოგოლი ავიღეთ ამ სიმჟავეთა გასახსნელად: ალკოგოლში თავისუფალი სიმჟავე უფრო მეტი იხსნება და ღვინის მარილი კი სრულგვით არა. აქედან ადვილი შესატყობია, რომ თუ ყურძნის ტკბილში ორავე ზემოხსენებული სიმჟავე მოიპოვება, ესე იგი თავისუფალი და მარილოვანი სიმჟავე, მაშინ ამ ტკბილის დადუღების შემდეგ, როცა მაჭარში ალკოგოლი ჩნდება, მარილის სიმჟავე იმდენი ვეღარ დარჩება, რაჰოდენიც ტკბილში იყო, არამედ დაცოტავდება; ზოგი იმის ნაწილი ნება-უნებლიედ გამოეცლება, ალკოგოლის რაოდენობის დაგვარად, რადგანაც, როგორც ვიცით, ალკოგოლიან წყალში ეს მარილი ცოტად იხსნება და იმდენად უფრო ცოტად, რამდენადაც ბევრია ღვინოში ალკოგოლი. ამ გვარად ეს მჟავე მარილი ღვინოში ცოტა დარჩება და, მაშასადამე, ღვინის სიმჟავეც ცოტ-ცოტაობით დაიკლებს. რაც შეეხება თავისუფალ სიმჟავეთა, რომელნიც წყალშიც და ალკოგოლშიც კარგად იხსნებიან, იგინი ამ თვისების გამო ღვინოს კი არ გამოეცლებიან, არამედ იმავე რაოდენობით რჩებიან შიგ, რამდენიც წინად იყო ტკბილში.

მაშასადამე, შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ღვინოს ორგვარი სიმჟავე აქვს: ერთი მუდმივი და უცვლელი, რომელიც ბევრად ავნებს ღვინოს, თუ გადაჭარბებულია; მეორე სიმჟავის რაოდენობა კი იცვლება და პროგრესიულად მცირდება და ამის გამო ღვინოსაც მჟავე გემო ეცლება, უმცირდება.

პირველი სიმჟავე, უცვლელი, თავისუფალი სიმჟავე, თუ ბევრია ტკბილში, უეჭველად დადუღებამდინ უნდა შემცირდეს იმისთანა ღონისძიებით, რომელსაც ჩვენ შემდეგ ვუჩვენებთ, როცა ტკბილის შესწორებაზე ვილაპარაკებთ. მეორე სიმჟავე კი, რომელიც ღვინის მარილისა არის, თითონ დაცოტავდება, თითონ შემცირდება დუღილის და შენახვის დროს და ამისათვის ამისთანა ტკბილს გასწორება არ ეჭირვება. ერთი იტალიელი სწავლული Ottavi-ს სიტყვით, ერთ ტკბილში, რომელშიაც 9—10 $\frac{1}{60}$ (ერთ ლიტრში 9—10 გრამი) ეს მეორე სიმჟავე იყო, ესე იგი ღვინის მარილი, დუღილის შემდეგ ორითვის განმავლობაში ისე დამციდრა, რომ ღვინოში დარჩა მხოლოდ $\frac{2}{100}$.

როგორც წინადა ვთქვით, თავისუფალი სიმჟავენი მხოლოდ დაუშწიფარ ყურძნის ტკბილშია, — აგრედვე იმისთანა ტკბილშიაც, რომელიც მაღლობ და გრილ ადგილებში დაკრფილ ყურძნიდან არის დაწურული. თბილ ადგილს დამწიფებულ ყურძნის ტკბილში კი ან სრულიად არ არის ამ გვარი სიმჟავე და ან, თუ არის, ძალიან ცოტა. თუ ღვინოს ან ვაშლის და ან ლიმონის სიმჟავე შეჰყვა, ამისთანა ღვინოს კარგი გემო არ ექნება და თითონ ღვინოც ძნელი შესანახავი იქნება. რაც შეეხება თავისუფალ ღვინის სიმჟავეს ($C^4H^6O^6$), თუ ეს ცოტაოდენია — და მხოლოდ ცოტაოდენი, ის არამც თუ მავნებელი, არამედ მარგებელიც იქნება. ამისთანა ღვინო თუმცა, როგორც ფრანგები ამბობენ, ცოტა მკვახეა, მაგრამ კარგი შესანახავია და დროს განმავლობით გაკეთდება. გარდა იმისა, რომ თავისუფალი ღვინის სიმჟავე ტკბილის დუღილსა შველის, კიდევ იმიტია კარგი, რომ ის უშლის რძისა და ერბოს სიმჟავეთა გაჩენას დუღილის დროს. ღვინის შენახვის დროს ეს სიმჟავე უერთდება ალკოგოლს თუ ალკოგოლებს, სხვა-და-სხვა გვარ ეთერს აჩენს და ამით ხელს უწყობს ღვინის ბუკეტის დამთავრებას და ამასთანავე ესევე სიმჟავე საფერავის გახსნასაც შველის ტკბილის დუღილის დროს. კიდევ გავიმეორებთ, რომ ამ სიკეთის მოტანა ამ

სიმჟავეს მხოლოდ მაშინ შეუძლიან; როცა ბევრი არ არის და, თუ ბევრია, მაშინ ღვინო ღიბნანს მკვახე დარჩება, არ მომწითლდება და სასმელად ცუდი იქნება.

ჩვენა ვთქვით, რომ თავისუფალ სიმჟავეთა შორის ტანინის სიმჟავეც არის. ეს მწკლარტე სიმჟავე ტკბილში არ არის; ის რჩება კურკაში, ჩენჩოში და კლერტში და რადგანაც კარგად იხსნება წყალშიც და ალკოგოლშიაც, ამისთვის ქაქახე დაყენებულ ღვინოში უსათუოდ გაჩნდება, იმაში უეჭველად გაიხსნება. ამ სიმჟავეს ერთი კარგი თვისება აქვს: ადვილად უერთდება აზოტურ სხეულებს (ალბუმინს) და მათთან შეადგენს იმისთანა სხეულს, რომელიც არც წყალში და არც ალკოგოლში აღარ იხსნება. ამის გამო, თუ ტკბილში აზოტური სხეულები არის, მაშინ მათთან შეერთებული ნაწილი ამ ტანინისა ღვინოს გამოეცლება და დაილექავს, რისა გამოც ღვინო კარგადღე მალე დაიწმინდება. თუ ღვინოში ტანინი არა ყოფილიყო, მაშინ ტკბილში მყოფი აზოტური ნივთიერებანი ღვინოშიაც დარჩებოდნენ და ბევრს ვნებას მასცემდნენ; ღვინო ღიბნანს აღარ შეინახებოდა და მალე წახდებოდა. ამას გარდა, ტანინს ერთი სხვა კარგი თვისებაცა აქვს: იგი, ღვინოში გახსნილი, დროს განმავლობაში ცოტ-ცოტად გადაიქცევა გუნდის სიმჟავედ (*acide gallique*), რომელიც ისე მწკლარტე არ არის, როგორც ტანინი. ამის გამო, თუ ახალი ღვინო მწკლარტეა, ის დროს განმავლობაში თანდათან დაჰკარგავს ამ სიმწკლარტეს და გაკეთდება, კარგი გემო და ბუკეტი მიეცემა.

წინადაცა ვთქვით და ეხლაც გავიმეორებთ, რომ თუ ტკბილს სიმჟავე სრულებით არა აქვს, ის ძალიან ძნელად აღუღდება და თუ აღუღდა, მაშინ ეს დუღილი ცუდ გზას დაადგება, ცუდად წავა, სხვა გვარად, მვენებელად დაიწყებს დუღილს და ღვინოს ცუდი და საზიზღარი გემო მიეცემა და ძნელი შესანახავიც იქნება. მაშასადამე, სიმჟავეს ღიბი მნიშვნელობა აქვს ღვინის დაყენებაში. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ საზოგადოდ ღვინო მაშინ უფრო კარგი იქნება, როცა სიმჟავე ცოტაა და არ გადააქარბებს, 4—6 გრამს ლიტრში.

აქედან ცხადადა სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სიმჟავეთა რაოდენობის ცოდნას ტკბილში მყოფობის დროს და აგრედე იმის ცოდნასაც, თუ რა ნაწილი ამ სიმჟავეთა ეკუთვნის ღვინის მარილს და რა ნაწილი თავისუფალ სიმჟავეს.

სიმჟავის რაოდენობის შეტყობაზე საზოგადოდ ჩვენ წინადა მოვიხსენიეთ, როცა ყურძნის დამწიფებაზედ გვექონდა ლაპარაკი; მაშასადამე, აქ გამეორება საჭირო აღარ არის. აქ ჩვენ მოვილაპარაკებთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეიძლება შევიტყოთ ამ სიმჟავეთა რაოდენობაში ცალ-ცალკე რაოდენობა თავისუფალი და მარილის სიმჟავისა.

როგორც წინადა ვთქვით, ღვინის მარილი (კრემორტარტრი) ალკოგოლში არ იხსნება. იმის ამ თვისებითა შეგვიძლიან ვსარგებლოთ და შევიტყოთ რაოდენობა თავისუფალ სიმჟავისა.. ამისათვის ასე მოიქცევიან:

ერთის მხრივ მოამზადებენ ალკოგოლის და ეთერის (Ether) თანაბარ ნაწილებს ნარევეს, ესე იგი 75 კ. ს. ალკოგოლს და 75 კ. ს. ეთერს. მეორეს მხრივ აიღებენ 10 კ. ს. ტკბილისას, ჩაასხამენ იმისთანა შუშის ჭურჭელში, რომელსაც ვიწრო ყელი და თავსაცობელი აქვს, ზედ დაასხამენ 100 კ. ს. ალკოგოლ-ეთერის ნარევეს, პირს დაუტოებენ, რამდენჯერმე გააქანქყარებენ და გრილადგილს შეინახავენ. 24 საათის შემდეგ, როცა ღვინის მარილი კარგად დაილექება და ალკოგოლ-ეთერიანი ტკბილი დაიწმინდება, ქალაღის საწურავში გასწურავენ. შუშის ჭურჭელს, რომელშიაც ტკბილი იყო, 50 კ. ს. ალკოგოლ-ეთერით გამოარეცხავენ და ამასაც საწურავში ჩაასხამენ ისე, რომ საწურავი ქალაღი კარგად დასველდეს ამ ნარევეთ. მთელ ნაწურს სულ ერთად ჩაასხამენ შუშის ფიალაში და თბილ ადგილს დასდგამენ ცეცხლისა და სამთლის მოშორებით (ალკოგოლ-ეთერს ძალიან ადვილად ეკიდება ცეცხლი). და, როცა ისე დაშრება, რომ 20 კ. ს. დარჩება, მაშინ ცოტაოდენ თბილ ნაორთქლარან წვიმის წყალს მიუმატებენ და ამ კირის წყლის შემწეობით შეიტყობენ სიმჟავის რაოდენობას იმავე გვარად, როგორც ეს მოხსენებული იყო საზოგადო სიმჟავის შეტყობის შესახებ ყურ-

ძენში. რადგანაც ესლა ღვინის მარილი გამოკლილია, ამიტომ ესლანდელი რაოდენობა სიმჟავისა თავისუფალი სიმჟავე იქნება. თუ ჩვენ ვიცით რაოდენობა თავისუფალ და საზოგადო სიმჟავეთა მაშინ ჩვენ შეგვიძლიან ღვინის მარილის სიმჟავის რაოდენობაც შევიტყოთ. აქ მხოლოდ საჭიროა გამოვრიცხოთ რაოდენობა თავისუფალ სიმჟავისა საზოგადო სიმჟავისაგან. ვთქვათ, რომ ერთ ლიტრ ტკბილში $n_{\frac{6}{6}}$ გრამი სიმჟავე არის და, თუ თავისუფალი სიმჟავე $2_{\frac{1}{1}}$ გრამია, მაშინ ღვინის მარილის სიმჟავე იქნება $4_{\frac{5}{5}}$ გრამი: $x = n_{\frac{6}{6}} - 2_{\frac{1}{1}}; x = 4_{\frac{5}{5}}$.

აზოტური სიჯაფრეხანა. ტკბილში მყოფი აზოტური ნივთიერებანი ჯერ კარგად არ არიან გამოკვლეულნი, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ ესენი ძალიან ჰგვანან თავიანთი თვისებით კვერცხის ცილას. როგორც კვერცხის ცილა, ისე ტკბილის აზოტური ნივთიერებანიც კარგად იხსნებიან წყალში და კვერცხის ცილასავით ადუღების დროს აიჭრებიან. აჭრილი აზოტური ნივთიერებანი წყალში აღარ იხსნებიან და ამისათვის წყლისგან გაკალკეედებიან. რადგანაც ყოველგვარი აზოტური ნივთიერება კარგი საზრდოა დუღილის დედისთვის (ფერმენტისთვის), ამისათვის ტკბილის აზოტური ნივთიერებანიც მარგებელნი არიან, დუღილს ხელს უწყობენ, მაგრამ დუღილის შემდეგ კი ეს სხეულნი ღვინოში აღარ უნდა იყვნენ, რადგან მაშინ ისინი მავნებელნი იქნებიან. აზოტურ ნივთიერებათ ძლიერ დაუდგრომელი და ცვალებადი თვისება აქვს, რის გამოც მათ უწოდებენ პროტეან ნივთიერებას (პროტეა — ზღვის ღმერთი). ეს მათი დაუდგრომელი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ იგინი ძალიან ადვილად ფუჭდებიან, ყროლდებიან, სახესა და თვისებას იცვლიან და სხვა სხეულებად გადაქცევიან და განაწილდებიან. ამ უკანასკნელთა შორის ერთი სხეულია, სახელად წყალმზადიანი გოგირდი (H^2J), რომელიც ძლიერ აფუჭებს ღვინოს, ცუდს გემოს და მყარალ სუნს აძლევს. კიდევ ვავიშვებთ, რომ ეს აზოტური ნივთიერებანი ტკბილისთვის მარგებელნი არიან და ღვინისთვის კი ძლიერ მავნებელნი; ამ ნივთიერებათა გამო ღვინო ძნელი შესანახავია, მალე

დასენიანდება და გაფუჭდება. ამისათვის ეს ნივთიერებანი ღვი-
ნოში არ უნდა დარჩნენ. წითელი ღვინო თავისთავად იშორებს
ამ აზოტურ ნივთიერებათ, რადგანაც ჰაქის ტანინი უერთდე-
ბა ამათ და გამოაცლის მათ ღვინოს. თეთრ ღვინოს კი დადუ-
ლების შემდეგ უნდა გამოეცალოს ტანინის მიმატებით, რაზე-
დაც შემდეგ მოვილაპარაკებთ, როცა თეთრი ღვინის დაყენების
შესახებ გვექნება საუბარი.

საფეკრავი ნივთიერებანი. როგორც წინადაცავთქვით, საფე-
რავი მოგროვილია ყურძნის კანის ქვეშ; ყურძნის რბილში კი,
ზოგიერთი ყურძნის გარდა, როგორც ჩვენებური საფერავია,
იგი სრულიად არ არის, ამის გამო ტკბილში საფერავი ცო-
ტაა და ხან სრულებითაც არ არის. ამ ნივთიერებათა თვისებას
ჩვენ გავსინჯავთ მაშინ, როცა ღვინოზე გვექნება ლაპარაკი.

სუფსელაქანი ანუ არომატიული ნივთიერებანი. ზოგიერთი
ყურძნის ჯიში შესანიშნავია თავისი განსაკუთრებული სუნით,
არომატით, როგორც მაგ. ბუდეშური, თითა, ქიშური, ბუზიქა-
მია, იზაბელლა (ჩვენში ოდესად წოდებული), მუსკატი და სხვა-
ნი. ეს ნივთიერებანიც ყურძნის კანში არიან მოგროვილნი;
წყალში არ იხსნებიან; ალკოგოლში და ალკოგოლიან წყალში
კი გაიხსნებიან. იმათი შემადგენრობა ჯერ კარგად არ არის
გამოკვლეული, თუმცა კი თავისი ხასიათით ქაფურის დაგვარ-
სხეულებს მიემსგავსება. ამისი მსგავსი სხეულები ფორთოხალის და
ლიმონის ქერქშიაც მოიპოვება. იმის გამო, რომ ყურძნის არო-
მატიული ნივთიერებანი წყალში არ იხსნებიან, ისინი ტკბილ-
შიაც არ გადადიან. მხოლოდ, თუ ეს ღვინო ჰაქაზე დადულ-
და, მაშინ ღვინოში გაიხსნებიან ეს სხეულები და ყურძნის და-
გვარად არომატიულ სუნს მისცემენ.

მარილოვანი ნივთიერებანი. ტკბილში მარილოვანი სხვა-და-სხვა
გვარი სხეულები ბევრი არიან, წონით კი ძალიან ცოტანი. ამათ-
ში ყველაზე შესამჩნევი და ყველაზედ მეტი არის ეგრედ წო-
დებული ორგანიული ღვინის მარილი, კრემორტარტარი, ღვი-
ნის სიმკვების და კალი-ქვის მკავე მარილი $C^4H^5KO^6$. ამის რა-
ოდენობაზე და მნიშვნელობაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი;

ამას გარდა ტყბილში მოიპოვებიან: ნეიტრალური კალი-ქვის მარილი $C^4H^4K^2O^6$, მჟავე და ნეიტრალური კირიანი ღვინის სიმჟავე ($[C^4H^5O^6]^2CaC^4H^4CaO^6$), მაგნეზიის მარილი, კალი-ქვიანი გოგირდის სიმჟავე და ფოსფორის სიმჟავე (K^2JO^4 და K^2HPhO^4); ნატრიანი, კალი-ქვიანი და კირიანი ქლორი (NaA, KA, CaA^2); ხანდისხან კაყის სიმჟავის მარილიც არის ხოლმე. რაოდენობა ამ მარილოვანთა სხეულთა, კრემორტარტარის გარდა, ძალიან ცოტაა ტყბილში და ამის გამო მათს მეტ-ნაკლებობას შესამჩნევი გავლენა არ ექნება ტყბილის და ღვინის ვითარებაზე.

გასილ პეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ღვინის დაყენების საკითხი უძველესი დროიდან მოიხსენიება. ძველი რომაელები და ბერძენები უკვე იყენებდნენ სხვადასხვა სახის მარილებს ღვინის დაყენების მიზნით. მაგნიზიის მარილები, კალიუმის მარილები და ნატრიუმის მარილები ხშირად იყენებდნენ ღვინის დაყენების მიზნით. ასევე იყენებდნენ სხვადასხვა სახის მარილებს ღვინის დაყენების მიზნით. მაგნიზიის მარილები, კალიუმის მარილები და ნატრიუმის მარილები ხშირად იყენებდნენ ღვინის დაყენების მიზნით. ასევე იყენებდნენ სხვადასხვა სახის მარილებს ღვინის დაყენების მიზნით.

ვებულის მიწა მეტ სარგებლობას მოუტანს ხალხს, იმათი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდება — შემდეგში სახელმწიფოსაც მეტი შესავალი ექნება.

ბომბეისა და მადრასის პროვინციებში მიწა უფრო ხშირად გლეხთა ხელშია, რომელიც თვითონ ურიგდება მთავრობას ღალის გადახდას, პირობით თვითონ შეეკვრება ხოლმე. გლეხი ამ მიწით სარგებლობს ისე, როგორც მიწის მესაკუთრე, მიწის მფლობელი იმ პირობით კი, რომ სახელმწიფოს ოც და ათი წლის განმავლობაში აძლიოს გარდაუწყვეტილი, წინააღმდეგ გამოანგარიშებული ნაწილი შემოსავლისა. ამ ხნის განმავლობაში ფასი დედამიწის ქირისა, ანუ როგორც ზევითა ვთქვით, ღალა უცვლელად რჩება, რადგან ეს ხანგრძლივი ვადა მიწის მფლობელობისა, მიწის მოხმარებისა საჭიროა, ინგლისის მართებლობის აზრით, რათა მიწის შემუშავებელმა ისარგებლოს, დაიბრუნოს ნიადაგის გასაუმჯობესებლად დახარჯული ფულიცა და შრომაც. ყოველ წლის დაშლევს გლეხს უფლება აქვს ხელი აიღოს მიწის შემუშავებაზე, ანუ სხვას გარდასცეს იჯარით, გაჰყიდოს. ამ შემთხვევაში, თუმცა მიწის მეიჯარადრესა და მართებლობის შორის პირობა ირღვევა, მაგრამ უკანასკნელი, ე. ი. მართებლობა შეუცვლელად სტოვებს იჯარის ფასს, ღალას თუნდა მოიჯარადრე გლეხს გაეუმჯობესებინოს კიდევ მიწა, ნიადაგი და ამით შემოსავალიც მოემატებინოს. სრულიად საჭირო არ არის გლეხმა მთავრობასა სთხოვოს ნებართვა მიწის გასაყიდად (ამ შემთხვევაში გლეხი იჯარის უფლებასა ჰყიდის), დასაგირაველად ან სხვა ნაირად გარდასაცემად. მთელი ამ მხარის ზეწვა დაყოფილ-დამიჯნულია სხვა-და-სხვა ზომის ნაწილად, შედგენილია პლანები, რომლებშიაც დაწვრილებით არის აღნიშნული შემოსავალი ყველა ადგილებისა, ღირსება ნიადაგისა და სხვ. და მიწის იჯარით გაცემის დროს ამით ხელმძღვანელობენ.

ბომბეის და მადრასის საპრეზიდენტოებში, როგორც ზევითა ვთქვით, ყოველი სოფელი, ტყე, მინდორი თუ ველი გაზომილია, დაფასებულია დამუასებელთა მიერ, რომელნიც ადგილობრივ დაწვრილებით იკვლევენ დედამიწის ნიადაგის ღირ-

სებას, მდებარეობას, მის შემოსავალს, მის ახლო-მახლო მყოფ ზაზრების ვითარებას, ადგილობრივი პურის ან სხვა მოსავლის ფასებს და სხვ. ამნაირად შეკრებილ ცნობების მიხედვით მმართველობა ანგარიშობა რომელიმე მიწის წლიურ შემოსავალს, აქედან ჰრიცხავენ: მიწის შესამუშავებლად საჭირო ხარჯს, ხარალს, რომელიც შეიძლება მოუვიდეს მიწის შემუშავებელს მოულოდნელ შემთხვევისა გამო, და შემდეგ ჰნიშნავს სახელმწიფო გარდასახადს, დაახლოებით ნახევარს წმინდა მოგებისას.

ჩრდილოეთ ინდოეთში მიწის ღალის ასაღებად სხვა-წესია შემოღებული, (აქ უნდა დაუთმატოთ, რომ ინგლისის მართებლობა ცდილობდა დაეცვა წინანდელი სისტემა ხარჯის აღებისა, მხოლოდ ეს დაფუძნებული უნდა ყოფილიყო სამართლიან ანგარიშზე, რათა ხარჯი ხალხის შემავიწროებელი, დამჩაგვრელი და დამლუპველი არა ყოფილიყო). აქ სახელმწიფო გარდასახადი ანუ ხარჯი ადევს მთელ სოფელს, შესაფერად იმ მიწის რაოდენობისა, რომელიც მას უჭირავს და ხმარობს. ამნაირად, სახელმწიფოს წინაშე ხარჯის გადამხდელი მთელი სოფლის საზოგადოებაა და არა კერძო პირი, როგორც სამხრეთ ინდოეთში. იჯარით მისაცემი მიწები მართებლობის მიერ წვრილ-ნაჭრებად არის დაყოფილი და ეს ნაჭრები აქვთ აღებული ინდოელებს სახნავ-სათესად და ზედ საცხოვრებლად. ამისათვის აქ მრავალია იმისთანა მოსახლე, რომელსაც სამი დღიური მიწა ძლივსა ჰრგებია შესამუშავებლად.

თითქმას ერთი მეოთხედი ინდოეთისა ისევ ინდოელ მდიდარ მემამულეთა ხელშია. ესენი ღალას აძლევენ მთავრობას, როგორც მიწის უმაღლესს მფლობელს, მაგრამ ღალა იმაზედ უკირავა, რომელიც გამოაკლევითა და ანგარიშით არის დადებული სხვა ადგილებზე. ეს უწყესობა უფრო ბენგალის პროვინციაში და ამას განსაკუთრებითი მიზეზებიცა ჰქონდა. დიდს შევიწროებაში არიან მიწის-შემუშავებელნი, რომელნიც მდიდარ მემამულეთაგან იჯარით აღებულ მიწებს ჰხვნიან. ერთადერთი კანონი ღალის ასაღებად, რომელიც სახელმძღვანელოდ აქვს მემამულეს, არის სიხარბე მათი, მეტი ღალის

აღების სურვილი, მიუხედავად მმართველობის მიერ გადაჭრილი ფასებისა. ამიტომაც ეკონომიური მდგომარეობა იმ სოფელელთა, რომელნიც კერძო მემამულეთა მეიჯარადრენი არიან, გაცილებით დაბლა სდგას მმართველობისაგან მიწების იჯარით ვალებ სოფლელების მდგომარეობაზე. თუ ამ ხარბ მემამულეების მიწების შემმუშავებელთა ეკონომიური მდგომარეობა უკიდურესყოფაშია, სამაგიეროდ არც თვით მემამულეთა მდგომარეობაა უკეთესი. მამაპაპურმა, გვაროვნულმა სიამაყემ, მდიდრულმა, ნივთიერ საშუალებათა შეუფერებელმა ცხოვრებამ, დღეობებში, სტუმართ დასახვედრად და სხვა დროს გასაჭარებლად უანგარიშოდ ფულის ფლანგვამ აუტანელი ვალი დაადო კისერზე. ამ ვალების გადასახდელად მემამულე თავის მიწებს ნელ-ნელა აკლებს და ვალებს ურიგებს.

ინდოეთის მიწების მოიჯარადრენი ანუ მიწის დროებითი მფლობელნი შეიძლება გავყოთ ოთხ გუნდად. პირველ გუნდს ეკუთვნიან ისინი, ვინც არც თვითონ, არც მის ცოლ-შვილი არ მუშაობენ—არც ჰხენენ და არც სთესენ, მაგრამ ან იჯარით აძლევენ სხვებს და იღებენ იმაზედ მეტს, რასაც თვითონ იხდიან, ან მუშებს ამუშავენ; მიწების მოიჯარადრეთა მეორე გუნდი თავიანთ მიწებზე თვითონ მუშაობენ ცოლ-შვილითურთ და მუშებსაც ჰჭირაობენ; მესამე გუნდის მოიჯარადრენი განსაკუთრებით თვითონ მუშაობენ; ამ შემთხვევაში ხელ-მოკლე სოფლელები ხშირად ერთმანეთს ჰშველიან მინდორში მუშაობას; და მეოთხე გუნდის წარმომადგენელად სოფლის უსახლ-კარო მუშები არიან, რომელნიც უფრო ხშირად დღიურად მუშაობენ და სამუშაოს იღებენ ზოგს ფულად და უფრო მეტს სარჩოთი. ნივთიერად ყველაზედ უკიდურეს მდგომარეობაში, რასაკვირველია, ეს სოფლად მოწანწალე მუშები არიან, რომელთა რიცხვი მოთხოვნილებას აღემატება, და ამისათვის მუშის ფასი ფრიად მცირეა. შიმშილობის დროს ხომ საცოდავ მდგომარეობაში არიან, რადგან სამუშაოსაც აკლდებიან და არც არა აქეთ-რა გადარჩენილი ან ფულად და ან ნივთად, რომ შეეძლოთ გაჭირვებაში მოიხმარონ.

ვიდრე ინგლისის მმართველობა შესდგამდა ფებს ინდოეთში და დაეპატრონებოდა, იქ მცხოვრები სოფლის ხალხი მებატონეთა ყმები იყვნენ, რომელნიც პირველთა აძლევდნენ ზარჯს — ნაყოფს თავიანთი ოფლისას და ჯანისას. თვით მიწის შემმუშავებელთ არა ჰქონდათ არავითარი უფლება გაეყიდნათ თავიანთი მოსავალი, რომელიც მემამულეს საკუთრებას შეადგენდა, სხვა ჰპატრონობდა. ერთის სიტყვით გლეხი, შევიწროებული იყო. მას ჩამორთმეული ჰქონდა ადამიანური თვით-არსებობა, კაცობა. იგი იყო მხოლოდ უბრალო მუშა, რომელმაც არც კი იცოდა ანგარიში თავის ნამუშავრისა, შემოსავლისა ანუ გასავლისა. მას აქედ, რაც ინგლისის სახელმწიფო დამკვიდრდა ინდოეთში, იქ მცხოვრებ გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა. მიწის მფლობელთა და მეიჯარადრეთა უფლებანი გაზოიარკვა და კანონიერად განისაზღვრა. გაიმიჯნა მიწები და გამოიარკვა ფასები გამიჯნული მიწებისა; რკინის გზების საშუალებით მიწის მოსავალს ახალი ბაზრები აღმოუჩნდა; თვით მიწის შემმუშავება უფრო გაუმჯობესდა და სხვ. მცხოვრებთა ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობა წინანდელზე ერთი ხუთად გაუკეთესდა.

როგორც ზევითა ვთქვით, თითქმის ინდოელთა ოთხი მე-ხუთედი ხვნა თესვით ცხოვრობს და იკვებება. ამათი უმთავრესი საქმელი ღომი, პური და ბრინჯია. მხოლოდ არც ერთი, არც მეორე და არც მესამე ყოველგან ერთნაირად არ მოდის; ამისათვის, როგორც ჩვენში, ხალხი მოსავლისა დაგვარად ირჩენს თავს. არის ისეთი ადგილები, სადაც პური სრულიად არ მოდის, როგორც მაგალითად მადრასის პროვინციაში, მაზრაში. აქ ხალხი ღომსა და ბრინჯსა სჭამს, შეძლებულნი კი სხვა პროვინციებიდან მოტანილ პურს ყიდულობენ. ზოგან კი ბრინჯი თითქმის სრულიად არ მოდის, სამაგიეროდ პურის მოსავალი კარგი იცის. ინდუსები, გარდა ამ მიწის უმთავრეს მოსავლისა, საქმელად სხვა-და-სხვა ბოსტნის მოსავალსაც ხმარობენ, მაგალითად: მუხუნოს, სისირს, ოსპს, გოგრას, კარტოფილს, სტაფილოს და სხვ. ინდუსები საზოგადოდ ხორცს არა სჭამენ. ინ-

დოეთის მუსულმანებიც კი ერიდებიან ხორცის ჭამას და თუ სჭამენ, — იშვიათად, ისიც ცხვრისას ანუ თხისას. რასაკვირველია, ამ საზოგადო ჩვეულებას არ ემორჩილება ვეღური ხალხი, რომელიც იძულებულია ნანადირევით ირჩინოს თავი. არც ლარიბი ინდუსები დასდევენ ამ ჩვეულებას, მეტადრე შიმშილის დროს. როდესაც კუჭი იმორჩილებს გრძნობას და გონებას, მაშინ აღამიანს თავისა და სხვა ქვემძრომთა ხორციც სანუკარ საქმელად მიაჩნია. სამაგიეროდ, ინდუსს თევზეულობა ძალიან უყვარს. რძე, კარაქი და ხაჭოც ინდუსის საყვარელი საქმელია. ყველის ხსენება კი სრულად არ არის.

ჩრდილოეთ ინდოეთში ხენა-თესვის დრო იწყება იენისის დამლევებიდან წვიმების შემდეგ, რომელიც ამ დროს ხშირია ხოლომე. ანუელს ანუ შემოდგომის ნათეს პურს მკიან მარტში და აპრილში. შემდეგ ამისა მთელი ორი თვე საშინელი სიცხეებისა გამო შეუძლებელია მუშაობა. ღამე და დღე ისეთი თითქმის ერთნაირი, აუტანელი პაპანაქება სიცხეა, რომ ფელ-მინდორი იწვის, მცენარეულობა ხმება და სულდგმულთა მოძრაობა, ხმაურობა აღარსად ისმის, სულ მიმალული, მიყუჩებული და მიჩუმებულია. ინდუსები კარებ და ფანჯრებ ჩაკეტილ სახლებში სხედან, ემალებიან მზის მხურვალე სხივებსაც და საშინელ მტკვარ-ბუქსაც, რომელიც ხშირი სტუმარია ინდოეთისა, განსაკუთრებით პენჯაბში. ბუქი ხშირად ისეთი საშინელია ხოლომე, რომ მზისით ბნელდება, მტვრისაგან ღამის წყვიადი ეფინება არემარეს და ხშირად ამას ზედ მოსდევს საშინელი ქექა-ქუხილი, სეტყვა და ნიაღვარი. წვიმების მოსვლამდინ შეუძლებელია მიწის შემუშავება, რადგან სიცხეებისაგან ნიადაგი გამხმარია, მიწის შესამუშავებელი იარაღი ვერც უდგება და ხალხი და საქონელიც ვერ უძლებს სიცხე-პაპანაქებას.

თუ წვიმებმა დაიგვიანა, ხენა-თესვის დრომდე არ მოვიდა, — ეს გარემოება მომასწავებელია გოლვისა და მოუსაელობისა და ეს ორივე აუცილებელ შიმშილისა. წვიმები ინდოეთისათვის, რომ იტყვიან, ღვთის წყალობაა და მასთან დამამშვენე-

ბელი და გამაცოცხლებელი ბუნებისა, მთელი არემარესი. უნდა ვთქვათ, რომ ინდოეთში მეტად გასაოცარი, სწორეთ თილისმური ბუნებაა და ვისაც ინდოეთი არ უნახავს, იმისთვის ძნელი წარმოსადგენია. როდესაც სიცხე-პაპანაქება ინდოეთში უძლიერეს სიმზურვალის წერტილამდინ აღის, ყველა სულდგმული სიცხისაგან მოქანცულია, მიმკვდარებულია, არემარე ატრუსული და ახრიოკებულია, — უცებ ცაზე აქა-იქ ღრუბლები გამოჩნდება ხოლმე, რომელნიც თან-და-თან იზრდებიან, ერთმანეთს უერთდებიან, ეხვევიან და ეს ღრუბელთა მთა ჭექა-ქუხილით იწურება, ჰწვიმს. ორი-სამი დღის შემდეგ ბუნება სრულიად იცვლება. მთა ველი ტურფად მწვანდება, ბიბინებს, ფრინველები, ქვემძრომნი და სხვა სულდგმულნი გამოდიან თავთავიანთ ბუდეებიდან და ხარობენ, ლალობენ მშვენიერ ჰაერზე. მთელი ბუნება მსწრაფლად ცოცხლდება, მოძრაობს. ინდუსები მაშინვე შეუდგებიან ხოლმე მიწის შემუშავებას — ხენას და თესვას. მიწის მოსავალში პირველი ადგილი უჭირავს პურს, ბრინჯს, ღომს. ბრინჯს სთესენ უფრო ნოტიო ადგილებში. ამავედროს სთესენ შაქრის ლერწამს — რომელსაც კარგი სარგებლობა მოაქვს — სხვა-და-სხვა ბოსტნეულობას, სიმინდს, ბამბას და სხვ. ჩრდილოეთ ინდოეთში ენკენისთვის გასულს პურსა მკიან და იღებენ ბოსტნის მოსავალს. ოქტომბერში და ნოემბერში სიცხეები სცხრება, იწყება შემოდგომა. ამ დროს სთესენ შემოდგომის პურს და მკიან გაზაფხულზე. პენჯაბში, ჩრდილოეთდასავლეთის პროვინციებში, ოულში და სხვ. მიწის შემუშავება იმავე მდგომარეობაშია, როგორც ჩრდილოეთ ინდოეთში, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ ამ ადგილებში მიწას თესლს უცვლიან, თითქო ამით ასვენებენ მას. მაგალითად, თუ მინდორზე ანეული პური ეთესა, რომელიც გაზაფხულზე მოიმკა, ამავე ადგილზე მკათათვეში სთესენ ფეტვს, ბამბას, ბრინჯს და სხვ.

ინდოელი გლეხი მიწას წინანდებულად ჰხნავს მამა-პაპურის კავით, როგორც იმერეთში, რომელსაც უღელი პატარა ხარი უზია: ეს კავი მხოლოდ ორი გოჯის სიღრ-

მეზე ჰხნავს, ასე რომ მხვნელი თორმეტ-ცამეტჯერ და ზოგიერთ ადგილს ოცჯერაც გაივლის ხალმე ამ ძველებური გუთნით ერთ და იმავე ადგილს, რომ მიწა გადმოაბრუნოს, მოხნას იმ სიღრმეში, რამდენიც საჭიროა პურის დასათესად. შუაგულ ინდოეთში ინგლისელებმა ევროპული გუთნები მიიტანეს საცდელად, მაგრამ ხალხმა ვერ გამოიყენა.

მიწის მოსავალი, ვარდა იმ ადგილებისა, სადაც ინგლისის მართებლობის მიერ გაყვანილია სარწყავი არხები, ან მდინარეების პირად არის, როგორც მაგალითად ბომბეის პროვინციაში, — დამოკიდებულია წვიმებზე. ნაშთან ანუ წვიმიან წელიწადში ინდოეთის მოსავალი არამცთუ ჰფარავს მიწის შემუშავებელთა ხარჯს, არამედ მოგებაც რჩება, რომელიც იხარჯება უფრო ცოლების მოსართავ ოქრო-ვერცხლის ნივთების შესაძენად. შენიშნულია, რომ კარგ-ბუნებიან და მოსავლიან ადგილებში სოფლის ხალხი უფრო ზარმაცი, მოუხერხებელი და დაუდევნელია.

ინგლისელებმა ბევრი სიკეთე მოუტანეს ინდოელებს მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამათ ხელი შეუწყეს როგორც თვით წარმოების გაუმჯობესებას აგრეთვე ნაწარმოების გაერცვლებას, მოხმარებას. ჩაი, ყავა, კარტოფილი, შაქრის ღერწამის და ქინაქინის ხის დარგვა ინგლისელების თაოსნობით იქმნა შემოღებული. ბამბა ინდოეთში წინადაც იყო, მაგრამ ამის გამოყენება არ იცოდნენ. ინგლისელებმა გამართეს 114 ქარხანა, სადაც ბამბეულობა იქსოვება და მუშაობს შიგ ოთხმოც და ორი ათასი მუშა. მეურნეობის რიგიან გზაზე დასაყენებლად ინგლისის მართებლობამ გამართა სამეურნეო სკოლები და ბოტანიკური ბაღები, სადაც ინდოელთ აქვთ საშუალება შეისწავლონ მცენარეთა დარგვა, თესვა, მათი მოვლა და მოხმარება.

ინდოეთში სამეურნეო მრეწველობის განსაკუთრებითი გაუმჯობესობა შეეცყო უფრო სამეურნეო სამინისტროს დაწესებიდან. ის ეკონომიური კანონი, რომ ხალხის კეთილ-დღეობა და სიმდიდრე არის. სიმდიდრე სახელმწიფოსი, ინგლისელებმა კარგად შეიგნეს და სწორედ ამ გზას დაადგნენ კიდევ

ინდოეთის მოსავლელად. 1870 წ. ინდოეთის გენერალ-გუბერნატორმა ლორდმა შეიომ სტატს-სეკრეტარს ქ. ლონდონში, სხვათა შორის, მისწერა შემდეგი: „ინდოეთის სიმდიდრის გაძლიერება, ხალხის სოციალური განვითარება დამოკიდებულია მეურნეობის წარმატებაზე. ამ მრეწველობის ნაწარმოები კიდევ დიდხანს იქნება ერთად-ერთი საგანი ადებ-მიცემობისა ინდოეთში და ინდოეთის ვაჭრობის გავრცელება მომავალში დამოკიდებულია განსაკუთრებით აწმყო და მომავალი სამეურნეო მრეწველობის ნაყოფთა ღირსებაზე და რაოდენობაზე, რომელიც მასალად გამოადგება მანუფაქტურულ მრეწველობას. იქნება ქვეყანაზე ერთი სახელმწიფოც არ არის ისეთი, რომლისთვისაც ამ გვარი საკითხავები შეადგენდნენ ისეთსავე ინტერესს, როგორც ინგლისისათვის. ინდოეთის მართებლობა მმართველი ორგანო კი არ არის მხოლოდ, არამედ ამასთანავე უმთავრესი მფლობელია მიწისა. თითქმის მთელ ინდოეთში ყოველ ცდას, სამეურნეო მრეწველობის გასაუმჯობესებლად მიმართულს, შედეგად აქვს გაძლიერება სახელმწიფო ქონებათა. ის ზნეობრივი მოვალეობანი, რომელიც ინგლისში მიწის მფლობელთა ადევთ, ინდოეთში მართებლობის ვალდებულებას შეადგენს“.

ამავე ლორდ შეიოს წინადადებით 1875 წ. ყოველ პროვინციაში დაწესდა სამეურნეო სამინისტროს დეპარტამენტები. ამ დეპარტამენტების ანგარიშები წარმოადგენენ მთელ ლიტერატურას. ყოველივე გასაოცარის დაწვრილებით და გულდადებით არის გამოკვლევული. ძნელად წარმოასადგენია, რომ ინგლისის რომელიმე საგრაფო ისე დაწვრილებით იყოს აწერილი, როგორც ინდოეთის სოფელი. ანგარიშში არაფერი არ არის დაიწყებული. ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგის აწერა, ჰავა, მცხოვრებთა ხასიათი, სარწმუნოება, ფოსტა, გზები, ხალხი ვაჭრობა, ხალხის ქონება, სკოლები, სამეურნეო სტატისტიკა, მიწის შემუშავება, პირობები მიწის მოხმარებისა, ისტორიული მიმოხილვა მიწაზე ხარჯის დადებისა, ცვლილებანი მიწის ნიადაგისა და მოსავლისა, — ერთის სიტყვით, ანგარიშში იპოვება ყველა ცნობები, რომლებიც დაფუძნებულია ადგილობრივ გულდასმით შესწავლილ ფაქტებზე, ციფირებზე და რომელთაც აქვთ რაიმე პრაქტიკული ინტერესი.

ერთი სენი, რომელსაც ინგლისის მართებლობა მედგრად ებრძვის, არის შიმშილი ინდოეთში. ამაზედ შემდეგ №-ში მოვილაპარაკებთ.

მეურნე და მეურნეობა*)

(დასასრული)

ჩვენ უკვე ვთქვით წინა წერილში, რომ რძე-ნაწყენმა ვაჟ-ბატონმა არ იცის თვისება ტენნიკისა და ამისათვის ჰგონია, რომ ხალხში ახალი სისტემის სამეურნეო იარაღის გაუფრცვლელობის მიზეზი გლეხის უფიცობა იყოს - მეთქი. ესა ვთქვით და ამის დასამტკიცებელი საბუთები კი არ მოვიხსენეთ. რასაკვირველია, მკითხველიც ჩვენგან ეხლა ამ დასამტკიცებელ საბუთებს მოელოს, თორემ ყოველივე ის, რაცა ვთქვით რძე-ნაწყენის შესახებ, ხომ ცილის წამება იქნებოდა. ყოველი აზრი მაშინ არის მტკიცე და შეურყეველი, როდესაც იგი მტკიცე ფაქტებზე, მაგალითებზე არის დამყარებული. რა აზრიც ფაქტებზედ არ არის დაფუძნებული, ის აზრი არავისგან არ არის შესაწყნარებელი, ვისგანაც უნდა იყოს იგი წარმოქმნილი. თუ ეს ასე არ იყოს, მაშინ ვინ იცის ბოროტი ენა რას არ ჩააწვეთებდა გაუფრთხილებელ ადამიანს ყურში.

მაგრამ ვიდრე ფაქტების დასახელებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ ვრაცხთ მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმაზედ, თუ რა არის ტენნიკა. ტენნიკა, როგორც მისი ისტორია გვაუწყებს, არის შედეგი მეცნიერებისა, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, იგი არის მოხმარება, გამოყენება მეცნიერებისა ცხოვრებაში. მთელი ევროპის ახალი ტენნიკა, რომლითაც განათლებული საზოგადოება ასე ამაცობს და სასოებით შესტკეკრის, მაშინ შეიძინა კაცობრიობამ, როდესაც ბუ-

*) მოამბე № 1.

ნების შესწავლამ მტკიცე ალაგი დაიჭირა მეცნიერებაში. ამ სამი საუკუნის წინად, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შესწავლული ბუნების ძალნი და მოვლენანი, ტენიკა აგრე რიგად საკვირველს არაფერს წარმოადგენდა. მხოლოდ ბუნების ცოდნამ, მისმა შესწავლამ, მეცნიერებამ შეაძლებინა კაცს მოეხმარებინა თავის სასარგებლოდ და საკეთილ-დღეოდ სხვა-და-სხვა ძალნი ბუნებისანი. ვიდრე კაცობრიობამ არ შეისწავლა ბუნება, იგი ვერ ახერხებდა მისი მოვლენანი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. რამდენი ბუნების მოვლენაა ეხლაც, რომელიც მეცნიერებას ჯერ არ შეუსწავლია და ამის გამო კაციც ვერ იყენებს მათ და ვერა სარგებლობს. კაცმა რომ ბუნების ძალა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს, ამისათვის საჭიროა, რომ მან მოიპოვოს ისეთი საშუალება, რომლის შემწეობითაც იგი ამ ბუნების ძალას თავის სასარგებლოდ ამოქმედებს. აი სწორედ ამ ცხოვრების მოთხოვნილებამ და ბუნების ცოდნამ დაჰბადა ტენიკა. ახალ ტენიკაში არაფერია ისეთი, არც აპარატი, არც მაშინა-მანქანა და არც სხვა რამ, რაც მეცნიერების გამოკვლევაზე არ იყოს დამყარებული. ცხოვრებაში ტენიკის გავრცელება რომ სწავლაზედ იყოს დამოკიდებული, მაშინ კაცს ჯერ უნდა შეესწავლა პრინციპი, რაზედაც არის დამყარებული მანქანის მომართულება და მერე შესდგომოდა მის მოხმარებას. ტენიკა რომ ასეთის თვისებისა იყოს, მაშინ მთელი ევროპის ხალხი, რომელიც ყოველ-გვარ მანქანებს ხმარობს, უნდა იდგეს განათლებას იმ მაღალს წერტილზედ, რა წერტილზედაც სდგას თვით მეცნიერება. ევროპა დიდად სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა, იქაურს ხალხში რომ სწავლაც ისე იყოს გავრცელებული, როგორც ტენიკა არის: მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრება სულ სხვას გვიჩვენებს. არავისათვის დაფარული არ არის, თუ ევროპის ხალხი რამდენად არის სწავლით განვითარებული. ყველა მეცნიერი იმასა ჩივის, რომ მეცნიერების წარმატებამ ხალხი ორ დასად გაჰყო. ხალხის უმეტესი ნაწილი არამც თუ მოკლებულია სამეცნიერო ცოდნას, არამედ წერა-კითხვაც კი ბევრმა არ იცის. ცხოვრე-

ბაში ტეხნიკის გავრცელება რომ სწავლაზე ყოფილიყო დამოკიდებული, მაშინ იგი ასე აღარ იქნებოდა გავრცელებული და ხალხის კეთილ-დღეობისა და ნიუთიერ სიბიძრისათვის ის მნიშვნელობა აღარ ექნებოდა, რაც დღესა აქვს. ხალხის უვიცობა რომ რამე შუაში იყოს, მაშინ ტეხნიკის ის ადგილი ეჭირებოდა ცხოვრებაში, რა ადგილიც დღეს მეცნიერებს უჭირავს.

ამ საზოგადო შენიშვნის შემდეგ ჩვენ შევუღებით მაგალითების მოყვანას, საიდანაც მკითხველი ცხადად დაინახავს, თუ მეურნეს რამდენად უშლის უვიცობა ისარგებლოს ტეხნიკითა. — მთელი ევროპა მოდებულთა მრავალი ფაბრიკებით, ქარხანებით. ამ ფაბრიკებში და სხვა-და-სხვა გვარ ქარხანებში ათასობით არიან მუშები შეკრებილი, რომელნიც არა ერთ რთული სისტემის მაშინას ამუშავენ. ბევრს წილს ამ მუშებისას პირველ-დაწყებითი სწავლის მეტი არა მიუღიათ-რა. ისიც ხომ ყველამ კარგად იცის, თუ რაში მდგომარეობს ეს პირველ-დაწყებითი სწავლა და როგორ ამზადებს ხალხს რთული სისტემის მაშინების სახმარებლად. პირველ-დაწყებითი სწავლა რომ ყველა მუშას მაინც ჰქონდეს მიღებული, კიდევ კარგი იქნებოდა, მაგრამ ევროპის და განსაკუთრებით უფრო რუსეთის ფაბრიკებში შეხვდებით ისეთ მუშასაც, რომელმაც წერა-კითხვაც კი არ იცის. მაშინით სარგებლობა რომ სწავლაზე ყოფილიყო დამოკიდებული, მაშინ ფაბრიკებში დაგროვილი ეს ამოდენა მუშა ხალხი ვერ მოახერხებდა მაშინებზე მუშაობას. საქმე კი სულ სხვას გვიჩვენებს. უვიცი მუშა ისე თამამად და თავისუფლად მუშაობს მაშინებზე, თითქო ჭიჭი ამაში ჰქონდეს მოქრილი. და როგორ დახელოვნებით მუშაობს, ამას ფაბრიკებში გაკეთებული საქონელი გვიჩვენებს. ამას უარს არავინ არა ჰყოფს. მხოლოდ შესაძლოა რძე-ნაწყენმა ეს გვიპასუხო: მართალია, ფაბრიკებში უვიცი მუშები ამუშავენ მაშინებს, მაგრამ ამასთანავე გაიწყდებათ ის დიდად შესანიშნავი ფაქტი, რომელმაც ტეხნიკის მრეწველობაში ისეთი მიმართულება მისცა, რომ ტეხნიკური სწავლა თითქმის გააუქმა და თვით მუშა გახადა მაშინის ერთ

ნაწილადაო. და ეს ფაქტი შრომის განაწილება არისო. ეს შრომის განიწილება ჯერ არ შეხებია სამეურნეო იარაღს და ამისათვის უფრო მეტად მას ვერ მოიხმარებს. შრომის განაწილებამ ძალიან გაამარტივა მუშა კაცის საქმე. მოუშადადებელ მუშას მან მისცა ღონისძიება მაშინით მუშაობისა. თვით ტენიკის თვისებაში არსებობს შრომის განაწილება და, რაც უფრო წარმატებაში მიდის ტენიკა, მით უფრო მუშას შრომას უადრღებს. ვიცი რძე-ნაწყენი ამ ტენიკის თვისებაზედ მიგვითითებს და სამართლიანადაც მიგვითითებს. მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ შრომის განაწილება ყველა ფაბრიკის წარმოებას ჯერ ისე მტკიცედ არ შეხებია, როგორც შეეხო ზოგიერთას და გაადვილა შრომა ფაბრიკებში. ეს ფაქტი, გვეგონია, არავისათვის უცხო არ არის. ამაში რომ დარწმუნებული არ ვიყვით, ჩვენ შეგვეძლო აგველო რომელიმე სახელ-მძღვანელო პოლიტიკური ეკონომიისა და ჩამოგვეთვალა ის წარმოებანი, საცა ცხადად იჩინა თავი შრომის განაწილების სარგებლობამ. ეს წარმოებანი მრავალნი არ არიან. უმეტესი ნაწილი წარმოებისა ჯერ ისევ რთულ მაშინის ხმარებაზეა დამოკიდებული და მითი მუშაობს უფრო მუშა, წერა-კითხვის ცოდნასაც კი მოკლებული. მკითხველის უფრო დასარწმუნებლად ჩვენ კიდევ დავასახელებთ რამდენსამე მაგალითებს. ამ მაგალითებისათვის შორს წასვლა არ მოგვინდება. თვით ტფილისშიაც მრავალი მოიპოება. ერთი ამ მაგალითთაგანი არის სტამბა. სულ რომ ცოტა, ეხლა ტფილისში ათამდე სტამბა მუშაობს. ერთხელ თუ მაინცა ყოფილხარ, მკითხველო, სტამბაში, არ იქნება არ შეგენიშნოს რთული განწყობილება სამბეჭდავი მაშინისა. ვინ ამუშავებენ ამ მაშინას, ამასაც უეჭველია შენიშნავდი. ბევრმა მათგანმა არამც თუ არ იცის რაზეა დამყარებული მეხანიზმი საბეჭდავი მაშინისა, არამედ ისიც კი არ იცის, რა ნაწილებისაგან შესდგება იგი. მაშასადამე, რძე-ნაწყენის სიტყვით, რა კი მუშას ცოდნა არა აქვს, ვერც მაშინის მოხმარებას უნდა ახერხებდეს. საბედნიეროდ კი ეს ასე არ არის, რასაც ცხადად ამტკიცებენ ის გაზეთები და წიგნები, რომელნიც ყოველ დღე იბეჭდებიან.

მეორე მაგალითი, რომელსაც ჩვენ ეხლა დავსახელებთ, უფრო ადვილად დანახვებს მკითხველს, თუ რამდენად საჭიროა ცოდნა მაშინების მოხმარებისათვის. თითქმის ყოველ ოჯახში მოპოვება ხელ-საქმის მაშინა ზინგერისა. ამ მაშინაზე მოსაქმე ათასში ერთი ვერ ავიხსნით მის მოწყობილობას. რაღა თქმა უნდა, მიზეზი აუხსნელობისა უცოდინარობაა მაშინის მეხანიზმისა. მაგრამ ამ მეხანიზმის უცოდინარნი ისეთი გავარჯიშებულნი არიან ამ მაშინით მუშაობაში, რომ ამაზედ უკეთესად ვეღარ შეჰკერავდენ, თუ გინდ რომ მეხანიზმის ცოდნაც ჰქონოდათ. ამასთანავე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მაშინის მოხმარებას თითქმის ერთი საათის განმავლობაში სწავლობენ. დასახელებთ რომელიც გინდათ მაშინა, თუ მისი ხმარების შესწავლას მუშას უვიცობა უშლიდეს. ან სად არიან იმისთანა მაშინები წარმოებაში, რომ იმათ ისევე უვიცი მუშა არ ამუშავებდეს? შესაძლოა, ადამიანმა ვერ შეამჩნიოს რომელიმე კერძო მოვლენა, იქნება ფაქტები ვერ აღნიშნოს, ეს გასაკვირველიც არ არის, მაგრამ, რომ კაცმა ვერ დაინახოს მთელი საგანი, რომელზედაც ლაპარაკობენ— ეს კი სწორედ რომ გასაკვირველია. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ რიყეზე გაიარებ და ქვა კი ვერ დაინახო.

ეს მაგალითები საკმაოდ ამტკიცებენ, თუ უვიცობა რამდენად უშლის მუშას მაშინების ხმარებას. ამას თვით რძენაწყენიც მიხედვებოდა, თუ კი თავს შეიწყენდა და ჩაუკვირდებოდა საქმეს; იგი გაიგებდა, რომ სწავლა მაშინ არის საჭირო, როცა ვისმე უნდა გაიგოს მაშინის მოწყობილობა, პრინციპი, რაზედაც არის იგი ამუშავებული. ვისაც ამის გაგება ჰსურს, მან უეჭველად უნდა იცოდეს ფიზიკა, მეხანიკა, ერთის სიტყვით, აღჭურვილი უნდა იყოს მეცნიერებით. ვინც მეხანიკა არ იცის; რასაკვირველია, ტენიკის პრინციპების გაგებას ვერ შეიძლებს. მუშა ხალხისათვის მეხანიკაც და ფიზიკაც ჯერ უცნობი ხლია, ამისათვის მას მაშინების მოწყობილობა ისევე აქვს შესწავლული, როგორაც ველურ ხალხს ახალი სისტემის თოფების ხმარება, რომელნიც ევროპელებმა გაავრცელეს მათ შორის. ვინ

იტყვის, რომ ხალხისათვის თეორიულად ტექნიკის ცოდნა საჭირო არ იყოს. მაგრამ მაშინების მოხმარება კი უამისოდაც შეიძლება. საჭიროა მხოლოდ, რომ მკოდნე კაცმა ერთხელ-ორჯულ აწვენოს უფიც კაცს, თუ როგორ უნდა ამუშაოს მაშინა, ამ გვარად ტექნიკის შესწავლის მაგალითი არა ერთი და ორიძ.

მთელს ჩვენს შენიშვნას მეურნეობაზე თითქმის ისე ვათავებთ, რომ არცერთ სამეურნეო იარაღზე არა გვითქვამს-რა. ამის გამო იქნება მკითხველს ეგონოს, რომ თვისება სამეურნეო იარაღისა სხვა იყოს და ზემოდ მოხსენებულ მაშინებისა სხვა. არა, ტექნიკა ერთისაცა და მეორისაც სულ ერთის თვისებისა და ერთსა და იმავე მეცნიერებაზეა დამყარებული. აი ამის მაგალითი. ამ უკანასკნელ ორ-სამ წელში ჩვენში, მეტადრე იმერეთში, ძალიან გახშირდა ვაზის სასხურბელი მაშინა ვერმორელისა. მოწყობილება ამ მაშინისა, როგორც სხვა მაშინებისაც, ერთსა და იმავე მეხანიკის პრინციპებზეა დამყარებული, მაშასადამე, შესწავლა მანქანისა შესაძლოა მხოლოდ მისთვის, ვისაც მეხანიკისა ესმის რამე. პრაქტიკულად მათი მოხმარება კი ყველას შეუძლიან ისწავლოს ნახევარ საათის განმავლობაში. იმერეთში ვერმორელის მანქანას ეხლა ისე ხმარობენ, თითქო იმათ მოეგონათ და გაეცეთებინათ. აიღეთ თუ გინდა სიმინდის საცეხვი მაშინა, გუთანნი, ანუ სხვა რომელიც გინდათ სამეურნეო იარაღი, თუ იმის პრაქტიკულად მოხმარება ეწინააღმდეგებოდეს რაშიმე ჩვენგან მოყვანილ მაგალითებსა.

ამით გვინდოდა გაგვეთავებინა ჩვენი წერილი, რომ არ გაგვხსენებოდა ერთი აზრი, რომელიც წარმოვთქვით პირველ ნომერში. ჩვენ, სხვათა შორის, იქა ვთქვით, რომ, რასაც კი ეხლა კაცობრიობა შეჭხარის და შესტრფის და რაზედაც კი არის აშენებული მისი მოქალაქობრივი ცხოვრება, ყოველივე ეს უფიცი კაცის ნაყოფია-მეთქი. ერთი ამის დასამტკიცებლო საბუთი, ესე იგი აღმოჩენა ლითონებისა, მაშინვე დავასახელებთ. მეორესა და მესამე საბუთს კი ეხლა აღვნიშნავთ მხოლოდ. ეს მაგა-

ლითები არიან ხორბლეულობის მოყვანა და საქონლის მოჩვევა და მოშენება, რომელთაც ისტორიის პირველ დროიდანვე დიდი სამსახური გაუწიეს კაცობრიობას. ამის შემდეგ კაცობრიობას ისეთი აღარა ამოუჩენია-რა, რომ თავის მნიშვნელობით ხორბლეულობის მოყვანას, საქონლის მოჩვევას, მოშენებას და ლითონების აღმოჩენას აღემატებოდეს. ამისათვის გავკადნიერდებით და ვიტყვით, რომ ვინც ხორბლეულობის აღმოჩენა შეძლო... იგი ახალი სისტემის გუანის და სხვა სამეურნეო იარაღების ხმარებასაც შეიძლებს.

პრ. იოსელიანი

1919 წლის

ახალი კანონები

24 მაისს 1893 წ. დამტკიცებული კანონი

მევახშეობის წინააღმდეგ

ჩვენ გვსურს „მოამბის“ მკითხველებს თავ-თავის დროზე გავაცნოთ უმათერესი ახალი კანონები, რომელნიც უფრო თვალსაჩინო არიან და რომელთაც უფრო ვრცელი ასპარეზი ექნებათ მოქმედებისათვის. დავიწყეთ მევახშეობის წინააღმდეგ გამოცემულის კანონით, რომელიც შარშან მაისში დამტკიცდა. მოვიყვანთ სიტყვა-სიტყვით ამ კანონის უმათერეს დებულებათა.

ვისაც ხელობადა აქვს აძლიოს სოფლის მკვიდრთ:

1) პური ანუ სხვა სურსათი, ანუ 2) ფული იმ პირობით, რომ ვეღარ აღებულ ფულის ნაწილი ან სულ მთლად გადახდილ იქმნას პურით, სურსათით ანუ მუშაობით და თუ სამძიმო პირობათა შესაკვრელად, რომელიც არ შეეფერებოდეს ადგილობრივ ჩვეულებათ, მან ისარგებლა ვალის აძღების მეტის-მეტად გაკირვებულ მდგომარეობით, ამისათვის დაისჯება:

პირველად — არა უმეტეს სამის თვით დაპატიმრებით.

მეორედ და შემდეგაც — ციხეში დაპატიმრებით ერთი თვიდან ექვს თვემდინ.

ზემოხსენებულ გარემოებათა შორის შეკრული პირობა, როგორც მევახშური (როსტოვისკაია), ნამდვილ პირობად აღარ ჩაითვლება, მაგრამ ფულის პატრონს ამით არ ეართმევა უფლება მიიღოს მოვალისაგან ნამდვილად მიცემული პური, სურსათი, ანუ ფული, მხოლოდ ის კი უნდა გამოირიცხოს, რაც უკვე მიღებული ექმნება.

მომრიგებელ მოსამართლეთა სახელმძღვანელო სასჯელთა წესდება უნდა შეივსოს შემდეგის დებულებით:

სტ. 180² ს: დიდის სარგებლით ანუ წრეს-გადასულ ჯარიმით ფულის გაცემისათვის:

1) თუ ვალის ამღები იძულებული იყო თავის გაჭირვებულ მდგომარეობის გამო, რომელიც სესხის გამცემსაც იცოდა, მიეღო მეტის-მეტად სამძიმო და შემავიწროებელი პირობანი სესხისა, ანუ 2) თუ ვინმე ფულის გამსესხებელი რაიმე საშუალებით დამალავს გადაჭარბებულ სარგებლის აღებას, მაგ. სარგებლის თავნზე შეკეცვით, ჯარიმის, ანუ შესანახში აღებულ სასყიდლის სახელით და სხვ.

დამნაშავე ამ მევაზშობისათვის დაპატიმრებულ იქმნება ციხეში ორის თვის ვადიდან დაწყებული ერთს წელიწადსა და ოთხ თვემდინ, და ამას გარდა, თუ სასამართლო საჭიროდ სცნობს, გადახდება ფულად არა უმეტეს ოცდაათი თუმნისა.

ასევე დაისჯება ისიც, რომელიც განგებ შეიძენს მევაზშურს ხელშეკრულობას, იმის ძალით იჩივლებს და აიღებს მევაზშურს ვალს.

მევაზშურს ხელშეკრულობას ძალა აღარა აქვს, მაგრამ ფულის პატრონს ამით არ ერთმევა უფლება მიიღოს ნამდვილად გაცემული ფული, მხოლოდ უნდა გამოირიცხოს ის, რაც უკვე მიღებული ექმნება.

წელიწადში თორმეტი პროცენტის აღება გადაჭარბებულ სერგებლად არ ჩაითვლება.

გამსესხებელ კასების მქონებელი და მათი ნოჭრები მევაზშობისათვის დაისჯებიან იმავე სასჯელით, რომელიც განწესებულია ამ დანაშაულობისათვის და ამას გარდა სამუდამოდ ერთმევათ გამსესხებელ კასების გახსნის უფლება.

ვინც კვალად ჩაიდენს დანაშაულს, მოხსენებულს მომრიგებელ-მოსამართლეთათვის სახელმძღვანელო სასჯელთა წესდების 180² სტატიაში, მას ჩამოერთმევა ყოველი განსაკუთრებული, პიროვნული ანუ ქონებრივი უფლებანი და უპირატესობანი და გაიგზავნება საცხოვრებლად ერთ რომელსამე შორეულს გუბერნიაში, ციმბირს გარდა, ანუ დაპატიმრებული იქმნება ციხეში სისხლის სამართლის სასჯელთა დებულების 33 სტ. პირველის ანუ მეორე ხარისხის მიხედვით.

მევაზშური ხელშეკრულობა ძალა-მოკლებულად ჩაითვლება, მაგრამ ფულის პატრონს ამით არ ერთმევა უფლება მიიღოს ნამდვილად გავალე-ბული ფული, მხოლოდ ის კი უნდა გამოირიცხოს, რაც უკვე მიღებული ექმნება.

ასეთია უმთავრესი დებულებანი ახალის კანონისა. ყველანი, ვინც კი თვალყურს ადევნებდა ჩვენში აღებ-მიცემობის საქმეს, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია დარწმუნებულიყო, თურო-

გორ ჩაუგდიათ მეფახშეთა ხელში ჩვენი ერი, როგორც გლეხ-კაცობა, ისე თავად-აზნაურობა, სიამოვნებით მიეგებებიან ამ ახალ კანონს. დღემდინ ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ სასამართლოში მეფახშეთა საჩივრის განხილვის დროს ცხადად გამოაშკარავებულა, რომ მეფახშეს განზრახ ჩაუგდია თავის ბრჭყალებში მოვალე; რომ თვითონ მოვახშეს თავის დროზე არ გამოურთმევია თავისი ვალი იმისათვის, რომ ამ გარემოებით ესარგებლნა, და ჯარიმის თაენთან მიმატებით და ვექსილის გამოცვლით სულ მცირე ვალი ცოტა ხანში ისე გაუზრდია, რომ იმის გადახდა ყოვლად შეუძლებელი გამხდარა მოვალისათვის. თუმცა ყოველივე ეს გარემოება ხშირად სასამართლოში ცხადად დამტკიცდებოდა ხოლმე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღემდინ სასამართლო თავის განაჩენით უარს ვერ ჰყოფდა მეფახშის საჩივარს. პირიქით, სასამართლოს თავის განაჩენით მფარველობა უნდა გაეწია მეფახშისათვის, თუმცა ამისთანა განაჩენით იზაგრებოდა სვინიდისი როგორც საზოგადოებისა, ისე თვით მოსამართლისაც. მიზეზი ამისა ის იყო, რომ 1879 წლიდან ამ ახალ კანონის გამოცემამდინ მეფახშეობა კანონით არ იყო აღკრძალული.

1879 წლამდინ რუსეთის კანონებში იყო ისეთი მუხლი, რომლის ძალით აღკრძალული იყო, რომ გასესხებულ ფულზე გამსესხებელს ექვს პროცენტზე მეტი აეღო. თუ მეტს აიღებდა, გამსესხებელი სისხლის კანონის ძალით უნდა დასჯილიყო. ეს კანონი, რომელიც არ მოქმედებდა მხოლოდ სამეგრელოში და კავკასიის აქეთა მხარის იმ ადგილებში, სადაც არ იყო შემოღებული საერთო სამოქალაქო გამგეობა, გაუქმებულ იქმნა 6 მარტს 1879 წელს, როდესაც გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომ სესხის გაცემის და აღების დროს საჩივებლის რაოდენობის გადაჭრა დამოკიდებული უნდა იყოს სესხის გამცემის და აღების შეთანხმებაზე. ხოლო იმავე უმაღლეს ბრძანებით იუსტიციის მინისტრს დაევალა შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრებთან და აგრედვე მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის საკუთარის კანცელარის

შეორე განყოფილების მთავარგამგებელთან ერთად შეემუშავა პროექტი, თუ რა სასჯელს უნდა მისცემოდნენ ისინი, რომელნიც ხსენებულ კანონს პროცენტების თავისუფლების შესახებ ბოროტად მოიხმარებდნენ და ჩაიდენდნენ იმისთანა მოქმედებას, რომელიც მევახშეობად უნდა ცნობილიყო.

მას აქედ, დრო-გამოშვებით, ხშირად ხმა გაისმოდა საზოგადოებაში, რომ იუსტიციის მინისტრმა შეემუშავა ზემოხსენებული პროექტით, მაგრამ შარშანდღამდინ ეს ხმა არ გაართლებულა.

გასესხებულ ფულზე პროცენტთა თავისუფლება დასაფლეთის ევროპის სახელმწიფოებმაც აღიარეს: გერმანიამ 1867 წელს და ავსტრიამ 1868 წელს. მაგრამ შემდეგ იქაც შეუდგნენ მევახშეობის წინააღმდეგ კანონების გამოცემას: 1877 წელს ავსტრიაში გამოიცა ამ საგანზე კერძო კანონი გალიციის და ბუკოვინისათვის. 1880 წელს გერმანიაში გამოიცა ასეთივე კანონი. 1881 წელს ასეთივე კანონი გამოიცა საერთოდ ავსტრიისათვის და 1883 წელს ვენგრიისათვის. შემდეგ ამისა შვეიცარიის კანტონებშიაც მიღებულ იქმნენ მევახშეთა წინააღმდეგ კანონები. 1888 წელს ამ საგანზევე გამოიცა კანონი ნორვეგიაში.

რუსეთში და ჩვენში თოთხმეტი წლის განმავლობაში (1879—1893 წწ.) მევახშენი ბოროტად სარგებლობდნენ იმ კანონით, რომელიც ნებას აძლევდა მათ გასესხებულ ფულზე თავიანთ სურვილისამებრ აეღოთ პროცენტი. მათის ბოროტმოქმედებით ზალხი, განსაკუთრებით სოფლის მკვიდრნი, მეტად დავალიანდა და გაღარიბდა. საინტერესოა შემდეგი სასტატისტიკო ცნობა რუსეთის ერთის მაზრის მკვიდრთა დავალიანების შესახებ: ვსკოვის გუბერნიის, ოპოჩეცკის მაზრის სოფლის წიგნში, სადაც იწერება გლეხებისგან გაცემული ქაღალდები ვალების შესახებ, ჩაწერილია 1886 წლის განმავლობაში გლეხების კერძო ვალი 2.493,000 მანეთი; ამ რიცხვში მევახშეებისაგან აუღიათ გლეხებს ვალი 1.530,000 მანეთი და ამ ვალის სარგებელს იხდიან გლეხები თითქმის ნახევარ მილიონს.

საქართველოს შესახებ ამისთანა ბეჯითი სასტატისტიკო ცნობა ხალხის დავალიანებისა და მეევანშურის ვალების რაოდენობისა ჩვენ, სამწუხაროდ, არა გვაქვს. მაგრამ დღემდინ რომ მეევანშენი თავისუფლად ნაფარდობდნენ ჩვენში და მათ დააღარიბეს არა მცირე ნაწილი ჩვენის ხალხისა, ეს საზოგადოდ ცნობილი მოვლენაა. ყოველ ქალაქში და დაბაში და ყოველ მაზრაში არის რამდენიმე ცნობილი მეევანშე, რომელთა მსწრაფლი გამდიდრება და მათ მსხვერპლთა აგრედვე მსწრაფლი გაღარიბება ყველას თვალწინ უდგას.

ახალი კანონი, რასაკვირველია, ცოტა არ იყოს შელაგმავს მეევანშეთა მოქმედებას და, როცა სასამართლოში გამოამჟღავნდება მათი ბოროტ-მოქმედება, სასამართლო მათ დასჯის და მით საზოგადოების სენილისს დაამშვიდებს. მაგრამ ეს კანონი ვერ შესძლებს რომ ძირიანად აღმოფხვრას მეევანშეობა. ახლა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სისხლის სამართლის კანონი უღონოა მოსპოს რომელიმე ბოროტება საზოგადოებაში, როგორც აღიარებულია საექიმო მეცნიერებაში, რომ რომელისამე სნეულების მოსპობა საზოგადოებაში სრულებით შეუძლებელია ამ სენით შეპყრობილას კერძო ადამიანის წამლობით. საერთოდ სნეულების მოსპობისათვის საჭიროა ამ სნეულების მიზეზის მოსპობა ჰიგიენურ ზომების საყოველთაოდ ხმარებით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ჰიგიენურ ზომების მაკვირობას გასწევენ ხოლმე სოციალური და ეკონომიური გარემოებანი.

მეევანშეობის მოსასპობლად საჭიროა, რომ თვით კრედიტის საქმე მოეწყოს რიგიანად და ხალხს მუდამ შეეძლოს ზომიერის სარგებლით იშოვნოს ფული. მართებლობა, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, შეუდგა ამ საქმეს და დღეს თუ არა, ხვალ მაინც, რამდენადაც შეიძლებს, მოაწყობს ამ საქმეს სოფლისათვის, რომელიც ყოველთვის უფრო საჭიროებს კრედიტს. მაგრამ ამისთანა დიდ-მნიშვნელოვან და მძიმე საქმეში ყოველმა საზოგადოებამ, რომელსაც კი სიცოცხლის ნიშან-წყალი ატყვია, მარტო მართებლობას არ უნდა დაულო-

ოვს გზა და თვითონაც უნდა იზრუნოს და წინ მიეგებოს მართებლობას და თავის მხრითაც გააკეთოს ამ გზაზე, რაც კი შეუძლიან.

საკვირველია, რომ ამ თხუთმეტ-ოციოდე წლის წინად ჩვენს საზოგადოებაში დიდი მოძრაობა იყო სოფლის ბანკების ანუ ასე წოდებულ გამსესხებელ-დამზოგველ ამხანაგობათა დაარსებისათვის. მართლაც ბევრი ამხანაგობა დაარსდა მაშინ სხვა-და-სხვა ადგილას ჩვენის ქვეყნისას. მაგრამ ზოგი მათგანი მალე გაუქმდა, ზოგი დღესაც ძლივს-ძლივობით ღონილიებს და მხოლოდ რამდენიმე მათგანი მიდის რიგიანად. ეს კი არის, რომ რაც მაშინ დაარსდა, ის იყო და ის, თორემ ამ თხუთმეტ წელიწადში არც ერთი ახალი ამხანაგობა, თუ არ ვცდებით, არ დაარსებულა. გვანახავს აგრედვე, რომ როგორც ტუილისის, ისე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკების გამგეობათა აზრად ჰქონდათ დახმარებოდნენ ზემო მოხსენებულ ამხანაგობებს და განემრავლებინათ მათი რიცხვი. მაგრამ, ვგონებთ, ეს აზრი მხოლოდ აზრად დარჩა. ტუილისში განათლებულ კაცების წრეც იყო შემდგარი, მაგრამ ეს წრე როგორღაც ჩუმად ჩაჰქრა.

სასურველია, რომ ჩვენმა განათლებულმა პირებმა ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს და შეუდგნენ სოფლის ბანკების დაარსებას. ახლა საქმე უკედ უნდა წავიდეს, რადგან განაალებული კაცები უფრო ბლომად გვყავს, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით, თხუთმეტი და ოცი წლის გამოცდილება უკვე არსებულ ამხანაგობათა ბევრს ნიშნავს: ყოველივე ნაკლი, რომელიც ამ ამხანაგობებს გამოაჩნდათ ამ ხნის განმავლობაში, ადვილად შესაძლებელია თავიდან აიცილონ ახალმა ბანკებმა.

ახლა მივუბრუნდეთ მოვანშეობის წინააღმდეგ კანონსა და ორიოდე შენიშვნა უნდა გამოვთქვათ მის რედაქციის შესახებ. ერთი ისა, რომ სოფლის მკვიდრთა შესახებ ახალი კანონი მხოლოდ იმისთანა სესხს სთვლის ხოლმე მეფავშურ სესხად, რომლის პირობები არ შეეფერება ან ადგილობრივ ჩვეულებათა. ასეთი რედაქცია ახალი კანონისა უხერხულია და თითქმის

აუქმებს ამ კანონს სოფლის მკვიდრთა შესახებ, რომელნიც უფრო დაჩაგრულნი არიან ყოველთვის მეფავშეთაგან და რომელთაც ახალი კანონი უფრო უნდა იფარავდეს ამ მხრივ. მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე ადგილას რამდენიმე მეფავზე მოქმედებს. რასაკვირველია, ისინი შემოიღებენ სესხის სამძიმო პირობებსა. ეს პირობები ჩვეულებად გახდება და ამის გამო, რაც უნდა სამძიმო იყვნენ ისინი, მაინც მეფავზეებს დანაშაულად აღარ ჩათვლებათ კანონის ზემოაღნიშნულის რედაქციის წყალობით, რადგან სესხი იქმნება გაცემული ადგილობრივ ჩვეულებათა შესაფერად.

მეორე შენიშვნა, რომელიც საჭიროდ მიგვაჩნია გამოვთქვათ, ის არის, რომ საზოგადოდ ახალი კანონი არ აწყებს, რომ, უკეთეს სესხის პროცენტი აღემატება თორმეტს, ის სესხი უქვევლად მეფავშურად უნდა იყოს ცნობილი. არა, კანონი ამბობს, რომ 12⁰/₆-ზე მეტიც რომ აიღოს ფულის გამსესხებელმა, სესხი მაინც არ ჩაითვლება მეფავშურად, უკეთეს ფულის გამსესხებელმა არ ისარგებლა მოვალის გაჭირვებული მდგომარეობით და მოვალეს არ მიაღებინა მეტის-მეტი სამძიმო პირობანი ვალის გადახდისა. სესხი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მეფავშურ სესხად, როდესაც იგი გაცემულია, ერთის მხრით, სამძიმო პირობებით და, მეორეს მხრით, თუ სესხის გამცემმა ისარგებლა მოვალის გაჭირვებულის მდგომარეობით, რომელიც თვითონაც იცოდა.

შინაური შიშოხილვა

თავად-აზნაურობა და კახეთის რკინის გზა.—ორიოდე სიტყვა საზოგადოდ უგზოობის შესახებ.—განათლებულ კაცების არჩევა მამასახლისებად და მათი მნიშვნელობა სოფლის აკადრკიანობისათვის.—ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობანი.—სახალხო ბიბლიოთეკები ტფილისსა და ქუთაისში.—ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკა.—ქართული თეატრი ქუთაისში.

საერთოდ ქარიველი საზოგადოება და კერძოდ ჩვენი თავად-აზნაურობა საზოგადო საქმეში ჩვეულებრივზე მეტს სიფიქსადეს რომ იჩენს და მით ცდილობს ნიკთიერად თუ სუფიერად დაკრძოძილი ქვეყანა ფესვსა წამოაყენოს და აჟმას და ვითარებას არ გააყლეტინოს, ამის საბუთი, გარდა იმისა, რაც წარსულს წერილში აღნიშნეთ, ისიც არის, რომ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ საჭიროდ სცნა რკინის გზით საქართველოს კახეთი შეუერთოს,— ის უწარსინებულესი ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, რომელიც უგზოობის გამო თითქმის სრულიად მოწყვეტილია დანარჩენს საქართველოზე და რომელიც მიუსედავად თავისის ბუნებურ სიუხვისა და სიმდიდრისა ნიკთიერად დაქვეითებულა და საკუთარს ავლად-დიდებას შესაფერს ვატრონობას ვერ უწევს. ამ კეთილს და ერთად მოსაწონს განზრახვას ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისას მთელი ქართველი საზოგადოება და მწერლობა შესაფერის თანაგრძობით მიეკება და საქმედ ისეა გამოწყობილი, რომ კბეი არაა—სიტყვა საქმედ იქნება ქრეული, ეს ამბავი მით უფრო საგულისხმოა, რომ დღემდე, სამოკარდებოდა თუ არა ლაშარაკი ჩვენის ნიკთიერ დაქვეითების შესახებ, ჩვენს უილავობას, უღონობას კტიროდით და სელში სხვას

შეგეტქვრადით—იქნება ვინმემ მოგუგუდოს და ჩვენივე წესობას მოაღოს, სოფელ ის კი გვაკვირდებოდა, რომ ამგვარის საქმიელობა ჩვენე თავს ვიმტრობდით და რომ თავი და თავი საძუალებს აყენსე წამოადგომისა განუწყვეტელი წუწუნი და გოდება კი არაა, არამედ თვით-გარჯა და გონების მოძინებაა. აი ამ მხრით ქართლ-ქასეთის თავად-ახსნაურობის განხრანსა მეტის-მეტად საგულდისნი და მოსაწონია; ამ თავად-ახსნაურობამ სულში იმის სიბუთი მოგვრცა, რომ იგი მოწადინებოდა ქვეყნის ავსა და კარგს ანუ ანოში გაუწიოს და სხანა ყითა ვითარება სელს უწეობს, ქვეყნის უპატრონოს. თანაგრძობის ღირსია იმიტომ, რომ, როგორც ეტყობა, თვით-მოქმედების გზას უსდგომის და ღმერთის ინებოს ამ შინა-გზას არ ასრულებოდა და ქვეყნის ინტერესებსა და საგუთარს შუა ზღვარი არ დაედოს. ამხედ სიტყვას მეტს არ გავაგრძელებთ, რადგანა რაგორც ეს მხარე საგნისა, აგრედვე ისიც, რომ რეინის გზა მოედს კახეთის სოფლის მოპირუნიებს, სივითრად აყენსე წამოაყენებს და რომ ეს გარემოება სასიკეთოდ დაქმნევა მათეს საქართუელისა, თავის დროზე მწერლობაში, ტფილისის ბანკის წვერთა კრებასეთუ თავად-ახსნაურთა კრებასე საქმოდ იყო გარეკული.

სიტყვამ მოიტანა და საჭიროდ მიგვანინა დაპირაკი ჩამოკვადით იმასე, თუ არ ყოფიდა ზოგი სწილი ჩვენის ქვეყნისა საროგადოდ უგზობისა და უხილობის გამო. ვინაჩ ჩვენს დაბასოფლებში უკლია და შეითხვევა ჰქონია ცოტად თუ ბევრად დაპირაკობდა ჩვენის სოფლის ყოფა-მდგომარეობას, ამასეც შენამსა და, რომ უგზობითა და უხილობით სოფლის მცხოვრებლები სულ-შესუთულნი და ხელ-აყენ შებოჯდნი არიან. მისედა-მოსკლას, მცირედენი ადებ-მიტეობა, რაჩ ჩვენის სოფლის სელშია, მეტის-მეტად გაჭირებული და შესუთვილია, განსაკუთრებით ზამთარში; უხილობა ხომ მთელის კვირობით სიბობს მისედა-მოსკლას და ილაჟ-გაწვეტილი დაძინისი, მოთმინებიდან გამოსული, ზოგჯერ ახვირთებულის მდინარის მსხვერპლი სდება. ვინ არ იცის, რომ ლახსემა, არაგვის, რიონის და სხე, წელიწადი ასე არ გაივლის, ამდენიმე კარგი არ იმსხვერპლინი! ვინ არ გაუგონია, რომ წყალ-

დიდობის დროს, აქა თუ იქა, ბორონი მოგვყავა და წყალმა წაიღო; ურემი გადაბრუნაო, ამდენი და ამდენი კაცი დაიწყო. ამ გვარს აძებნის იმდენად შესწევუღნი ვართ, რომ ზოგჯერ უფრადღუ-ბასაც არ ვათხოვებთ სოლმე — თითქო უკუნითი-უკუნიამდე ასე უნდა იყოს, თითქო ჩაღდებულნი კიეკენთ უღმიბელს სტიქიონს წდიდან წლამდე ბეკარა კაძლიოთ. რა თქმა უნდა, — სოფლის მცხო-ვრებლები, რაც დრო მიდის, ამ გაჭირებულს ყოფას უფრო და უფრო ვაძინებენ, თუმცა უგზობას და უხიბობას დიდის ხნის შესწევუღნი არიან, და თუ არ ხევის სოფლის ხალხის ძოთმინება და სულ-გრძელობა, — ეგ ყოფა ყოვლად აუტანელი იქნებოდა. მის-ვლა-ძოსვლა და ადებ-მიტეობა რაც უფრო ფეხს იკიდებს და ვრცელდება ხევისში, ხალხი მით უფრო დრტყინვას ეძლევა ამ ყოფის გამო, მაგრამ შეება არსიდანა სხანს. საერთო საქმე დიალც ძნე-ლი კამოსაწყობია, თუ რომ ხალხს თავაძმოდებული და შეგუნებული თავი-კაცები არ ეყოლებს. სამწუხაროდ, ეკეთი თავი-კაცები ხევის სოფლებს ხაგლებად ჰქუჯის და, ვისაც გონება შესწევს და გულს ერ-ნის, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო სოფლიდან ვარბიან და ხალხს უძიერებისა და უგზო-უგლობის ანაბარად სტოკებენ; ესე იგი, ისეთს ყოფაში აგდებენ, რომ არავითარი საშუალება არა აქვს თავისს გა-ჭირებებს და საჭირებებს გაუძღვეს.

ამიტომაც სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ვარემობა, რომ ტყეილისის ზოგ-ზოგს სოფელში, ამ ორიოდე წლის განმავლობა-ში, მამისხლისებად ცოტად თუ ბევრად განათლებული კაცები აურ-სკვიათ; ადბად ხალხსაც უგრძობია, რომ ცხოვრების სათავეში ხას-წაელის კაცების ჩაყენებას საჭირო, და ხასწაველ კაცებსაც სოფელსე-ტული მობრუნებიათ და პირველის შესხადვით უმნიშვნელო, ხოლო სამდეკლად კი პასუხის-საგებელი, მძიმე და რთული თანამდებობა უკისრნიათ. უკანასკნელ დრომდე კი სოფლის მცხოვრებლები ამ თანამდებობას იმთ ახლობდნენ სოლმე, ვისაც ქვეყნის ავისა და კარგის ვაგება არა ჰქონდა, ვინც საკუთარის საჭირობისა და ის-ტერესის ვარდა არას დაგვიდედა. ამიტომ სოფლის ყოფა-ძდგომა-რეობა წაღმარ-უკუღმარითად ტრიალებდა და ტრიალებს კიდევ ის

ამბავი, რომ აქა-იქ მამასხლისებად ხასწავლი კაცება მოუწვევიათ, უბრალო შემთხვევის საქმე თუ არ არის და იმის ნაყოფია, რომ სოფელელებს თავიანთ მდგომარეობაზე თავალი აფხელიათ, ნება გვაქვს ვითქვითოთ, რომ ეკ ამბავი უფრო და უფრო სშირი იქნება და რომ სოფელის ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ფერს იცვლის. განათლებულს კაცს გონებად და თვლიდ უფრო უჭრის და ამიტომ შეუძლია სოფელის დიდი სამსახური გაუწიოს; ავს და კარგს, ჭირს და ღსინს უფრო ავილად მიხვდება, აწონ-დასწონის, ანგარიშს გაუწევს და მით სოფელს ცხოვრებას სვლასა და წარმატებას მისცემს. მთავრობის თვალშიც მეტს ჰხატავს და უურადღებსა და უმიკვიდრებს, და იქნება იმ სამწუხარო გარემოებასაც ბოლო მოეღოს, რომ სოფელიც სოფლის აკვარგინობის მედიდურად, გულ-ანრუებულად ეკიდება სოფლის საჭიროებას. დიად, სოფლის ცხოვრება, რომელიც ზოგს დაესაც საუურადღებოდ არ მიანია და მეტად მარტივა რამ ჰგონია, რთული და მრავალ-ფეროვანი სავანია. სოფელში განათლებულს კაცს საქმედ ბევრი ექნება; სკოლა, გზა, სიდი, მთავრობასთან შეხმდგომლობა და სოფლის გაჭირვების გარკვევა და მიწვევა, სადაც ვერ არს, და სხვა მრავალი სავანი, — აი ყოველივე ისა, რასედაც განათლებულს კაცს, სოფლის ცხოვრებაში მოქცეულს და სოფლის უფელში ჩაბმულს, შეეძლება თავალი ეჭიროს და მით სოფლის ჭირსა და ღსინს გაუძღვოს. მაშ ვისურვოთ, რომ ჩვენმა ხასწავლმა კაცებმა სოფელზე გული მოიბრუნოს და ის წმინდა ადრი, რომ თავისი სწავლა-ცოდნა და მხნეობა სოფლის ცხოვრების დასახმარებლად უნდა გამოიყენონ, საქმედ აქციონ, სოფლის სასარგებლოდ გამოიყენონ, სადაც ქართველობის უმრავლესობა ცხოვრობს და ცოტად თუ ბევრად ფერს მავრად აქვს მოკიდებული. აწრად ის უნდა ვიქნებით, რომ განათლებული კაცი მწედ და მთავრულად უნდა გაუხდეს სოფელს, რომელიც თავი და თავი ბუდვა ჩვენის ერისა და რომელიც, თუ რომ შიგ დღის შუქმა არ შეატანა, დახატრული და დასმული დაჩება.

რა თქმა უნდა, ყოველს ნაბიჯს ჩვენის ხორჩის მწერლობისად დიდის სისარულით უნდა მივუკებოთ სოფელს. ეს ოც და ათობდე წე-

დაწადია, რაც ჩვენს ასალმა მწერლობამ იგუხა აიღვას და ყველასათვის აშკარაა, რომ ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ნაბიჯი წასდგა წინ; რამდენიმე დილაღ სიტუირმა მწერალმა ძართლაც რომ თავგამოდებით იღვწა, ფრთა გაშალა და დაგვანსავა; რომ ქართულის მწერლობის სიგანი დილაღ საყურადღებო და საგულისხმოა. რამდენიმე უურსალი და გაზეთი იყო დაარსებული და თვითუღმს მათგანმა ჩვენის მწერლობის საღაროს თავისი წვლილი შესძინა. იმავე ხნის განმავლობაში მრავალს გამოცემულს უღვარწნა, ასე რომ ამ ოც და ათიადე წლის მოღვაწეობას მწერლობისას ისტორიულად თვლი რომ გადაეკლათ, ყოყლად შეუძლებელია ვინმემ სთქვას, ვითომ ჩვენს მწერლობას წარმატება არ დამხნეოდეს. ამ სამი-ოთხიადე წლის განმავლობაში მწერლობას კერძო გამოცემულთა და მოღვაწეთა გარდა სხვა დამხმარებელიც აუნდა. ჩვენ ვამბობთ ტუფლისისა და ქუთაისის ქართულ წიგნების გამოცემულ ამხანაგობათა შესახებ, რომელთაც სსკა-და-სსკა ნაწერის გამოცემით დილაღ შესამჩნევი სამსახური გაუწიეს ჩვენს მწერლობას. ამ ამხანაგობათა დაარსებამდე ჩვენის მწერლების ნაწერები უურსალ-გაზეთებში იყო გაზნეული და ამიტომ სასოგადოებას საშუალება არა ჰქონდა ამ ნაწერებს ჩაჭკირებოდა, მათი ღირსება-ნაკლულეკანება გამოერკივ, მწერლობას სიღრმე-სივსავ გაეზომა, ერთის სიტყვით, საშუალებას იყო მოკლებული ისტორიულად აწონ-დაწონა ჩვენი ასალი მწერლობა. წიგნების გამოცემულნი ამხანაგობანი ვა, როგორც იმათის პირველ ნაბიჯიდანა სჩანს, მოწადინებულნი არიან ამ ვარემობას იერი ატვლეკინონ. მართლაც, საუკეთესო მწერალთ თსზულებათა გამოცემით მკითხველს მსოგადობას სავმოდ გაუადვილეს მწერლობის გაცნობა და მწერლობისადმი ხალისი გაუღვიძეს. ის ვზა, რომელიც ამ ორს ამხანაგობას აურჩევია, ფრად მოსაწონია, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არ გადაუხვეკენ. ხალხ უნდა შევნიშნოთ, რომ ვარგი იქნება მეტი უურადღება ათსოგონ; სსკათა შორის, სსხალხოდ დაწერილს იაფ-ფასიან სამეცნიერო წიგნებს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ დღეს სოფლებში მრავალი ასადგაზდა ვარგი იზოგება, რომელთაც სსხალხო სკოლებში სწავლად დაუძთავრებიან, ხალხ სელ-მისაწვდომი სკითხავი წიგნები არ მოკბოკბათ.

ამ იაფ-იასიან სამეცნიერო წიგნების გამოცემით ეს არი ამისანაცხობა იმ სამსახურს გაგვიწვეს, რომ სოფლის ახალგაზდობას სკოლებში შექმნილ მცირეოდენს სწავლა-ცოდნას ან დაავიწყებანებს და ხალხის კითხვისას, სწავლისას ან გაუქრობს, არამედ გაუძლიერებს და გაუძლიერებს. დროზედ მიწვენილი საზრდო გონების ადამიანს მადს უღვიძებს კითხვისას და ეს სომ თავი და თავი სსშუალებას ჩვენის ხალხის სულიერის წარმოცობისა. მით უფრო სსჭირია ამ დროს ამისანაცხობა მდებო ხალხს შესაფერი და შესარგო გონებითი საზრდო მიწვედინონ, რომ უფროსერთი კერძო გამომცემელი ქართულის წიგნებისა თავით-იქნამდე აღუბ-მცემობის ანგარიშით არის გატაცებული და ვინ უწყის—დაბა-სოფლებში რა გავრ წიგნებს აერცვლებენ და ხალხის წყურვილს კითხვისას რამდენად მოუზიდებლად ეკადებინ.

შესაფერს, შესარგო საზრდოს გონებისას მრტო სოფლებლები არ არიან მოკლებულნი. სამწუხაროდ, ამავე ფოფაშია ქალაქებში მცხოვრები მდებო ქართველობაც, რომელიც სოფლის ხალხთან შედარებით წერა-კითხვის ცოდნით ცოტად თუ ბევრად მალა სდგას, სოფო იმდენადვე მოკლებულია სსშუალებას გრძობა-გონება ქართულის კითხვით ასაზრდოას. რასაკვირველია, ამის სსწინააღმდეგოდ ფრად კარგი სახსარია — მდებო ბიბლიოთეკების გამართვა, სსცა შესაძლო იქნება კაცმა კითხვის წყურვილი მოიკლას. ამიტომ, ის სასიამოვნო ამბავიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი წრე და დაწესებულება ამ წყურვილს და სსჭირებას ქალაქებში მცხოვრებ მდებო ქართველებისას, შექმნისა დაგვარად, სელს უწყობენ და ცდილობენ აქა-იქ ბიბლიოთეკები გამართონ. წერა-კითხვის სსწოგადობასა უკვე გამართული აქვს სახალხო ბიბლიოთეკა, რომელიც, როგორც საწოგადობის ანგარიშდან სსხის, რიგინად მოქმედებს და მკითხველებიც საკმარად ჰყავს. როგორც ერთი გაზეთი გვაუწყებდა ამის წინად, ქუთაისში ახალგაზდა ქართველ ქალთა წრეს განუზრდას სახალხო ბიბლიოთეკა გამართოს. ამ აზრით, ფულის მოგროვებასაც შესდგომის და იქნდა დაწვებულს საქმეს ბოლოსად მისცემს. ამის საბუთი ის არის, რომ, თუ არა

ვცდებით, იმავე წრემ ქართულ ქალბრძენსაც ამ ორიოდუ წლის წინადა სკევიროს სკოდა განართა, რომელიც დღესაც მოქმედობს და საზოგადოების ყურადღებაც დაიმსახურა.

ბიბლიოთეკებსე რაჟი ლაზარაკი სამოკავდეთ, აუცილებლად სს-ჭიროდ მიგვანია მკითხველებს შემდეგი საყურადღებო ამბავი მოკავდეთ. ტფილისის ქართულ და რუსულ გაზეთების მკითხველებს ეს მოგვითხრობს, რომ წარსულს წელს ქუთაისის საბჭომ გადასწევიტა ქალაქისათვის საკუთარი ბიბლიოთეკა განართას და რომ ამ ფრინად მოსაწონ საქმისათვის თავის გამოხატვლად საჭირო ფულიც გადასდო. ისიც უნდა გავისხენიოთ, რომ ერთმა ქუთაისის მცხოვრებმა, სსხელდობრ, თ. გ. ა. ლორთქიფანიძემ ქალაქს ათასოდე წალი წიგნი უსასყიდლოდ დაუთმო ბიბლიოთეკის სამირველის ჩსსაყრელად. ახლა, როგორც შეტყობილი გვაქვს, ქუთაისის გამგებანც უბევ შესდგომია წიგნების შექმნას და სულ მცირე ხნის განმავლობაში ქუთაისის საკუთარი რუსულ-ქართული ბიბლიოთეკაც ექმნება და მით ქალაქი ერთს ისეთს საკლს აიცილებს თავიდან, რომელიც კარგა ხანია, რაც თავზე ბურუსებით დასწოლია. როცა ეგ ამბავი იყო გამოქვეყნებული, ტფილისელმა გაზეთებმა მისინე ის სამართლიანი აზრი წარმოასთქვეს, რომ ვისაც ამ ბიბლიოთეკის გამართვა და გაწყობა მინდობილი აქვთ, ქრონიკანი ყურადღება უნდა ათხოვან იმას, რომ ბიბლიოთეკაში, გარდა საყოველთაო საკითხავ რუსულ-ქართულ წიგნებისა, შეძლებისა დაგვარად, საკუთარი იყოს შედგენილი საზოგადო კავკასიის შესახებ თხზულებათა განყოფილება. ეგ აზრი იმდენად საფუძვლიანი და სამართლიანია, რომ ყოველად შეუძლებელია ქუთაისის გამგებანამ საყურადღებოდ და სკვალდებულად არ მიიხიოს. რაღა სიტყვის გაგრძელებას საჭირო, რომ ყველა შეგნებელ კაცისათვის სამშობლო კუნტელის ყოველ მხრით შესწავლა და გაცნობა თავი-და-თავი მოკლებობას, ხოლო ჩვენში ბევრი განათლებული კაცი იბრუნება, რომლებმაც სამშობლო ქვეყნის ამბავი, წარსული და აწმყო ბევრი არა იცინ-რა, იმისი მდგომარეობა, ბუნება და სხვანი სკვლებად აქვით შესწავლილი, სსკათა შორის იმი-

ტომაც, რომ ვაკეასიის შესახები ნაწერები სშირად მხელი ხელ-მი-საწვდომია, განსაკუთრებით ზატარა ქალაქებში.

რუსეთში კარგა ხანია, რაც ჰროვინციის ნასწავლი ახალგაზ-დობა შეუდგა თაკთავის სამშობლო კუნტულის შესწავლას; ამ ან-რით, ზატარა და ცენტრებზე დაშორებულ ქალაქებშიაც მართავენ ბი-ბლიოთეკებს, მუზეუმებს და დღეს რუსეთში იშვიათია ისეთი გუ-ბერნია და მხარე, რომელსაც საკუთარი მკვლევარნი არა ჭყავდეს, ისეთი მკვლევარნი, რომლებმაც ფრიად შესამჩნევი წვლილი შესძი-ნეს რუსეთის მწერლობას და მეცნიერებას და საზოგადოების ყუ-რადღება და ზატვისტემა მოიხეებეს. ჩვენ კი სულ სხვა ყოფაში ვართ, თუძცა სძიებელი, საკვლევი ბერნი ვაქცეს; უიფროსერთი მკვლევარი ჩვენის წარსულისა, აწმულისი, ჩვენის ბუნებისა, ჩვენის სიძდიდრისა, ეკონომიურის მდგომარეობისა უმტკელად უცხოელა; ჩვენ კი თითქმის არას ვაკეთებთ და ან სრულიად არა ვიცით-რა, ჩვენის ჭვეუნის შესახებ სად რა იწერება, სად რას ლაზარაკობენ და თუ რასმე შეეიტყობთ სოლმე, ისიც რომლისამე უურსალ-გასეთის საშუალებით; ყურს მოკვრავთ სოლმე და მით ვმყოფილნი ვართ და ხელსა და გონებას კი შრომას ვარიდებთ, მამინ როდესაც ყო-ვლად აშკარა, და უცხოელებისაგან მრავალჯერ აღიარებულა, რომ ჩვენის ჭვეუნის შესწავლა ადგილობრივ, ნასწავლ კაცთა მოვალეობაა, რადგანაც ვითარცა სამშობლო ენისა და ზნე-ჩვეულების მცოდნე-თა, ეგ საქმე ამათვის უიფრო ადვილი და სასელდასელაა. რა თქმა უნდა, ჩვენე რომ შეუდგებით ადგილობრივის ყოფა-მდგომარეობის შესწავლას, საყოველთაო მეცნიერებას და მწერლობას კარგ სამსა-სურს გავუწვიო და მეტი შუჭი მოკვეთინება ევროპის მეცნიერები-სა, და ამ გარემოებას სომ დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის წარმა-ტებისათვის.

აი, სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ყოვლად სახატრელია ქუ-თაისის ქალაქის გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება ათხოვოს ვაკეასიის შესახებ თხსულებათა განყოფილებას. ქუთაისში, შედარე-ბით, დიდძალი განათლებული ახალგაზდობაა, რომელიც, სრუჭიდიც

რომ დიდი ქეტხდეს, ყოვლად უმწეოა ადგილობრივის ყოფა-მდგომარეობისა და ვითარების შესწავლას და ძიებას შეუდგეს; ხოლო შემკვლავ, კვასალგახდობა უსაქმოდ არ დაჩნება, თუ რომ ქუთაისის გამგეობა ბიბლიოთეკას ისე მოაწეოს, როგორც ზეიოდა ვთქვით. მართლაც, ერთბაშად ბიბლიოთეკის ისე მოაწეობა, როგორც სასურველია, ადგილი საქმე არ არის და დიდ-ძალ ფულისაც მოინდომებს, მაგრამ ამას არ უნდა შეეუბინდეთ. ღარიბს ქალაქსაც, როგორც ქუთაისის, აუ რომ თვით-მართველობა საქმეს გულისანად მოეკიდება, რამდენიმე წლის განმავლობაში შეუძლიან დიდად ვრცელი ბიბლიოთეკა მოაწეოს, ისეთი ბიბლიოთეკა, რომელიც ქალაქისათვის თავმოასწონი დაწესებულება შეიქმნება.

თეატრს რომ ჩვენის გრძნობა-გონების განმასპეტაკებელი მიუშენლობა აქვს, ამასე დიდი სუა და ხასია სავტირო არ არის. კვ მართვი აზრი ჩვენს მოღვაწეებს შეგნებული აქვთ; სასოგადობაც თანაგრძნობას არ აკლებს თეატრს, თუ რომ საქმე რიგინად დაეყენებული სცნო. ტფილისში ქართული თეატრი კარგა ხანია არსებობს და სტენამ რამდენიმე ნიჭიერი და დასვლოკნებული არტისტი გასწორთსა, რამდენიმე სასცენოდ შესანიშნავი პიესა შესძინა თეატრს და მწერლობას, ხოლო საქართველოს მეორე მთავარ ქალაქში, ქუთაისში, ამ უკანასკნელ ორს წლამდე მუდმივი ქართული თეატრი არ არსებობდა და წარმოდგენა თუ იმართებოდა, ისიც შემოსკვეით, უფრო ხშირად საქველ-მოქმედო ასრით. ამ ორის წლის წინად კი ჩვენის სტენის ერთგულმა და ნიჭიერმა არტისტმა, ბ-ნმა გ. მესხმა, განიხრახა მუდმივის დასის შედგენა და სტენის უფრო მკვიდრის ნიდაგზე დაყენება და, როგორც გასეთიდან ვტყობილობთ, კვ სასიკეთო განხრახვა უკვე საქმედ უქტევათ. საქმეს მართლაც რომ პრაქტიკულად შეუდგა: აუცილებელი იყო შესაფერი ბინა აენიანთესტრისათვის და ქალაქის საბჭოსა და გამგეობის თანხმობით პავილიონი, რომელიც მათ უდიდებულესობათა მისაღებად იყო აგებული, თეატრად გადააკეთა. რაკი ეს ფრიად სავტირო საქმე ასე მოაწეო, წარმოდგენების მართვა დაიწეო და, ეს ორი წელიწადია, დაუღალავად

შრომობს კიდევ. ამ ხნის განმავლობაში, ძველ პიესებს გარდა, რამდენიმე ახალი ნათარგმნი თუ ორიგინალური პიესა გააცნო ქუთაისის საზოგადოებას და ზოგი მოთამაშე ისე გაწვრთნა, რომ ხევენ ღარიბს: სტენას რამდენიმე სინიდისიური ანტიკონი შესძინა. საზოგადოებატ, რაკი სცნო. საქმე რიგიახად არის დაყენებულიო, თანაგრძობობას არ აკლებს, და ამიტომ ვისურვებთ, რომ ქართული თეატრი ქუთაისშიაც დღეგრძელი უფილიყო და რომ სტენას მოღვაწეთა მხნეობას ზრდა და მატება დასტუებოდეს.



ჩვენნი საზოგადო საქმეებნი

2.—ბანკის კრებაჲ

ქუთაისის თავად-აზნაურობა დასთანხმებია ფინანსთა მინისტრის აზრს და წინადადებას, — რომ ქუთაისის საადგილ-მამულლო ბანკის კრების და არჩევნის წესი უნდა შეიცვალოსო. აქნამდელ ბანკის საზოგადო კრება, წესდების ძალით, პირდაპირ დამფუძნებლებისგან და მსესხებლებისგან შესდგებოდა. რადგანაც ამ წესის ძალით შესაძლოა, რომ კრებაზე ორი ათასი და მეტიც წევრი შეგროვდეს, თვითონ ამ სიმრავლესოვის დაუბრალებიათ სხვა-და-სხვა უწესოება და არეულობა, რომელიც კენჭის ყრის დროს მოხდებოდა ხოლომე ქუთაისს. აქედან თავის-თავად ეს აზრიც დაბადებულა, რომ, თუ კი კრების წევრების რიცხვი შევამცირებთ, ბანკის საქმის მსვლელობა წესიერების და პატიოსნების კვალში ჩადგებაო. რიცხვის შემცირება კი, რასაკვირველია, შესაძლებელია მარტო წევრების ზირდაზირ მონაწილეობის მოსპობით და წარმომადგენლობის შემოღებით. ამ ახალის წესით ბანკის წევრები — დამფუძნებლები თუ მსესხებლები — თავიანთ წარმომადგენლებს ამოირჩევენ. მარტო ამ წარმომადგენლების კრებას ექნება უფლება ბანკის საქმეები სწყვიტოს და ბანკის მოხელენი ირჩიოს.

ამ საქმის თაობაზე ეხლა დიდი სჯაა ჩვენში: ძველი წესი სჯობია ჩვენის მომავლისთვის, თუ ახალი? უშველის ქუთაისის ბანკის ალიაქოთს ეს „წარმომადგენლობა“, თუ არაო?

წინასწარმეტყველობა ამ გვარ საქმეებში ძნელიც არის და უსაფუძვლოც. სჯობს უკან მივიხედოთ და ზოგიერთი რამ

გავიხსენოთ ჩვენის წარსულიდან და საზოგადო ისტორიიდან. იქნება ამ წარსულის შესწავლით უფრო გაგვინათლდეს მომავლის გზა.

იყო დრო—დიდი ხანი როდია—როცა ამ „პირდაპირ“ მონაწილეობას ბანკის კრებაში მთელი ჩვენის ქვეყნის თავდაზნაურობისას დიდ მნიშვნელობას აძლევდა ყველა, ვისაც კი ჰსურს ჩვენის ერისთვის უმჯობესი მომავალი. მართლაც—და, ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენს მამა-პაპურს, თითქმის ბუნებითს, განცალკევებას, ჩვენს მიუყოლელობას, ჩვენს უაზრობას და უთაობას საერო საქმეებში არ მოსპობდა ეს ყოველწლიური კრება დედა-ქალაქში ყველა ჩვენის სოფლებს წარმომადგენლებისა? ვის ეგონებოდა, რომ ჩვენის საზოგადოების და ერის გასაწვრთნელად, აღსაზრდელად და ასამაღლებლად იქნება სადმე ქვეყანაზე უმჯობესი სკოლა და იარაღი? მართლაც, ვინ არ იცის, რომ ევროპაში ამ გვარი ბანკების კრებებმა ფეხზე წამოაყენეს ბევრი ჩვენსავით ჩამოქვეითებული და დაძაბუნებული ერი?

ახლა ეს ბრძანეთ, რას მივაწეროთ, რომ ზოგიერთ სხვა ერს ყველაფერი რგებს, რაც კი შეემთხვევა, ავი, თუ კარგრი, მაშინ, როცა ჩვენ ყველაფერი გვწყენს და გვასუსტებს?... დედამიწაზე ისეთი ერი არ მოიძებნება, მგონია, რომელსაც თვით-მმართველობა არ მოხდენოდა. დააკვირდით ერის ზნეს და ცხოვრებას თვით-მმართველობის შემოღებამდინ და შემოღების ათიოდე წლის შემდეგ. ყველაფერში შეამჩნევთ ცვლილებას და გაუმჯობესობას, სწდას, გამდიერებას. არა თუ მარტო საზოგადო აზრი მალდდება, არა თუ მარტო საზოგადო საქმე ძლიერით იძოსება, კერძო წევრებზედაც, მათ ზდილობასა და ზნეზედაც ელვარებს თვით-მმართველობის, ესე იგი თავისუფლების, შუქი. ჩვენში კი?...

უეჭველია, ჩვენშიაც დაედო, აქა-იქ, გაუმჯობესობის, წარმატების ნიშანი. უეჭველია, ეხლანდელი ჩვენი მდგომარეობა სჯობია იმას, რომელშიაც ამ ოცი წლის წინად ვიყავით. მაგრამ ნუ თუ საკმაოა ეს წარმატება? ნუ თუ, მარჯვედ რომ

ეყოფილიყავით, გონიერად რომ გავჯიღობყავით, ნამეტნავად, ზატოასხნად, გულწრფელად რომ გვემოქმედნა საზოგადოებაზედ, ათჯერ და ასჯერ მეტ სიკეთეს და ხეირს არ მოვუტანდით ჩვენს ერს და ქვეყანას?

„პატიოსნად“, „გულწრფელად“, — ეს ორი სიტყვა განგებ განვითარებულად ვიხმარე, რადგანც მაგათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ საქეში. საერო ასპარეზზე გამომავალი და მომქმედი პირები ყოველგან ორ რიგობად გაიყოფებიან. დროა შევისწავლოთ თვითნულის რიგობის თვისება, მათი ავი და კარგი, მათი გავლენა ქვეყნის ბედზე, რომ ვიცოდეთ — ვის გაგყვეთ და ვის ვეწინააღმდეგოთ, ვინ არის ჩვენი ამშენებელი, და ვინ გვლუჯავს ან ჩირქს გვცხებს. ორნაირი მომქმედი პირია — მეთქი საზოგადო ასპარეზზე. პირველ რიგობის მომქმედ პირს მართლა სწამს ის, რასაც უქადაგებს ან ურჩევს ერს. შეიძლება მისი მოძღვრება და რჩევა შემცდარი და უსაფუძვლო იყოს, მაგრამ თვითონ იმას კი მართლა და ღრმადა სწამს, რომ კეთილი და სასარგებლოა. მისი გულითადი, გულწრფელი სურვილია — ერს ემსახუროს და არგოს. მისი თავმოყვარეობა, მისი ინტერესი — ერის პატივისცემის და სიყვარულის შეძენაა. სულ სხვა ნაირია მეორე რიგის მომქმედი პირი. ის ატყუებს ხალხს. იმას ერი როდი უყვარს, ერის მომავალი როდი სწამს, ქვეყნის სიკეთე როდი უნდა. ის დარწმუნებულია, რომ ერი, საზოგადოება ბრმა და სულელია, და აგრედვე სულელია ის, ვინც ერის ან საზოგადოების პატივისცემას და სიყვარულს ეძებსო. საზოგადოება და ხალხი უნდა გაართოს მოხერხებულმა კაცმა, უნდა გაათამაშოს, უნდა „მოადღაროს“, მეტი არაფერიაო. ამის გამო ამგვარი მომქმედი პირი თავისდღეში არ აფასებს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც მკოდნე, რიგიან და ქვეყან კაცებისგან შესდგება. ის საქმეს იჭერს უფრო უმეცარ უმრავლესობასთან, რომელსაც ატყუებს ყოველნაირ სიცრუეით და დაპირებებით. თვითონაც ძალიან კარგად იცის, რომ ამ დაპირების შესრულება შეუძლებელია, რომ ეს სიცრუეე მისგანვე გამოქვლილია, მაგრამ რა ენადვლება? ბავშვებთან, უმეცრებთან

მაქვს საქმეო, ფიქრობს, გამივაო, შემრჩებაო. სანამ ეს უმრავლესობა დაჰკვიანდება და ჩემ ოინს გაიკებს, ბევრი წყალი ჩაივლის მტკვარში და რიონშიო. მანამდინ ან ვირი მოკვდება, ან მისი პატრონიო...

მას აქედ, რაც კაცობრიობა არსებობს დედამიწაზე და ისტორია მის ცხოვრებას მოგვითხრობს, ყველა მისი მომქმედი კაცები საერო ასპარეზზე ან ამ პირველ ტაპს ეკუთვნიან, ან მეორეს. და ყოველთვის, როცა მეორე ტიპის კაცებს ქვეყნის საქმე ხელში ჩაუვლდათ, საქვეყნო ისტორია იმის მოწამე, რომ მათ გაძლიერებას, მათ ოინებს ერიც ყოველგან გაურყენიათ და ქვეყნის საქმეც ყოველგან დაუღუპავა.

ამ მიზეზით ისტორიის უზენაეს კანონებს შორის პირველი ადგილი იმ კანონს უჭირავს, რომ ყოველი გონიერი და პატიოსანი წევრი საზოგადოებისა თავის პირად მტრად უნდა სთვლიდეს იმისთანა მომქმედ კაცს, რომელიც ატყუებს, რყენს და ფცქენს ერს. გულწრფელობა, ჰაგაოლსენება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს საზოგადო, საერო მოთავისათვის. თუ საზოგადოება ან ერი იქამდინ დაძაბუნდა, რომ დროზე ვერ იცნო და გაიბატონა მატყუარა მომქმედი კაცი, მთელი მისი მომავალი შერყეულია. მაშინ, რაგინდ კარგი დაწესებულებაცა ჰქონდეს იმ ერს, რაგინდ მშვენიერი წესებით იმართებოდეს, ყველაფერი თვალთ-მაქცურად შეიკვლება გაიძვერულ და მომხიბლველ ოსტატობით. რაც ერის ქონებას და სიკეთეს იცავდა, ის ზნე და წესი დაირღვევა, ზოგი ფარულად, ზოგი აშკარად, სხვა-და-სხვა ცრუ მიზეზით. ბოლოს, ერი დარჩება გალატაკებული, გაცალ-ცალკევებული, ერთმანეთზე უმიზეზოდ და ცბიერად გადამტერებული, სრულიად დამარაგებული სხვისგან სათელად და ჩასანთქველად... ვიმეორებ, გულწრფელი მოთავე შეიძლება რომ შესცდეს; მის შეცდომას ადვილად გაასწორებს მომავალი თავობა, მომავალი მოთავე. მარტო ცბიერ მოთავის შხამს ვერაფერი უშველის და დასძლევს, და რაც უფრო ახალგაზდა, რაც უფრო გამოუცდელია რომელიმე ერი, მით უფრო მომხიბლველი და მავნებელია ეს შხამი.

მი, ეს მატყუფრობა. აი რის გამო ნაბრძანებია მაცხოვრისაგან: ჟაი მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური.

ჩვენი ბანკის კრების უბედურება და ნაკლულევანებაც ამ სენში მდგომარეობს. ჩვენი ერის მსახურებშიაც გამოგვერია ისეთები, ვისაც არ სწამს და არ უყვარს ამ ერის მომავალი, ვისაც არა რცხვენია მისი შეცდენა და გაძარცვა, ვისაც სახელად მიაჩნია მისი თვალის ახვევა და გაბრიყვება. მოგახსენებთ, ეს გახლავს ჩვენი სენი, ეს გვიღებს ბოლოს და არა ის გარეშობა, ვითომ ერთობ ბევრი ხალხი დაიარება ბანკის კრებაზეო. დიდ-ძალი ხალხი დავსწრება ამ კრებას, თუ ცოტა, საქმე ამაში კი არაა, იმაშია, გულწრფელი მოქმედი კაცები, მეთაურები ეყოლება ამ კრებას, თუ ცბიერი. ჩვენ დავსწრებივართ, ქუთაისშიც და ტფილისშიაც, ძალიან მრავალწევრიან კრებებს, რომელზედაც წესი, რიგიანობა, გონიერება და ზდილოება სუფევდა დასაწყისიდან ბოლომდინ. დავსწრებივართ აგრედვე, ტფილისშიც და ბევრგან სხვაგან, „წარმომადგენლების“ კრებებს, რომელნიც მარტო ოციოდე წევრისაგან შემდგარი იყვნენ და რომელნიც ცბიერობით და უწესობით აკვირვებდენ მთელს რუსეთსა. სხვა, უფრო ახლო, ამბები რომ არ დავასახელოთ მეზობლების საწყენად, იმის გახსენებაც გვეყოფა, რომ ბ-ნი არიკოვი სკობინის ბანკში და ბ-ნი იუხანცოვი — პეტერბურგისაში მოქმედებდნენ „წარმომადგენლების“ კრების მეოხებით და ყველას მოეხსენება, რომ ვერაფერი წესიერება ვერ დაიცვა მაშინ ამ „წარმომადგენლების“ კრებამ...

მართალია, ცბიერების წინააღმდეგ — საზოგადოებრივის მეცნიერების აზრით — წარმომადგენლობა მით უფრო გამოსადეგია საერო კრებებზე, რომ წარმომადგენლების კრება თითქმის ყოველთვის უფრო ჭკუიან, გამოცდილ და მცოდნე კაცთაგან შესდგება და ამისთანების შეცდენა უფრო ძნელია ცბიერ მართავისთვის, ვინემ მთელის ერისა. ეს უეჭვო ჭეშმარიტებაა

თეორიით. მართალია-შეთქი, მეც მოგახსენებთ, მაგრამ ისიც უნდა დაუმატოთ, ისიც უნდა დაეხსოვოთ, რომ თეორიას ბევრი „თუ“ მოსდევს. ამ საქმეში ჩვენც უნდა ჩავიბეჭდოთ ნებისებრაში, რომ, თუ მარჯვედ არ ვიქენით, თუ სამაზრო კრებებზე, იმ კრებებზე, სადაც უნდა ამორჩეულ იქმნენ ბანკის ბედის გადამწყვეტი წარმომადგენლები, ჩვენმა ერმა გულწრფელი და პატიოსანი წარმომადგენლები არ ამოირჩია, მაშინ ვერც წარმომადგენლობის წესი გვიხსნის სკოპინის ბედისგან. საქმე, დავრწმუნდეთ, ამაში გახლავს. ჩვენი ბანკი — საერო საქმეა. ამ საქმეში ცბიერმა მეთაურებმა სიცრუვე, სითაღლითე და ცბიერება შეიტანეს. ამ ცბიერმა მეთაურებმა საღმრთო გულწრფელი საქმე ერის მსახურების არჩევისა ვაჭრობად გადააქციეს. ჩვენ და ჩვენს საერო საქმეს ის სჭირია, რომ აი ეს ვაჭრობა, ეს ცბიერება განიღვენოს.

ბანკი, ის დაწესებულება, რომელსაც იმედით შესჩერებია ყველაფერი, რაც კი კეთილი და სახიეროა ჩვენის ერისათვის, არ უნდა ვავხადოთ მაზრად ცბიერებისა და გარყვნილობისა. როგორც ერთ დროს იერუსალიმის ტაძრიდან განდევნილ იქმნენ ვაჭრები, რომელთაც გაებედნათ სახლი ლეთისა გადაექციათ ვაჭრობის სახლად, ისე ეხლა ჩვენც უნდა განვდევნოთ საერო საქმიდან ყველა ის, ვისაც შიგ ცბიერება, მატყუვრობა, პირადი სარგებლობა და ხალხის გარყვნა შეაქვს. ეს უნდა გვეკონადეს დედა-აზრად, მუდმივ საგნად, დაუფიწყარ მცნებად, როგორც საერო კრებაზე, ისე წარმომადგენლების წრეში, თუ მთავრობამ მართლა დასრულა თავის განზრახვა. თორემ კრების ორივე წესის შედარებით და უმჯობესის ძიებით ჩვენ შორს ვერ წავალთ. ორივე წესს თავ-თავისი ავიც აქვს და კარგი-გონიერები თუ ვიქენით, ჰკუთიანად თუ მოვიხმარებ, ახალი წარმომადგენლობის წესიც ჩინებულად გამოგვადგება. მაზრის კრებებიც დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენი ერის წინ-მსვლელობას, თუ გულწრფელად და პატიოსნად ვაწარმოებთ საქმეს. ერთი სკოლის მაგიერ კუთაისს, გვექნება შეიდი თუ რვა, ბევრად უფრო ვრცელი, რომელნიც მიზიდავენ და წინ წას-

წევნ მთელს ჩვენს თავად-აზნაურებას. იმათ შუა მუდმივი კავშირი და დამოკიდებულება იქნება თვითონ წარმომადგენლების მეოხებით, რადგანც მათი ხშირი ერთად შეკრება ქუთაისში უშუალოდ შეიძლება კავშირის გაძლიერებას და გამაგრებას... ერთის სიტყვით, როგორც ახლანდელი, ისე მთავრობისგან განზღახული წესი ადვილად შესაძლოა რომ გამოვიყენოთ ჩვენი ერის ეკონომიური და ზნეობითი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუ ორივე ამ წესის მოქმედების დროს მტკიცედ შევებრძვით და მოვერევიტ ცბიერებას და ეგოიზმს, თუ გულწრფელი ვიქნებით ერის სიკეთის ძიებაში, თუ ჩვენი გულის უძლიერესი გრძნობა ერის და ქვეყნის სიყვარული იქნება. თუ არა-და, ვაშინგტონის პარლამენტის წესიც რომ მოგვეცეს ბედმა, ისიც ვერას გვიშველის. წესი, მართალია, ბევრ რამეს ნიშნავს, წესი საჭირო და აუცილებელია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც წესი უსულადგმულა არსებაა. ერს აცხოველებს და აცხოვრებს მარტო ცარიელი წესი კი არა, ის ცხოველი გრძნობა, რომელიც ხეირიან წესში შეაქვთ ხეირიან მომქმედ პირებს, ხეირიან საზოგადოებას.

კედვე ერთი შენიშვნა. საზოგადოებრივი მეცნიერება იცნობს ორ წესს: პირდაპირ მონაწილეობას და წარმომადგენლობას. თვითეულს ამათგანს თავ-თავის სიკეთეც მოსდევს და თავ-თავისი ნაკლულევენებაც-მეთქი, მოგახსენეთ. აგრედვე თვითეულს მათგანს თავ-თავისი კანონები და მოთხოვნილება აქვს. საზოგადოებრივი მეცნიერების აზრით, პირდაპირი მონაწილეობა ერისა საერო საქმეების გადაწყვეტაში მით უფრო რივიანი და სახეიროა, რაც უფრო მრავალი იქნება მონაწილეების რიცხვი, რაც უფრო საზოგადო იქნება მონაწილეობა. სწორედ ამ ნაირადვე წარმომადგენლობის წესში, იმავე საზოგადოებრივი მეცნიერების აზრით, საქმე მით უფრო კარგად წავა, რაც უფრო ნაკლები იქნება წარმომადგენლების რიცხვი. მართლაც, ადვილად გასაგებია, რომ, თეორიის აზრით, რაც ნაკლები რიცხვი იქნება ამოსარჩევად, მით უპირველეს, უმჯობეს წარმომადგენლებს აირჩევს ხალხი. ქუთაისის თავად-

ახნაურობის პროექტს კი, ჩვენი შეხედულობით, ცოტაოდნად შეუერთებია ეს ორი წინააღმდეგი წესი იმ მუხლში, სადა გადუწყვეტია, რომ ყველა მაზრებმა 200 წარმომადგენელი აირჩიოს. ჩვენი შეხედულობით, თუ მართლა შემოიღეს ახალი წესი, აუცილებლად საქირო იქნება შემცირება წარმომადგენლების რიცხვისა. სრულიად საკმაო იქნება, რომ მაზრებმა ქუთაისის მართო 30 წარმომადგენელი გამოგზავნონ, თორემ, როცა 200 კაცისგან შესდგება წარმომადგენლების კრება, იქ დამსწრე მეთვალყურე ჩვენი ცხოვრებისა, ქუთაისის ბანკის კრებაზე და მისი საქმის მსვლელობაზე, მგონია, ვერც კი შეატყობს, მომხდარა რამე ცვლილება წესებში, თუ არა.

6. ნაკვალაძე

უცხოეთის მიმოხილვა

შალხთა შორის პოლიტიკამ დაუთმო ალაგი საზოგადოებრივ და ეკონომიურ მხარეს ცხოვრებისას.—ბ-ნი ტარდის აზრი ხალხის-ჯამათის დანაშაულობაზე არეულობის დროს.—ევროპის ანარქისტები.—რჩევა ბ-ნი ბონგისა და ლომბროზოსი, რა მოსპობს ანარქისტების საქციელს.—ვალთან და მისი ფილოსოფია.—არეულობა იტალიაში.—ორიოდე სიტყვა ერის ერთობაზედ.

წლებანდელს წელიწადს ისეთი გარემოებანი მიუძღოდნენ, რამს ხალხთა შორის პოლიტიკამ, სიმუდამოდ თუ არა სასტრატეგი მანც, დაუთმო პირველი ადგილი საზოგადოებრივ და ეკონომიურს ცხოვრებას: მთელი ევროპის ხალხმა, დიდას სწით წამინებულმა,—თითქო ბანგი დაუღუეისებიათო,—უცებ გამოიღვიძა და, როგორც ხანძინარეკმა კაცმა, რაც კი გზაში დასვდა, მიღუწ-მოღუწა. რაღა თქმა უნდა, რომ ესრედ წოდებულნი მეცნიერნი, ფილოსოფოსნი და ვეკლა საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწენი თავიანთი ეროვნული მთავრობითურთ, რომელნიც სულ-ჰუდამ ფსიზლად არიან, ახლა უფრო გამოფხინდლენ და თვალეუი გააჭკიტეს. მეცნიერებმა და ფილოსოფოსებმა წესირად და დინჯად წარმოითქვეს, რამ ვეკლა საზოგადოების ცხოვრების მოკლეხას თავისი მიზეზი მიუძღვის და ამ ხალხის არეულობასაც ალბად თავისი მიზეზი აქვსო; ხალხის მოღვაწეებმა, რომლებმაც თავისი ხალხის ჭირი და ვარაში ძლიერ კარგად იცოდან, წუნარ მეცნიერებს უზასოესეს: მიზეზიც დიდის ხნის გამოძიებულია და ხალხის ბედგურული მდგომარეობიდან გამოყვანის საშუალებაც სპოვნაო. რასაკვირველია, მთავრობამ არც ერთსა და არც მეორეს უურბდებო არ ათხოვს, თავისი დანიშნულებს აღასრულა და ადუღ-

კებულს ხალხს და საზოგადოებას თავისებური მეხრეულები მოუჭირა. მუხრეულს, როგორც მოგეხსენებათ, დიდი ძალა აქვს ადამიანის უნასა და ღონეზე: შემდეგ თოფ-ზარბაზნების სროლისა, მრავალი ხალხის დატუსაღებისა და დასჯისა, ალექსებული იტალიის, საფრანგუკოს, ავსტრიის და ისპანიის ხალხი და საზოგადოება დამშვიდებულ იქმნა; მიწისი არეულობისა ისევე მიწისა და ხალხის საცოდავ მდგომარეობიდან გამოსაყვანად დიდის ტანჯვითა და შრომით ნაშრომს საშუალებამ და წამლის ფუჭად წაიბრა და საშისელ არეულობის შემდეგ ხალხმა ეგვიპტის თავისებურად მიიძინა და სამაგიეროდ ხეებებურ «ძილი ნებისა» ხეებ შემოიღო და მომშინებულ ეგვიპტის ხალხს გუთხრა: ძილი უნებლობისა!

რაც უნდა იყო, ხეებ ამ არეულობამ დიდად საინტერესო მასალა მოგვცა ხელში ეგვიპტის ხალხის დღევანდელ ცხოვრების მდგომარეობის დასაფასებლად. ამ ძვირფას მასალის სხვა-და-სხვა მხრით გარჩევას შეუდგნენ წარჩინებულნი მეცნიერნი, ჰუმბოლცისტი და ბერნი სხვა მოღვაწენი, ვისაც კი თავიანთი ხალხისათვის გული შესტკვიათ.

ბატონმა ტარდამ დაბეჭდა ერთი ფრანგულ ჟურნალში *) ფრთად შესანიშნავი სტატია. ბატონმა ღრმად ჩაისყდა ხალხის ჭკუა-გონებაში და დაკვირვება, თუ რას უნდა მოკვლოდეთ ყოველ ხალხისაგან ავს და კარგს საქმეში ჭკუის, გონების და წებობის მხრივ. ამ მხრივ იგი ადარებს ხალხს — ანუ უკვე რომ ვთქვათ, ჯამათს — კერძო ადამიანს და ამ შედარებისაგან გამოჰყავს ფსიხოლოგიურის მხრივ მეტად შესანიშნავი და სასარგებლო დასკვნა. ბატონი ტარდამ ახლია და დასკვნა უფრო იმით არის საინტერესო, რომ იგი შეესება არამც თუ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მომხდარს სხვა-და-სხვა ხალხის არეულობას, არამედ იმ ანაქიულს მოძრაობასაც, რომელმაც დღეს ეგვიპტის ყურადღება მიიპყრო.

*) 15 Nov. 1893, *Foules et sectes au point de vue criminelle.*

მღაბიურად რომ გადავთარგმნოთ ტარდის აზრები შესახებ ანარქისტების მოძრაობისა, ვცნობთ, რომ ყოველს აზრის იგი მანაწილად თვითყოფილ კერძო პირს და არა ხალხს-ყამათს, რომელიც ყველგან და ყოველთვის თავისებური აღმასრულებელია კერძო პირისაგან დახადებული აზრისა, იმიტომ რომ ანაკეთიანი ძალადი და შესანიშნავი აზრი თავის დღეში არ დახადებულა მთელი ხალხის ჭკუბ და გონებაში არამც თუ მერსიურებაში, არამედ ბოკუზაშია; თანხმად ამისა იმ გარე შესანიშნავი თხზულება, როგორც ილადაა, უნდა იყოს შეთხრობი და დამთავრებული აუცილებლად ერთადერთი გინიონისაგან და არა მრავალ პირებისაგან, ესე იგი ხალხისაგან. ხალხს შეუძლიან სწრაფობის მხრით გამოიხილეს ზოგიერთევე, მაგალითებზე სიმძობლოს თავისუფლების დაცვის დროს, ასეუი დიდი მამრობა და თავგანწირულობა, რომელსაც თვითყოფილ კერძო პირს იღებს ვერ შესძლებს, მაგრამ ჭკუა-გონებობის მხრით იგი თავის დღეში ვერ შეედრება თვითყოფილ გინიონს.

ამის მიხედვით, მოთაგედ დღევანდელ ანარქიზმის უნდა გიგუნდისნამით კერძო პირის, მკვლათად როგორც პირადი. ამან თუმცა დაჭბდა აზრი ანარქიზმისა, მაგრამ არსოდეს ვი არ უჩვენება ხალხისათვის ის სწრაფი გზა თავისი აზრის განსახორციელებლად რომელსაც დღევანდელი ანარქისტები დასდგომიან.

